საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ხელნაწერთა ინსტიტუტი

ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ

(IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით)

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო
ც. ჭურციკიძემ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1959

რედაქტორი: ილია აბულაძე

შინაარსი

წინასიტყვაობა 07

აპოკრიფები მოციქულთა შესახებ და მათი ენა

I. ხელნაწერები 09

II. ბერძნული და სომხური წყაროები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ 014

III. გამოცემისათვის საფუძვლად დადებულისა და შესადარებელი ნუსხების ურთიერთობისათვის 016

IV. ტექსტების გამართვისათვის (ბერძნული და სომხური ვერსიების მიხედვით) 029

V. რომელი ენებიდანაა თარგმნილი აპოკრიფები მოციქულთა შესახებ და როდის. 037

VI. ენობრივი მოვლენები 040

ტექსტები

I. [213] წამებაჲ წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ იუფრიმე ქალაქსა 3

II. წამებაჲ წმიდისა თომა მოციქულისაჲ ჰინდოეთს 14

III. მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ 21

IV. [234] თთუესა დეკემბერსა კ-ზ ჴსენებაჲ წმიდათა მათ თავთა მოციქულთაჲ პეტრჱსი და პავლჱსი 43

1. წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა უწინარჱს რვისა დღისა ვარდობისა 43

2. წამებაჲ წმიდისა პავლე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა 49

V. [211] საჭმენი და სწაელანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროხორე მოწაფისა მისისანი 55

ლექსიკონი 93

წინასიტყვაობა

აპოკრიფები მოციქულთა შესახებ საკმაო რაოდენობით დასტურდება ქართულ ენაზე. გამოცემისათვის შევარჩიეთ ძველ მრავალთავებში დაცული მხოლოდ ექვსი დღემდე შეუსწავლელი აპოკრიფი. ესენია: 1. „წამებაჲ წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ იუფრიმე ქალაქსა“, 2. „წამებაჲ წმიდისა თომა მოციქულისაჲ ჰინდოეთს“, 3. „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“, 4. „წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა...“, 5. „წაჴებაჲ წმიდისა პავლე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა“, 6. „საქმენი და სწაელანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროხორე მოწაფისა მისისანი“.

ხელნაწერები, რომლებიც ჩვენს აპოკრიფებს შეიცავენ, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ძველი. მე-9—11 საუკუნეებით დათარიღებული, მრავალთავებია; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ A— 674 ხელნაწერი, რომელსაც მე-15 საუკუნეში გადაწერილ ძეგლად თვლიან. ძველი ნუსხების გვერდით ასეთი გვიანი ნუსხა დაზიანებული H—341 ხელნაწერის შესავსებადაა გამოყენებული.

აპოკრიფებიდან, რომელთაც ჩვენ ვაქვეყნებთ, პეტრესა და პავლეს წამებები გამოცემული აქვს ნ. მარს ათონის ივერიის მონასტრის № 57 ხელნაწერის მიხედვით, ეს ტექსტები შედის აგრეთვე სინურ მრავალთავში, რომელიც გამოსცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მიუხედავად ამისა, მათი გაპროკვეყნება საჭიროდ ვცანით ამ ძეგლების ენის დახასიათებისა და მათი ნუსხების (ოთხი ნუსხაა) ურთიერთობის გარკვევის მიზნით.

ტექსტებს ერთვის გამოკვლევა და იშვიათად ხმარებულ სიტყვათა ლექსიკონი.

გამოკვლევაში განხილულია ჩვენი აპოკრიფების პარალელურ ნუსხათა ურთიერთთან და მათი ბერძნულ-სომხურ წყაროებთან დამოკიდებულების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ტექსტების ენას, გამოკვლევის მე-6 თავი „ენობრივი მოვლენები“ გულისხმობს სწორედ ტექსტების ორთოგრაფიული, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებების ჩვენებას.

აპოკრიფები მოციქულთა შესახებ და მათი ენა

აპოკრიფული მწერლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ქრისტიანული მწერლობისა. სიტყვა აპოკრიფი ბერძნულია (ἀπό-κρυφος) და დაფარულს, დამალულს, საიდუმლოს ნიშნავს. საეკლესიო თვით ნაწარმოებთა ხასიათითაა განსაზღვრული: ამ ნაწარმოებებს, როგორც კანონიკურ წერილობასთან შეუთავსებელთ, ეკლესია არ იწყნარებდა, რის გამოც ხდებოდა მათი ფარული, საიდუმლო გავრცელება[1].

აპოკრიფების ერთ-ერთ ჯგუფს ქმნის აქტები მოციქულთა შესახებ. აპოკრიფთა ეს ჯგუფი მდიდრადაა წარმოდგენილი ქრისტიანული მწერლობია მკონე ყველა ენაზე, მათ შორის ქართულზედაც.

აპოკრიფების შექმნა მოციქულთა შესახებ ქრისტიანული მწერლობის ადრინდელ პერიოდს განეკუთვნება, რაც მათ შეაწავლას ღრმა ფილოლოგიურ და ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც ცნობილია, მე 5—6 საუკუნეებით დათარიღებულ პალიმფსესტში „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ"-ს ფრაგმენტები დასტურდება[2]. ეს ფაქტი იმის საფუძველს იძლევა, რომ მოციქულთა აქტების თარგმნა ჩვენში ქართული ქრისტიანული მწერლობის გაჩენის დროიდანვე ვივარაუდოთ. ამდენად მოციქულთა აპოკრიფების ქართული თარგმანების ენობრივი თვალსაზრისით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის არქაული ნორმების დადგენის საქმეში.

I. ხელნაწერები

ჩვენთვის საინტერესო აპოკრიფებს მოციქულთა შესახებ შემდეგი ხელნაწერები შეიცავენ: 1. სინას მთის № 32/57/33 ხელნაწერი, ე. წ. სინას მრავალთავი (მას S ლიტერით აღვნიშნავთ ქვემოთ), 2. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ახლანდელი A ფონდის № 19, 3. იმავე ფონდის № 95 და 4. № 674 ხელნაწერები (ლიტერით A,B.E), 5. ათონის № 57 ხელნაწერი (ლიტერით C) და 6. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის, აწინდელი H ფონდის № 341 ხელნაწერი (ლიტერით D).

---

[1] მწერლობის ამ დარგის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბილისი, 1939; კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბილისი, 1951, გვ. 401—428; ალ. ბახტაძე, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1949, გვ. 77—99; Ранович А., Очерк истории раннехристианской церкви, Москва. 1941; Виппер Р. Ю., Возникновение христианской литературы, М—Л., 1946.

[2] ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ქაოთული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 359—360.

სანამ ჩვენს ტექსტებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, გადმოვცეთ მოკლედ გამოყენებული ხელნაწერების დახასიათება ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. სინას მრავალთავის გამოკლებით სხვა ხელნაწერებისათვის ლიტერებად გამოყენებული ლათინური ანბანის რიგი ამ ხელნაწერთა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას შეესაბამება. სინას მრავალთავის ლიტერით კი აღნიშნული შესაბამისობა ირღვევა; ამისი მიზეზი ისაა, რომ თავიდან, როდესაც ხელნაწერები ლიტერებით აღვნიშნეთ, სინას მრავალთავი გათვალისწინებული არ გვქონდა, შემდეგ უკვე ლიტერების გადაჯგუფება მიზანშეწონილად აღარ ჩავთვალეთ (ლიტერი ხომ ბოლოს და ბოლოს ნებისმიერია).

§ 1. **ხელნაწერი S.** ხელნაწერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინას მრავალთავის სახელითაა ცნობილი. იგი მე-9 საუკუნეში, კერძოდ 864 წელს გადაწერილ ძეგლს წარმოადგენა (პირველი ჩვენამდის მოღწეული თარიღიანა ქართული ხელნაწერია); გადაწერილია გრიგოლ ხანძთელის მოწაფის მაკარის მიერ. მისი ვრცელი აღწერილობა ეკუთვნით ა. ცაგარელს[1], ნ. მარს[2] და ბელგიელ მეცნიერს ე. გარიტს[3]. ხელნაწერი დაცულია სინას მთაზე. ჩვენ ხელთ იყო მისი ფოტოპირი[4].

სინას მრავალთავში ჩვენი მიზნებისათვის შესაბამისი ტექსტები არის პეტრე და პავლე მოციქულების წამებები: ა) „წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა უწინარეს რვისა დღისა ვარდობისა“ (234v—240ı); ბ) „წამებაჲ წმიდისა პავლე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა“ (240v—244v).

§ 2. **ხელნაწერი A.** ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდის № 19 ხელნაწერი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ეს ხელნაწერი მე-10 საუკუნისაა; იგი დაწერილებით აქვთ აღწერილი თ. ჟორდანიას[5] და ს. გორგაძეს[6].

აქ წარმოდგენილია შემდეგი აპოკრიფული თხზულებები მოციქულთა შესახებ: 1. „ჴსენებაჲ წმიდათა მათ თავთა მოციქულთაჲ პეტრესი და პავლესი“, რომელიც 29 დეკემბრის საკითხავებში შედის[7] და შეიცავს პეტრეა და პავლეს წამებებს: ა) „წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ ჰრომს შინა“ (გვ. 161—167), ბ) „წამებაჲ წმიდისა პავლე მოციქულისაჲ ჰრომს შინა“ (გვ. 167—171). 2. „საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პრობორე მოწაფისა მისისანი“.

---

[1] А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой Земле и на Синае, СПб. 1888. გვ. 234—235.

[2] Н. Марр, Описание грузинских рукописей синайского монастыря, М. - Л., 1940, გვ. 1—26: 93—97.

[3] Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gérard Garitte, Louvain, 1956. გვ. 72—97.

[4] 1956 წლის გაზაფხულზე ამშ კონგრესის ბიბლიოთეკიდან (ვაშინგტონი) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო სინას მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები, მათ შორის სინას მრავალთავისაც.

[5] Ф. Жордания, Описание рукописей..., кн. I, 1902, გვ. 12—17.

[6] ს. გორგაძე, „სვანური ბრავალთავი“, საქართველოს არქივი, წიგნი III, ტფილისი, 1927, გვ. 1—40.

[7] ხელნაწერში საკითხავები დღესასწაულების მიხედვითაა დალაგებული — 25 დეკემბრის და მისი მომდევნო დღეებისა 29 იანვრამდე (ს. გორგაძე).

„საქმენი და სწავლანი...“ 29 დეკემბრის საკითხავებს განეკუთვნება, მოთავსებულია ხელნაწერის 211—252 გვერდებზე და შეიდ ეპიზოდად იყოფა: ა) თვითონ „საქმენი და სწავლანი“[1]... (გვ. 211—234), ბ) „მჴრონისთჳს და რომელი იქმნა და ყოელისათჳს სახლისა მისისა“ (გვ. 234—243), გ) „ბასილისთჳს და ცოლისა მისისა და ვითარ ჰრწმენა ქრისტჱ სასწაულითა იოვანჱსითა“ (გვ. 243—245), დ) „მგლისათჳს რომელი გამოუჩნდებოდა მყოფთა ქალაქისათა, ხოლო იყო მგელი იგი არაწმიდაჲ ეშმაკი“ (გვ. 245—251), ე) „ნოტიანოჲსთჳს და ყოელისა სახლისა მისისათჳს“ (გვ. 251—255), ვ) „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა“ (გვ. 255—258) და ზ) „საკითხაი სახარებისათჳს იოვანჱს თავისა და ვითარ გამოთქუა იოვანე და რაჲსათჳს და რომელსა ადგილსა და რომელსა ჟამსა“ (გვ. 259—262).

უკანასკნელი, როგორც სათაურიდან ჩანს, ხელნაწერში ცალკე საკითხავადაა წარმოდგენილი; მის წინ მოთავსებულია ასომთავრული ბ, რაც ნიშნავს, რომ 29 დეკემბრის საკითხავთა ჯგუფში იგი მეხუთე საკითხავი ყოფილა.

აღსანიშნაია, რომ ამ ჯგუფის ა და ბ საკითხავები ხელნაწერში არ ჩანს (211 გვერდამდე ხელნაწერა დიდი რაოდენობით აკლია ფურცლები). ბ საკითხავად ს. გორგაძე ჩვენი თსზულების პირველ ექვს ეპიზოდს თვლის[2], თუმცა ეს ტექსტი ხელნაწერში საკითხავად არ იწოდება და არც ასომთავრული ბ უძღვის წინ რიგის ნომრად[3].

ხელნაწერი საერთოდ ნაკლული და დაზიანებულია. რაც შეეხება ამ მხრივ ჩვენი ტექსტების შემცველ ნაწილს, იგი ხელნაწერში სხვა ნაწილებთან შედარებით უკეთესადაა დაცული: პეტრესა და პავლეს წამებათა ტექსტები სრულიად დაუზიანებელია, „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში კი მთლიად ერთგანაა ფურცელი ამოხეული (ხელნაწერს ამ ფურცლის ნარჩენი წერილ ზოლად შერჩენია, ნ. გვ. 257—258) და ერთგანაც ფურცლის (გვ. 223—224) კიდეების დაზიანების გამო რამდენიმე სიტყვა არ იკითხვის.

§ 3. **ხელნაწერი B.** ხელნაწერი A—95 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. მას პარხლის ნრაეალთაეს უწოდებენ. მისი აღწერილობა ეკუთვნის თ. ჟორდანიას[4].

A—95 ხელნაწერის გადაწერის დროდ მე-10 საუკუნეს თვლიდნენ[5]. დღეს განმტკიცებულია აზრი, რომ აღნიშნული ხელნაწერი მე-11 საუკუნის პირველ ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს[6].

A—95 ხელნაწერში მოციქულთა შესახებ იგივე აპოკრიფებია წარმოდგენილი, რაც A—19-ში: 1. „თუესა დეკემბერსა კ‘ჳ ჴსენებაჲ წმიდათა ბათ თაჲთა მოციქულთაჲ პეტრჱსი და პაულჱსი“: ა) „წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ“ (გვ. 140—147), ბ) „წამებაჲ წმიდისა პაულჱსი ჲოციქულისაჲ“ (გვ. 147—150). 2. „თთუესა დეკემბერსა კ‘თ, ჴსენებაჲ წმიდისა იოვანე მოციქულისაჲ და ღმრთისმეტყუელისაჲ, საქმენი და სწავლანი ძისნი და პრობორიოს მოწაფისა მისიანი“ (გვ. 163—185).

---

[1] პირველ ეპიზოდს სათაური არა აქვს და მას ძეგლის საერთო სათაურით აღვნიშნავთ.

[2] ს. გორგაძე, „სვანური მრავალთავი“..., გვ. 20.

[3] ამ საკითხის შესახებ ნ. ქეჟერთ § 12.

[4] Ф. Жордания, Описание рукописей..., кн. I, გვ. 96—114.

[5] იქვე, გვ. 96. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი 1, ტფილისი, 1900, გვ 134

[6] ეს აზრი პეეტერსისაგან მოდის: Analecta Bollandiana, LIII, fasc. IV, გვ. 304.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ A—95 ხელნაწერი შეიცავს იოვანე ღმრთისმეტყველის აპოკრიფის არა მთელ ტექსტს, არამედ მხოლოდ მის პირველ ეპიზოდა, სახელდობრ, იმ ნაწილს, რომელიც A—19-ში 211—234 გვერდებზეა მოთავსებული.

§ 4. **ხელნაწერი C.** ათონის № 57 ხელნაწერი ამჟამადაც ათონზეა დაცული. მისი აღწერილობა ეკუთვნის ნ. მარს[1]. ეს ხელნაწერი პეტრესა და პავლეს წამებათა ტექსტებს შეიცავს; ისინი აქ შემდეგი სათაურით არიან წარმოდგენილი: „თუესა დეკემბერსა კ"ზ, ჯაჭნებაჲ წმიდათა მოციქულთა პეტრჱსი და პავლჱსი": ა) „ჰორომეს შინა უწინარჱს რვისა დღისა ვაოდობისა წამებაჲ პეტრჱსი" (გვ. 91—101), ბ) „წამებაჲ წმიდისა პავლჱ ზოციქულისაჲ ჰრომს შინა" (გვ. 101—109).

პეტრესა და პავლეს წამებები ათონური ხელნაწერის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. მარსვე აქვს გამოცემული (ფრანგული თარგმანითურთ)[2]. ჩვენ მათ ამ გამოცემის მიხედვით გავეცანით.

ათონის № 57 ხელნაწერს ნ. მარი მე-10 - საუკუნით ათარიღებდა, კ. კეკელიძე მის გადაწერას 985—1020 წლებს შორის ვარაუდობს[3].

§ 5. **ხელნაწერი D.** საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ახლანდელი H ფონდის № 341 ხელნაწერი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული[4].

ხელნაწერი მე-11 საუკუნის დამდეგს გადაწერილი ძეგლია[5]. შინაარსით წარმოადგენს გარკვეული ტიპის მრავალთავს, სახელდობრ, ე. წ. „მარტიროლოგსს", რომელიც კალენდარულ რიგზე გაწყობილ წამება-ცხოვრებათა წიგნება შეიცავს[6].

H—341 ხელნაწერს დართული აქვს ანდერძი (გვ. გვ. 197, 830), რომლის მიხედვითაც გადამწერად იოვანე უცბადმჩხრეკალს ვარაუდობენ[7], მაგრამ ამ ხელნაწერის ხელზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ იგი მის ყველა ნაწილში ეთით არ არის. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე შემდეგი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ ხელნაწერის შიგნით მოიპოვება რვეულთა დამოუკიდებელი სათვალავები, რომელთა მიხედვითაც ჩვენი ხელნაწერი ხუთ ნაწილად იყოფა:

ა) პირველი ნაწილი (ახალი პაგინაციის მიხედვით გვ. 1—213) დ რვეულიდან ით რვეულამდეა წარმოდგენილი; ამ ნაწილს თავშიც აკლია (თეითონ

---

[1] Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, часть I. Описание пяти пергаментных рукописей, ЗВОРАО, т. XIII, в. II—III, СПб, 1901, გვ. 47—72.

[2] Le Sinaxaire géorgien, redaction ancienne de l'union arméno-géorgienne, publié et traduit d'après le manuscrit du couvent Iviron du Mont Athos, par N. Marr: Patrologia Orientalis, t. XIX, fasc. 5. pp. 629—743, Paris, 1926.

[3] კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935, გვ. 13.

[4] აღწერილობა ნ. Analecta Bollandiana, fasc. 1 et 2, 1926, გვ. 70—71. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა H ფონდის აღწერილობა, I, , თბილისი, 1946, გვ. 247.

[5] ილ. აბულაძე, „მრავალთავი", ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1944, გვ. 243.

[6] კ. კეკელიძე. P. Peeters, La passion géorgienne des SS. Théodore, Julien, Eubulus, Malcamon. Mocimus et Salamanes (Analecta Bollandiana, t. XLIV, fasc. 1 et 2, Bruxelles. 1926), მიმომხილველი, I, 1926, გვ. 281. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა H ფონდის აღწერილობა..., გვ. 247.

დ რვეულისა მიოლოდ 10 გვერდია დარჩენილი), ბოლოშიც და არც შიგადა-შიგაა სრული სახისა.

ბ) მეორე ნაწილი (გვ. 213—280) ა რვეულით იწყება და ი რვეულით მთავრდება (ა რვეული თორმეტგვერდიანია, ოლონდ სრული). ამ ნაწილს შიგნით არ აკლია.

გ) მესამე ნაწილი (გვ. 481—524) იწყება დ რვეულით და ვ რვეულის მე-12 გვერდით მთავრდება.

დ) 525-ე გვერდზე რვეულთა ახალი სათვალავი იწყება ბ რვეულის მე-3 გვერდიდან, ეს ნაწილი 550-ე გვერდზე სრულდება დაუმთავრებელი ტექსტით.

ე) 561-ე გვერდზე დაწყებული რვეულთა სათვალავი ა-დან ით რვეულამდე (ხელნაწერის 866 გვერდამდე, ე. ი. ბოლომდე) გრძელდება, კ რვეულისა მხოლოდ ერთი ფურცელია.

ჩამოთვლილ ნაწილებში რვეულთა აღნიშვნაც სხვადასხვაგვარია: ერთი რომ მას ფურცლის ზემო კიდეზე იწყებს (I, II, V), მეორე—ქვემო კიდეზე ათავსებს (III, IV). ერთ ნაწილს რვეულის დასაწყისიც აქვს აღნიშნული და დასასრულიც (I, II, V), მეორე მხოლოდ დასაწყისს აღნიშნავს (III, IV). ერთ ნაწილში რვეულის აღმნიშვნელი ასო კიდის შუა ადგილასაა მოთავსებული, მეორეში კი წაპრილია და ძლივს ჩანს.

ხელის მიხედვით სხვაობაც სწორედ აღნიშნულ ნაწილთა შორის მეღავნდება (მათ შიგნით ხელი ყოველთვის ერთია).

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ H—341 ხელნაწერის სახით საქმე გვაქვს ხელნაწერთან, სადაც სხვადასხვა ხელნაწერებიდან მოუყრიათ თავი ისეთი ფრაგმენტებისათვის, რომლებიც „მარტიროლოღონის“ შინაარსს ეგუებოდნენ.

უცნობი ხელნაწერები იქნებ ხუთიევე სხვადასხვა პირის მიერ არ იყოს გადაწერილი, მაგრამ ერთზე მეტი გადამწერის მონაწილეობა მათში უთუოდ ამკარაა. რაც შეეხება იოვანე უცბადმჩხრეკალს, იგი შეიძლება ჩვენი ხელნაწერის მხოლოდ რომელიმე ნაწილის გადამწერად მივიჩნიოთ, კერძოდ, იმ ნაწილისა, რომელსაც მისი ანდერძი აქვს დართული[1]

H—341 ხელნაწერში მოციქულთა შემდეგი აპოკრიფებია მოთავსებული: „წამება წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ იუფრიმე ქალაქსა“ (გვ. 213—240); „წამებაჲ წმიდისა თომა მოციქულისაჲ ჰინდოეთს“ (გვ. 240—260) და „მიმოდაასლვაჲ მოციქულთაჲ“ (გვ. 260—305).

ხელნაწერის ჩვენი ძეგლების შემცველ ნაწილში ე და ვ რვეულები ადგილგადანაცვლებულია (ეს გადანაცვლება „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს ტექსტს ხვდება), რის გამოც შემდეგ საჭირო გამხდარა გაეკეთებინათ მითითებები: დ რვეულის ბოლოს, რომელიც მთავრდება შემდეგი ფრაზით:

„წარგჳყვანნა ჩუენ უდაბნოდ“, დასმულია ასეთი ნიშანი ❧ და ჩიწერილია:

„და ქმნა დიდ-დიდნი“..., ე. ი. ე რვეულის დასაწყისი, რომელიც დ რვეუ-

[1] პ. პეეტერსი H—341 ხელნაწერს სამი პირის მიერ გადაწერილ ძეგლად მიიჩნევს და მას გადამწერთა შორის შემდეგნაირად ანაწილებს: მისი აზრით, 1—96 და 212—233 გვერდები ეკუთვნის ერთ გადამწერს; 97—211 გვერდები მეორეს, 234—406 გვერდები მესამეს (Analecta Bollandiana..., გვ. 70). სამი გადამწერის დაშვების საწინააღმდეგოდ არაფერი გვეთქმის (იქნებ ეს ასეც იყოს), მაგრამ ხელნაწერის ამგვარი დაყოფისათვის არც ხელნაწერის ხელი იძლევა საფუძველს და არც კიდევ მასში წარმოდგენილი რვეულთა სათვალავები.

ლის ტექსტს ნამდვილად უნდა მოსდევდეს, ეგევე ნიშანი ⁂ მოთავსებულია ე რვეულის თავზე; თავის მხრივ, ე რვეულის ბოლოს მოთავსებულია ნიშანი ⁂, რომელსაც მიწერილი აქვს: „ორას და აჩ“..., ე. ი. რითაც იწყება ვ რვეული, ვ რვეული მართლაც ამ ფრაზით იწყება და საორიენტაციო ნიშანი ⁂ მის დასაწყისშიცაა მოთავსებული; ვ რვეულის ბოლოს დასმულია მესამე სახის ნიშანი ⁂ და მიწერილი აქვს: „და ვითარ აღესრულნეს“..., ე. ი. იმ ტექსტის დასაწყისი, რომლითაც ზ რვეული იწყება, ზ რვეულის თავშიაც ასეთი ნიშანია გაკეთებული.

ხელნაწერი რესტავრირებულია ძველად; რესტავრაციის დროს მისთვის დაურთავთ ზანდუკი (სარჩევი) და ძეგლები ზანდუკშიცა და ხელნაწერშიც ქართული ანბანია რიგით დაუნომრავთ; ჩვენი ძეგლები ამ რიგის მიხედვით არის კ, ლ, მ.

ხელის მიხედვით ერთი პირის მიერ ჩანს შესრულებული ზანდუკიც, ნაწარმოებთა დასანომრი ანბანიცა და ე და ვ რვეულების დასალაგებელი ნიშნებიც.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში მესამე სახის აღნუსხვასაც ვხვდებით; ესაა თავისებური დაყოფა რვეულებად. ამ აღნუსხვის მიხედვით 55 რვეული და 56-ე რვეულის ერთი ფურცელი გამოიყოფა აღრიცხვისათვის გამოყენებული ასოები მხოლოდ რექტოებზეა განლაგებული: პირველ გვერდზე მოთავსებულია ა, მეორე გვერდზე—ⷡ, მესამე გვერდზე—ⷢ, მეოთხეზე—ⷣ, შემდეგი ოთხი გვერდი დაუნომრავია; მე-17 გვერდზე (მე-9 რექტოზე) არის ნიშანი ბ, ე. ი. მე-2 რვეულის დასაწყისი, შემდეგ გვერდებზე კი ⷠⷠ, ⷠⷢ, ⷠⷣ, შემდეგი ოთხი ფურცელი ისევ თავისუფალია და 33-ე გვერდი იწყება გ ნიშნით, შემდეგ ისევ: ⷢⷠ, ⷢⷢ, ⷢⷣ, შემდეგ კიდევ ოთხი ფურცელი თავისუფალი და 49-ე გვერდზე ახალი რვეულის დასაწყისი და ა. შ. ბოლომდე.

ჩვენი ძეგლების შემცველ ნაწილში ხელნაწერის დაზიანებულ ადგილებზე ტექსტებია სქოლიოებში გვაქვს მითითებული.

§ 6. **ხელნაწერი E.** ეს ხელნაწერიც (A—674) აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული[1].

აღნიშნული ხელნაწერიდან გადმოვიწერეთ: „თუესა ნოენბერსა ⁂ მიმოდასლვა მოციქულთა, ოდეს-იგი წარავლინა უფალმან მოციქული ანდრიაჲ სოფელსა მას კაცია მჭამელთასა გამოყვანებად მათესა საჰყრობილით, მამაო, გუაკურთხენ!“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეესაბამება H—341 ხელნაწერში დაცულ „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს.

ნაწარმოებს ხელნაწერში უჭირავს 18v—29v. ხელნაწერს ჩვენი ტექსტის ნაწილში აკლია 2ე-20 ფურცელი, თუმცა პაგინაციაში ეს ფურცელი გათვალისწინებული არ არის, ეტყობა, მისი დაკლება მანამდე მოხდა, სანამ ხელნაწერს დანომრავდნენ.

II. ბერძნული და სომხური წუაროები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ

ძეგლები, რომელთაც ჩვენ შევისწავლით, არსებობს და გამოცემულიცაა ბერძნულსა და სომხურ ენებზე.

§ 7. **მოციქულთა აპოკრიფები ბერძნულ ენაზე.** პროხორეს სახელით ცნობილ თხზულებას: „საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთის-

[1] ხელნაწერი აღწერილი აქვს თ. ჟორდანიას, Описание рукописей..., кн. II, გვ. 210.

შეტყუელისანი და პროხორე მოწაფისა მისისანი“ ბერძნულად გაეცანით Th. Zahn-ის გამოცემის მიხედვით წიგნში: Acta Ioannis, Erlangen. 1880; ამ წიგნში ტექსტს უჭირავს 1—165 გვერდები და წარმოდგენილია შემდეგი სათაურით: Πράξεις τοῦ ἁγίου ἀποστόλου καὶ εὐαγγελιστοῦ Ἰωάννου τοῦ θεολόγου, συγγράφοντος τοῦ, αὐτοῦ μαθητοῦ Προχόρου.

დანარჩენი ძეგლები გამოცემული აქვს Bonnet-ს მოციქულთა აპოკრიფული აქტების სერიაში: Acta apostolorum apocrypha, Lipsiae, 1898.

პეტრესა და პავლეს აქტები წიგნის პირველ ტომშია მოთავსებული, სხვები მეორეში.

პეტრე მოციქულის წამებას: Μαρτύριον τοῦ ἁγίου ἀποστόλου Πέτρου ამ წიგნში უჭირავს 78—103 გვერდები, პავლე მოციქულის წამებას—Μαρτύριον τοῦ ἁγίου ἀποστόλου Παύλου—კი 103—117 გვერდები. აღსანიშნავია, რომ პეტრე მოციქულის წამების ქართული ტექსტის შესატყვისი ნაწილი ბერძნულში ნამდვილად 84-ე გვერდზე მე-4 მუხლიდან იწყება[1], პირველი სამი მუხლი ქართული ტექსტისათვის უცნობია.

ფილიპეს აქტებს Acta apostolorum apocrypha-ში (II ტომი) უჭირავს 1—98 გვერდები და ეწოდება: Πράξεις τοῦ ἁγίου καὶ πανευφήμου ἀποστόλου Φιλίππου. Bonnet-ის გარდა ამ აქტებს გაეცანით აგრეთვე Tischendorf-ის გამოცემის მიხედვით წიგნში: Apocalypses Apocryphae, Lipsiae, 1866.

Bonnet-თან წამების ტექსტი ფილიპეს აქტების შუა ნაწილში ქართულისათვის უცნობ ეპიზოდთა შორისაა გაბნეული, ხოლო Tischendorf-ის გამოცემა თვითონ შედგება ფრაგმენტებისაგან და მათში აქა-იქ თუ წავაწყდებით ფილიპეს წამების ზოგიერთი ადგილის შესატყვის ადგილებს.

თომას აქტები (Bonnet-ის გამოცემაში) ფილიპეს აქტების მომდევნოდ 100—291 გვერდებზეა მოთავსებული. ჩვენი ტექსტის (თომას წამების) შესატყვისი ეპიზოდი წიგნში ცალკე სათაურითაა წარმოდგენილი: Μαρτύριον τοῦ ἁγίου καὶ ἐνδόξου ἀποστόλου Θωμᾶ (გვ. 269—288). ბერძნული ტექსტი იწყება არა იქ, სადაც ქართული, არამედ უფრო შემდეგ, კერძოდ, ქართული ტექსტის შემდეგი აბზაცით: „ხოლო მიერითგან მიეიდოდა მოციქული იგი საპყრობილედ“ (ნ. ტექსტი გვ. 15,18); ბერძნულ ტექსტში წარმოდგენილი არ არის აგრეთვე თომას ლოცვა, რომელსაც იგი წამების წინ წარმოთქვამს და გამოცემაში უჭირავს ადგილი: „და იტყოდა: უფალო ჩემო“-დან (გვ. 17,18) „და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ ესე“-მდე (გვ. 18.32).

დასასრულ, „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ის შესახებ. ამ თხზულების შესატყვის ბერძნულ ტექსტს სათაურით Πράξεις Ἀνδρέου καὶ Ματθίᾳ εἰς τὴν πόλιν τῶν Ἀνθρωποφάγων უჭირავს წიგნის 65—115 გვერდები; ქართული და ბერძნული ტექსტები ზუსტად ერთი შინაარსისა და მოცულობისა არიან, მათი ფრაზეოლოგიური შეხვედრები უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ ისინი ეკუთვნიან ერთ რედაქციას.

§ 8. **მოციქულთა აპოკრიფები სომხურ ენაზე.** სომხურად ყველა ჩვენს თხზულებას გაეცანით ერთ კრებულში: *Թանգարան հայկական հին և նոր դպրութեանց, Կ. Անկանոն գիրք առաքելականք*, Վենետիկ, 1904. აღნიშნული კრებული გამოცემულია ვენეციაში დაცული სომხური ხელნაწერების კოლექციის მიხედვით.

[1] ტექსტები Bonnet-ის გამოცემაში მუხლებადაა დაყოფილი.

„საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტი ქართულის მსგავსად აქაც თავებადაა დაყოფილი, საერთო სათაურად აქვს: *Վարք լուսաւորուքիան* და მოთავსებულია წიგნის 190—292 გვერდებზე.

პეტრესა და პავლეს წამებებს სათაურებით: *Վկայաբանուքիւն Պետրոսի առաքելոյ*; *Վկայաբանուքիւն Պաւլոսի առաքելոյն* 51—61 გვერდები უჭირავთ.

ფილიპე მოციქულს ამ კრებულში სამი აპოკრიფი ეხება (ნ. გვ. 300—333). 300—320 გვერდებზე წაობოდგენილია ფილიპეს წამების ორი ვარიანტი. პირველ ვარიანტს — *Վկայաբանուքիւն սուրբ առաքելոյն Փիլիպպոսի, որ վկայեաց Ծեսպիտիէս քաղաքի* – ფურცლების ზემო ნაწილი უჭირავს, მეორე ვარიანტი კი—*Վկայաբանուքիւն սրբոյն Փիլիպպոսի առաքելոյ եւ աշակերտին Բարթողիմէոսի եւ Փիլիպպոսի քօրն Մարիամայ* – ფურცლების ქვემო ნაწილშია მოთავსებული. ქართული ტექსტი პირველთან შედარებით მეტ სიახლოვეს მეორე ვარიანტთან გვიჩვენებს.

Թանգարան-ში თომას შესახებ ხუთი აპოკრიფია წარმოდგენილი. თომას წამება აღნიშნულ აპოკრიფებში რიგით მეორეა, ჰქვია: *Վկայուքիւն Թոմայի առաքելոյ, որ կատարեցաւ ի Հնդիկս* და მოთავსებულია 388—400 გვერდებზე.

ორ ვარიანტადაა წარმოდგენილი *Թանգարան*-ში „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს სომხური შესატყვისი ტექსტიც (ნ. გვ. 124—145; 168—173), ოღონდ ეს ვარიანტები ქართულისაგან განსხვავებულნი და შედარებით მოკლე რედაქციისა არიან.

მოციქულთა შესახებ აპოკრიფების ბერძნულ-სომხურ ენებზე გაცნობა დიდად დაგვეხმარა ჩვენი ტექსტების გამართვასა და ამ ტექსტებთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხის გარკვევაში, ყველა მათ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

III. გამოცემისათვის საფუძვლად დადებულისა და შესადარებელი ნუსხების ურთიერთობისათვის

ოთხ აპოკრიფს—1. „საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყველისანი და პროხორე მოწაფისა მისნი“, 2. „წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ“, 3. „წამებაჲ წმიდისა პავლე მოციქულისაჲ“ და 4 „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“—როგორც ზემოთ მივუთითებდით, შესადარებელი ნუსხები დაეძებნა. პირველი თიზულება დაცულია A—19-სა და A—95 ხელნაწერებში, მეორე და მესამე — სინას მთის № 34/57/33; A—19; A—95-სა და ათონია № 57 ხელნაწერებში, მეოთხე—H—341-სა და A—674-ში.

ტექსტის რამდენიმე ნუსხით არსებობა ჩვეულებრივ სვამს საკითხს ამ ნუსხათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

სანამ ზემოაღნიშნული ტექსტების პარალელურ ნუსხებს ურთიერთს შევუდარებდეთ, საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ძეგლებიდან სამი „საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყველისანი და პროხორე მოწაფისა მისნი“, „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“ და „წამებაჲ წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ იუფრიმე ქალაქსა“ ქართულ ენაზე დასტურდება სხვა რედაქციებითაც. მაგრამ ეს რედაქციები,

როგორც უფრო გვიანი დროის თარგმანები. შრომაში არ გაგვითვალისწინებია[1].

§ 9. „საქმენი და სწავლანი"-ს ნუსხები. „საქმენი და სწავლანი"... A—95 ხელნაწერში იმ სიცრულით არ არის წარმოდგენილი, როგორც A—19-ში. ეს ხელნაწერი შეიცავს ამბავს თავიდან, ვიდრე მჯრონის ეპიზოდამდე. ამიტომ როდესაც იოვანეს ცხოვრებია ნუსხათა ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მისი ეს პირველი ნაწილი. A—19 და A—95 ხელნაწერების ნუსხათა შედარებისას პარალელურ კონტექსტებში გამომჟღავნდა ისეთი ფრაზეოლოგიური და ლექსიკური სხვაობები, რაც ერთი ცთვალის გადაველებით ამ ორი ნუსხის ტექსტებს სხვადასხვა რედაქციებად მოგვაჩვენებს. ასე მაგ.:

A	B
„სდევნიან ცხოვართა" (57,1)	„მწყსიან ცხოვართა".
„იწყეს სიტყუათა ბოროტთა სიტყუად" (57,12)	„იწყეს სიტყჳთა ბოროტითა სიტყუად".
„ქუეყანისაჲ" (57,25)	„ქალაქისაჲ".
„სხჳსა ქუეყანისანი" (58,32)	„სხჳსა ქალაქისაჲ"
„პროხორոს ვრქჳან" (57,2ი—27)	„პროხორიოს მიწოდიან".
„ქუეყანანი" (57,34)	„ქალაქნი".
„ბოროტისა სოფლისაო" (59,21)	„ბოროტისა საქმისაო".
„არა აუფლის მას მისლვად აბანოს" (60,38—61,1)	„არა აცადის მას შესლვად აბანოს".
„ტირილით თავი თჳსი დაადო ქუეყანასა ზედა"	„ხოირი თავისა თჳსისაჲ დაადო ქუეყანასა" (61,8).
„შეხლდნა აბანოდ" (61,37)	„შეჯიდა აბანოსა".
„დაეცა და მოკუდა" (62,27)	„დაეცა და მოაკლდა".
„ყოველისა დაბადებულისა შემოქმედი" (64,27)	„ყოველისა დაბადებულისა დამბადებელი".

[1] ვსენია: „ცხორებაჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოველად ქებულისა მოციქულისა და მახარებლისა იოვანე ღმრთისმეტყუელისაჲ, აღწერილი პროხორეს მიერ, მოწაფისა მისისა, ერთისა მჳდთაგანისა, ძისწულისა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა, თარგმნილი წმიდისა მამისა და განმანათლებელისა ჩუენისა. ახლისა ოქოოპირისა, ეფთჳმე მთაწმიდელისაჲ. გუაკურთხენ, მამაო". ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901, გვ. 111—175.

„მოსახსენებელი მიმოსლვათათჳს და ქადაგებათა ყ'დ ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასი, საბინინი, „საქართველოს სამოთხე", გვ. 24—45. ანდრიას მიმოსვლის ეს რედაქცია შინაარსითაც სულ სხვაა და ჩვენს ძეგლთან საერთო არაფერი აქვს.

„წამებაჲ წმიდისა ჴოციქულისა ფილიპესი იოფრიმეს ქალაქსა შინა. მამაო, გუაკურთხენ", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 188 ხელნაწერი. თ. ყორდანია ამ ტექსტის მხოლოდ სამ ფრაგმენტზე მიუთითებს (Описание рукописей..., кн. I, 1902, გვ. 212—213), ხელნაწერის დალაგების შედეგად კი მასში ფილიპეს წამების მთელი ტექსტი გამოჩნდა.

„შეუდგეს იოვანეს“ „შეუვრდეს იოვანეს“ (65,33).
„მიგითბრა“ „გამოგიცხადო“ (66.19) და სხვ.

აღნიშნული სხვაობები ერთგვარად რედაქციული ჩანს, მაგრამ ჩვენი ნუსხების შედარებამ მათში ისეთი მასალაც გამოავლინა, რომლის არსებობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ რედაქციაში ყოვლად შეუძლებელია. ასე მაგ.:

ა) A ნუსხაში ტექსტის გარკვეული ნაწილი ადგილგადანაცვლებულია, იგივე სურათი გვაქვს პარალელურად B-შიც (ნ. § 13).

ბ) ორივე ნუსხის ტექსტებს ერთნაირი ბერძნიზმები ახასიათებთ (ნ. § 17).

გ) „მოუკლვიდიან“ ფორმა „მოაკლდიან“-ის ნაცვლად და τρίχας სიტყვის არასწორად წაკითხვით მიღებული შეცდომაც (ნ. § 13) აგრეთვე ორივე ნუსხაში დასტურდება.

დ) საკუთარი სახელი „პროხოროს“ ორჯერ შეგვხვდა ბერძნული აკუზატივის ფორმით („პროხორონ“ სახით) და ორჯერვე A-სა და B ნუსხებში ერთმანეთის პარალელურად (ნ. ტექსტი 59,34; 60,20).

ე) „საქმე“ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვა ერთადერთ შემთხვევაში ფუძეუკეცლადაა წარმოდგენილი (ნ. § 39) და იგი ამ სახით A-სთან ერთად B ნუსხაშიც დასტურდება.

ამგვარად, საკმაო საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ A—19-სა და A—95 ხელნაწერებში იოვანე ღმრთისმეტყველის ცხოვრების ტექსტი ერთი საერთო დედნიდან მომდინარე ორ ვარიანტად მივიჩნიოთ.

რაკი A და B ხელნაწერებში ჩვენი ტექსტის ნუსხები ერთმანეთის მიმართ ვარიანტები აღმოჩნდნენ, შეიძლება კითხვა ამგვარადაც დაისვას: ხომ არ არის B ვარიანტი A ვარიანტის სახესხვაობა, უფრო ზუსტად, „საქრენი და სწავლანი“-ს ტექსტი A—95 (მე-11 საუკუნის) ხელნაწერში ხომ არ მომდინარეობს A—19 (მე-10 საუკუნის) ხელნაწერიდან?[1]

A ნუსხისაგან განსხვავებული B ნუსხის ზოგიერთი ადგილი შესატყვისს პოულობს ბერძნულ შესაბამის ტექსტში, რაც უფლებას გვაძლევს დაისმულ კითხვაზე უარყოფითად ვუპასუხოთ[2]. მაგ.:

1. „მიეცა თითოეულსა მსახურად სამეოცთა განნი“ (A 56, სქ. 21).
„მიეცა თითოეულსა სამეოცდაათთა განი“ (B 56,20).

---

[1] A—19 და A—95 ხელნაწერების ერთმანეთთან დამოკიდებულების საკითხი ყურადღებას საერთოდაც იქცევს:

ამ ორი მრავალთავის თანხვედნილ ტექსტებს ერთი რედაქციისად თვლის ილ. აბულაძე: „მრავალთავი“, ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1944, გვ. 244.

ს. გორგაძე მათი დაბოკიდებულების შესახებ წერს (ნაწ მისი: „სვანური მრავალთავი“, საქართველოს არქივი, წიგნი III, ტფილისი, 1927, გვ. 35): „როგორც შედარებამ დაგვარწმუნა, ამ ხელნაწერიდან (A—19-დან—ც. ჭ.) თითქმის ყველა საკითხავი შეტანილია იმავე ნუზუშის დიდი ტყაკის ხელნაწერში № 95, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ვრცელია და შედარებით უკეთ შენახული. შესაძლოა, მის რედაქტორს ხელთ ჰქონდეს № 19 ხელნაწერი, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ორისავე ხელნაწერის წყარო საერთო ყოფილიყოს“.

[2] არ შეგვინიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში B-გან განსხვავებულ A-ს მონაცემებს აღმოსჩენოდა შესატყვისი ბერძნული ტექსტის სხვა ნუსხებში—ბერძნული ტექსტის სქოლიოებში გამოყენებული ნუსხებიდან ვარიანტები ყველაა წარმოდგენილი. ეს დაბრკოლება გათვალისწინებული გვაქვს აგრეთვე პეტრესა და პავლეს წამებათა და „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს ნუსხათა შედარების დროსაც.

Ⴁ ნუსხის „სამეოცდაათთაგანი“-სათვის ამოსავალი ვერ იქნებოდა A ნუსხის „სამეოცთაგანნი“, რადგან „სანეოცდაათთაგანი“ აქ შემთხვევითი კი არ არის, არამედ ბერძნული დედნიდან მომდინარე ჩანს; შდრ. ἀπελύθη δὲ καὶ ἀπὸ τῶν ἑβδομήκοντα καὶ ἕνα ὑπηρέτης (7,2).

2 „ესმა რაჲ რომანას, ტირილით თავი თჳსი დააგდო ქუეყანასა ზედა“ (A 61, სქ. 11).

„ესმა რაჲ რომანას, ხოირი თავისა თჳსისაჲ დააგდო ქუეყანასა ზედა (A 61,8).

„სოიოი“ დასტურდება აგრეთვე ბერძნულ ტექსტშიც: ἀκούσασα δὲ ἡ Ῥωμάνα ταῦτα, τὸ διάδημα τὸ ἐπὶ τῆς κεφαλῆς αὐτῆς ῥίψασα ἐπὶ τὴν γῆν (25,14).

3. „რაჲსათჳს საიდუმლოჲ ჩემი მიგითხრა თქუენ“ (A 66, სქ. 22). რაჲსა საიდუმლოჲ ჩემი გამოგიცხადო თქუენ (66,19).

τί καὶ τὸ μυστήριόν μου ἀποκαλύπτω (36,22; =გამოგიცხადო).

4. „კესარიით მტარვალი მოვიდა და ბრალნი მათისა მწყალებლობისანი ჰქონან“ (A 69, სქ. 20).

„კესარიით მტარვალი მოვიდა და ბრალნი მათისა მწამლველობისანი ჰქონან“ (B 69,19).

ἀπὸ Καισαρείας παρεγένετο ταξεώτης τὰς καταθέσεις τῶν φαρμακειῶν αὐτῶν ἐπαγόμενος (173,5—6; =მწამლველობისანი).

„მწყალებლობისანი“ მიღებული უნდა იყოს „მწამლველობისანი“-საგან ამ ორი სიტყვის გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე; ეს მცდარი ფორმა, როგორც ვხედავთ, B ნუსხაში არ გამეორებულა.

კიდევ ერთი მაგალითი:

5. იოვანე ეკითხება ერთ მოხუცს, რომელ ღმერთს ემსახურებიო, მოხუცი უპასუხებს:

„აპოლონს და დიას და ერაკლის“ (A 70,32).

„აპოლონს დიდსა და ერაკლეს“ B.

τὸν Ἀπόλλωνα καὶ Δία καὶ Ἡρακλῆν (49,1; =და დიას).

„დიდსა“ B ხელნაწერში „და დიას“ არასწორი წაკითხვით გამოწვეული შეცდომა ჩანს; A ხელნაწერში ამ სიტყვების დაწერილობის მიხედვით ასეთი შეცდომის დაშვების შესაძლებლობა გამორიცხულია; ცხადია, B ხელნაწერის მცდარ წაკითხვას საფუძველი რომელიღაც სხვა ხელნაწერმა მისცა.

ამგვარად, საბოლოო დასკვნები, რომელთა გამოტანის უფლებასაც იოვანე ღმრთისმეტყველის ცხოვრების ნუსხათა შედარება იძლევა, შემდეგია: ა) აღნიშნული ნუსხები ერთმანეთის მიჰართ ვარიანტებს წარმოადგენენ, ბ) უფრო გვიანდელი ვარიანტი (ე. ი. B) მასზე ადრინდელიდან (ე. ი. A-დან) არ მოჰდინარეობს, გ) ორივე ვარიანტისათვის ამოსავლად ერთი საერთო დედანი იგულისხმება.

აღნიშნულ დასკვნებამდე მიეყვანართ პეტრესა და პაველეს წამებათა და „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს ტექსტების ნუსხათა შედარებითს განხილვასაც.

§ 10. პეტრესა და პავლეს წამებათა წიგნების ნუსხები. პეტრესა და პავლეს წამებათა ნუსხებს შორის განსხვავება თავს იჩენს არა მხოლოდ პარალელურ ფრაზეოლოგიასა და ლექსიკაში, არამედ გრამატიკულ მოვლენათა გადმოცემის დროსაც; მაგრამ, როგორც უკვე მივუთითეთ, ვარიანტულ ფარგლებს არც ამ ტექსტების ნუსხათა სხვაობა სცილდება.

ნიმუშები პეტრესა და პავლეს წამებათა ნუსხების ვარიანტული განსხვავების საილუსტრაციოდ:

SB	A
„სიტყუანი ქრისტჳსნი“ (45,10)	„სიტყუანი ქრისტჳსთჳს“.
„უწყოდის ვიდრე იგინი მივიდოდეს“ (43,16)	„აუწყონ ვიდრე-იგი მივიდიან“.
„განჩინებულ ხართ“ (45,17)	„განწესებულ ხართ“.
„აღგიარებთ“ (47,29)	„გჳეჳდრებით“.
„სიტყუასა მას ღმრთისასა“	„სიტყუათა ღმრთისათა“ (51.20).
„სიყუარულსა და ცხორებასა მორწმუნეთასა“ (49.23)	„სიყუარულსა ცხორებისასა მორწმუნეთათჳს“.
„ჩემისაგან ერისმთავრობისა“ (51,9)	„ჩემისაგან მთავრობისა“.
„დადუმნა“ (51,18)	„დასცხრებოდა“.
„სიბრძნის მოყუარენი მეგობრები ასისთავისაჲ მის“ (53,20)	„სიბრძნის მოყუარენი და მეგობარნი და ასისთავები“.
„ნებითა მისითა“ (45,3)	„ნებითა უფლისაჲთა“.

SA	B
„ღმრთის მსახურებად“ (43,11).	„ღმრთის მსახურად“.
„მჴირნი განაჩინნა“ (43,15)	„ჴჳრნი დაადგინნა“.
„ეიგლოვდეს“ (44,34)	„ილოცევიდეს“.
„პურითა“ (47,10)	„პურპრითა“.
„სიბორგილისაგან“ (51,25)	„სიბოროტისაგან“.
„მრავალი ძჳრი და დიდი ტანჯვაჲ“ (53,24)	„მრავალი ტანჯვაჲ და დიდი ძჳრი“.

არის შემთხვევები, რომ სამივე ვარიანტი ერთმანეთისგან განსხვავებულ ჩვენებას გვაწვდის:

S	A	B
„ვითარცა კეთილი აოკეთილი იგი ეგოს და სახიერი იგი ვითარცა ბოროტი“	„კეთილი იგი არაკეთილ ეგონოს და სახიერი იგი ვითარცა ბოროტი“ (46, 20—21)	„კეთილი იგი და სახიერი ეგონოს ვითარცა ბოროტი“.
„გამოძიებაჲ (51,1)	„განძებაჲ“	„განსხმაჲ“.
„ნერონ კეისარმან (52,23)	„მეფემან“	„ნერონ“.

ამ სამი ძირითადი ნუსხის გარდა, რომელთა მიხედვით ტექსტი გვაქვს დადგენილი, არსებობს კიდევ, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ათონური ნუსხაც; ეს ნუსხა ტექსტების დასადგენად გარკვეული მოსაზრებების გამო არ გამოვიყენეთ, სახელდობრ, ჯერ ერთი, სამი ნუსხა ამ მიზნით სრულიად საკმარისი აღმოჩნდა და სქოლიო აღარ გადაეტვირთეთ ზედმეტი, ტექსტისათვის უსარგებლო ვარიანტებით, მერე კიდევ, უკვე არსებობს ათონური ნუსხის ტექსტის გამოცემა.

ზოგიერთი ნიმუში ათონური ნუსხის თავისებურებებზე სხვა ნუსხებთან მიმართებით:

C	SAB
„მოიქცეს გულნი მათნი ღმრთის ბსახურებად“	„მოიქცეს ყოველნი ღმრთის ჱსახურებად“ (43,11).
„შეიბილწებიან“	„შეიგინებიან“ (43,21).
„მცბიერად ტრფიალებისა“	„ფრიად ტრფიალებისა“ (43,25).
„განეშორებოდეს“	„განეყენებოდეს“ (44,5).
„ბრალსა დასდებდა“	„ბრალსა დაჰკრებდა“ (45,8).
„იპყრობს წმიდაჲ პეტრე“	„წარიყვანეს პეტრე“ (45,6).
„სიტყუასა მას ცხოვრებისასა“	„სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა“ (49,11).
„კეისარ ყოფად არსა“	„მეუფე ყოფად არსა“ (50,18).

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ სხვაობებს, ათონური ტექსტი უფრო სინურს უქვრს მხარს:

CS	AB
„სასმენელნი თქუენნი საჩინოდ ბომიპყრენით“ (46,2—3)	„სასმენელნი საცნობელნი მომიპყრენით“.
„შენ ხარ მოღუაწე ჩემი“ (47,20—21)	„შენ ხარ შესაჲედრებელი ჩემი“.
„ყრმამან მან მადლითა ქრისტჱსითა მოიდგნა სულნი“ (50,5).	„ყრმაჲ იგი მადლითა ქრისტჱსითა ცოცხალ იქმნა“.

იგი A ნუსხის ტექსტთანაც პოულობს საერთოს:

„განწესებულ ხართ“ CA, „განჩინებულ ხართ“ BS (45,17).

პეტრესა და პაველეს წამებათა ვარიანტებს შორის სხვაობა თავს იჩენს საკუთარ სახელთა გადმოცემის დროსაც, ასე მაგ.:

„აგრიპინა“ (S) წარმოდგენილია „აგრიპანა“ სახით A-სა და B ნუსხებში, „აგრიპინა“ სახით — ათონურ ნუსხაში.

„დორის“ (SBC) სახელის ბერძნული მეორე ვარიანტი „დომჱს“ დაცული აქვს A ნუსხას (81, სქ. 12).

„ალფიანოს“/„ალფიანე“ ერთგან სინურ ნუსხაში „აფინა“ სახით შეგვხვდა (44, სქ. 1).

„ჰორიონ“ (S) „ჰორონ“ სახით დასტურდება A და B ნუსხებში, „ლურიონ“ სახით ათონურში (უკანასკნელი გრაფიკულ ნიადაგზე წარმოშობილი შეცდომა გვგონია) და სხვ.

ვარიანტებში საეურადღებო სხვაობები დასტურდება გრამატიკული თვალსაზრისითაც:

ა) ბერძნული სახელი ἀλήη -ე ბოლოკიდურიან სახელადაა წარმოდგენილი სინურ ნუსხაში (ალოვ), დანარჩენებში კი იგი -ო ბოლოკიდურიანი სახელია (ალო).

ბ) „ყურე"-ს ნათესაობითი ბრუნვა ფუძის კვეცით მხოლოდ სინურ ნუსხაში შეგვხვდა, A,B-სა და ათონურ ნუსხებში ეს სახელი ფუძეუკვეცლად დასტურდება: „ყ უ რ ი ს ა ერთისა" (S 51,11); „ყურ[ო]სა ერთისა" AC; „ყ უ რ ო ს ა ერთისა" B.

გ) II პირის ბრძანებითის ფორმები მრავლობით რიცხვში ე. წ. თანხმოვანთგაჰაყარი ი-ს გარეშე შეგვხვდა სინურ ნუსხაში: გ ა ნ ა შ ო რ ე ნ თ, ი ხ ი ლ ე ნ თ (S 45, 36—46,2); სხვებში შესაბამისად გვაქვს: გ ა ნ ა შ ო რ ე ნ ი თ, ი ხ ი ლ ე ნ ი თ A; გ ა ნ ა შ ო ვ რ ე თ, ი ხ ი ლ ე თ C; გ ა შ ო რ ე ნ თ, ი ხ ი ლ ე თ B.

დ) „არს" ა-დაა გამარტივებული B ნუსხაში: „ჟამი არს (S 46,5); „ჟამია" B. ერთგან S-შიც: „მოკუეთილ არს(ა)" ABC, „მოკუეთილა" (S 52,25).

ე) სინური ნუსხის ისეთ იშვიათ ფორმას, როგორიცაა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მასდარი, დანარჩენ ნუსხებში შეესატყვისება სხვადასხვაგვარი ფორმები. შდრ.: „უნდეს ერისკაც ყოფის" (S 51,13); „უნდეს ერის კაცობაჲ" A; „უნდეს ერისკაცობის" B; „უნდეს ერისკაც ყოფად".

პეტრესა და პავლეს წამების წიგნთა ნუსხებისათვის ერთი საერთო ქართული დედნის დასაშვებად ისეთი ხელშესახები მასალა ღმრთისმეტყველის ტექსტში რომ გვქონდა, აქ არ იძებნება, მაინც დავიმოწმებთ ზოგიერთ ფაქტს, რომელთა სხვადასხვა ნუსხაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეტანა ძნელი წარმოსადგენია:

ა) პეტრესა და პავლეს წამების წიგნებში სახელები ებიანი მრავლობითის ფორმით თუმცა იშიროდე ადგილას გეხვდება, მაგრამ ისინი ოთხივე ნუსხაშია ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილი:

„მოვიდოდა ხ ა რ ჭ ე ბ ი ც ა... სახელები მათი ესე არს" (43,8).

„განაცა წ ი გ ნ ე ბ ი" (51,1).

„განტევებაჲ პატროკლ[ო]სი და ბარსაბაეთი მ ო ყ უ ს ე ბ ი თ უ რ თ მათით" (54,1).

ბ) „ბარსაბა" საკუთარი სახელისაგან იშვიათი წარმოების კრებითი სახელი ბ ა რ ს ა ბ ა ე თ ი (ბარსაბას მიმდევრების აღსანიშნავად ნ. § 45) ყველა ნუსხაში შეგვხვდა.

გ) ერთმანეთის პარალელურად ისეთი იშვიათი ხმარების კომპოზიტების არსებობა, როგორიცაა: ქ მ ნ უ ლ-კ ე თ ი ლ ი (43,23); ა ხ ა ლ-ნ ე რ გ ი (44,35); გ უ ლ ი ს კ ლ ე ბ ა (45,7); ბ რ ა ლ ი ს დ ა კ რ ე ბ ა (45,8); გ უ ლ-წ უ ე ბ უ ლ ი (48,25) შეიძლება არ უნდა იყოს, ისინი სხვადასხვა მთარგმნელის კუთვნილება ვერ იქნება.

დ) ერთგან ქვემდებარე მოსალოდნელი მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი: „ხოლო ი გ ი ფრიად ტრფიალებისა მისთჳს ქ[ო]სანთიპ[ო]სისა უ კ ჳ რ დ ა" (43,26) და ამას ადგილი აქვს პეტრეს წამების ოთხივე ნუსხაში.

ე) საერთო დედნის დაშვებას შემდეგი ფაქტიც უჭერს მხარს: სინურ ნუსხაში A ნუსხისაგან განსხვავებული ადგილები B ან ათონურ ნუსხებში პოულობს შესატყვისს, ათონური ნუსხა A-სა და B-საგან განსხვავებული ად-

გილებით სინურს უდგება გვერდით და ა. შ. არ შეგვინიშნავს, რომ ჩვენი ტექსტია ოთხი ნუსხა ერთმანეთის შესატყვის ადგილებში ოთხ სხვადასხვა ჩანებას იძლეოდეს.

რაც შეეხება საკითხს გვიანდელ ნუსხათა ადრინდელთაგან მომდინარეობის შესახებ, ამ თვალსაზრისით თითოეულ ნუსხას ცალ-ცალკე განვიხილავთ:

I. A ნუსხისაგან განსხვავებული მთელი რიგი ადგილებით B ნუსხა მიჰყვება რა ბერძნულსა[1] და სომხურს[2], ამავე დროს გვერდით უდგას A-თან შედარებით უფრო ძველ სინურ ნუსხას (ზოგჯერ ათონურსაც); ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ პეტრესა და პავლეს წამების ტექსტებს B ხელნაწერში A-დან მომდინარედ ვერ ჩავთვლით.

მაგალითები:

1. „რომელი სიჭელოვნითა კაცთაჲთა ითქუმის“ A.

„სიჭელოვნისაგან ამის სოფლისა ითქუმის“ (B 49,8—9).

ბერძნულ და სომხურ ტექსტებში შესატყვისი შინაარსი ცოტა სხვაგვარადაა გადმოცემული (შდრ. ὑπὲρ τέχνης φύσεως ὑλικῆς προερχομένων,—გვ. 96; *որ արուեստականութիւնից և հրաւականութիւնից յառաջ իարգ*, 55, 9), სამაგიეროდ სინურ და ათონურ ნუსხებში გვაქვს: „ჭელოვნებისაგან ამის სოფლისაჲსა ითქუმის“ S; „ჭელოვნებითა ამის სოფლისაჲთა ითქუმის“ C.

ამრიგად, B-ში „ამის სოფლისა“ A-ს „კაცთაჲთა“-ს შემცვლელად სხვა რომელიღაც წყაროდან მოდის და B ვარიანტს A-თან უშუალო კავშირის უარმყოფელი მაგალითია. ასევე:

2. „მოსლვასა პეტრწსსა ჰრომედ უფროჲს განძლიერდებოდეს“ A.

„მოსლვასა მას პაელწსსა“... (B 48, 19).

„პაელე“-ა წარმოდგენილი სინურ, ათონურ, ბერძნულ და სომხურ ტექსტებში, ამ სახელის ხშირებაა უკერა მაარს კონტექსტიც.

3. „აგრძნა პეტრწსი ჶორცთაგან განსლვაჲ“ A.

...„განსლვაჲ ცხორებისაგან“ (B 48, 21).

B ნუსხის ჩვენება (განსლვაჲ ცხორებისაგან) დასტურდება სინურსა და ათონურ ნუსხებში, აგრეთვე ბერძნულსა და სომხურ ტექსტებში (შდრ. ὁ δὲ Νέρων γνοὺς ὕστερον τὸν Πέτρον ἀπηλλαγμένον τοῦ βίου — გვ. 100; *գիտացեալ յետոյ զվախճանիլն Պետրոսի ի կենաց*— 5,17).

4. „შეაყენნა და ტანჯნა იგინი“ A.

„შეაყენნა საპყრობილესა და ტანჯნა იგინი“ (B 50, 29).

արկ ի բանդ զնոսա եւ հրամայեաց դրել վճիռ (58, 17; = საპყრობილესა).

„საპყრობილე“ A ნუსხის მსგავსად არც ბერძნულ ტექსტშია წარმოდგენილი (შდრ. ᾠδὲ συνέκλεισεν αὐτούς—110, 2), სამაგიეროდ იგი დასტურდება სინურსა და ათონურ ნუსხებში: „შეაყენნა საპყრობილესა და გუემნა იგინი“.

5. „საუნჯჲ ვისიმე დაეპყრა“ A.

„საუნჯჲ ვისიმე სასყიდლით დაეპყრა“ (B 49, 10).

ἔξω Ῥώμης ὄρριον μισθώσασθαι (გვ. 104; = სასყიდლით დაეპყრა).

տուն ի վարձու կալեալ (57,6; = სასყიდლით დაეპყრა).

[1] Acta apostolorum apocrypha..., გვ. 78—117.

[2] *Թանգարան...*, გვ. 51—61.

სიტყვა „სასყიდლით“ არ შეგვხვედრია ათონურ ნუსხაში, სინური კი აქაც უჭერს მხარს B ნუსხის ტექსტს.

ასე რომ, ჩამოთვლილი მაგალითებიდან პირველი ოთხი A ნუსხიდან B ნუსხის ტექსტთან ერთად ათონური ტექსტის წომდინარეობასაც გაპირობებს.

II. პეტრესა და პავლეს წამებათა წიგნების ყველაზე ძველი სინური ნუსხაც აგრეთვე არ უნდა წარმოადგენდეს წყაროს სხვა ჩვენთვის ცნობილი ნუსხებისათვის; ზემოთ მოყვანილ საბუთთა მსგავსი საბუთები აქაც დასტურდება:

1. „ჯერ-არს, რომელნი მოველით ჯუარსა ქრისტჱსსა“ S.

„მოველით“ გვაქვს აგრეთვე ათონურ ნუსხაშიც (=ზოლოდინს). A და B ნუსხებში კი მათგან განსხვავებით „მოსლვა“ ზმნაა წარმოდგენილი:

„ჯერ-არს, რომელნი მოუვლენ ჯუარსა იესუჱსსა“ (AB 46, 38).

უკანასკნელს უჭერენ მხარს ბერძნული და სომხური ტექსტებიც: შდრ. προσῆκεν γὰρ ἐπιβαίνειν τῷ τοῦ χριστοῦ σταυρῷ (გვ. 96) და *պարտ է ելանել ի խաչն Քրիստոսի* (54, 35).

ამრიგად, A და B ნუსხების „მოუვლენ“ სინურიდან (ან ათონურიდან) მომდინარე ნუსხაში ვერ გაჩნდებოდა, რადგან იგი აქ თვითნებური კი არ არის, არამედ ბერძნული და სომაური ტექსტების მონაცემებს შეესაბამება.

2. „შენ ხარ მაოლოჲ უფალი და არა არს სხუა შენსა გარეშე“ S.

A ნუსხა უმატებს „ღმერთს“: „...არა არს სხუა ღმერთ შენაა გარეშე“ (47, 31).

ეს სიტყვა არ გააჩნიათ სინურთან ერთად არც B, არც ათონურ ნუსხებს, მაგრამ იგი რომ A ნუსხაში შემოხვევითი არ არის, ამას ისევ ბერძნულ-სომხური ტექსტები გვიმოწმებენ: οὐ θεὸς μόνος καὶ οὐκ ἔστιν ἕτερος θεός[1]. (გვ. 98); *դու միայն ես, եւ ոչ կոյ այլ աստուած* (55, 28).

III. მსგავსი მაგალითები აინურისაგან ათონური ნუსხის დამოკიდებულების უარსაყოფადაც დაიძებნა:

1. „ნეტარი პეტრე ჰრომჱსა შინა იხარებდა ძმათა თანა“ (SAB 43, 5).

„...იხარებდა უფლისა მიმართ ამათა თანა“ C.

ათონურ ნუსხაში ზედმეტი „უფლისა ძიმართ“ ბერძნულსა და სომაურ ტექსტებშიც დასტურდება (ნ. ბერძ. გვ. 84, სომხ. გვ. 51).

2. „ასწავებდა მათ სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა“ (49. 11).

„ჭეშმარიტებისასა“ მეორდება A და B ნუსხებში, აგრეთვე ბერძნულ ტექსტშიც: ἐδίδασκε τὸν λόγον τῆς ἀληθείας (104, 5). ათონურ ნუსხაში შეაბამისად გვაქვს „ცხოვრებისასა“:

„ასწავებდა ყოველთა სიტყუასა მას ცხოვრებისასა“.

ამ სიტყვის ხმარებით ათონურს გვერდით უდგას სომხური ტექსტი: *զբանն կենաց խօսէր նոքօք* (57, 7)[2].

ერთგან სინურ ნუსხაში გვაქვს: „კეთილი იგი არაკეთილი ეგოს“ (48, სქ. 57).

---

[1] ასეა ეს ბერძნული ტექსტის სქოლიოში დამოწმებული ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით, ტექსტში ნამდვილად გვაქვს: οὐ θεὸς μόνος καὶ οὐκ ἕτερος.

[2] ეს ფაქტი პეტრესა და პავლეს წამებათა ტექსტების სომხურთან ურთიერთობის საკითხსაც აყენებს (ნ. § 18). ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი მაგალითი სომხური ტექსტის ჭართულიდან მომდინარეობას მოწმობდეს.

პარალელურად A, B და ათონურ ნუსხებში „გონება“ ზმნაა წარმოდგენილი: ეგონოს (AB 48, 20); გეგონოს C. „გონება“-ს შეიცავენ აგრეთვე ბერიონულ სომხური ტექსტებიც:

ὡς καλὰ τὰ μὴ καλὰ νοῆσαι (გვ. 94).

զբարւոյն չար հաւատարեցաւ (54, 24).

რაკი კონტექსტიც ამ უკანასკნელი სიტყვის ხმარებას ამართლებს, ამიტომ გვგონია, რომ სინურ ნუსხაში გადამწერის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე: ჩვენი ნუსხები რომ სინურიდან იყვნენ გადაწერილნი, მცდარი ფორმა, ცხადია, მათშიც გამეორდებოდა.

ამგვარად, პეტრესა და პაულეს წამების ტექსტები ჩვენს ნუსხებში წარმოდგენენ რა ერთი საერთო დედნის ვარიანტებს, ისინი ამ დედანს პირდაპირ კი არ უკავშირდებიან, არამედ სხვა ჩვენთვის უცნობი ნუსხებისა საშუალებით.

§ 11. „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს ნუსხები. „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს შემცველი ჩვენთვის ცნობილი ორი ხელნაწერი ხუთი საუკუნითაა ერთმანეთისაგან დაცილებული; ხუთი საუკუნე საკმაო ინტერვალია ვარიანტულ ტექსტებში განახვავებათა მოსაძრავებლად. Ჸ—34i-სა და A—674 ხელნაწერებში ამ აპოკრიფის ორ ვარიანტს შორის სხვაობები დიდი რაოდენობით დასტურდება:

მაგალითები „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს D და E ნუსხების სხვაობაზე:

D	E
„შენ ხარ შემწე“ (21, 21)	„შენ ხარ ღმერთი“.
„მათე ჩუენო“	„მათე, საყუარელო ჩემო“ (22, 4).
„გამოუცხადა ძალი თჳსი“ (25, 25).	„გამოუჩინა ძალი მისი“.
„კაცი ღმერთ არს“	„ღმერთი კაც არს“ (25, 27—28).
„გიჩინა შენ მეგობრად“	„გიჩინა შენ მიყუარად“ (28, 12).
„ჰნებავს სხუათაცა დაბრკოლებაჲ“	„გნებავს სხ˙ათაცაჲ დაბრმობაჲ“ (27, 10)
„დაუტევენით გარეშე სოფელსა მაა კაცის მჰამელთასა“ (29, 7—8)	„დაუტევენით ქალაქსა მას კაცის მჰაველთასა“.
„სამოთხესა მას ზეცისასა“ (29, 25—26).	„სამოთხესა მას საშუბლისასა“.
„რასაცა გთხოვდენ“	„რასაცა გითხრობდენ“ (29, 35).
„გუემანი შენ ზედა მოაწინენ“ (30, 27)	„გუემანი შენ ზედა მოავლინენ“.
„ვითარ მიიწინეს, რაჲთამცა დაკლნეს იგინი“	„ვითარ მიიყვანნეს იგინი, რაჲთამცა დაწყჳდნეს“ (66, 10).
„გამოწერა სახე ჯუარისაჲ“ (41, 19)	„გამოწერა სახე ეკლესიისაჲ“ და სხვ.

განსხვავებათა მიუხედავად „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს D და E ნუსხებისათვის ერთი ამოსავალი დედნის არსებობა აშკარაა, ამას ცხადყოფს

ბთელი რიგი საერთო მოვლენები, რაც უმთავრესად გრამატიკულ ფაქტებში ვლინდება. ასე მაგ :

ა) პეტრესა და პავლეს წამებათა წიგნების მსგავსად აქაც ორივე ნუსხა ერთნაირ შემთხვევებში წარმოგვიდგენს სახელებს ებიანი მრავლობითის ფორმით:

„კაცები იგი დაწყდიან“ (41, 3).

„მომწყდარ იყვნეს მამები და დედები, ყრმები და საცხოვარი“ (41, 17) (E-ში: „...მამები და ყრმები და საცხოვარი“).

„შეუდგა მას უკუანა ყრმები, ტიროდეს და ევედრებოდეს მამებითურთ“ (41, 29).

„გევედრებოდეს მამებითურთ მათით“ (42,1).

აღსანიშნავია ამ ტექსტში „სასწაული“ სიტყვის საერთოდ ებიან მრავლობითში ხმარება:

„სასწაულები ეგე სამე არა ქმნა“ (26, 3).

„გითხრა შენ სასწაულები იგი“ (26, 17).

„სასწაულნი“-ს ერთადერთი შემთხვევა ვნახეთ, ისიც ორივე ნუსხაში:

„ქმნა დიდ-დიდნი სასწაულნი“ (26, 28).

ბ) „რომელ“ მიმართებითი ნაცვალსახელის ხმარებას ბრუნვაში გაუფორმებელი სახით უფრო ხშირად ორივე ნუსხაში ერთმანეთის პარალელურად ვხვდებით, მაგ.:

„დიდი ესე მადლი, რომელ ყოფილ არს ჩუენ შორის“ (29, 16).

„ცველნი იგი, რომელ სცვიდეს საპყრობილესა მას, პოვნეს იგინი დაცემულნი“ (33, 8).

„ვითმენ მე შენითა მცნებითა, რომელ მამცენ მე“ (36, 24).

„ჰხედვიდა ანდრეა მადლთა მათ, რომელ იყვნეს მისსა მიმართ“ (40, 3) და სხვ.

გ) D და E ნუსხების მხოლოდ პარალელურ ადგილებში დასტურდება ე. წ. ტმესის შემთხვევებიც: და-თუ-ვეყენნეთ (24, 24); შე-მცაძრწუნდა (31, 18); მო-თუ-გცეს (34, 16); შემო-რე-ეახლნეს (37, 18) და სხვ.

ორი სიტყვის ჩართვით მიღებული ტმესის ორად ორი შემთხვევაც აღნიშნულ ნუსხებში აგრეთვე ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი (შესამე ვინმე-ვიდეს, ძალ-თუ რაჲმე-გიც ნ. § 48).

დ) „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“ ს ტექსტი გამოირჩევა ხოლმეობითის ფორმების ხშირი ხმარებით და ამ ფორმებს D ნუსხის გვერდით E ნუსხაც თითქმის ყოველთვის გვაწვდის; თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ერთ წინადადებას, რომელიც ხოლმეობითის რამდენიმე ფორმას შეიცავს: „ყოველივე კაცი, რომელი მივიდის მათსა მას ქალაქსა, შეიპყრიან და აღმოუხუნიან თუალნი... წამალი ასჯან და წამლითა მით და გრძნებითა შეჰურიან; და რაჟამს ასჯან წამალი, გარდაიქცის გული მათი და განეცვალის გონებაჲ“ (21, 8—11).

ეს ტექსტის ორივე ნუსხაშია წარმოდგენილი -ია დაბოლოებით I თურმეობითია ერთადერთი მაგალითიც (ნ. § 55).

H—341-ისა და A—674 ხელნაწერების გარდა, როგორც ცნობილია, „მი-

მოდასლაჲ მ ოციქულთაჲ“ მე-5—6 საუკუნეებით დათარიღებულ ხანმეტურ პალიმფსესტშიც მოიპოვება.

ჩვენი ნუსხების ამ უძველეს ნუსხასთან სიახლოვე აშკარაა, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ პარალელურ ტექსტებს:

ხანმეტი	D (35, 32—37, 6) E
„ჰეშმაკი უკუენა შეხოცდა და ხეტყოდა ერსა მას: ხცემდით პირსა მაგისსა, რაჲთა არა ხიტყოდეს, ვითარ მირქოც და კოცლად (მერმე) შეხოკრნეს ჴელნი ოკუმართ ანდრიას და შეაგდეს იგი საპყრობილესა მას დამარხვად ხვალის... მან ჰეშმაკმან სხოჯანი ჰეშმაკნი შჳდნი რ[ლ ნეტრეულსა მას განხესხა გარემო სოფლებისაგან, შევიდეს საპყრობილესა მას და დადგეს წინაშე მარეამსა და ხეკიცხევდეს მას დიდითა ბასრო“[1]...	„ეშმაკი უკუანა შეუდგა და ეტყოდა ერსა მას: ჰსცემდით პირსა მაგისსა, რაჲთა არა იტყოდის. ვითარ კუალად შებწეხრდა, შეუკრნეს ფერჴნი და ჴელნი ანდრეას და შეაგდეს იგი საპყრობილესა მას დამარხულად ხვალისამდე. მან ეშმაკმან სხუანი ეშმაკნი შჳდნი, რომელნი ნეტრეულსა მას განესხნეს გარემო სოფლებისაგან, შევიდეს საპყრობილესა მას და დადგეს წინაშე ანდრეაჲსა და ეკიცხევდეს მას დიდითა ბასრობითა“.	„ეშმაკი უკანა შეუდგ[ა და ეტყოდ[ა ერსა მას: სც[ემდით პ[ირსა მაგისსა, რ[აჲთა არა... და ვითარცა შეაწუხრდა, კუალად შეეკრნეს ჴელნი უკუღმართ ანდრეას და შეაგდეს იგი საპყრობილესა მას დან[რ[ვდ ხვალისამდე. მანვე ეშმაკმან სხუანი ეშმაკნი შჳდნი, რომელნი ნეტრეულსა მას განესხნეს გარემო სოფლებისაგან, შევიდეს საპყრობილესა მას და დადგეს წინაშე ანდრეასსა და ეკიცხევდეს მას დიდითა ბასრობითა“.

შედარების შედეგად ირკვევა, რომ „მიმოდასლაჲ მოციქულთაჲ“-ს D და E ნუსხები ხანმეტურ ნუსხასთან ერთად ერთი რედაქციისანი უნდა ყოფილიყვნენ.

„მიმოდასლაჲ მოციქულთაჲ“-ს ხანმეტურ ტექსტთან D (H—341) ნუსხის ასეთი დამოკიდებულება შენიშნული აქვს ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ეს მისი რედაქციით გამოცემულ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „ქართულ პალეოგრაფიაში“[2].

წარმოადგენდა თუ არა ხანმეტური ნუსხა ჩვენი ნუსხებისათვის დედანს? მხოლოდ პატარა ნაწყვეტების მიხედვით ამის შესახებ გარკვეული რაიმეს თქმა ძნელია.

რაც შეეხება D და E ვარიანტების ურთიერთობის საკითხს, D ვარიანტი E-სათვის წყაროს რომ არ წარმოადგენს, ამას აქაც ჩვენი ტექსტის ბერძნულ შესაბამის ტექსტთან შეჯერება ცხადყოფს.

D ნუსხაში გადამწერი ზოგჯერ ერთი სიტყვის ნაცვლად მეორეს, გრაფიკულად მის მსგავსს, წერს (რა თქმა უნდა, უნებურად); E ნუსხისათვის D რომ ამოსაყალი იყოს, იქ უთუოდ ეს მცდარი დაწერილობებიც იჩენდა თავს, მაგრამ E ნუსხა ასეთ შემთხვევებში სწორ დაწერილობებს იძლევა. მაგალითები:

1. „ნუ მიმცემ სიკუდილსა ამას მ ც ი რ ე ს ა“ D.
„ნუ მიმცემ მე სიკუდილსა ამას მ წ ა რ ე ს ა“ (E 22, 2).
μὴ παραδώσεις με τῷ θανάτῳ τῷ πικρῷ τούτῳ (67, 5; = მწარესა).

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 359.

[2] დასახ. ნაშრომი, გვ. XVI და გვ. 359—360.

ჩვენი აზრით, D ნუსხაში აქ წ-ს ცი-დ (ρ—ρτ) წაკითხვით მიღებულ შეცდომასთან გვაქვს საქმე.

2. „ვერ კმა ეყო სიბრმე გულისა მათისაჲ, არამედ ჰნებავს სხუათაცა დაბრკოლებაჲ“ (D 27, სქ. 11).

E ნუსხაში „დაბრკოლებაჲ“-ს ნაცვლად „დაბრმობაჲ“ დასტურდება, კონტექსტიც და ბერძნული შესაბამისი ტექსტიც—καὶ ἑτέρους ᾐλουσιν τυφλῶσαι (გვ. 60)—ამ უკანასკნელს უპერენ მხარს.

3. „შენ შეუქმნენ პურნი ესე ტაბლასა მისსა ზედა ქვად დაკლულად“ (D 32, სქ. 1).

ამ ტექსტს ახალი აბზაცით მოსდევს: „მიუჴედ გულსა ანგელოზთასა“...

E-ში: „შეუქმნენ პურნი ესე ტაბლასა მისსა ზედა ქვად. და კუალად შეჴედ გულსა კაცთასა“...

ბერძნულში ვკითხულობთ: σὺ ἐποίησας τοὺς ἄρτους αὐτοῦ τοὺς ἐπὶ τῆς τραπέζης λίθους γενέσθαι. Καὶ πάλιν σὺ ἐπεισῆλθες ἐν τῇ διανοίᾳ τῶν ἀγγέλων (გვ. 92;=და კუალად).

ცხადია, რომ D ნუსხის გადამწერს „და კუალად“ „დაკლულად“ მოსჩვენებია და ასეც წერს.

სხვა მაგალითები, რომლებითაც E ნუსხა D-საგან სხვაობა და ბერძნულ ტექსტში კი პოულობს შესატყვისს:

4. „შეუკრნეს ფერჴნი უკუმართ“ (D 36, 20).
„ჴეუკრნეს ჴელნი უკუღმართ“ E.
δήσαντες αὐτοῦ τὰς χεῖρας εἰς τὰ ὀπίσθια (გვ. 103;=ჴელნი)[1].

5. „გამოწერა სახე ჯუარისაჲ“ (D 41, 19).
„გამოწერა სახე ეკლესიისა“ E.
ἐχάραξε τύπον ἐκκλησίας (114,9;=ეკლესიისა).

6. „ვიხილეთ იესუ საყდართა ზედა“ (D 29, 27).
„ვიხილეთ ჩუენ იესუ საყდართა ზედა დიდებისათა“ E.
ἐθεασάμεθα γὰρ τὸν κύριον ἡμῶν Ἰησοῦν καθεζόμενον ἐπὶ θρόνου δόξης (86, 4;=საყდართა ზედა დიდებისათა).

7. „განუყოთ გუამი მაგისი მოქალაქეთა ყოველთა“ (D 36, 12).
„განუყოთ გუამი მაგისი და მივსცეთ მოქალაქეთა ყოველთა“ E.
διαμερίσωμεν αὐτοῦ τὸ σῶμα τᾶις πολίταις πᾶσιν καὶ διαδῶμεν αὐτὸ εἰς βρῶσιν αὐτοῖς (102, 11;=და მივსცეთ).

მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისი უნდა იყოს იმის საილუსტრაციოდ, რომ E ნუსხა არ წარმოადგენს D ნუსხის

[1] D და E ნუსხებისათვის საერთო წყაროს დაშვების შესაძლებლობას ეწინააღმდეგება თითქოს ის ფაქტი, რომ ერთგან მათი სხვადასხვა მონაცემები ბერძნულ სხვადასხვა ნუსხებში პოულობენ შესატყვისს:

„ისმინეთ სიტყუაჲ მოციქულთაჲ ყოველივე, რასაცა გთხოვდენ“ (D 29, 34—35).
„რასაცა გითხრობდენ“ E.
ἀκούετε τῶν ἀποστόλων κατὰ πάντα ὅσα ἂν ἐρωτῶσιν ὑμᾶς (86, 12;=გთხოვდენ).

სქოლიოში მითითებულია გარკვეული ხელნაწერები, რომლებშიც ყოფილა არა ἐρωτῶσιν (გთხოვდენ), არამედ λέγωσιν / λέγουσιν (გითხრობდენ), მაგრამ მხოლოდ ერთი მაგალითის მიხედვით D და E ნუსხებისათვის სხვადასხვა ამოსავალ ნუსხათა შესახებ საკითხის დასმა გაჭირდებოდა.

განაყარ ვარიანტს, თუმცა ისინი საბოლოოდ ერთი საერთო დედნიდან მომდინარენი კი არიან[1].

ასე წარმოგვიდგება აღნიშნული სამი აპოკრიფის ჩვენ ხელთ არსებული ნუსხების ურთიერთობა.

IV. ტექსტების გასართისათვის

(ბერძნული და სომხური ვერსიების მიხედვით)

§ 12. „საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროხორე მოწაფისა მისისანი“-ს ტექსტის შედგენილობისათვის.

ბერძნულ და სომხურ ტექსტებთან „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტის შედარებისას გაირკვა, რომ ეს უკანასკნელი A—19 ხელნაწერში სრული სახით არ ყოფილა წარმოდგენილი[2].

ამ თავზულების სამი პირველი თავი (თვითონ „საქმენი და სწავლანი“... და მკრონისა და ბასილის ეპიზოდები) ბერძნულს მიჰყვება; თავების ასეთივე მიმდევრობა აქვს სომხურ ტექსტსაც; შემდეგ უკვე ქართულ ხელნაწერში ბასილის ეპიზოდს მგლის ეპიზოდი მოსდევს (ნ. ტექსტი გვ. 80), ბერძნულში კი ბასილისა და მგლის ეპიზოდებს შორის (ნ. ბერძნ. ტექსტი გვ. 78—117) მოთხრობილია ქართული ტექსტისათვის უცნობი ამბები, სომხური ტექსტის მოშველიებამ აქ ე. წ. ხრუსოსისა და კჳნოპის ეპიზოდების არსებობა ჩამოაველინა[3].

აღნიშნულ ორ ეპიზოდს გარდა ქართულ ტექსტში არც სოსიპატროსის ეპიზოდია წარმოდგენილი; იგი ბერძნულსა და სომხურში ნოტიანოსის ეპიზოდის (ნ. ბერძნ. ტექსტი 159—164) მომდევნოა[4].

ქართულში ნოტიანოსის ეპიზოდის შემდეგ იწყება თავი „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა“, სომხური ამ თავს არ გამოჰყოფს. ბერძნულსა და სომხურშიც სოსიპატროსის ეპიზოდი გრძელდება იმ ტექსტით, რომელიც ქართულში ცალკე საკითხავს შეადგენს, სახელდობრ: „საკითხავი სახარებისათჳს იოანჱსს თავისა და ვითარ გამოთქუა იოვანე და რაჲსათჳს და რომელსა

---

[1] ზოგიერთი გრამატიკული ფაქტი E ნუსხის ტექსტში უფრო არქაული ფორმითაა გადმოცემული, ვიდრე D ნუსხისაში, ასე მაგ.: D ნუსხაში „ქრისტე“ საკუთარი სახელი სახელობით ბრუნვაში უკვე საზოგადო სახელთა ბრუნებას უთანაბრდება (ნ. § 41), იმ დროს, როდესაც E ნუსხა ამ სახელის ბრუნების თვალსაზრისით ძველი ქართული ენის ნორმას იცავს, წარმოგვიდგენს რა მას აღნიშნულ ბრუნვაში წრფელობითის ფორმით; ასევე: D ნუსხაში საკუთარი სახელი „ჰეროდე“ მოთხრობით ბრუნვაში -მან ფორმანტდართული შეგვხვდა, E-ში კი პარალელურად წრფელობითის ფორმით იყო წარმოდგენილი (37, სქ. 7): D ნუსხის „მიიხუნეს“ ფორმის გვერდით E-ში უძველესი ქართულის -ედ მაწარმოებლიანი „მიიხუნედ“ დასტურდება და სხვ. ეს ყველაფერი იმის მანიშნებელიცაა, რომ E ნუსხას საფუძვლად უნდა ჰქონოდა D ნუსხაზე უფრო ძველი ნუსხა.

[2] A 95 ხელნაწერი რომ ამ ტექსტის მხოლოდ ერთ, პირველ, ეპიზოდს შეიცავს, უკვე აღვნიშნეთ (ნ. §§ 3, 9).

[3] სომხურში მათ ეწოდება: *Ցաղագս Մաւսեսի եւ կնոջ նորա սքէ որպէս լուսաւորեցան ի Քրիստոնեա* (გვ. 244—250) და *Ցաղագս կինոպասայ եւ չարարուեստ կախարդութեանց նորա զոր արար առաջի Քրիստոնեա* (გვ. 251—265).

[4] ბერძნულში ამ ეპიზოდს უჭირავს 135—150 გვერდები; სომხურში კი 277—285 გვერდები და ეწოდება: *Ցաղագս Սոսիպատրոսի եւ մօր նորա Պատրոկղիանէ եւ եղելոցն ի Քրիստոնէ.*

ადგილსა და რომელსა ჟამსა". ამ ნაწილს ბერძნულში (გვ. 150—167) უშუალოდ მოსდევს ტექსტი „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა" შემდეგი ადგილიდან: „და ხვალისაგან განვიდა იოვანე ადგილსა საეროსა (ნ. ტექსტი 90, 35), დანარჩენი წინა ნაწილი თაისა „გამოცხადებისათჳს"... დადგენილ ბერძნულ ტექსტში არ ჩანს. სომხური *Յայտագս ահեղութեանն, եւ երկիւղ պատուհասիցս յԻ ծովանննէ կամ եկ յորում տեղւոջ ընկալան* (გვ. 293—299) შეიცავს თავს „საკითხავი სახარებისათჳს"... და ბერძნულის მსგავსად უშუალოდ გრძელდება ტექსტით „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა", ოღონდ მასში არაა წარმოდგენილი ამ თავის უმნიშვნელო ნაწილი, კერძოდ 90, 14—90, 35 გვერდების შესატყვისი.

ამგვარად, ქართულში ჩვენი გამოცემის 90, 14—90,35 გვერდებზე მოთავსებული ტექსტი ბერძნულ-სომხურ ტექსტებთან შედარებით ზედმეტი აღმოჩნდა.

საყურადღებოა, რომ Zahn-ის გამოცემაზე დართულ დამატებებში (Beilagen zu Prochorus) ერთ-ერთი დამატება (Ueber die Abfassung der Apokalypse) შეიცავს „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა"-ს ტექსტს და ქართული თარგმანი თავიდან ვიდრე „განვიდა იოვანე ადგილსა საეროსა"... სიტყვასიტყვით მისდევს მას.

ამგვარად, ბერძნული და სომხური წყაროების შესწავლამ ცხადყო, რომ „საქმენი და სწავლანი"-ს ქართულ ტექსტს სამი ეპიზოდი (ბრუსოსის, კჳნოპისა და სოსიპატროსის ეპიზოდები) არ მოეპოვება და რომ ამ თხზულების ბოლო ორი თავი „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა" და „საკითხავი სახარებისათჳს"... ადგილგადანაცვლებული ყოფილა.

ტექსტის მიმდევრობა მის ბოლო ნაწილში სწორი იქნებოდა, ნოტიანოსის ეპიზოდს (რაკი სოსიპატროსის ეპიზოდი არა გვაქვს) უშუალოდ რომ მოსდევდეს „საკითხავი სახარებისათჳს"... ეს უკანასკნელი კი გრძელდებოდეს თავით „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა" მისი წინა ნაწილის (თავიდან სიტყვებამდე: „და ხვალისაგან განვიდა იოვანე"—გვ. 90, 2—90, 35) გამოტოვებით. გამოცემაში ჩვენ ეს მიმდეკრობა დავიცავით, ოღონდ ეპიზოდიდან „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა" არაფერი გამოგვიტოვებია. აღსანიშნავია, რომ გაგრძელება ტექსტისა „გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა" ხელნაწერიდან ამოხეულ ფურცელს რომ გაჰყოლია (ნ. § 2, გვ. 011), ჩვენი თხზულების რეალური დასასრული ჩანს.

არსებობდა თუ არა „საქმენი და სწავლანი"-ს ქართულ თარგმანში ზემოთ აღნიშნული ეპიზოდები? ვფიქრობთ, რომ კი. დადებითი პასუხისათვის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტი: A—19 ხელნაწერის 211 გვერდზე I სვეტის ათიოდე სტრიქონი უჭირავს შემდეგ ტექსტს: „ვითარ აღესრულა ორი წელი, გამოვედით ბის ქალაქისაგან და შევედით მჳრნჱსანს, რომელი შორს იყო ფერორაჲთ ორმეოცდაათ ბილიონ. და იგი იყო მცირჱ ქალაქი და კერპთმაახური ფრიად და სამღდელონი მრავალნი აქუნდეს, რომელსა ჰრქჳან ტყუვილისა მაჴისა ღმერთნი. და იყო მდინარჱცა, გარემოჲს ქალაქსა მას დიოდა". ამას უშუალოდ, ისე რომ სტრიქონიც არ არის გამოტოვებული, მოსდევს ჩვენი ტექსტი „საქმენი და სწავლანი"... მოყვანილ ათსტრიქონიან ტექსტს ს. გორგაძის ყურადღებაც მიუქცევია, იგი წერს: „ამ სერიის პირველი საკითხავისა (იგულისხმება 29 დეკემბრის საკითხავების ჯგუფი—ც. ქ.) დარჩენილია მხოლოდ უკანასკნელი ათი სტრიქონი. შესაძლოა, ეს ტექსტი

იყოს დასასრული დროთეოს ტკრელის თხრობისა ათორმეტთა მოციქულთა ქადაგების შესაბებ (შდრ. საეკლ. მუზ. № 95 ქორდანიას Описание..., გვ. 99)[1].

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ გეოგრაფიული სახელებისა და სტილის მიხედვით ეს ნაწყვეტი იოვანე ღმრთისმეტყველის ტექსტს ჰგავდა, შემდეგ კი ბერძნულ და სომხურ ტექსტებთან შედარებისას გამომჟღავნდა, რომ აღნიშნული ნაწყვეტი სწორედ ღმრთისმეტყველის ტექსტის ნაწილი ყოფილა. ბერძნულში იგი მოთავსებულია კჳნოპისა და მგლის ეპიზოდებს შორის[2], სომხურში კი კჳნოპის ეპიზოდის დასასრულს წარმოადგენს[3].

ამ პატარა ნაწყვეტის პოვნა A—19 ხელნაწერში საერთოდ კჳნოპის ეპიზოდის არსებობას გვავარაუდებინებს; ისიც ადვილი საფიქრებელია, რომ აქ კჳნოპის ეპიზოდს გარდა სხვა (ძირითად ტექსტში გამოტოვებული) ეპიზოდებიც ჰოფილიყო წარმოდგენილი, მაგ. ხრუსოსისა.

თუ გავიხსენებთ, რომ ხელნაწერში ტექსტს „საქმენი და სწავლანი“... საკითხავი არ ჰქვია და არც სხვა საკითხავების მსგავსად ასომთავრული ასოთი საკითხავის სათვალავი არ უზის წინ[4], შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკითხავთა ამ ჯგუფში მეორე საკითხავი იწყებოდა არა „საქმენი და სწავლანი“-თ, არამედ მის წინ მოთავსებული სხვა ტექსტით; ეს სხვა ტექსტი კი უთუოდ იქნებოდა ან მარტო კჳნოპის ეპიზოდი, ანდა ხრუსოსისა და კჳნოპის ეპიზოდები ერთად[5].

§ 13. „საქმენი და სწავლანი“-ს ზოგიერთი ადგილის გამართვისათვის. ბერძნული შესაბამისი ტექსტის მოშველიებით შესაძლებელი გახდა იოვანე ღმრთისმეტყველის ქართულ ტექსტში ზოგიერთ გაუგებარ ადგილთა გარკვევა, შეცდომათა გასწორება, კერძოდ:

1. ტექსტში ერთგან (გამოცემით 55, 20—22) გვხვდება ასეთი წინადადება: „ტრედნიცა მრავლისა უმანკოებისაგან თჳსისა შეილთა მოუკლვიდიან და თჳსნი უფალნი არა უვარ-ყვნიან“ (პარალელურად B-ში: „ტრედნიცა მრავლისაგან უმანკოებისა თჳთა შეილთა მოჰკლვიდიან და თჳსნი უფალნი არად უვარ-ყვნიან“), ბერძნულში კი შესატყვისი ადგილი ასე იკითხეს: καὶ αἱ περιστεραὶ δὲ πολλὴν ἀκακίαν τῶν ἰδίων τέκνων ἀποστερ-

---

[1] ს. გორგაძე. „ევანური მრავალთავი“, საქართველოს არქივი, წიგნი III, ტფილისი, 1927, გვ. 20.

[2] შდრ. καὶ μετὰ ταῦτα ἐξήλθαμεν ἐκ τῆς πόλεως ἐκείνης καὶ ἐστήλθαμεν εἰς Μυρινοῦσαν, ἥτις ἀπεῖχεν τῆς πόλεως ἐκείνης τῆς λεγομένης Ἰορᾶς, μίλια πεντήκοντα. αὕτη δὲ ἦν πόλις μικρὰ καὶ κατοίδωλος πάνυ καὶ ἱερὰ πολλὰ ἔχουσα τῶν λεγομένων παρ᾽ αὐτοῖς ψευδωνύμων θεῶν. ἦν δὲ καὶ ποταμὸς διαρρέων κύκλῳ τῆς πόλεως (გვ. 117).

[3] *Ուրանցի արարար անդ ամս երկուս. եւ յայնմհետէ երթ ի Ջաւաւոր քաղաքէ եւ չորեք ի միւս քաղաք, որոյ անուն Ջմիւռնոս կոչի, որ էր հիւսւոր ի Ջաւաւոր քաղաքէ յիսուն մղոնաւք. եւ էր նա փոքր քաղաք, բայց ի բազմութեամբ կոոց, յամենայն ումէր ի տան առանձին էին բազմութիւն կոոցն պղծոց. սոյնպէս եւ մեհենատունք բազում էին ի քաղաքին եւ զայր գիտ չուրջ զքաղաքաւն եւ պատէր* (გვ. 265).

[4] ნ. § 2, გვ. 7.

[5] ეპიზოდების ძირითადი ტექსტიდან გამოთიშვისა და ცალკე წარმოდგენის ფაქტი საწინააღმდეგო ეჭვის გაბნთქვისათვის რაიმე საბაბს არ იძლევა: კჳნოპის ეპიზოდი სიეგანაც გვხვდება დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით. ნ. ხელნაწერი A—370, გვ. 545—549.

οὐ τιμᾶι, καὶ τὸν ἴδιον δεσπότην οὐκ ἀρνοῦνται (გვ. 5). ეს ნიშნავს: ტრედნიცა მრავლისაგან უმანკოებისა თჳთა შვილთა მოაკლდიან და... და სხვ. ჩვენი აზრით ქართულ ტექსტშიც თავდაპირველად „მოუკლვიდიან“ ‖ „მოჰკლვიდიან“ ფორმების ნაცვლად „მოაკლდიან“ უნდა ყოფილიყო. შეცდომა დაშვებული ჩანს გადაწერის დროს აღნიშნულ სიტყვათა გარეგნული მსგავსების ნიადაგზე[1].

2. A ხელნაწერის 219 გვერდი იწყება ამბით იმის შესახებ, რომ ეშმაკმა, რომელიც აბანოში იცყოფებოდა, მოაშთო დიოსკორიდის ძე დომნოსი. ამ ამბით შეძრწუნებული რომანა გოდებს: „ვაჲ მე, რაჲ მიუგო უფალსა ჩემსა დიოსკორიდოსს“... ამ სიტყვების (როგორც A, ისე B ხელნაწერშიც) ახალი აბზაცით ნოსდევს: „ხოლო იოვანე მოვიდა საქმისაგან თჳსისა ჴემდა და მკითხვიდა“... როგორც ბერძნული ტექსტიდან (ნ. გვ. 26—27) და თვით ამ ადგილის შინაარსითაც ჩანს, ეს ნამდვილად უნდა მოსდევდეს შემდეგი ტექსტი: „ვითარცა მწრაფლ აღესრულა, რამეთუ ცხოლოდ-შობილი იყო უფალი ჩემი დომნოს“... სიტყვებამდის: „რომელთამე უკჳრდა გლოვაჲ რომანაჲსი“ (ნ. გამოცემა 61, 10—61, 19); შემდეგ კი უნდა მოდიოდეს ზემოთ მოყვანილი ტექსტი: „ხოლო იოვანე მოვიდა საქმისაგან თჳსისა“... ვიდრე „ხოლო მან რისხვითა დიდითა სავსემან განყო ჴელი თჳსი და ყურიმალსა სცემდა მას“ (61, 20—61, 30). ეს უკანასკნელი კი უნდა გრძელდებოდეს იმ ტექსტით, რომელიც ჩვენს ხელნაწერებში მოდის: „რომელთამე უკჳრდა გლოვაჲ რომანაჲსი“-ს შემდეგ, სახელდობრ: „და ბოროტად ეტყოდა“... (გამოცემის მიხედვით 61, 31).

აღნიშნული აღრევა უნდა მოდიოდეს იმ ხელნაწერიდან, საიდანაც ჩვენი ტექსტი გადმოიწერა; იქ, ალბათ, ამ ნაწილის შემცველი ფურცელი იყო აკინძული ისე, რომ მომდევნო გვერდის ტექსტი წინ იყო მოქცეული, წინა გვერდისა კი მის მომდევნოდ; ამას გვაფიქრებინებს ის, რომ გადანაცვლებულია ზუსტად ერთი ზომის ტექსტები[2].

არეული მიმდევრობა გამოცემაში ბერძნულის მიხედვით დაგალაგეთ[3].

3. ტექსტში ერთგან ვკითხულობთ: „(რომანა)... დაიჭრიდა მკლავთა თჳსთა მესამით ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე“ (61, სქ.24), მკლავთა დაჭრაზეა ლაპარაკი B ნუსხაშიც. თუ რას უნდა ნიშნავდეს მკლავთა დაჭრა, იიც „მესამით ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე“, ჩვენთვის გაუგებარია. ბერძნულში შესაბამისად გვაქვს: διέτιλεν τὰς τρίχας ἀπὸ τῆς κεφαλῆς αὐτῆς ἀπὸ ὥρας πρώτης ἕως ὥρας ἐνάτης (გვ. 26), ე. ი. დაიგლეჯდა თმათა თავითგან თჳსით პირველით ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

საიდან უნდა მოდიოდეს მკლავთა დაჭრის ამბავი? ბერინული ტექსტი რედაქციულ სხვაობაზე არაფერს ამბობს. სომხურში აქ თმათა დაშლაზეა ლაპარაკი: *արձակեալ զհիւրս գլխոյ իւրոյ ամբաւանալով զձեռս իւր ի վիր յորորդ ժամէ մինչեւ ցիններորդ ժամ աւուրն* (204, ა), ეს ნიშნავს: გარდაუტევებდა (ან დაიშალვიდა) თმათა თავისა თჳსისათა, ზე აღა-

[1] მოკლვა არც სომხურ ტექსტში გვაქვს, აქ *զձաղս նորա առնուլուն* (191;=შვილთა თჳსთა მოუღებდეს) იმავე შვილთა მოკლებას ნიშნავს.

[2] შესაძლებლობა არაა გაბორიცებული, რომ აღრევის მიზეზი იყოს თვით ის ნუსხა, რომლიდანაც თარგმნეს მოცემული თხზულება.

[3] ბერძნულისებური მიმდევრობაა დაცული სომხურშიც, ნ. სომხური გამოცემა: გვ. 203—204.

პყრობდა რაჲ ჴელთა თჳსთა მესამით ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე დღისა.

„თმათა“-ს „მკლავთა“-დ შეცვლა ქართველ მთარგმნელს უნდა მიეწეროს; ჩვენი აზრით ამგვარი შენაცვლებისათვის მას საფუძველს მიაცემდა ბერძნულ ხელნაწერში τρίχας (=თმა მრავლობითი რიცხვის აკუზატივში, შდრ. θρίξ, τριχός) სიტყვის დაწერილობა. საფიქრებელია, რომ მთარგმნელმა ხელნაწერის დაზიანების, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, ვერ გაითვალისწინა ამ სიტყვის წინა მარცვალი τρι და χας ქარაგმიან χεῖρας-ად წაიკითხა, უკანასკნელი სწორედ ხ ე ლ ი ს, მ კ ლ ა ვ ი ს აკუზატივი ᵻბრუნვის ფორმაა მრავლობით რიცხვში.

4. ერთგან ძეგლის ორსავე ნუსხაში შემდეგ ბუნდოვან ფრაზას წავაწყდით: „ხოლო აღიწია ესე ყოველი, რომელსა-იგი ბაშინ ეპყრა ანდრეანჱს მეფობაჲ ანაფორაჲთა“ (69, 31). აღნიშნულ კონტექსტს გაუგებარს ხდის სიტყვა „ანაფორაჲთა“.

ბერძნულ ტექსტში შესატყვისი ადგილი ცოტა სხვაგვარად არის (οἵτινες καὶ ἀναφορὰν ἀπέστειλαν Τραϊανῷ τῷ βασιλεῖ οὗτος πάντες..., გვ. 45), მაგრამ დანართების (Beilagen zu Prochorus) ერთ-ერთი ტექსტი, რომელიც 167—178 გვერდებზეა მოთავსებული, ჩვენთვის საინტერესო წინადადებას ამგვარად წარმოადგენს: ἀνηνέχθη ταῦτα πάντα τῷ τότε κρατοῦντι Ἀδριανῷ βασιλεῖ ὅτι ἀναφορᾶς. ქართული თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ბერძნულ მოყვანილ წინადადებას[1], ბერძნულ ფრაზაში ἀνηνέχθη... ὅτι ἀναφορᾶς ნიშნავს: აღიწია აღწერით. აქ საქმე გვაქვს პარონომაზიის შემთხვევასთან; ქართველ მთარგმნელს პარონომაზიის მეორე წევრი უთარგმნელად გადმოუღია, იქნებ მოცემულ წინადადებაში უკანასკნელის დანიშნულების გაურკვეველობის გამოც. საგულისხმოა, რომ მას ამ სახელთან დაკავშირებული თანდებული თარგმნილი აქვს, გადმოსცემს რა „ანაფორა“-ს მრქმედებითი ბრუნვის ფორმით (შდრ. ὅτι ἀναφορᾶς—ანაფორაჲთა).

5. იოვანეს საყვედურობენ, რომ იგი ღმრთად აცხადებს კაცს „მომკუდარსა უწესოებისათჳს მრავლისა“, ამაზე იოვანე უპასუხებს: „მე უკუდავსა ვჰმსახურებ, რომელთა-იგი ჰნებავს ღირსად და სიმართლით ცხორებად“, პასუხის წინაარსი ბუნდოვანია; ბერძნულ ტექსტში „ვჰმსახურებ“ სიტყვის შემდეგ აღმოჩნდა: καὶ τοῦτον κατ-αγγέλλω (52, 4), რაც ნიშნავს: და ამას ვამცნებ, და ამას ვუცხადებ. ქართულ ტექსტში ამ სიტყვების გამორჩენა ფაქტია. ბუნდოვანების თავიდან აცილებია ვიზნით მოცემულ კონტექსტში ჩავამატეთ: და ესე ვამცნო, რამაც წინადადება შინაარსობლივად გამართა („მე უკუდავსა ვჰმსახურებ და ესე ვამცნო, რომელთა-იგი ჰნებავს ღირსად და სიმართლით ცხორებად“—74, 26).

6. „არა განედევნნე ეგენი, რამეთუ ქმნეს მათ, არამედ შეესთხინე იგინი ჴირსა“ (73, 10).

აღნიშნულ ფრაზაში ბერძნულის ჩვენების მიხედვით აღვადგინეთ გამორჩენილი სიტყვა „ბოროტი“: „არა განვდევნნე ეგენი, რამეთუ ქმნეს მათ ბოროტი“ და ა. შ. (შდრ. ბერძნული: οὐ διώκω αὐτοὺς μετὰ τὸ ποιῆσαι τοῦτο; τὸ κακὸν ἀλλ' ἐμβάλλω αὐτοὺς εἰς θλῖψιν—58, 13).

[1] თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბერძნული ტექსტის მ ე ფ ე ქართულში მ ე ფ ო ბ ა თ ი ა შეცვლილი.

7. ჩვენა ტექსტში მგლის ეპიზოდი (გვ. 80) შემდეგნაირად იწყება: „შე-რაჲ-ვედით ქალაქაა მას, არავინ მიცნობდა ჩუენ, და იყო მათი თჳსა თავი, და მი-რაჲ-ვედით ჩუენ ადგილსა მას, რომელსა ეწოდა შესაპყრობელი, იყვნეს მუნ პირველნი ქალაქისანი“ და სხვ. აშკარაა, რომ აღნიშნულ დასაწყისა წინ ნამდვილი დასაწყისი უნდა აკლდეს; დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ე. წ. კჳნოპის ეპიზოდის დასასრულად წარმოდგენილი ნაწყვეტი (ნ. § 12, გვ. 30—31) სინამდვილეში მგლის ეპიზოდის დასაწყისი უნდა იყოს: ამ ნაწყვეტში მოხსენიებული ქალაქი „მჴრინუსა“ ის ქალაქია, სადაც მგლისა და შემდეგ ნოტიანოსის ამბები ხდება; ნაწყვეტის მიხედვით ქალაქს მდინარე ჩაუდის, მდინაოის შესახებ კი მთელი ნაწარმოებიდან მხოლოდ მგლის ეპიზოდშია მოთხრობილი. ტექსტის გამართვისას აღნიშნული ნაწყვეტი მგლის ეპიზოდის დასაწყისში შევიტანეთ.

როგორც ჩანს „საქმენი და სწავლანი“-ს ქართული თარგმანი (აგრეთვე სომხურიც) ისეთი ნუსხებიდან მომდინარეობს, სადაც ტექსტის ზემოთ დასახელებული ნაწყვეტი, ჩვენი აზრით არამართებულად, კჳნოპის ეპიზოდისათვის იყო მიკუთვნებული.

8. „ვითარ ვიბანებოდე აბანოსა შინა, აღმოვიდა კაცი ერთი ოპი ემბაზისაგან და მომარჩო“ (84, 19).

ბერძნულში შესატყვის ადგილას აღმოჩნდა Αἰθίοψ-ი (124, 3), მაშასადამე, ჩვენს ნუსხაში საქმე გვაქვს გადამწერის შეცდომასთან: მას „კაცი ეთიოპი“ „კაცი ერთი ოპი“-დ წაუკითხავს.

9. სიტყვა „მღდელი“ აღვადგინეთ შემდეგ წინადადებაში: „იყო ვინმე ერთსა დაბასა დიოჲსი და სახელი მისი ევხარის“ (89, 33), შედეგად მივიღეთ: „იყო ვინმე ერთსა დაბასა მღდელი დიოჲსი“ და სხვ. ამ სიტყვის აღდგენის გარეშე კონტექსტი ბუნდოვანი და გაუგებარია, რადგან ვინ ეკუთვნის ზევსს (დიოჲსი=ზევსისი), აქ არ ჩანდა (ნ. ბერძნულში შესატყვისი ადგილი: ἦν δέ τις ἐν μιᾷ κώμῃ ἱερεὺς τοῦ Διὸς ὀνόματι Εὐχάρης—159, 1; აგრეთვე მსგავსი კონტექატი სხვა ადგილას: „ერთსა მღდელსა, რომელი-იგი იყო დიოჲსი, ესუა ჲთ“—82, 21).

10. ფრაზაში: „ამას სიტყუასა ზედა ნოტიანოს გარე-შეველო მოოკრებულსა მას ბოროტსა“ (85, 14) ადგილი, სადაც ნოტიანოსის „გარე-შეველა“ უნდა ვიეარაუდოთ, ნახსენები არ არის; ბერძნული ტექსტის მიხედვით მოსალოდნელი იყო „ტაძარსა“ (შდრ. ἐπὶ τῷ λόγῳ τούτῳ ἐπορεύθη Νοητιανὸς καὶ περιῆλθεν τὴν ἐρήμωσιν τοῦ ἱεροῦ—130, 7—8). ბერძნულის ჩვენებას მხარს უჭერს კონტექსტიც, ლაპარაკია ტაძარზე, რომელიც იოვანემ ღვთის ძალით ნანგრევებად აქცია, მოაოხრა. ტექსტში იქვე ორ ადგილასაა ნახსენები „მოოკრებული ტაძარი“: „დავემალენით... ოჴერსა მას ტაძარსა“ (85, 20): „მოვიდა ნოიტიანოს... მოოკრებულსა მას ტაძარსა“ (86, 22). მაშასადამე, მოყვანილ ფრაზაში ნამდვილად „ტაძარსა“-ა საგულვებელი, იგი ან გამორჩენილია, ანდა „ბოროტსა“ სიტყვითაა უნებურად შეცვლილი.

§ 14. ფილიპე მოციქულის წამების ტექსტის ზოგიერთი ადგილის გამართვისათვის. ბერძნული და სომხური ტექსტების ჭოშველიებით რამდენიმე ადგილი ფილიპე მოციქულის წამების ტექსტშიც გაკასწორეთ:

1. „გხედავ, შენ, შეცდომილსა კუალსა კაცთა მაჯათ, რომელთა შეგაცთუნეს შენ და მოსრნე მაცთურნი ეგე“ (4, 10).

კონტექსტით აქ I პირის ფორმა „მოვსრნე“-ა მოსალოდნელი და სწორი; შესატყვისად ბერძნულსა და სომხურშიც I პირის ფორმები დასტურდება: ἀπο-κτείνω (ტიშ. გვ. 143). *սպանանեմ* (302, 10).

2. ქურუმები შესჩივიან მსაჯულს, მოციქულებმა მოსრეს ის ორი გველი, რომლებიც ქალაქს უცხო მცირე გველისაგან იცავდნენო:

„ორნი იგი გუელნი, რომელნი სცვიდეს ქალაქსა მას გუელისაგან უცხოჲსა მცირისა, მოსრნეს იგინიცა“ (4, 40).

„მცირე“ აქ არ არის ის, რაც ტექსტში ნამდვილად უნდა გვქონდეს, პარალელურად სომხურში „მცირე“-ს ნაცვლად გვაქვს „მტერი“ (შდრ. *թշնամեաց*, 304, 10). საფიქრებელია, რომ ქართულშიც ყოფილიყო „მტერი“, ალბათ გადამწერმა ღ (ტ) ღ—დ (ც) წაიკითხა და ამას მოჰყვა შემდეგ შეცვლა: „მტერისა“—„მცირესა“.

3. „სიტყუად იწყო ბართლომე ფილიპესა“... (5, 22)

კონტექსტიც და ბერძნული და სომხური შესაბამისი ადგილებიც გვიჩვენებენ, რომ აქ შებრუნებით უნდა იყოს: „სიტყუად იწყო ფილიპე ბართლომესა“.

4. ფილიპესა და ბართლომეს წამების დროს ქალაქში შემოდის იოვანე, იგი ეკითხება ქალაქის მცხოვრებთ: ვინ არიან ეს კაცები და რატომ აწამებენ მათო. მოქალაქეები უპასუხებენ:

„შემოვიდეს ქალაქსა ამას ჩუენსა და აღძრნეს ცოლთა და ასულთა თჳსთა“ (5, 32).

ბერინულში ეს შინაარსი სხვაგვარადაა გადმოცემული, სომხურში კი გვაქვს: *Արքն այնքիւ մտին ի քաղաքս մեր եւ խռովեցուցանեն զբազումս ի մեզ կանանց եւ դստերաց իւրեանց* (306, 8). ქართულ ტექსტში არ ჩანს, თუ ვინ აღძრეს ცოლთა და ასულთა მიმართ, სომხურის მიხედვით კი აღმოჩნდა, რომ აქ სიტყვა „მრავალნი“ უნდა იყოს გამორჩენილი.

5. „ვჰგონებთ, ვითარმედ არს, რომელსა აქუს ყოველივე საგრძნებელი“ (6, 1) (ლაპარაკია მარიამის შესახებ).

სომხურში ვკითხულობთ: *կարծեմք թէ նա է, որ ունի զամենայն կարողութիւնն* (307, 3; = ვჰგონებთ, ვითარმედ იგი არს, რომელსა აქუს ყოველივე საგრძნებელი). ქართულ ტექსტში ეს ნა (იგი) არ ჩანს და ამიტომაა, რომ აზრი წინადადებისა ბუნდოვანია.

6. „დასთხია თქუენ ზედა მკუდარი იგი ზუზღაჲ და მოწურა თჳსისა მის მომკუდრისა ბუდისაგან სამსა სახლსა, რომელ არს ესე: ჴორცთა და საშუმინველსა და სულსა“ (6, 21—22).

ბერძნულ და სომხურ ტექსტებში შესაბამისად სამი სახე დასტურდება (შდრ. πνέων ἔπνευσεν εἰς ὑμᾶς ὁ ὄφις ὁ ἀπὸ κακῶν καὶ ἐτύφλωσεν ὑμᾶς κατὰ τρεῖς τρόπους—გვ. 59; ...*կուրացոյց զձեզ ի բազում օրինակս այսինքն զնոսին եւ զմարմին եւ զշունչ*—308, 10), კონტექსტიც სწორედ „სახის“ არსებობას ამართლებს და არა „სახლისას“, მაშასადამე, აქაც გადამწერის შეცდომასთან გვქონია საქმე.

7. „აწ განიცადეთ იგი, დაუტეეთ, და მან მოგცეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (10, 14—15).

სომხურ ტექსტში სათანადო ადგილას გვაქვს: *մի թողուք* (318, 6)= ნუ დაუტეეთ. ნუ-ს მოითხოვს კონტექსტიც.

8. „მი-თუ-ვიდიან სნეულთა, უძლურიმცა მივა სლვითა სიმდაბლისადმა, ნუმცა არს მათი ჰაბუკთა მიმართ მიხედვაჲ“ (10, 26).

სომხურსა და ბერძნულში „უძლურს“ „ორ-ორი“ შეესატყვისება (*ևւ ևթէ երիցին ի տես հիւանդաց, երկու-երկու երթիցին* — 319, 4; ...βαδίζουσι ἀνὰ δύο-δύο καὶ μὴ ὀμιλήτωσαν μετὰ νεανίσκων—ტიშ. გვ. 154). უეჭველია, რომ ქართულ თარგმანშიც თავდაპირველად „ორ-ორი“ იყო და გადამწერმა შეცვალა შემდეგ „უძლურად“; კონტექტიც სწორედ „ორ ორს“ უჭერს მაარს (შდრ. მომდევნო ფრაზა: „ნუმცა არს მ ა თ ი ჰაბუკთა მიმართ მიხედვაჲ“. აგრეთვე იმავე ქალწულთა მიმართ თქმული სხვა ადგილებს: „თუ ვიდოდიან, ორ-ორი მცა ვალს“—11, 20).

§ 15. თომა მოციქულის წამების ტექსტის ზოგიერთი ადგილის გამართვისათვის.

1. „მოგაელინა ჩუენთჳს მამამან, რ ო მ ე ლ ს ა საქმენი თჳსნი ადიდებენ მ ა ს“ (14, 16—17).

ეს მაგალითი დიტოგრაფიის შემთხვევას ჰგავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რ ო მ ე ლ ს ა... მ ა ს სომაურ ტექსტშიც ყოფილა: *առաքեաց մեզ հայր քո, որոյ գործք իւր վարձուսլին դնա* (389, 1) და აქ იგი დიტოგრაფიას არ წარმოადგენს.

2. „მდიდარი ეგე, რომელმან შენნი მონაგებნი გ ა ნ ა მ დ ი დ რ ნ ე“ (14, 19—20).

კონტექსტითაც (მეორე პირის მოქმედებაზეა ლაპარაკი) და სომხური შესატყვისი ტექსტითაც—*մնծատուն, որ զքո ստացուածովդ մնծացուցանես* (389, 4)—ჩანს, რომ აქ „განამდიდრნე“ უნდა გვქონდეს.

3. „აწ შენმან დაიცვა საპყრობილე იგი“ (16, 21).

ქართული ტექსტის მიხედვით გაურკვეველია „შენმან“ რამ დაიცვა საპყრობილე. სომხური შესატყვისი ფრაზიდან:—*այժմ քո լաւդ պահեսյ զբանտն* (322, 26)—ჩანს, რომ ჩვენს ტექსტში „ბედი“ ან მისი სინონიმი სიტყვა ყოფილა გამორჩენილი; ამასვე გვიჩვენებს ბერძნული ტექსტიც, სადაც აგრეთვე „ბედი“ იკითხეის (ἡ σὴ τύχη τὸ δεσμωτήριον ἐφύλαξεν—გვ. 274).

4. „რად სტჳით, რამეთუ ბეჭედნი ესე ჰგიან ვითარცა პირველად“ (16, 27).

თუ აქ „სტყუით“ ფორმის (რაც ამ სახით ძვ. ქართული ენის ძეგლებში არც გვეგულება) მცდარ დაწერილობასთან არა გვაქვს საქმე, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვაში „სტჳით“ სომხური *ստել←սուտ* (ცრუ) შედის და იგი სომხური ტექსტის შესაბამი ადგილიდანაა გადმოღებული (შდრ. *լնդէր ստէք...*, 393, 4) პარალელურად ბერძნულშიც „რად სტყუით“, „რად სცრუობთ“ გვაქვს (შდრ. διὰ τί ψευδεσθε—გვ. 274).

5. ერთგან ციზდეოს მეფე საყვედურობს თომა მოციქულს: „მე არა ვისწრაფე ადრე-ადრე წარწყმედად შენდა, არამედ ო რ გ უ ლ ე ბ დ შენსა და შენ უფროჲსი ძჳრი დასძინე“ (16, 42—17, 1). ამ ფრაზის შინაარსი ასეთია: მე არ მიცდია შენი წარწყმედა, არამედ, პირიქით, შენი ორგულება (ვცადე), შენ კი მეტი ძვირი (ცუდი საქმე) დასძინე. „ორგულება“ ძველ ქართულში უ ნ დ ო ო ბ ა ს, ო რ პ ი რ ო ბ ა ს ნიშნავს; ტექსტი ამ მნიშვნელობის მქონე „ორგულებით“ გაუგებარია. სომხურთან შედარებისას გაირკვა, რომ აქ „ორგულება“ სხვა არაფერია, თუ არა ცუდად ამოკითხული სომხური *սրկայն-*

ძოთხელსა (სულგრძელება). ეს სიტყვა, ჩანს, მთარგმნელს წაუკითხავს *ხრკ-ძოთხელსა*-ად, რაც ნიშნავს ო რ გ უ ლ ე ბ ა ს.

6. „აღვფხუერ ძირითურთ უკეთურნი იგი და უდებნი დაუტევენ ქუეყანასა ზედა“(19, 6—7).

მოყვანილი ფრაზა წინააღმდეგობას შეიცავს: თუკი უკეთურნი აღფხერა, უდები (=ზარმაცი, გულდაუდებელი) როგორღა დატოვა მიწაზე? სომხურში შესაბამისი ფრაზა ასეთი შინაარსისა აღმოჩნდა: *խլեսցի արմատաւք ի ղկարսն եւ զանապատն լքի յերկրի* (გვ. 397), ე. ი. აღკფხეურ ძირითურთ უკეთურნი და უდაბნო დაუტეე ქუეყანასა ზედა.

ცხადია, რომ „უდაბნო“-ს შეცვლა „უდებნი“-დ გადამწერის შეცდომაა; „უდაბნო“-ს „უდებნ“-ად წაკითხვის შედეგი უნდა იყოს აგრეთვე „დაუტევენ“ ნაცვლად „დაუტეე“-სი.

7. გადამწერის შეცდომასთან უნდა გვქონდეს აგრეთვე საქმე შემდეგ ფრაზაში: „თომა მიუგო: ესეე ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ნ ი მათნი ჩემდა მოვიდენ, რაჟამს ამიერ განვიდე“ (17, 3—4).

კონტექსტიც (ლაპარაკია გრძნებებზე) და ბერძნულ-სომხური ტექსტებიც (შდრ. ბერძნულში: *φάρμακα*—გვ. 277; სომხურში *կախարդիներ*—გვ. 393) გვიჩვენებენ, რომ აქ უნდა გვქონდეს არა „ბრძანებანი“, არამედ „გრძნებანი“.

„გრძნებანი“-ს შეცვლის შემდეგ „ბრძანებანი“-დ უნდა იყოს ჩართული ამ წინადადებაში სიტყვა „მათნი“-ც. ტექსტში არ ჩანს არავინ, ვისაც შეიძლება ეს „ბრძანებანი“ მიეწეროს; „მათნი“-ს „გრძნებანი“-სთან არსებობაც გაურკვეველია, რადგან თომა სხვების გრძნებებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ თავისაზე: ჩემი გრძნებები ჩემთან ერთად წამოვლენ, როდესაც გარდავიცვლებიო[1].

§ 16. „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-სა და პეტრესა და პავლეს წამებათა ტექსტების გამართვისათვის. რაც შეეხება „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-სა და პეტრესა და პაულეს წამებათა ტექსტებს, აღსანიშნავია, რომ ამ ტექსტებში მთლოლ სიტყვათა გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე მიღებული რამდენიმე მცდარი ფორმა დასტურდება. სხვა სახის შეცდომებს აქ არ შეეხეედრივართ. არასწორად წარმოდგენილი ფორმების გამართვა აღნიშნულ ძეგლებში პარალელური ნუსხების გამოყენებამ უზრუნველყო, თუმცა ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ვითვალისწინებდით ბერძნული და სომხური ტექსტების ჩვენებებსაც.

V. რომელი ენებიდანაა თარგმნილი აპოკრიფები მოციქულთა შესახებ და როდის?

ჩვენი ძეგლების ბერძნულ და სომხურ ენებზე არსებობა საკითხს სვამს მათთან ქართული ნუსხების მიმართების შესახებ, უკეთ, ჩვენს მიზანს შეადგენს გარკვევა, მომდინარეობენ ქართულში ეს ძეგლები ბერძნული ან სომხური ენებიდან, თუ მათთვის წყარო სხვა უცხო ენაზე უნდა ვეძიოთ?

[1] ეს სიტყვა ბერძნული და სომხური ტექსტების შესაბამის ფრაზებშიც არ მოიპოვება: შდრ. ταῦτα τὰ φάρμακα καὶ σὺν ἀπέρχεται..., გვ. 277; *այս կախարդիքս ընդ իս գնան...*, გვ. 393.

§ 17. „საქმენი და სწავლანი“-ს მომდინარეობის საკითხისათვის. იოვანე ღმრთისმეტყველის საქმენი და სწავლანის ქართული ტექსტი უშუალოდ ბერძნულიდან ჩანს ნათარგმნი[1].

Th. Zahn-ს ბერძნული ტექსტი რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული ნუსხის მიხედვით გაუმართავს, ამიტომ ქართული და ბერძნული ტექსტები ერთი თვალის გადავლებით ერთმანეთთან ისე ახლოს მდგომად არც კი მოგვეჩვენება, მაგრამ ცალკეულ ეპიზოდებში ქართული ტექსტი ისეთი ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოსცემს ბერძნულს, რომ არ შეიძლება ეს შემთხვევითი იყოს.

გარდა ამისა, ქართულ ტექსტში დადასტურდა ე. წ. ბერძნიზმებიც: ა) უთარგმნელად გადმოღებული ბ: ἀναφορᾶς (ანაფორაჲთა-ს სახით) ბერძნიზმია (ნ. § 13, გვ. 033), ბ) საკუთარი სახელის πυθὼν ის (პითონ ‖ პჳთონ) პითონოჲ ‖ პჳთონოჲ სახით— ე. ი. ამ სიტყვის ბერძნული ნათესაობითის ფუძით— გადმოღებაც (ნ. § 43, გვ. 063) აგრეთვე ბერძნიზმია, გ) ბერძნიზმია ღმერთქალის სახელის ჰერა-სა და გეოგრაფიული სახელის მჳრინუსა-ს ბერძნული აკუზატივით გადმოღება ისეთ კონტექსტებში, სადაც თვით შესატყვისი ბერძნული ფრაზები მათ აკუზატივი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგნენ (ნ. § 43, გვ. 064), დ) დასასრულ, თუ ჩვენი მსჯელობა გაურკვეველი ფრაზის შესახებ მკლავთა დაპრაზე (ბერძნული τρίχας სიტყვის არაჯეროვანი წაკითხვის შედეგი უნდა იყოს-თქო, ნ. § 13, გვ. 033) სინამდვილეს შეესაბამება, ეს ფაქტი ყველაზე უკეთესი დასტური იქნებოდა ქართული ტექსტის ბერძნულიდან მომდინარედ მისაჩნევად.

§ 18. პეტრესა და პავლეს წამებათა მომდინარეობის საკითხისათვის. „საქმენი და სწავლანი“-ს მსგავსად პეტრესა და პავლეს აპოკრიფებიც გარკვეულ სიახლოვეს ავლენენ ბერძნულ შესაბამის ტექსტებთან; ეს და აგრეთვე პავლეს წამების სინურ ნუსხაში ფერეტა სახელის ბერძნული აკუზატივის ფორმით წარმოდგენის ფაქტი — ფერეტან სახით— (ნ. § 43) ქართული ტექსტების ბერძნულიდან მომდინარეობის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს.

რაც შეეხება ამ ძეგლების სომხურთან მიმართების საკითხს, პავლეს წამების SAB ნუსხების ფრაზას „ასჯავებდა მათ სიტყუასა მას ჰეშმარიტებისასა“ (49,11), როგორც უკვე მივუთითეთ (ნ. გვ. 024), ათონურში შეესატყვისება „ასწავებდა ყოველთა სიტყუასა მას ცხოვრებისასა“, „ცხოვრებიսა“-ს შეიცავს სომხური ტექსტიც განსხვავებით ბერძნულისაგან, სადაც „ჰეშმარიტებისასა“ დასტურდება.

პეტრესა და პავლეს წამებათა ჩვენ მიერ განხილული ნუსხების ერთი საერთო დედნიდან მომდინარეობას თუ გავიზიარებდით, მაშინ ამ მაგალითის მიხედვით ქართულ ტექსტს არა თუ არ მივიჩნევდით სომხურიდან მომდინარედ, არამედ, პირიქით, საკითხი დადგებოდა სომხურში ამ ძეგლების ქართულიდან თარგმნის შესახებ.

---

[1] „საქმენი და სწავლანი...“ ბერძნულ ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს, ეს ფაქტადაა მიჩნეული და გამოკვლევაში, როგორც Zahn-ის მიერ გამოცემულ ტექსტს ერთვის, ამ მხრივ საკითხის დასმასაც კი არ ვხვდებით.

§ 19. ფილიპე მოციქულის წამების მომდინარეობის საკითხისათვის. ფილიპე მოციქულის წამებას H—341 ხელნაწერში მის მომდევნოდ წარჩოდგენილ თომა მოციქულის წამებასთან ერთად სომხურიდან მომდინარედ ვარაუდობდა P. Peeters-ი[1]. ფილიპეს წამების ტექსტის სომხურთან სიახლოვე მართლაც აშკარაა, მაგრამ შედარებისას ისეთი ხელშესახები მასალა ქართული ტექსტის სომხურიდან თარგმნილობას რომ ამტკიცებდეს, ვერ ვნახეთ, თუნცა ამ ბრივ მეოველობაშია მისაღები შემდეგი მაგალითი: ერთგან სომხურ ფრაზას *և զաղափրիէն նոյն ամենայն բնութիւնս*—373,15 (=და დაიშუდნა მძლავრებად მუცთად) ქართულში შეესატყვისება „და დამშუდნა ბუნებად მუცთად“ (12,18). მოცემულ კონტექსტს პირველი სიტყვაც ეუუება (მძლავრება) და მეორეც (ბუნება), ასე რომ მცდარად ვერც ერთს ვერ მივიჩნევდით, მაგრამ საყურადღებოა, რომ სომხურში „ბუნება“-ს აღნიშნავს *բնութիւն*-ის მსგავსი წარმოთქმისა და დაწერილობის სიტყვა *բնութիւն*. თუ თვითონ სომხურში *բնութիւն բռնութիւն*-ის უნებური შენაცვლებას არ წარმოადგენს, ჯამინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს ქართველი მთარგმნელის მიერ შეცდომით *բնութիւն*-ის *բռնութիւն*-ად წაკითხვასთან. და ეს ფაქტი სომხურიდან თარგმნილობას დაუჭერდა მხარს.

§ 20. თომა მოციქულის წამების მომდინარეობის საკითხისათვის. თომა მოციქულის წამების ქართული ტექსტი სიტყვასიტყვით გადმოსცემს როგორც სომხურ, ისე ბერძნულ შესაბამის ტექსტებს, ჯაგრამ რეალიებიდან, რომლებიც თომა მოციქულის ტექსტის ბერძნულ-სომხური წყაროების დაამარებით გასწორებიას წარმოვადგინეთ § 15 ში, პირველი, მეოთხე და ბეხუთე აშკარად არმენიზმებად გვეხატება და ისინი ამ ძეგლის სომხურიდან მომდინარეობას ცხადყოფენ.

§ 21. „მიმოდასლვად მოციქულთად“-ს მომდინარეობის საკითხისათვის. „მიმოდასლვად მოციქულთად“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ბერძნულ შესაბამის ტექსტს, მაგრამ ისეთი მასალა, რაც მათ უშუალო დამოკიდებულებაზე რამეს იტყოდა, ვერ დავებნიეთ მით უმეტეს, ვერაფერს ვიტყვით ჩვენი ძეგლის სომხურიდან მომდინარეობაზე, რადგან სომხურში მის მხოლოდ მოკლე, განსხვავებულ რედაქციებს (ორს) გავეცანით. „მიმოდასლვად მოციქულთად“ ბერძნულ სამყაროში შექმნილი ძეგლი არაა, ადვილი შესაძლებელია, რომ იგი ჩვენს ენაზე სწორედ პირველ წყაროდან იყოს თარგმნილი.

§ 22. როდისაა თარგმნილი აპოკრიფები მოციქულთა შესახებ? „მიმოდასლვად მოციქულთად“-ს ქართულ ენაზე არსებობა მე-6 საუკუნეში უკვე ფაქტია და მასზე არც შევჩერდებით. რაც შეეხება სხვა ძეგლებს, მათი გადმოთარგმნაც თუ მე-6 საუკუნისათვის არა მის ახლო პერიოდში მაინც უნდა ვიგარაუდოთ, ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს მე-8 საუკუნისა.

საბუთებად გამოდგებოდა:

1. აღნიშნული ძეგლები თავისი ენობრივი ნორმებით გვერდით უდგას „მიმოდასლვად მოციქულთად“-ს ტექსტს.

2. ჩვენ მიერ გამოყენებული ხელნაწერები გადმოწერილი ჩანს უფრო ადრინდელი დედნებიდან. ამაზე მიუთითებს გადაწერისას გრაფიკულ ნიადაგზე დაშვებული შეცდომები. როგორიცაა: „საქმენი და სწავლანი“-ს Ⴀ

[1] Analecta Bollandiana, fasc. 1 et 2, 1926, გვ. 70.

ნუახაში „ერთი ოპი“ ნაცვლად „ეთიოპი“-სა; „მწვალებლობისანი“ ნაცვლად „მწამლველობისანი“-სა (ნ. § 13, გვ. 034 და § 9 გვ. 019); პეტრე მოციქულია წაბების სინურ ნუახაში „ეგოს“ ნაცვლად „ეგონოს“-ი (ნ. § 10, გვ. 025); ფილიპე მოციქულის წამების ტექსტში: „მცირისა“ ნაცვლად „მტერისა“-სი, „უძლურიმცა“ ნაცვლად „ორ-ორიმცა“-სი (ნ. § 14, გვ. 035—036); თომა მოციქულის წამებაში: „უდებინი“ ნაცვლად „უდაბნო“-სი, „ბრძანებანი“ ნაცვლად „გრძნებანი“-სა (ნ. § 15, გვ. 037).

3. ძეგლებში არ გვხვდება არაბული და ახალი სპარსული სიტყვები, რომლებიც თავს იჩენა მე-8 საუკუნის შემდეგდროინდელ სალიტერატურო ქართულში.

VI. ენობრივი მოვლენები

აპოკრიფების ენის შესახებ ზოგადად შევნიშნავთ შემდეგს: ამ ჟანრის ნაწარმოებებს ერთსა და იმავე დროს ახასიათებს ხალხურობა და არქაიზმების სიმრავლე. აღნიშნული გარემოება თვით აპოკრიფების შექმნის მიზნით აიხსნება: 1. იმისათვის, რომ თავიანთი იდეების პოპულარიზაცია მოეხდინათ, მწერლები საინტერესო ამბების შემცველ მოთხრობებს ლაკონური და მარტივი ენით წერდნენ, 2. ამავე დროს მწერლები ცდილობდნენ ეკვმიუტანელი გაეხადათ მათ მიერ მოთხრობილი ამბები, ამიტომ წერდნენ არქაული ნორმების დაცვით; თუმცა თანადროულობა ყოველთვის თავს იჩენდა და საბოლოო ჯამში გამოდიოდა ენობრივი და შინაარსობლივი ანაქრონიზმები. ამას გულისხმობს ფ. ენგელსი როდესაც „აპრკალიფსი“-ს შესახებ შენიშნავს: „არ არის არცერთი სიტყვა წიგნი უფრო ბარბაროსულად დაწერილი, საკუთ ჰებრაიზმებით, წარმოუდგენელი კონსტრუქციებით და გრამატიკული შეცდომებით“[1].

ჩვენი ძეგლების ენობრივი თვალსაზრისით შესწავლამ დაგვანახა, რომ როდესაც საქმე ეხება თარგმანს, თარგმანის ენა უკვე აღარაა განსხვავებული ქრისტიანული მწერლობის სხვა ჟანრის თარგმნილი ძეგლების ენისაგან. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან: ა) აპოკრიფებს როდესაც თარგმნიდნენ, უპირატეს შემთხვევაში იყინი კანონიკური მწერლობის ნიმუშებად მიაჩნდათ, ბ) თარგმანებს ასრულებდნენ სასულიერო ნაწარმოებთა თარგმნა-შეთხზვაში გაწაფული საეკლესიო მოღვაწეები.

რაც შეეხება ჩვენი ძეგლების ენობრივ თავისებურებებს, ეს ძეგლები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირის მიერ და სხვადასხვა დიალექტურ და ლიტერატურულ წრეებშია თარგმნილი და გადაწერილი, რაც განაპირობებს ენობრივი მოვლენების გამოხატვის თვალსაზრისით იქ მრავალფეროვნებას, რომელიც ამ ძეგლებში დაატურდება და რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ორთოგრაფია

ორთოგრაფიული თვალსაზრისით განხილვისას ჩვენს ძეგლებში, ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად, ყურადღებას იპყრობს ჱ, ჲ, ჯ-ს

[1] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბილისი, 1939, გვ. 44.

ხმარების თავისებურებანი. სანამ ამ ასოთა ხმარების შემთხვევებს გაეცნობოდეთ, განვიხილავთ უნებლიე ორთოგრაფიულ შეცდომებს, რომლებიც არც თუ ისე მცირე რაოდენობით შეგვხვდა.

§ 23. **უნებლიე ორთოგრაფიული შეცდომები.** უნებლიე ორთოგრაფიულ შეცდომებში ვგულისხმობთ სიტყვებში ასოთა ან მარცვალთა დაკლება დამეტებას, ერთის ნაცვლად მეორე ასოს ხმარებას, დიტოგრაფიის შემთხვევებს, ქარაგმის გამორჩენას და სავ., ე. ი. უნებლიე შეცდომებს, რომლებიც მეტნაკლებად ახალიათებს ყველაა წერის პროცესში.

უნებლიე ორთოგრაფიული შეცდომები მრავლადაა დაშვებული H—341-სა და A—19 ხელნაწერებში, მხოლოდ თითო-ოროლა გეხვედება A—95 და სინას მრავალთაგიდან გადმოწერილ ძეგლებში.

ტექსტების გამართვისას უნებლიე ორთოგრაფიული შეცდომის ყველა შემთხვევა გავასწორეთ, ხელნაწერია ჩვენებაზე კი სქოლიოებში მიეუთითეთ. ნიმუშები:

ა) ასოთა დაკლება: თავდაჭოქვით—5, სქ. 4 (თავდამოქცევით); ნუკუე—6, სქ. 3 (ნუუკუე); აღთქული—10, სქ. 5 (აღთქუმული); სიყჳთ—10, სქ. 11 (სიტყჳთ); გეყოდი—15, სქ. 7 (გეტყოდი)... გამოჩნდებოდა—80, სქ. 1 (გამოუჩნდებოდა); იქაგების—83, სქ. 1 (იქადაგების) და სხვ.

ბ) ერთი ასოს ნაცვლად მეორის ხმარება: წანა—4, სქ. 12 (წინა); წანაჲსწარ—7, სქ. 2 (წინაჲსწარ); სიმრმესა—7, სქ. 6 (სიღრმესა); განვავ—10, სქ. 1 (განვალ); განა—60, სქ. 35 (გინა); უწჯსოებისათჯს—74, სქ. 3 (უწესოებისათჳს) და სხვ.

გ) დიტოგრაფია: მღდელთ-მოძღუღუარი—7, სქ. 4 (მღდელთმოძღუარი); მჩინებელისასა—8, სქ. 3 (მჩინებელისასა); მიგაგაგე—9, სქ. 7 (მიგაგე); ხედვაჲ_ხედვაჲ—11, სქ. 1 (ხედვაჲ); მომკუკუდარი—19, სქ. 6 (მომკუდარი) და სხვ.

დ) ასოთა ზედმეტობა: გუალარძნილ—6, სქ. 11; 10, სქ. 12 (გულარძნილ); რქუამად—22, სქ. 47 (რქუმად); ჰაბოკროვანი 33, სქ. 29 (ჰაბოკოვანი); ანდრძიატი—39, სქ. 16 (ანდრიატი); სტანტჯვიდა—48, სქ. 66 (სტანჯვიდა).

ე) ქარაგმის დაკლება: სქმეთა—12, სქ. 1 (ს᷾ქმეთა); თყნისცემად—12, სქ. 6 (თ᷾ყნისცემად); მკჳდრთით—15, სქ. 2 (მკჳ᷾დრთით); მწფᲝ—86, სქ. 1 (მ᷾წფᲝ); ჩნმან—51, სქ. 37 (ჩ᷾ნმან) და სხვ.

ვ) ქარაგმის ზედმეტობა: დასწუ᷾თეს—12, სქ. 4 (დასწუთეს); ჰ᷾Ო—48, სქ. 17 (ჰᲝ) და სხვ.

§ 24. **ო-სა და უ-ს მართლწერისათვის.** D ხელნაწერის ტექსტებს ახასიათებს უ ასოს ნაცვლად ო-ს ხმარება და, პირიქით, ო-ს ნაცვლად უ-სი. ო არის ნახმარი უ-ს ნაცვლად: იოფრიმე (3, სქ. 1); განიკორნე (3, სქ. 7); აცთონნეს (4, სქ. 4); ქურომნი (4, სქ. 8); მაცთორნი (4, სქ. 10); დამოსრნეს (5, სქ. 9) და სხვ.

უ გვხვდება ო-ს ნაცვლად: შურიელსა (3, სქ. 3); იტყუდა (3, სქ. 5); განიშურე (3, სქ. 12); მიუგუ (3, სქ. 8); მოიუვე (3, სქ. 11); იქორწინებუდეს (4, სქ. 6) და სხვ.

რაც შეეხება სხვა ტექსტებს, იქ ამგვარი შენაცვლების მხოლოდ ორიოდე მაგალითი დაიძებნა: ობრალო (S 92,9); ევედრებუდეს (B 66, სქ. 17); რუდონ (A 79, სქ. 4); ფრორას (A 72, სქ. 31).

ძველი ქართული ენის მთელ რიგ ძეგლებში ეს ფაქტი შენიშნულია და ასახსნელად მოსაზრებებიცაა წამოყენებული: დიალექტურ მოვლენად თვლის მას ნ. მარი[1], თ. გონიაშვილი დიალექტურ საფუძველს უფრო ანგარიშგასაწევად მიიჩნევს, მაგრამ არც პალეოგრაფიულ საფუძველზე ახსნის შესაძლებლობას გამორიცხავს[2].

აღნიშნული მოვლენის დიალექტურ საფუძველზე ახსნას ის აბრკოლებს, რომ შენაცვლებას კანონზომიერი ხასიათი არა აქვს: ტექსტებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება იგივე სიტყვები და ბგერათკომპლექსები სწორი დაწერილობით.

ა. მარტიროსოვი, რომელსაც ჰილ-ეტრატის იადგარში მხოლოდ უ-ს ნაცვლად ო ს ხმარების შემთხვევები შეჰხვედრია, ამ ცალმარიელი მონაცვლეობის გრაფიკულ საფუძველზე ახსნის ცდას იძლევა: „ცნობილია, რომ ძველ ქართულში (ისევე როგორც სომხურ ენაში) უ-ნი ორი (ო და ჳ) ასოთი იწერებოდა, ეს კი ერთგვარ სიძნელეს ჰქმნიდა დაწერილობაში. სიძნელე ნაწილობრივ იმით იყო დაძლეული, რომ ქარაგმის ქვეშ ხმარებისას უ-ნი ერთი ასოთიღა იყო წარმოდგენილი, ჩვეულებრივ ო ნით, ამ უკანასკნელის ხმარება კი ისე გახშირდა, რომ ქარაგმის გარეშეც ადვილი ხდებოდა, ზოგჯერ მხოლოდ ამ ო-ს საშუალებით გადმოცემულიყო უ-ნი»[3].

უ ს ნაცვლად ო-ს ხმარების შებრუნებული პროცესიდან გამოთიშვა და მისი ცალკე ახსნა მართებული არ არის; მით უმეტეს, თუ დავუჯერებთ უ-ს ნაცვლად ო-ს ხმარების ზემოთ მოყვანილ ახსნას (თითქოს ო უ-ს გადმოსაცემად შეგნებულად ხმარებულიყო) ო-ს ნაცვლად უ-ს ხმარებას უკვე ეეღარაფრით ავხსნით[4].

ჩვენი აზრით ო სა და უ-ს მონაცვლეობას გრაფიკული საფუძველი აქვს; ის ფაქტი, რომ ასეთი მონაცვლეობა ზოგ გადამწერთან გვხვდება და ზოგთან არა, გადამწერის კვალიფიკაციის ხარისხზე მიუთითებს და არა ამ ბოველნის დიალექტურობაზე; რაც უფრო დაბალი კვალიფიკაციისაა გადამწერი, მით უფრო მეტია მასთან ორთოგრაფიული და სხვა სახის შეცდომები, ჩვენი ძეგლი სწორედ ამის ნიმუშს წარმოადგენს.

---

[1] H. Марр, Т. Р., кн. VII, გვ. XLVI.

[2] თ. გონიაშვილი, დიალექტიზმები ჰადიშის ძეგლში (სადისერტაციო ნაშრომი), გვ. 96—97.

[3] ა. მარტიროსოვი, ჰილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი (სადისერტაციო ნაშრომი), 1940, გვ. 42—43.

[4] იქნებ ჰილ-ეტრატის იადგარის გადამწერს მართლაც შეგნებულად ეხმარა ო უ-ს ნაცვლად, რადგან ამ ძეგლს მეტისმეტად გადაწერის განზრახვა ატყვია (გადამწერი აქარაგმებს თითქმის ყოველ სიტყვას და ხშირად მთელ წინადადებებსაც კი), მაგრამ ასეც რომ იყოს, აღნიშნულ შემთხვევას მაინც ვერ განვაზოგადებდით.

§ 25. **ი-ს ხმარება.** ძველი ქართული ენისათვის ნორმადაა მიჩნეული ი ასოს ხმარება ეჲ დიფთონგის გადმოსაცემად, აგრეთვე „შენება“-სა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში[1].

თუ ნორმად მიჩნეული მდგომარეობიდან ამოვალთ, ჩვენს ძეგლებში შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: კლასიკური ქართულის ნორმები ი-ს ხმარების თვალსაზრისით უგამონაკლისოდაა დაცული სინას მრავალთავის პეტრესა და პავლეს წამებებში; კლასიკური ქართულის ნორმებს ეჭერენ ბზარს აგრეთვე A და B ხელნაწერები, D ხელნაწერის პოზიცია კი ამ საკითხში განსხვავებულია; იგი ი-ს იშვიათი ხმარებით ხასიათდება.

I. A და B ხელნაწერთა ტექსტებში ი წარმოდგენილია:

ა) ე ბოლოკიდურიანი საზოგადო სახელების სახელობით ბრუნვაში: მარჯუენი (58,17); ძი (60,37). სიერცი; (65,34); მოწაფი (74, 36); ებისტოლი (75,2) და სხვ.

ბ) შედარებითი ხარისხის ფორმებში: უმჯობის (67,14); უხუცესსა (71,34); უმრავლესი (78, 40) და სხვ.

გ) „ესრეთ“, „ეგრეთ“ ზმნისართებში: ესრით (72, სქ. 19; 72,7; ეგრითცა (57, 2); ეგრითვე (76,30) და სხვ.

ჩამოთვლილ შემთხვევებზე გამონაკლისის სახით გვხვდება ე-იანი ფორმები: A ნუსხის ტექსტებში თითო-ოროლა, B ნუსხისაში უფრო მეტი.

დ) „შენება“ ორგან შეგვხვდა; საყურადღებოა, რომ ი A ნუსხის ტექსტში ნ-ს წინაა წარმოდგენილი, B-საში კი ნ-ს შემდეგ: შინებასა (60,30); აღეშინებოდა (60,31), მაგრამ: შენიბასა, აღეშენიბოდა (იქვე სქ. 30;31). ტექსტის დადგენისას უპირატესობა A ნუსხის ჩვენებას მივანიჭეთ, რადგან იგი შეესაბამება ამ სიტყვის დაწერილობას ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში.

„შენება“-ს გარდა ი-თი დასტურდება აგრეთვე უცხო სიტყვები „ისრაელი“, „იერუსალემი“, „ჰრომე“ და „ამენ“[2]: იერუსალიმით (56, 22; 65, 32); იერუსალიმდ (56, 32); ისრაილთაცა (79 — 35); ჰრომის შინა (43,5; 51,21); ამინ (79,10).

ე) რაც შეეხება ე ბოლოკიდურიან საკუთარ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს (ჩვენს ძეგლებში ასეთი სახელები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება: იოვანე, ქრისტე, პეტრე, პავლე...), ამ სახელთა მაგალითების უმრავლესობა A ნუსხაში ნათესაობითი ბრუნვისათვის -ის დაბოლოებას გვიჩვენებს (იოვანის, პეტრის, პავლის...), ხოლო უფრო მცირე ნაწილი -ეს დაბოლოებას (იოვანეს, პეტრეს, პაველს...), B ნუსხაში, პირიქით; მაგალითთა უმრავლესობა -ეს ითაა წარმოდგენილი, უმცირესობა კი -ის-ით.

„ქრისტე“-ს ნათესაობითი ბრუნვა A ნუსხაში ყველგან მხოლოდ „ქრისტესა“ სახით დასტურდება, B ნუსხაში კი სხვა ე ბოლოკიდურიანი სა-

---

[1] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ი. ა[ბ]ულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934, გვ. 9; ივ. იმნაიშვილი. ძველი ქართული ენის ტაბულები: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბილისი, 1953, გვ. 306—307.

[2] შინება-ში, ისრაილ-ში, იერუსალიმ-ში, ჰრომი-სა და ამინ-ში ი მიჩნეულია უცხო ē-ს ეკვივალენტად: შინებაში იგი გადმოსცემს სომხურ է-ს (է), დანარჩენებში კი ბერძნულ η-ს (შდრ. Ἰσραήλ, Ἱερουσαλήμ, Ῥώμη ἀμήν). თ. ყაუხჩიშვილი, მასალები ი-ს ისტორიისათვის (სადისერტაციო ნაშრომი), 1944, გვ. 17; 421—422.

კუთარი სახელების მსგავსად ხშირია ფორმა „ქრისტეს“, უფრო იშვიათი— „ქრისტჱა“.

A და B ხელნაწერებში ჲ ისეთ შემთხვევებშიც გვხვდება, სადაც მის ხმარებას ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით გამართლება არა აქვს და სადაც ჩვეულებრივ ე-ა მოსალოდნელი[1]. ჲ წარმოდგენილია ე-ს ნაცვლად:

ა) ე ფუძიან საკუთარ სახელებში, როდესაც ისინი სახელობითის, მოთხრობითის, ან წოდებითის შინაარსს გადმოსცემენ (A ნუსხაში მხოლოდ სამი მაგალითი დასტურდება, B-ში მათი რიცხვი უფრო მრავალადაა): „მოსრულ იყო... ტიტჲ“ (A 49, სქ. 15); „ცნა... იოვანჲ“ (A 67, სქ. 20); „განვიდოდა პეტრჲ“ (B 44, სქ. 32); „იხილნა პავლჲ“ (B 49,9); „სიტყუა-უგო იოვანჲ“ (59, სქ. 32) და სხვ.

ბ) ზმნათა მე-2 სერიის მწკრივებში: შევჰრაცხჲ (56, სქ. 13); გრწმენჲს (62, სქ. 31); დაეცჲს (69, სქ. 2) და სხვ. ზმნის ფორმებში ჲ-ს აღგვარი ხმარება მხოლოდ A ხელნაწერისთვისაა დამახასიათებელი, B-ში ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა: გან-რაჲ-ვიღჳ (58, სქ. 9).

ზმნის აორისტის ფორმებში ჲ-ს არსებობას სხვადასხვა კვალიფიკაციას აძლევენ: ვ. თოფურია მას გრაფიკულ მოვლენად მიიჩნევს[2], თ. გონიაშვილი კი „ზოგიერთი კილოსათვის დამახასიათებელ“ მოვლენად თვლის[3], მეორე თვალსაზრისის მომხრე ჩანს თ. ყაუხჩიშვილიც[4].

გ) ე ბოლოკიდურიანი სახელების (უმეტესად საკუთარი სახელების) მიცემით ბრუნვაში: „მივიდა საბანჲსა“ (49, სქ. 31); „ჰრქუეს პავლჲს“ (52 სქ. 68); „საქმჲსა მას“ (59, სქ. 3) და სხვ. ეს ფაქტიც უფრო მეტად A ნუსხის ტექსტებში დასტურდება.

დ) „მცირედ“-სა და მისგან ნაწარმოებ ზედსართავის ფორმებში: მცირჲდ-ღა (A 71, სქ. 19); მცირჲდი (A 70, სქ. 17); მცირჲდთა (A 70, სქ. 9) (გვხვდება მცირედიც—67, 14).

ე) ე ფუძიანი სახელების ნარ-თან-იან ძრავლობითში: წინაშჲნი (A 48 სქ. 56); ჭეშმდებარჲნი (A 57, სქ. 11); მდებარჲნი (57, სქ. 12); მსხდომარჲნი (A 58, სქ. 19); მეუფჲთა (B 50, სქ. 46).

ვ) სხვა შემთხვევებში: ვისიმჲ (B 43, სქ. 30); ჰჲ (B 48, სქ. 17); გარეშჲ (A 47, სქ. 61); სამთუჲ (B 56, სქ. 30); ათდღჲ (A 90, სქ. 1) და სხვ.

ტექსტების გამართვისას ყველა შესაძლებელ შემთხვევაში ჲ მოსალოდნელი ე-თი შევცვალეთ.

II. რაც შეეხება D ხელნაწერს, იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჲ-ს იშვიათი ხმარებით ხასიათდება, ჲ არ გვხვდება აქ:

ა) არც შედარებითი ხარისხის ფორმებში: უძჳრესი და უმრავლესი (32, 25—26); უმთავრესთა (65,16); უბოროტესთა (37,15); უძნელესთა (36,9) (ერთგან შეგვხვდა ფორმა უძლიერჲ— 16,4).

---

[1] ამ ფაქტს შემთხვევითად არ თვლიან, რადგან ჲ-ს თავდაპირველ ფუნქციას სწორედ ჭბგერის გამოხატვაში ხედავენ. თ. ყაუხჩიშვილი, მასალები ჲ-ს ისტორიისათვის, გვ. 421.

[2] ვ. თოფურია, ქართლური. არილი, 1925, გვ. 147—148.

[3] თ. გონიაშვილი, დიალექტიზმები ჰადიშის ძეგლში, გვ. 136.

[4] თ. ყაუხჩიშვილი, მასალები ჲ-ს ისტორიისათვის, გვ. 418.

ბ) არც „ესრეთ“, „ეგრეთ“ ზმნისართებში: ესრეთ (17,40); ეგრეთ (19,36).

გ) არც „შენება“ ზმნაში: აღაშენებდე (11,16); აღაშენეს (13,19). ძირითადად არ გვხვდება იგი აგრეთვე:

დ) ე ფუძიანი საზოგადო სახელების საბოლობით ბრუნვასა და

ე) ე ფუძიანი საკუთარი სახელების ნათესაობით ბრუნვაში.

ძეგლებისათვის ნორმას წარმოადგენს, ერთი მხრივ: სამარე იგი მოციქულისაჲ (20,17—18); ექმნა მათ თორნე (33,34) და სხვ., და მეორე მხრივ: განძარცუეაჲ ფილიპესი და ბართლომესი (5,3); სიტყუაჲ იგი იოვანესი (6,32); ველსა მას მამბრესსა და სხვ.

ѳ წარმოდგენილია:

ა) ცალკეული სახელების, როგორიცაა: „ძე“, „მზე“, „მეფე“, „სახე“, „ხე“ სახელობით ბრუნვაში თითქმის ყოველთვის[1]: ძѳ... მაჴისაჲ (14,18); ძѳ ღმრთისაჲ (15,33); ძѳ იოსებისი (26,24); მისი ძѳ (27,13)... გამობრწყინდის მზѳ (11,9); დაჰჴანდის მზѳ (11,10); მეფѳ იგი (17,11); მიზდეოზ მეფѳ (20,29); ყოველი ესე სახѳ (9,32); იგი სახѳ (9,33) (უ-ѳ-ნო ფორმა მხოლოდ ერთი შეინიშნა: მჴეცობისა იგი სახე (3,30); ხѳ იგი (19,26); ხѳ-ღა მოეკუეთის (11,10) (ერთგან შეგეხვდა ხე—11,8).

ბ) ორიოდეჯერ სხვა ე ფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში; სალმობითა საესѳ ახოვნებაჲ (3,28); ყოველი სინრაელѳ (8,34); აღიპყრა მარჯუენѳ (8,31).

გ) სახელში „ისრაელი“: ძენო ი-ѳლისნო (27,8).

დ) სიტყვის ფუღეში: მეუფѳო (12, სქ. 8); ზѳსკნელისა (14,18).

ე) ზმნის აორისტის ფორმებში: იჩინѳნ (11, სქ. 6); განვაკმѳ (19, სქ. 5).

ვ) „ქრისტე“-ს სახელობით ბრუნვაში ყოველთვის, სულ ერთია, გადმოსცემს იგი წრფელობითის (არა მე ვარ ქ-ѳ—15,33), სახელობითის (იყო ქ-ѳ ჩუენ თანა—11,33), თუ წოდებითის (უფალო ჩემო იესუ ქრისტѳ—12, სქ 7; 22, სქ. 3) შინაარსს.

ზ) ე ფუძიან საკუთარ სახელთაგან რამდენიმე შემთხვევაში „ქრისტე“-ს ნათესაობითი ბრუნვაა -ѳხ დაბოლოებით წარმოდგენილი: იესუ ქრისტѳსითა (9,24); ქრისტѳსსა (13,32); იესუ ქრისტѳსთაჲ (24,1). ერთგან კიდევ „მამბრე“-სი: მამბრѳსასა (28,9).

ѳ ხელნაწერის ტექსტებში უѳობა ნორმად არ გაგვიტარებია, არც ѳ შეგვიტანია იმ ფორმებში, სადაც იგი ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით იყო მოსალოდნელი, ѳ შევცვალეთ ე-დ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში: ა) ზმნის აორისტის ფორმებში, ბ) „ქრისტѳ“-ში, როდესაც იგი წოდებითის შინაარსით იყო ნახმარი, და გ) „მეფѳ“ (წოდებითში—16, სქ. 7), „მეუფѳო“ სიტყვებში.

§ 26. ჲ-ს ხმარება. ჲ-ს მართლწერა ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით ჩვეულებრივ დაცულად ითვლება, როდესაც იგი წარმოდგენილია:

[1] შენიშნულია, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ ძეგლისათვის ѳ-ს ხმარება სისტემას აღარ შეადგენს, აღნიშნული სახელები მას მაინც ხმარობენ; თ. ყაუხჩიშვილი, მასალები..., გვ. 220—225.

ა) საზოგადო ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვაში,

ბ) ფუძეუკვეცელი საზოგადო სახელების მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში,

გ) ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში[1].

ჩვენს ძეგლებში ჲ-ს ხმარება ძირითადად შეესაბამება ძველი ქართული ენის ნორმებს. გვხვდება ნორმის დარღვევის შემთხვევებიც.

ეჲ დიფთონგის გადმოსაცემად ი-ს ნაცვლად ე რომ გვხვდებოდა, ამაზე უკვე გვქონდა წინა პარაგრაფში საუბარი, რაც შეეხება სხვა ხმოვნებთან მოსალოდნელი ჲ-ს დაკარგვას, ასეთი სულ რამდენიმე მაგალითი დაიძებნა: „არა იყოს დაყენება ჩემდა“ (12,17); „ლხინება და წყალობა ყოს“ (20,20—21); „დიდებაჲ და შუენიერება“ (20,36,37). „მე ვაშენო ეკლესია“ (40,18); „საკაცო ესე ჯორცი“ (D 36,26); „არა არს სხუა არსება“ (47,22); „დაბიგო ჩუენ ტაბლა“ (A 90,22); „არაღირსნი საუკუნისა მის ცხორებისა“ (9,5).

უფრო მეტია ჲ-ს ზედმეტად ხმარების მაგალითები.

რამდენიმე ადგილას ჲ სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან დასტურდება:

„ეგევითართაჲთჳს აღთქმულ არს სასყიდელი კეთილი“ (D 8, სქ. 2); „ყოველი ესე სახჱ სასუფეველისაჲ მისთჳს ცათაჲსა“ (D 9, სქ. 4); „მსგავსად დასაბამით ყოფილსა მის კაცისაჲ“ (D 9, სქ. 5); „მარჯუენით ნავისაჲ“ (A 71, სქ. 22); „ხილკად მგლისაჲ მის“ (81,17).

ჲ-ს ხმარება ხაზგასმულ შემთხვევებში იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი (პირველის გარდა) მცდარად მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის სახელობითი ბრუნვის ფორმებადაა გაგებული.

როდესაც საზღვრულს ორი ან მეტი მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი ახლავს, ძველი ქართულისათვის ნორმადაა მიჩნეული საზღვრულთან ბრუნვაში ბოლო მსაზღვრელის შეთანხმება, ასე მაგ.: „ხუასტაგი ნავისა ჩუენისაჲ“ (57,13—14); „ჰურჭერი მსახურებისა ჩემისაჲ“ (61,5); „ძჱ უფლისა ჩემისა დიოსკორიდოჲსი“ (61,34) და მისთ. წინა ბსაზღვრელებთან ჲ-ს ხმარება უბრალო ლაფსუსადაა მიჩნეული[2], ჩვენს ძეგლებში ამგვარი (ლაფსუსად მიჩნეული ჲ-თი) ორი მაგალითი დაიძებნა: „გულისთქუმაჲ ვეშაპისაჲ მის მკლველისაჲ“ (D 3,31—32); „მიზეზი იგი წარწყმედისაჲ ეშმაკისაჲ“ (A 82,40).

ორიოდე შემთხვევაში ჲ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილთანაც შეგვხვდა:

„ესე სიკუდილი... განშორებაჲ არს ჯორცთაგან“ (D 15,40); „მონაჲ ხარ ანუ აზნაური“ (D 16,32)[3].

---

[1] ა. შანიძე. ძველი ქართული ენა..., გვ. 09; ივ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ტიპები..., გვ. 306—307.

[2] ა. შანიძე. თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები: თსუ შრომები, XVIII. 1941, გვ. 31.

[3] არ ვასახელებთ ისეთ შემთხვევებს, სადაც ჩვედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს თავისი ბსაზღვრელი ახლავს და მსაზღვრელ-საზღვრული სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი; როგორიცაა მაგ.: მონაჲ ვარ ერთისა მის მხოლოჲსაჲ—D 16,33; შენ ხარ მამაჲ ჩემი; შენ ხარ დედაჲ ჩემი—47,20.

არც თუ ისე იშვიათად ⱥ გვხვდება უარყოფით ნაწილაკთან „არა“: „მკუდარნი მათნი არაⱥ დაჰფლნიან (D 34, სქ. 51); „არაⱥ ისმინეს ვედრებაⱥ“ (D 34, სქ. 54); „თჳსნი უფალნი არაⱥ უვარ-ყუნიან“ (B 55, სქ. 25); „არაⱥ აქუნდა მის თანა მიზეზი სალმობისაⱥ“ (AB 72,10); „რომლისაⱥ ფასი არაⱥ დაჳარდების“ (A 81,20) და სხვ.

„არაⱥ“ უარყოფითი ნაცვალსახელის „არარაⱥ“-ს, „არაფერი“-ს მნიშვნელობითაც გვხვდება: „დაიყავენ პირი თჳსი ეშმაკმან, რამეთუ არაⱥ პოვა ჩემ თანა (19,31) (შდრ. სომხური:... *քանզի ոչ ինչ սիրտ չիս*—გვ. 308; *ոչ ինչ*= არარაⱥ); „აღაღო სამარესა და არაⱥ პოვა მუნ“ (D 20,22) (*բաց՛ալ գչերիզ-մանն, ոչ հզիտ անդ ոսկր* = აღაღო სამარესა მას, არა პოვა მუნ ძვალი— გვ. 400. ქართულმა ტექსტმა ძვალი არ დაასახელა და არაⱥ-ს, ე. ი. არაფერი-ს ხმარებაც ამიტომ დასჭირდა).

„არაⱥ“ „არარაⱥ“ ს მნიშვნელობით დიალექტური მოვლენა უნდა იყოს, იგი თვით „არარაⱥ“-დან ჩანს მიღებული.

რაც შეეხება უარყოფის ფუნქციით ხმარებულ „არაⱥ“-ს, ფუნქციის გარდა იგი გერეზისითაც განსხვავებულია „არაⱥ“ უარყოფითი ნაცვალსახელისაგან; ⱥ-ს აქ უფუნქციოდ მიიჩნევენ[1] და თვლიან, რომ იგი გაჩენილი უნდა იყოს ანალოგიით: „ა) ან თვით უარყოფითი ნაცვალსახელისა, რომელიც ძველ ქართულში „არარაⱥ“-სა და იშვიათად კი „არაⱥ“-ს სახით იყო წარმოდგენილი, ბ) ან კიდევ ხმოვანზე დაბოლოებული არსებითი სახელებისა“[2]. ჩვენ უფრო პირველი გვგონია.

„საქმენი და სწაელანი“ ს A ნუსხაში „არაⱥ“ უარყოფითი ნაცვალსახელისა და ზედსართავის შემადგენლობაშიც შეგვხვდა: „არაⱥვინ მიცნობდა ჩუენ“ (82, სქ. 2); „იყო მგელი იკი არაⱥწმიდაⱥ ეშმაკი“ (80, სქ. 6).

§ 27. ჳ-ს ხმარება. ჩვენს ხელნაწერებში ჳ (ქ) ძირითადად გადმოსცემს უი ჯგუფს და შედის უ-ს (ყ) შემადგენლობაში.

H—341 და A—95 ხელნაწერების ტექსტებში ამ გრაფიკული ნიშნით ზოგჯერ გადმოცემულია უმარცვლო უ-ც. მაგალითები: სიკჳდილი (D 4, სქ. 1); მოიხჳნეს (D 5, სქ. 3); განძარცჳდეს (55, სქ. 7); უთქჳმიდა (D 7, სქ. 1)... უსიტყჳელითა (B 68, სქ. 41); თქჳეს (B 71, სქ. 25); ქჳეყანაⱥ (B 72. სქ. 17) და სხვ.

უმარცვლო უ-ს გადმოსაცემად ჳ-ს ხმარება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც დასტურდება. აღნიშნულ მოვლენას სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ. არნ. ჩიქობავა ვარაუდობს ორი ორთოგრაფიული სკოლის არსებობას, რომელთაგან ერთიანათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო უბრჯგუს აღსანიშნავად ჳ ასოს ხმარება[3].

ორი ორთოგრაფიული სკოლის დაშვება, როდესაც ხელთ არა გვაქვს არც ერთი ძეგლი, რომელშიც უმარცვლო უ-ს ჳ-თი გადმოცემა სისტემას წარმოადგენდეს (ჩვენთვის ცნობილ ძეგლებში ჳ-ს ამ ფუნქციით ხმარებას მხოლოდ გამონაკლისის საბე აქვს), ჩვენი აზრით, ძნელი უნდა იყოს.

---

[1] ი. აბულაძე. ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 015.

[2] ა. შარტიროსოვი, პილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი..., გვ. 22.

[3] ა. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში: ჩვენი მეცნიერება, № 2,3, 1923, გვ. 75.

უმარცვლო უ-სათვის ოჯ-სა და ჯ-ს ხმარებაში ა. მარტიროსოვი გარკვეულ წეს ხედავა; მისი აზრით ჯ მხოლოდ თანხმოვნებს შორის გეხვდება, ხმოვნების წინ ჩვეულებრივ ოჯ იხმარება[1]. ტექსტებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ ჯ უმარცვლო უ-ს განურჩეველად გადმოსცემს როგორც თანხმოვნებს შორის, ისე ხმოვნების წინაც. ასე მაგ.: „საქმენი და სწავლანი“-ს B ნუსხიდან ზემოთ მოტანილ მაგალითებში უმარცვლო უ-ს აღმნიშვნელი ჯ თითქმის ყველგან ხმოვნების წინაა წარმოდგენილი.

ჩვენს ძეგლებში ისეთი მაგალითებიც შეგვხვდა, სადაც ჯ ნიშნით მარცვლიანი უ-ა გადმოცემული: ზღუდე (D 3, სქ. 13); შეგაცთჯნეს (D 4, სქ. 2); შეიტყჯვიან (D 11, სქ. 2); სიცრჯვისაჲთა (D 11, სქ. 7); შენითჯრთ (D 17, სქ. 1); აღნადგინებითჯრთ (D 18, სქ. 5); ცაცთჯრსა (B 68, სქ. 18).

ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ უმარცვლო უ ს ნაცვლად ჯ-ს ხმარების დროს რაიმე ორთოგრაფიულ კანონზომიერებასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ ეს გრაფიკული ნიშანი ზოგჯერ უნებლიეთ უნდა ენაცვლებოდეს ოჯ ნიშანს, იმის მიუხედავად უკანასკნელი უ-ს მარცვლიანს გადმოსცემს თუ უმარცვლოს.

ჯ-ს (უი-ს რომ გადმოსცემს) თავის მხრივ ზოგჯერ ოჯ ენაცვლება. ჩვენთან ასეთი სულ რამდენიმე მაგალითი შეინიშნა: ჩჩულამდე (D 4, სქ. 5); გიკურდეს (D 6, სქ. 1); საკურველებანი (D 9, სქ. 1); გურგუნი (D 12, სქ. 9); უძურესი (D 32, სქ. 7); საკურველებათაჲ (B 66, სქ. 7). აღნიშნულ შენაცვლებას კილოურ მოვლენად თვლიან[2].

ჯ ერთგან უი სახითაც შეგვხვდა: მიკუირს—D 40, სქ. 40.

ძველ ძეგლებში ჩვეულებრივია ჯ-ს ბერძნული ფსილონის (ს) ეკვივალენტად გამოყენება, ნიმუშები ჩვენთანაცაა წარმოდგენილი: დრჯონტი (A 58,8) გადმოსცემს ბერძნულ δρυός-ს; ტჯქი (B 66,2)—ბერძნულ Τύχη-ს; კჯნოპი (A 73,28)—κύνωψ-ს; მჯრონი (A 72,31)—Μύρων-ს; ჰჯთონაჲ—(A 72,34)—Πύθων-ა; პოლჯკარტოს (A 85,8)—Πολύκαρπος-ს; მჯგდონია (D 15,12)—Μυγδόνια-ს; სტაქჯს (D 13,20)—Στάχυς-ს.

აღსანიშნავია, რომ Μύρων და Πύθων ქართულში ჯ-ს გარდა გადმოსულია ინითაც: პითონ, მირონ; ხოლო Μυγδόνια და Στάχυς—უნითაც: მუგდონია, სტაქუს. აღნიშნული ვარიანტები, როგორც ბერძნული ს-ს სწორი შესატყვისები, ტექსტებში გაუაზრებლად წარმოვადგინეთ.

§ 28. E ნუსხის ორთოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ. ტექსტების დადგენისას E ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურებები არ გაგვითვალისწინებია, რაკი ეს ხელნაწერი გვიანდელი, ჩვენთვის ინტერესმოკლებული ორთოგრაფიითაა წარმოდგენილი, სკოლიოების გადატვირთვას ავარიდეთ თავი. მიკუთითებთ მხოლოდ მოგვიანო პერიოდისათვის დამახასიათებელ ორ საყურადღებო ორთოგრაფიულ თავისებურებაზე. ძეგლს ახასიათებს: ა)უმარცვ-

---

[1] ა. მარტიროსოვი, ჰილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი..., გვ. 35.

[2] ა. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში..., გვ. 75; ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბილისი, 1945, გვ. 049.

გურგუნი, წუმა, საკურველი და მისთანა ფორმები დღესაც დასტურდება გარკვეულ კილოებში (კახური, გურული, მესხური).

ლო უ-ს შემდეგ მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად ი-ს ხმარება: უკუი, ქუი-შე, ასუის, აღიმსთუი და სხვ., ბ) ე. წ. იოტამეტობა — უფუნქციო ჲ-ს ხმარება ა-ს შემდეგ: ანდრიაჲ, გიბრძანებიაჲ, ძლიერებაჲსა, ზღუაჲსა და სხვ.

ფონეტიკა

§ 29. ასიმილაცია. ა) ყ-ს მეზობლობაში და მისი გავლენით მჟღერი დ დაყრუებულია და ტ-დ არის ქცეული სიტყვაში „ღაღად-ყოფა". ხელნაწერების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: A ხელნაწერში ასიმილირებული ფორმებიცაა და უასიმილაციოც, B-ში ერთადერთი მაგალითი დასტურდება ისიც ასიმილაციის გარეშე; D ხელნაწერი მხოლოდ ასიმილირებულ ფორმებს გვაწვდის, პარალელურად E კი უასიმილაციოს:

ღაღატ-ყო (D 3,20; A 65, სქ. 2); ვღაღატ-ყოთ (D 40,15); ღაღატ-ყუეს D 34,3; ღაღად-ყო B; ღაღად-ვყოთ, ღაღად-ყუეს E.

ბ) ძველი ქართული ენის ძეგლებში მე-2 სუბიექტური და მე-3 ობიექტური პირის ნიშანი ხ ასიმილაციით შ-დაა ქცეული ჯ ჩ ჭ-სთან[1]. ასეა ეს ჩვენი ძეგლების მიხედვითაც: შჯობდა (AB 62,36); შჩან ‖ შჩა (AB 67,4); გამოშჩნდი (A 65, სქ. 24); შეშჭამდა (D 39,28; 40,5) და სხვ.

სხვა შემთხვევებში ჯ-სა და ჭ-სთან ფუძისეული ს არის შ-დ ქცეული: შჯული (39,22); უკუნმშჭუალული (6,13); უკუნმშჭუალეს (7,5); განშჯად (52, სქ. 5); დაუშჯელთაჲ (67,38) და სხვ.[2]

„სჯულ"-სა და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში ფონეტიკური პროცესი ზოგჯერ უფრო შორსაცაა წასული: რჩულისასა ‖ რჩულისა (69,33); ურჩულოებაჲ (62,22); სარჩელი (86,25) და სხვ.

გ) „გულისხმის-ყოფა" ხანით, უასიმილაციოდ არის წარმოდგენილი A-სა და S ხელნაწერებში: გულისხმა-ყო (49,27; 51,6) და სხვ.

ჯარიანი ფორმები გვხვდება B-სა და D ხელნაწერებში: გულისჴმა-ვყაოთ (21,20); გულისჴმა-ყო (40,13) და სხვ.

დ) ც-სა და შ-სთან დ-ს ასიმილაციით მიღებულად თვლიან თ-ს „ცთომა"-სა[3] და „შთომა" ‖ „შთენა"[4] ზმნებში. ჩვენს ძეგლებში მსგავსად ძვ. ქართული ენის სხვა ძეგლებისა. დასტურდება ასიმილირებული ფორმები: შეგაცთუნეს (4.9); აცთუნებს (20,27); შეცთომილებისასა (14,24); საცთურებისაჲ (21,14); დაშთა (7,34) და სხვა. ფილიპე მოციქულის წამებაში ერთგან შეგვხვდა დაშდუნნეს (5,34), ე. ი. მაგალითი, რომელშიც დ დაყრუებული არ არის თ-დ.

---

[1] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 16; 43.

[2] E ხელნაწერში სანის ასიმილაციას აღნიშნულ ბგერებთან ადგილი არა აქვს; გვხვდება: შესჭამდა, სჯული, უსჯულოთა და ბისთ. ფორმები.

[3] ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 494.

[4] ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 9, 1942, გვ. 967.

ე) ასიმილაციის სხვა შემთხვევებია: მიზდეოზ (20,29) (შდრ. პარალ. მიზდეოს; ბერინ. Μιζδαῖος); იობოსელთასა (J 28, სქ. 19); შდრ. E ნუსხის იებოსელთასა, ბერძნ. Ἰεβουσαίων; ტომის საიელია); ასპიტი (4.30; 6,2; მოსალოდნელი იყო ასპიდი შდრ. ἀσπίς, ίδος), ფართენიოს (S 52, სქ. 61; პართინიოს AB); მამად-მთავარნი (J 28, სქ. 24; მაჩათ მთავარი E).

§ 30. დახიმილაცია. ა) ბერძნული φιλόσοφος ორჯერ გვხვდება „საქმენი და სწავლანი"-ს ტექსტში: ფილოსოფოსი (73,25); ფილასაფოსნი (72,32); მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ო ბგერის დისიმილაციასთან (ფილასაფოსი ← ფილასოფოსი ← ფილოსოფოსი), „ფილოსოფოსი" ბერძნული გახათ გადმოღებული ფორმაა; ხალხურ მეტყველებაში კი იმ დროისათვის, როგორც ჩანს, უკვე არსებობდა ამ სიტყვის ცვლილი ფორმა „ფილასაფოსის" სახით, და ვან ჩვენს ძეგლში ალბათ გადამწერის წყალობით იჩინა თავი.

ბ) ყრუ ბგერის ეზობლობაში გამჟღერებულია თ შემდეგ სიტყვაში: ქსანდიპ0სისა (S 43 სქ. 37; A ქსანთიპ0სისა; B ქსანთიპაჲსისა).

გ) ლ-ს დისიმილაცია: ლერწმისა (← ლელწამი; 15,3); სურნელნი (← სულნელი 5,35); უდისიმილაციო ფორმა დასტურდება პეტრეს წამების ნუსხებში: „ფურცელი სულნელი" (48,5).

დ) რ-ს დისიმილაცია: ორჯელ (16,22; ← ორჯერ); მარგალიტი (3,13; 81,25; ← მარგარიტი); ჰურჰელი (5,36; 57,2); ამ სიტყვის მხოლოდ უდისიმილაციო (ჰურჰერი) ფორმები გვაქვს B ხელნაწერში.

§ 31. ბგერათა მოკვეცა. ა) ძეგლებში არც თუ ისე იშვიათად გვხვდება მაგალითები ზმნებზე, რომლებთანაც ზმნისწინები გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი.

აღ—ა: ამაღლდა (8,40; 23, სქ. 7); ამაღლდებოდა (39,27); აღებაჲ (68,25); ასდგე (52, სქ. 71); თუალ-ახილული (22,18) და სხვ.

გან—გა: გახუნა (16,სქ. 8); გავგრუნდი (73,5); გა-რაჲ-ისწავლნეს (77,7); გაეცადე (79,4).

წარ—წა: წამოაელინა (70, სქ. 1); წაიკითხა (73,40).

ბ) „თთუე" თ-ს მოკვეცით („თუე"-ს სახით) დასტურდება „საქმენი და სწავლანი"-ს ტექსტში[1]: სამ თუე (AB 56,30), სამი თუ0 (61,3); ექუს თუე (89,32); თავსა თჳსასა (81,9) და სხვ. ამ სიტყვის გამარტივება უფრო გვიანდელ ძეგლებშია შენიშნული[2].

გ) რიცხვითი სახელები გაუმარტივებლად, არქაული ფორმით იხმარება: ათორმეტნი ყრმანი (81,6); ორმეოცდაორი (57,5); ორას ოცდაათჳდმეტი (34,7) და სხვ. ერთადერთ შემთხვევაში შეგვხვდა თორმეტი (81,10), — აქ რიცხვითი სახელის ა მოკვეცილი სახე.

დ) იქვე „საქმენი და სწავლანი"-ს ტექსტში „უფროჲს" „უფროჲ" სახითაა წარმოდგენილი: „შეგაგდო შენ მას შინა უფროჲ ხოლო ამისთჳს, რამეთუ"... (A 59, სქ. 19; B-ში: უფროჲს), თუ ამ ერთადერთ მაგალითში სან-ი უნებლიეთ არ არის გამორჩენილი, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე

[1] სხვაგან ეს სიტყვა არ შეგვხვედრია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პეტრესა და პავლეს წამებათა სათაურში თ-ა-ს, რომლის ქარაგმაც „თთუესა" სახით ჩვენ გავხსენით.

[2] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბილისი, 1946, გვ. 69.

გვაქვს სანის მოკვეცასთან, რის შედეგადაც უფრო გვიან მარტივი ფორმა „უფრო“ მივიღეთ (უფროჲს → უფროჲ → უფრო).

ე) ერთგან „ზედა“ თანდებული „ზე“ სახით შეგვხვდა: ჩენსა ზე (47,1; „რაჲ არს ქრისტე, არამედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ანუ ესე ჩემსა ზე ძელი“).

„საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში „მოგუალე“ ზმნის შინაარსი მხოლოდ მო ზმნისწინითაა გადმოცემული: „მო და შეიდეთ სახლსა თქუენსა“ (84,17). ამგვარი შემთხვევები ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც დასტურდება („მო და მივიდეთ ბეთლემდმდე“ — ლ. 2,15; „აწ მო და მივიდეთ მისა“ — იოვ. 11,15).

§ 32. **ბგერათა დაკარგვა.** ა) ლ-ს დაკარგვა: არსებითი სახელები „სიკუდილი“ და „სახლი“ ფუძისეულ ლ-ს კარგავენ ვითარებით ბრუნვაში[1]; ჩვენს ძეგლებში „სახლი“ აღნიშნულ ბრუნვაში მხოლოდ „სახიდ“ ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო „სიკუდილი“ ხან „სიკუდიდ“ და ხან „სიკუდილდ“ ფორმით.

„სავსე არს ნათით მისითა“ (11,29; შდრ. „თუალნი მისნი დაუბრმედ ნათლითა შენითა“—19,29).

„დამუსრნეს ჰურჴელნიცა საცხებლის-მგბოლვეთანი — 5, სჭ. 11.

„მკუდარნი მათნი არაჲ დაჰფინიან“ (34, სჭ. 52).

ბ) რ-ს დაკარგვა. გვხვდება „ძრწოლა“ და მისი რაე დაკარგული ფორმა „ძწოლა“; იოვანე ღმრთისმეტყველის ცხოვრების A ნუსხაში გვაქვს „ძრწოლა“ ‖ „ძწოლა“, B ნუსხაში მხოლოდ „ძწოლა“: ძწოლამან (AB 62,2; 65,20); ძრწოლითა (A 62,20; ძწოლითა B); ძწოლით (A 81,38) და სხვ. D ხელნაწერში, ერთადერთი მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ძრწოლა“ დასტურდება ძრწოლითა (8,43).

რაე ჩანს აგრეთვე დაკარგული „მსხუერპლ“-ში: მსხუეპლ (12, სჭ. 5).

გ) დ-ს დაკარგვა: ჩავარდნილია დ თანხმოვანი ხმოვნებს შორის ფორმაში „დიდად“: „დიად ვშუერ“ (84,3).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული -დ -მდე თანდებულის წინ ზოგჯერ არის შენარჩუნებული, ზოგჯერ არა: კარადმდე (4,20); თხოვადმდე (7,19); სიკუდიდმდე (28,36), მაგრამ: ჩჩვლამდე (4,22); ბოლომდე (6,29); დღემდე (9,4) და სხვ.

დ) ვ-ს დაკარგვა: ვინი იკარგვის: 1) ოვე კომპლექსში: ვჰპოებთ (4,35); ვპოენით (33,13); ცხოელმან (B 48, სჭ. 25); მთხოელ (B 58, სჭ. 21), განაცხოელე (B 63, სჭ. 17) და სხვ. ოვე კომპლექსში ვინის დაკარგვა ყოველთვისაა გატარებული B ნუსხაში, სხვაგან იგი უფრო ხშირად წარმოდგენილია: ცხოველმან (AS 48,13); ვპოვეთ (A 91,3) და სხვ.

2) ოვო კომპლექსში: იპოოს (8,10); ცრემლოოდა (55,5); ჰმაღლოოდე (37,9) და სხვ.

3) უ-ს შემდეგ: შეურდა (83,14).

4) ო-ს შემდეგ: ვიგლოთ (A 70, სჭ. 29); „ცხოვრება“ ჩვენს ძეგლებში მხოლოდ ვინის გარეშე გვხვდება. ჰეტრესა და პაველეს წამებათა სინურ ნუსხაში კი ამ სიტყვის მხოლოდ ვინიანი ფორმებია წარმოდგენილი: ცხოვ-

[1] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934, გვ. 014, შენ. 3.

რებაჲ (44,6); ცხოვრებისაგან (48,20); ცხოვრებასა (49,23) და სხვ.

ა) ო-ს წინ: გასწაო (41,21); გასწაოს (77,31) და სხვ.

ბ) უ-ს წინ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვინი ყოველთვის იკარგვის: წარუკითხე (90,31); უწყით (56,1) და სხვ.

გ) სხვა შემთხვევებში: მამსგასეს (21, სქ. 36); შეჰურიან (21,10; შდრ. ჰურვილნი 17,10); უჰირებელ (68,10; შდრ. უჰირვებელ B); ძეს (← ძევს)—69,35.

ე) უმარცვლო უ-ს დაკარგვა: უკუ-მშჯალნეს (5, სქ. 6; შდრ. უკუმშჯულულ 7,33); აღთქმულ (20,1); განხმულნი (33,8; შდრ. ეპოვენით კარნი ეიე განხუმულნი" — 16,23); პირუტყნი (39, სქ. 42; შდრ. პირუტყუნი E).

ვ) ნარია დაკარგული ფორმაში შეგრძიბნეს (34, სქ. 14; შდრ. შეჱგრძნიბნა – 57,13).

ზ) ე. წ. თეშდიდურობის შემთხვევები[1]. ხშირად ნანათესაობითარ მსაზღვრელად გამოყენებული საკუთარი სახელები და მესამე პირის ნაცვალსახელები მიცემით ბრუნვაში ორის ნაცვლად ერთი ხანით არიან წარმოდგენილნი. შემთხვევები მრავლად დასტურდება ჩვენს ძეგლებშიც: „აბანოსა დიოსკორესა" (83, სქ. 4); „ტაძარსა დიონჳსესა" (84, სქ. 6); „სიტყუასა ზედა იოვანესა" (67, სქ. 2); „პირსა მისა" (93, სქ. 23); „ადგილსა მისა" (92, სქ. 35) და სხვ.

თ) „ქმნა" ზმნის ფორმებში სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნ ზოგჯერ წარმოდგენილი არ არის, ცხადია, ფუძისეული ნ-ს ობიექტის მრავლობითობის ფორმანტში აღრევის გამო, მაგალითები „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ"-ს D ნუსხაში შეგვხვდა:

„რომელნი არიან ძალნი იგი, რომელ ქმნა ფარულად" (26, სქ. 12); „ძალნი რაჲდენნი ქმნა წინაშე მათსა" (25, სქ. 47); „ჩუენ შეგუქმნა ღმერთმან ქუეყანისაგან" (39, სქ. 39). „უცხო ვიქმნეთ კეთილთა მაგათგან" (24.24) და სხვ. „საქმენი და სწაულანი"-ს A ნუსხაში ერთგან „წარყვანება" ზმნაა ობიექტის მრავლობითობის ნ-ს გარეშე წარმოდგენილი: „წარმიყვანა ჩუენ დიოსკორიდი" (64, სქ. 16).

§ 33. ახალი ბგერის გაჩენა. ა) „საქმენი და სწაულანი"-ს ტექსტში დასტურდება სიტყვა „ექსორია" და მისგან ნაწარმოები „ექსორიობა" ‖ „ექსორიაობა", იგი ბერძნული ἐξ-όριᾱ-დან მოდის. ტექსტის A ნუსხაში მაგალითების უმრაელესობა ქ-სა და ს-ს შორის უმარცვლო უ-ს შეიცავს: ექუსორია-მყუნენ (70, სქ. 4), ექუსორიობასა შევრდომაჲ (70, სქ. 6) და სხვ. უმარცვლო უ აღნიშნულ ფორმებში განვითარებული ჩანს (შდრ. ექსორია-მყოფ—AB 59,7; ექსორია-მყუნენ—B 70,2; ექსორიობასა—B 70,6; ექსორიობისა—A 87,40).

ბ) ნ უნდა იყოს განვითარებული სახელებში: „ღრიანკალი" და „მგზნებელი"—ღრიანკალნი (11,31; შდრ. ოთხთავის ტექსტში: ღრიაკალი ლუკა 10,19; 11,12), მგზნებელი (60, სქ. 20). ამ ერთი შემთხვევის გარდა სხვაგან უნარო („მგზებელი") ფორმა დასტურდება.

---

[1] ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, ტფილისი, 1929, გვ. 328.

გ) ვ არის განვითარებული სიტყვებში: მიფლვე (42,9); სტოვაჲ (82,36; შდრ. ბერიან. στοά).

დ) ჩვენს ძეგლებში „მუნქუესვე“ ხმნიზედა ყველგან მხოლოდ „მუნთქუესვე“ სახითაა წარმოდგენილი: მუნთქუესვე (8,22; 40,2); მუნთქუეს (4,23) და სხვ.

ამ ფორმებში თ-ს ქუეს-ის თქუეს-ად გააზრების საფუძველზე გაჩენილად თვლიან[1].

ვ) მესამე პირის ნაცვალსახელებისა და საკუთარი სახელების ნათესაობით ბრუნვასა და ნანათ. ვითარებითში ზოგჯერ ნათესაობითის ფორმანტისეული ს-ს გვერდით მეორე ს საც ვხვდებით: „წინაშე მისსა“ (97, სქ. 9); „მისსა მიჱართ“ (10, სქ. 1); „უძლიერჱ არს მისსა“ (16,5); აგრეთვე: „მიახლებამდე მისსა“ (86,8); „ხატად ფილიპესსა“ (13,24) და სხვ.

ჩამოთვლილ შემთავეევებში ზედმეტი ს-ს არსებობა შეიძლება აიხსნას საკუთარი სახელებისა და მესამე პირის ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმების მათიეე ნანათესაობითარი მიცემითი ბრუნვის ფორმებთან აღრევით (შდრ. საქმესა მისსა, საქმესა იოვანჱსსა და მისთ.).

ამგვარი აღრევის დაშვება მით უფრო სავარაუდებელია, რომ არ დასტურდება რა საზოგადო სახელთა ბრუნებაში „კაცისსა“ ტიპის ფორმები (ნანათესაობითარ მიცემითში გვაქვს საქმესა კაცისსა ტიპი), არც მათი (საზოგადო სახელების) ნათესაობითი ბრუნვა გვხვდება სადმე ორი სანით (მივიდა უფლისა, მაგრამ არავითარ შემთავეევაში: მივიდა უფლისსა).

§ 34. სუბსტიტუცია. რამდენიმე შემთხვევაში ოე კომპლექსი უე-დაა შეცვლილი: სიწრფუებასა (9, სქ. 8); სარწმუნუებასა (15, სქ. 10); სასუებასა (15, სქ. 12). ოე კომპლექსთან უე-ს მონაცვლეობა დღეს გარკვეულ დიალექტებში დასტურდება[2].

ეა<ია: ანდრიატი (39,12; 39,14; 40,20 ἀνδριάς, ἀνδριάντος) მაგრამ: ანდრეატსა (40, სქ. 21), ტერტია (20,8), ტერტიან (16,28); ტერტიაჲს თანა (14,22 შდრ. ბერძნ. Τερτίᾳ), ერთგან: ტერტეაჲთურთ (15, სქ. 4).

ია<ეა: „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს მთავარი მოქმედი პირის სახელი „ანდრეას“ სახითაც გვხვდება და „ანდრიას“ სახითაც, ამოსავალ ფორმად პირველი ივარაუდება (შდრ. ბერძნ. Ἀνδρέας). ერთმანეთის გვერდით დასტურდება აგრეთვე „ქრისტეანე“—ქრისტეანემან (AB 43, სქ. 24); ქრისტეანენი (AB 51, სქ. 7; 51, სქ. 55)—და „ქრისტიანე“ (ნახე AB ნუსხების შინაარსების პარალელურად S ნუსხის ჩვენება) ფორმები.

-იან სუფიქსს -ეან-ისგან მიღებულად თვლიან[3]. გვგონია, რომ აქ ანგარიშში უნდა გაეწიოს ბერძნულ χριστιανος ფორმას (რაც „ქრისტიანეს“ უდრის), და ამ სიტყვაში შებრუნებული პროცესი ია>ეა ვივარაუდოთ.

სუბსტიტუციის სხვა შემთხვევები: ა) „შიდა“ ნაცვლად „შინა“-სი ორგან: „გულსა შიდა“ (11,2); „ჯოჯოხეთს შიდა“ (41,13), ბ) „ლაბრენტიოს“

---

[1] H. Mapp, T. P., VI, 1934, გვ. 58.

[2] ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, ტფილისი, 1925, გვ. 64: ვ. თოფურია, ქართლური, არილი, ტფ., 1925, გვ. 138.

[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბილისი, 1953, § 163, გვ. 124.

(77,15) მიღებულია ლავრენტიოს'იდან (Λαυρεντιος); „უმკია" მიღებულია „უნკია"-საგან: უმკიასა (70,74; შდრ. ბერინ. οὔγγια)[1].

§ 35. **რედუქცია.** „რაოდენ"-ში ზოგჯერ რედუქციის გზით ო ვ-დაა ქცეული; მხოლოდ ვინიანი ფორმით „რავდენის" სახით გვხვდება ეს სიტყვა B და D ხელნაწერებში. A-ს გადამწერი უფრო ხშირად „რაოდენს" ხმარობს, იშვიათად „რავდენს". „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ"-ს E ნუსხაში „რაოდენი" დასტურდება.

რედუცირებულია ა „მეჯრმლე"-ში: მეჯრმლესა (97,14); მეჯრმლემან (97,15); მეჯრმლისასა (97,17), მაგრამ: მეჯრმალესა (S 97,18).

§ 36. **„დაჰარ" ფორმის შესახებ.** „საქმენი და სწავლანი"-ს ტექსტში ერთგან ვკითხულობთ:

„დაჰარ ეტრატი ესე და წმიდად დაწერე მას შინა სახარებაჲ" (89,15).

გარკვეული რიგის ე-ს შემცველ სიტყვათა შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათში ეს ე მეორეული უნდა იყოს და, რომ ამ უკანასკნელთათვის უძველეს ქართულში ამოსავლად ა ივარაუდება[2].

„დაჰრა" ერთ-ერთი აღნიშნული რიგის სიტყვათაგანია, „დაჰარ" კი ქართული ენის ამ არქაული ვითარების გამომავლინებელი მაგალითი ჩანს.

§ 37. **მეტათეზისი.** მეტათეზისი გვაქვს:

ა) რ სა და ლ-ს შორის სიტყვაში მწლაფრ (22, 33; ← მწრაფლ).

ბ) ჯ სა და ი-ს შორის გეოგრაფიულ სახელში მირჯნოსით (87,26; შდრ. Μυρ:νούσῃ).

გ) უ-სა და რ-ს შორის საკუთარ სახელში „ხრუსიპი": ხურსიპოს (78, სქ. 5; შდრ. სხვა შემთხვევებში: ხრუსიპი — 77,16; 78,2; ბერძნ. Χρυσί:::ῃ).

§ 38. **ბგერათ შერწყმა.** უე>ო: დამჯობაჲ (66, სქ. 12); დამჯობილი (62, სქ. 15 A); შდრ. პარალელურად B-ში: დამჯუებაჲ, დამჯუებული, აგრეთვე ორივე ნუსხაში: დაემჯუა (4,34; 69,2).

მორფოლოგია

სახელები

§ 39. **ხაზოგადო სახელთა ბრუნება.** საზოგადო სახელთა ბრუნების თვალსაზრისით ჩვენი ძეგლები ძირითადად კლასიკური ქართული ენის ნორმებს იცავენ[3]. მივუთითებთ ზოგიერთ თავისებურებებზე.

ა) წრფელობითის ხმარება მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად. რამდენიმე შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნაცვლად თანხმოვანფუძიანი სახელი წრფელობითის ფორმითაა წარმოდგენილი:

---

[1] უსუბსტიტუციო ფორმა „უნკია" დასტურდება მაგ., საბა პალესტინელის ცხოვრებაში: კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. II, თბილისი, 1946, გვ. 155.

[2] გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში (თეზისები), სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, თბილისი, 1955.

[3] ამ ნორმათა შესახებ: ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 13—16; ივ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ტაბულები: ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, თბილისი, 1953, გვ. 313—319.

„მოგჳპოვენ თაჳით შენით ყოვლადვე ნათელ, რომლისაგან გამოჴდეს ყოველნი ტომნი“ (7,22).

„თუ არა მინდეს სიკუდილ, უწყოდეთ, რამეთუ ჴელ-მეწიფების“ (15,38).

„იხილნა ხენი დიდნი ნაყოფიერ“ (39,1).

თვლიან, რომ აქ საქმე გვაქვს იმ ძველი ვითარების გადმონაშთთან, როდესაც სახელობითი ბრუნვა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და მის ფუნქციებს წრფელობითის ფორმა ითავსებდა[1].

ბ) „საქმე“ და „ყურე“-ს ნათესაობითი ბრუნვა. ე-ფუძიანი სახელები საქმე და ყურე თითოჯერ ნათესაობით ბრუნვაში ფუძის უკვეცლად შეგვხვდა:

„საქმჱსა ამისთჳს“ (A 59,10), „საქმესა ამისთჳს“ B.

„ყურჱსა ერთისაგან“ (A 94, სქ. 24), „ყურჱჲსა ერთისაგან“ B.

სინაა ხელნაწერის პარალელურ ტექსტში ყურე ფუძის კვეცით ყურისა საითაა წარმოდგენილი: სავაგან ეს სიტყვა არ შეგვეყრია; საქმე კი აღნიშნული შეთხვევის გარდა ყველგან საქმისა სახით დასტურდება (შდრ. „საქმისაგან თჳსისა“—61,20; „ამის საქმისათჳს“—73,19 და სხვ.)

გ) ემფატიკური ა. ადგილის გარემოების ფუნქციით ნახმარი სახელები მიცემით ბრუნვაში ემფატიკური ა-ს გარეშე შეგვხვდა: „მისლვად აბანოს“ (61,1): „შემახნეს საპყრობილესა“ (69, სქ. 21); „ძჳ მისი მოვარჩენე აბანოს“ (83.25); „იყვენით თქუენ ჯოჯოხეთს შინა“ (40,33); „ჯოჯოხეთს შიდა“ (41,13).

მაგვსი მაგალითები ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც დასტურდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე ორგვარი აზრი არსებობს: ერთი თვალსაზრისი აქ ემფატიკურ ა-ს დაკარგულად მიიჩნევს და მის დაკარგვას მიცემით ბრუნვაში დაამულ ადგილის აღმნიშვნელ საკუთარ სახელთა ანალოგიით ხსნის[2], მეორე თვალსაზრისი პირველია საწინააღმდეგოა; იგი თვლის, რომ „ემფატიკურ ანიანი ფორმები ენის განვითარების უფრო მოგვიანო საფეხურს ასახავს, ოდენ სანიანი მიცემითი კი პირვანდელი ჩანს“[3].

თომა მოციქულის წამების ტექსტში ირიბი ობიექტის გამომხატველი სახელიც ენახეთ ემფატიკური ა-ს გარეშე: „ნუმცა წარიტაცებს მას მტერი იგი და ნუცა-მცა თჳსსა მას ღუარძლს შეჰრთავს“ (18,21).

დ) წოდებითი ბრუნვის შესახებ. ჩვენს ძეგლებში, მსგავსად ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებისა, საკელები წოდებით ბრუნვაში ძირითადად შემდეგი სახით აოიან წარმოდგენილნი. საკუთარი სახელები (ვგუ-

---

[1] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 637.

[2] ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXX, 1947, გვ. 346.

[3] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 146.

ლისხმობთ ადამიანთა სახელებს, გეოგრაფიული სახელები მიმართვის ფორმით აქ არ შეგხვედრია) ფუძის სახით, ხოლო საზოგადო სახელები, როგორც თანხმოვანფუძიანები, ისე ხმოვანფუძიანები, ო ნიშნით[1].

თომა მოციქულის აპოკრიფში ყურადღებას იქცევს რამდენიმე შემთხვევა, სადაც მიმართვისათვის საზოგადო სახელებში წოდებითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითისა და წრფელობითის ფორმებია გამოყენებული:

„თანა-მოღუაწეო და შემწეო უძლურთაო, ღმერთო ჩემო, იესუ, გინცო და საოო და შესაევედრებელო უძლურთაო, მაზურალთა განმსუენებელო, ქმაჲ, რომელი გარდამოჰქედ ზეცით, მგლოვარეთა ნუგეშინის-მცემელ, გამოჩინებულ, განსასუენებელ, რომელნი მიცვლენან შენსა მას ადგილსა, მჴსნელო და მკურნალო, რომელი მრავალთათჳს ჯუარს-ეცუ“ (14,5—9).

„ჩ მრავალ-მოწყალეო ყრმაო, იესუ, რომელი-იგი ჴრავლითა მოწყალებითა თჳსითა მოგაცვლინა ჩუენთჳს მამაჲნ, რომელსა საქმენი თჳსნი ადიდებენ მას, ძჳ ზჱსკნელისა მის მამისაჲ და სრულ-არსებისა ჴის ზესკნელისა მოვლინებულ, მომატყუებელ მონათა შეხთა, მდიდარი ეგე რომელმან შენნი მონაგებნი განამდიდრნე, რეცათუ გლახაკთა წადიერ და ბჭიერთა ორმეოც დღე ექმენ“ (14,15—21).

„წჳდამან მოციქულმან ჰრქუა მათ წინაშე სიმრავლესა ძმათასა: ასულნი და დანი, რომელთა უფალი ჩემი გრწმენა“ (15,20—21).

წოდებითისათვის სახელობითის გამოყენებაზე მაგალითი იოვანე ღმრთისმეტყველის აპოკრიფშიც დაიძებნა: „იოვანე... ჰრქუა მაჯ: წარვედით, შვილნი, სახიდ თჳსა“ (88,24).

სამეცნიერო ლიტერატურაში წოდებითის ფუნქციით წრფელობითის ხმარებაზე ორგვარი აზრი არსებობს: ერთით აღნიშნული ფაქტი ქართული ენის იმ უძველესი ვითარებაა გადმონაშთადაა მიჩნეული, როდესაც წოდებითი ბრუნვისათვის რაიმე სპეციალური ნიშანი არ არსებობდა[2], მეორე თვალსაზრისი ამ მოვლენას საკუთარი სახელების მიმართ ანალოგიად თვლის[3].

რაც შეეხება წოდებითის ფუნქციით სახელობითის გამოყენებას, სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ შემდეგი აზრია გამოთქმული: „მას შემდეგ, რაც ქართული ბრუნებაა სისტემაში გაჩნდა სახელობითი და თანდათანი გაკრობის გზას დაადგა წრფელობითი, ამ ახლად მოვლენილი ბრუნვის ფორმა გამოიყენეს მიმართვის სახელებმა, მაგრამ ამ მდგომარეობაში ყოფნა მათ დიდხანს არ მოუხდათ, მალე თვით ცათ გაუჩნდათ ბრუნვის ნიშანი ო“[4].

მიმართვისათვის სახელობითის ხმარება, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მიმართვის ფორმებიაგან წოდებითი ბრუნვის ჩამოყალიბებამდე განვლილი საფეხური, ნ. მარი მიუთითებდა „ფიზიოლოგში“ აძ მოვლენის სომაურია

---

[1] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934, 013—016; ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ტაბულები... თბილისი, 1953, გვ. 325—332.

[2] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 73—79.

[3] ალ. ჯიშიაშვილი, ჰილ-ეტრატის იადგარის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 1942, გვ. 147.

[4] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 81.

გავლენით არსებობაზე[1], აღნიშნულ მოვლენაში ჩვენც სწორედ უცხო ენათა გავლენას ეხედავთ, სახელდობრ, სომხურისა და ბერძნულის გავლენას; სომხურს წოდებითი ბრუნვა არა აქვს და მიმართვისათვის ფუძეს ანუ სახელობითის ფორმას იყენებს, ბერძნულში კი სახელთა ერთი ჯგუფის წოდებითის ფორმები სახელობითის ფორმებს ემთხვევა[2]. გავლენა შემდეგნაირად აიხსნება: ქართველ მთარგმნელებს ამ ენათა ტექსტებიდან თარგმნის დროს ალბათ ზოგჯერ მიედველობიდან რჩებოდათ ის ფაქტი, რომ იქ სახელობითი ბრუნვის ფორმა მიმართვის ფუნქციით იყო გამოყენებული და სახელობითის ფორმას ქართულშიც სახელობითს უფარდებდნენ; ეს გარემოება კარგად ჩანს ჩვენი ერთი მაგალითიდან:

„მ დ ი დ ა რ ი ე გ ე, რომელმან შენნი მონაგებნი გ ა ნ ა მ დ ი დ რ ნ ა“ (14,19).

სომხურში შესაბამისად მიმართვის ფორმა დასტურდება *մեծատուն ոք որ զքո ստացուածոյդ մեծացուցանես* (გვ. 389).

ქართველ მთარგმნელს „მდიდარი“ რომ მიმართვის ფორმად ესმოდეს, მასთან ნაწევარს (ეგე) არ წარმოგვიდგენდა და შემასმენლის მე-2 პირის ფორმას მე-3 პირის ფორმით არ შეცვლიდა; აშკარაა, რომ აქ „მდიდარი“ მთარგმნელის მიერ მიმართვის ფორმად არაა გააზრებული.

„წარვედით, შ ე ი ლ ნ ი, სახიდ თჳსა“ .. ამ შემთხვევაში ბერძნულის გავლენაზე მივუთითებთ, რადგან, იოვანე ღმრთისმეტყველის აპოკრიფი ბერძნულიდან თარგმნილი ტექსტია (ნ. § 17); ჩვენა ფორმას „შეილნი“ ბერძნულში შეესაბამება τεκνίες, რაც ერთდროულად არის „შეილიც“ სახელობითი და წოდებითი მრავლობით რიცხვში.

სახელი „მოძღუარი“, მიმართვად გამოყენებული, როგორც ცნობილია, ადრინდელ ძეგლებში ო ს არ დაირთავს[3]. „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში იგი ორი შემთხვევის გარდა „მოძღუარო“ სახით შეგვხვდა (მ ო ძ ღ უ ა რ — — 85,17; 88,32; მ ო ძ ღ უ ა რ ო — 78.4; 78,9; 79,2; 80,7; 60,31: 89,35). ეს იმას ნიშნავს, რომ მე-10 საუკუნის მეტყველებაში მ ო ძ ღ უ ა რ ო ფორმა წოდებითი ბრუნვისათვის ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. ამ საუკუნისა და უფრო გვიანდელ ძეგლებშიც მ ო ძ ღ უ ა რ თუ მაინც გვხვდება, ეს ერთი ხელნაწერიდან მეორეში პირის უცვლელად გადაღების პრინციპით უნდა ავხსნათ.

ეოთგან, თომა მოციქულის წამებაში შევხვდა ასეთი მაგალითი:

„უფალო მ ე ფ ე[4], გრძნეული იგი გამოიყვანე მიერ“ (16, სქ. 7).

წოდებითში ამ სახელის უნიშნოდ, ო-ს გარეშე, წარმოდგენა ჩვ-10—11 საუკუნეების სხვა ხელნაწერებისთვისაცაა დამახასიათებელი[5].

საფიქრებელია, რომ ამისი მიზეზი იყოს ამ სახელის საკუთარ სახელად გაგება — მეფე ერთია და აღნიშნული ტიტულიც მისი, ერთის კუთვნილებაა.

---

[1] H. Mapp. T. P., VI. XXXII.

[2] С. И. Соболевский, Древнегреческий язык. Москва, 1948, стр. 19—64.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა..., გვ. 014; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 75—76.

[4] ტ აქ არ მიუთითებს ზმართვის მორფოლოგიურ გაფორმებაზე სახელობითში.

[5] ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 031.

§ 40. ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვის შესახებ[1]. ჩვენს ძეგლებში, ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად, მრავლად დასტურდება მაგალითები ფორმაზე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნანათესაობითარი ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის სახელითაა ცნობილი[2]. მაგალითები:

„ვითარცა განთენა, მივიდეს მ ე ფ ი ს ა“ (16,19).

„მივალ უ ფ ლ ი ს ა“ (52,20).

„წარიყვანა უკუე დომნოს იოვანე და შეიყვანა მ ა მ ი ს ა თ ჳ ს ი ს ა“ (63,4).

„მოვიდა მ ი ს ა წმიდაჲ პაველ“ (53,18).

„წარვიდეთ ჩუენ ა წ ნ ე რ ო ნ ი ს ა“ (52, 28) და სხვ.

აღნიშნული ფორმები იხმარებიან მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან (როგორიცაა: მოსვლა, წასვლა, შეყვანა, მივლენა, შეწირვა, მიქცევა და სხვ.) და შინაარსით გადმოსცემენ უბრალო დამატებას (უპასუხებენ კითხვაზე ვის: „უფალო ვ ი ს ა მივიდეთ?“ — იოვ. 6,68).

როდესაც უ ფ ლ ი ს ა, მ ი ს ა, ნ ე რ ო ნ ი ს ა და მისთანა ფორმებს ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმებად აცხადებენ, ფიქრობენ, რომ აქ საქმე გვაქვს ნანათესაობითარ მსაზღვრელთან, სადაც „საზღვრულისა და მსაზღვრელის ნაცვლად მხოლოდ მსაზღვრელია მოცემული, ხოლო საზღვრული იგულისხმება“[3], ე. ი. როდესაც ასეთი წინადადება გვხვდება: „პატრაკლეს ეშინოდა შესლვად კ ე ი ს რ ი ს ა“ (92,20), აქ „კეისრისა“ ნანათესაობითარ ვითარებით ბრუნვად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც საზღვრული ს ა ხ ი დ, კ ა რ ა დ, ა დ გ ი დ ან რომელიმე სხვა სიტყვა აკლია, მაგრამ იგულისხმება კი.

ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითის მაგალითებზე დაკვირვებისას გამომჟღავნდა მეტად საყურადღებო გარემოება, სახელდობრ ის, რომ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ფ ო რ მ ი თ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ვ ი ნ ჯ გ უ ფ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი იხმარება.

უამრავ მაგალითებში მხოლოდ სამი გამონაკლისი შეგვხვდა, სადაც ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის ფორმით რა ჯგუფის სახელებია წარმოდგენილი:

„შევიდა ყრმაჲ ხ ა ტ ი ს ა მ ი ს“ (კიმ. 154,19);

„მივედ ფ უ ტ კ რ ი ს ა და ისწავე, ვითარ-იგი მოქმედ არს“ (იგავ. 6,8);

„მიგუალე ჯ ი ნ ჭ ვ ლ ი ს ა და ჰბაძევედ, ჲ მედგარო“ (სახის მეტყ., ისტ. ქრესტ. 282,33)[4].

---

[1] ამ საკითხს ვრცლად განვიხილავთ ნაკვლევში „ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში“, რომელიც წავიკითხეთ მოხსენებად 1959 წ. აპრილში საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სესიაზე (ნ. თეხისები) და რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბის № 2-ში დაიბეჭდება.

[2] ს. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში, თსუ შრომები, XXV, 1942, გვ. 175—177; ე. თ ო ფ უ რ ი ა, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში (მოხსენების თეზისები): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი 1, თბილისი, 1956, გვ. 32; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება..., გვ. 374—380.

[3] ს. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[4] ამ მაგალითებს ვიმოწმებთ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს წიგნიდან: „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“... (გვ. 712).

ამ გამონაკლისებს, ჩვენი აზრით, თავისი ახსნა აქვს: მოცემულ კონტექსტებში ხატისა, ფუტკრისა და ჯინჭვლისა გონიერ, ადამიანური თვისებების მქონე საგნებად უნდა იყოს გაგებული.

ვინ ჯგუფის სახელთა ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმებს რა ჯგუფის სახელები ჩვეულებრივ ჰიცემით ბრუნვაში შეესატყვისება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს როგორც ჩვენი, ისე სხვა ძეგლებიდანაც:

„წარიყვანეს პეტრე და მიიყვანეს აგრიპა მეფისა“ (45,6).

„წარვიდენ მეფისა ჩუენთჳს“ (77,25).

„მოვიდოდა ხარკებიცა მეფისა აგრიპაჲსი პეტრჱსა“ (43,8).

„მოავლინეს მისა ფარისეველთაგანი ვინმე“ (მარკ. 12,13).

„მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა“ (ჰაბო 61,28).

„მოიწია... მამაჲ ჩუენი გრიგოლ წმიდისა მის ბერისა“ (ხანძთ. 103, 35).

„მიიყვანეს წმიდაჲ პეტრე ჯუარსა მას“ (45.26).

„წარვედით, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსაჲ“ (გობრ. 83,3).

„განთიად მივიდოდეს საფლავსა მას ლონგინე და კესტოს“ (54,4).

„მოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა“ (მათე 9,38).

„მივედ ხესა მას“ (ცხ. ადამისი 9,38).

„მივიდა მდინარესა მას, წინაშე მათსა ჩაყოფსაჲ“ (ზარზმ. 90, 46).

„მიიწია იგი წმიდასა მას დღესა დიდსა დღესასწაულსა აღსებასა“ (ჰაბო 62,33) და სხვ.

მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. წინადადებებში მისვლა ჯუარსა, ხესა, მდინარესა, ცხედარსა, ნიშნავს მისვლას ჯვართან, ხესთან, მდინარესთან, ცხედართან ასევე მისვლა კეისრისა, მეფისა, პეტრჱსა — მისვლას კეისართან, მეფესთან, პეტრესთან, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე ფუნქციით ხმარებისას ვინ და რა ჯგუფის სახელთა ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავებულია[1].

ვინ და რა ჯგუფის სახელთა ზემოთ მოყვანილი დაპირისპირება, ვფიქრობთ, რომ კავშირში უნდა იყოს ძველ ქართულში მოქმედ სინტაქსურ წესთან, რომელიც პროფ. ქ. კეკელიძემ მიაკვლია: „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულებიაგან ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით ვინ და რა ჯგუფის სახელთა გარჩევასთან[2].

---

[1] რა ჯგუფის სახელების მიცემითი ბრუნვის ფორმებს იმავე ფუნქციით ხმარებისას ხშირად ენაცვლება ვითარებითი ბრუნვის ფორმები (მაგ.: „არა აუფლის მას მისლვად აბანოს“ — A 61,1; არა აცადის მას შესლვად აბანოდ B), მაგრამ ეს მონაცვლეობა მიცემით-ვითარებითი ბრუნვების გენეტური კავშირით აიხსნება. ნ. ამ საკითხზე: H. Marr, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 23—28; ვ. თოფურია, ბრუნვების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურათა ბრუნვებასთან შედარებით, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. V, № 3; ე. ბაბუნაშვილი, მიცეჱთი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველს ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956, გვ. 393—402.

[2] ქ. კეკელიძე, „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, 1942, გვ. 177—182; № 3, გვ. 283—287.

ჩვენი მაგალითების მიხედვით ის დასკვნა კეთდება, რომ ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით ვინ და რა ჯგუფის სახელებს შორის დაპირისპირება უთანდებულოდაც არსებულა.

ერთი გარკვეული ფუნქციით ხმარებისას რა ჯგუფის სახელები იყენებენ თანდებულიან ან უთანდებულო მიცემითს, ვინ ჯგუფის სახელები თანდებულიან ნათესაობითსა და ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითს. კანონზომიერი კი იქნებოდა, რომ ვინ ჯგუფის სახელებიც ორსავე — თანდებულიანობისა და უთანდებულობის — შემთხვევაში რა ჯგუფის სახელთა მსგავსად ერთ ბრუნვაში ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი.

მოსალოდნელი კანონზომიერების არარსებობა ეჭვს ბადებს: ნანათესაობითარ ვითარებითად მიჩნეული ფორმები ხომ არ წარმოადგენენ მარტივად ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს?

აღნიშნული ფორმების ნათესაობითის ფორმებად აღიარებას ძირითადად ის აბრკოლებს, რომ ადამიანთა საკუთარ სახელებსა და მესამე პირის ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში ემფატიკური ხმოვანი ა არ უნდა ერთვოდეთ, ჩვენი ფორმები კი ყველა ა დაბოლოებითაა წარმოდგენილი[1].

ძველ ქართულში საკუთარი სახელებისა და მე-3 პირის ნაცვალსახელებისათვის ნათესაობით ბრუნვაში ემფატიკური ა-ს დართვა შეუძლებელი არ ჩანს, პირიქით, გარკვეულ შემთხვევებში იგი აუცილებელიც კია:

ა) როდესაც ნათესაობით ბრუნვაში დასმულ საკუთარ სახელებსა და მე-3 პირის ნაცვალსაელებს წინ თანდებული უძღვით, ისინი ყოველთვის -ა ბოლოსართით არიან წარმოდგენილნი; ჩვენა ძეგლებში რამდენიმე ჯაგალითი ვნახეთ ასეთი:

„შევიდეს საპყრობილესა მას და დადგეს წინაშე ანდრეაჲსა“ (70,20).

„შეიპყრეს ნოტიანოს და მიიყვანეს წინაშე იოვანჱსა“ (86,26).

„მრავალი ერი დგა წინაშე მისსა“ (53, სქ. 55).

„ერიაა მისგან ვერ შეუძლო შესლვად შინა პავლჱაა“ (91,13).

„ცხოველ ვარ მე უფლისა ჩემისა მიერ იესუ ქრისტჱსა“ (95,15)[2].

ბ) ა ბოლოსართი ერთვის აგრეთვე საკუთარ სახელებს ნათესაობით ბრუნვაში, როცა ისინი ნანათესაობითარი მაჰზღერელებია: „ნათესავისაგან საულისისა“ (2 შეფ. 16.5); „პირისაგან სოლომონისა“ (3 შეფ. 1,50).

ამგვარად, ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ: ა) მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან დაკავშირებული უბრალო დამატება განარჩევს ვინ და რა ჯგუფის სახელებს და შესაბამისად იმართვის ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებში. ბ) საკუთარ სახელებსა და მე-3 პირის ნაცვალსაელებში ა ბოლოსართი იმავე საჭიროებით უნდა იყოს გაჩენილი, რითაც „წინაშე ანდრეაჲსა“, „წინაშე იოვანჱსა“ და მისთანა მაგალითებში.

---

[1] ნანათესაობითარ ვითარებითად მიჩნეულ ფორმებში ამ ა ბოლოსართს ვითარებითის ად. და სუფიქსისაგან წარმომდგარად თვლიან: ვ. თოფურია, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებანი საკითხისათვის..., გვ. 32.

[2] „მიერ“ აქ „უფლისა ჩემისა“-სთან დაკავშირებული თანდებული უფროა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ თანდებულის ბოლოს გადანაცვლების შემთხვევაში „ქრისტე“ ემფატიკური ა-ს გარეშე იქნებოდა წარმოდგენილი (შდრ. „უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჱს მიერ“).

§ 41. საკუთარ სახელთა ბრუნება. ა) ძველ ქართულში ადამიანთა საკუთარი სახელების ბრუნება განსხვავებულია საზოგადო სახელთა ბრუნებისაგან, თუმცა ძველ ქართულშივე ადგილი აქვს საკუთარ სახელთა ბრუნების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრების ფაქტებსაც[1].

ფილიპე მოციქულის წამებისა და „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს ტექსტებში შეგვხვდა რამდენიმე შემთხვევა, სადაც საკუთარი სახელი საზოგადო სახელთა მსგავსად სახელობითსა და მოთხრობითში ამ ბრუნვათა ფორმანტებითაა წარმოდგენილი. ხოლო მიცემითში ემფატიკური ა ერთვის.

მაგალითები: მარიამი (4,14); მარიამიცა (8,39); აბრაჰამი (28,3); ისაკი (28,13); იაკობი (28,13); ჰეროდემან (37,14); დავითმან (29,29); მარიამსაცა (5,18; 5,24); აბრაჰამსა (27, სქ. 15); აბრაჰამსაო (28,2).

საკუთარი სახელების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრების თვალსაზრისით საყურადღებოა „ქრისტეს“ ბრუნება. ეს სახელი სახელობით ბრუნვაში ოთხი გამონაკლისის გარდა (გამონაკლისები შეგვხვდა A—19 ხელნაწერის ტექსტებში, ნ. გვ. 47, სქ. 1; 63,23; 78,32; 68,37) ყველგან Ø დაბოლოებითაა წარმოდგენილი, მოთხრობით ბრუნვაში იგი „ქრისტემან“ (ქ-ე) სახითაა გვხვდება უჯამონაკლიოდ (45,14; 45,20; 50,17) და ემფატიკურ ა-ს დაირთავს მიცემით ბრუნვაში ყოველთვის.

„ქრისტე“ სახელის სახელობით ბრუნვაში Ø-ს არსებობა შეიძლება მორფოლოგიურ ფაქტად არც მიგვეჩნია, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში რომ ზემოთ ნაჩვენებ სურათს არ ჰქონდეს ადგილი.

აღნიშნულ სამ ბრუნვაში „ქრისტეს“ ბრუნების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრების ფაქტი ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიცაა შენიშნული[2].

რაკი „ქრისტე“ თითქმის ყოველთვის „იესუ“-ს ახლავს, საფიქრებელია, რომ იგი ამ უკანასკნელის ატრიბუტად (მუდმივ მსაზღვრელად) ყოფილიყო მიჩნეული, ისევე როგორც იოვანეთვის ღმრთისმეტყველი, ანდრიასთვის მოციქული და მისთ. და მისი ბრუნების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრებაც სწორედ ამ გარემოებას გამოეწვია.

§ 42. ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემისათვის. ძეგლებში უურადღებას იქცევს ბერძნული საკუთარი სახელების მრავალფეროვნად, უამრავი ვარიანტებით წარმოდგენა. ვარიანტების ერთი ჯგუფის არსებობას ქართული ენის ფონეტიკური თავისებურებები განსაზღვრავს (როგორიცაა, მაგ.: მიზდეოს და მიზდეოზ ფორმების პარალელური ხმარება Μιχαίας-ის გადმოსაცემად; ხრუსიპ-ისა და ხურსიპ-ის ფორმებისა Χρυσίππη-ს გადმოსაცემად, მირონ და მჳრონ ფორმებისა Μύρων სახელისათვის და სხვ.), მეორე ჯგუფი კი თვითონ ბერძნულის პოზიციებიდან საჭიროებს ახსნას.

აქ სწორედ ვარიანტების მე-2 ჯგუფის შესახებ ვილაპარაკებთ:

1. უპირველეს ყოვლისა უნდა მივუთითოთ ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემის უკვე ცნობილ ორ მთავარ ხაზზე, სახელდობრ, მათი სრუ-

[1] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა..., გვ. 016; სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში, თსუ შრომები, XXV, 1942, გვ. 157—159.

[2] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 117; ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ვერსიები და მათი ენა: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბილისი, 1956, გვ. 131.

ლი ბერძნული ნომინატივის ფორმითა და შეკვეცილად გადმოღებაზე[1]. აღნიშნული ხაზი ჩვენს ტექსტებში ძირითადად დაცულია:

ა) -ος-ით დაბოლოებული სახელები წარმოდგენილია -ოს (ციზდეოს, ფავსტოს, დომნოს, პოლუკარტოს) ან ე (პეტრე, პაველე, ბართლომე, ფილიპე, ტიტე, იოსტე, დიონესიე, ანდრიანე) დაბოლოებით, უფრო ხშირად კი ერთნაირადაც და მეორენაირადაც (ალფიანოს || ალფიანე, ნოიტიანოს || ნოიტიანე, პროხოროს || პროხორე, პატროკლოს || პატროკლე, სოსიპატროს || სოსიპატრე, კესტოს || კესტე, მარკელოზ || მარკელე, ლონგოს || ლონგე, ლონგინოზ || ლონგინე).

ბ) -ις-ით დაბოლოებული სახელები -ιος ან -ი დაბოლოებით (ქარისიოს, ლაბრენტიოს, პართინიოს და ბასილი), ორივე ვარიანტით შეგვხვდა: ასკლიპიოს || ასკლიპი (70, 33).

გ) მიუთითებენ -ης-ით დაბოლოებული სახელების მხოლოდ -ი დაბოლოებით გადმოღებაზე ქართულში[2]. აღსანიშნავია, რომ „საქმენი და სწავლანი"-ს ტექსტში (ჩვენი ძეგლებიდან ამ უკანასკნელში ვხვდებით -ης დაბოლოებიან სახელებს) აღნიშნული ტიპის სახელების გვერდით ა პ ო ლ ო ნ ი დ ი, დ ი ო ს კ ო რ ი დ ი, ე რ ა კ ლ ი, ე ვ ხ ა რ ი[3], ე რ მ ი (Ἑρμῆς) ე დაბოლოებასაც გვიჩვენებენ: ი ო ვ ა ნ ე, ჰ ე რ ო დ ე, ე რ ა კ ლ ე, დ ი ო ს კ ო რ ი დ ე. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთი სახელი შეზოსულია ჩვენში იტაციზმამდე, ე. ი. როდესაც ბერძნულში η-ს ე-დვე კითხულობდნენ. მთარგმნელი (უფრო მეტად კი გადამწერი) აღარ აქცევს რა ყურადღებას ამ სახელების ახლებურ წაკითხვას, მათ იმ სახით წერს, როგორც ქართული ტრადიციული წარმოთქმა უკარნახებს.

დ) -ας-ზე დაბოლოებული სახელებისათვის ქართულში ჩვეულებრივია -ა დაბოლოება (ჩვენს ძეგლებში ასეთებია: ა ნ დ რ ი ა, თ ო მ ა, ა გ რ ი პ ა).

ე) -ων ბოლოკიდურიანი სახელები წესისამებრ იმავე -ონ-ითაა გადმოღებული: როდონ, მკრონ, აპოლონ, ნერონ, სიმონ.

ვ) Στάχυς -ის ბოლოკიდურიანი სახელია, იგი ფილიპე მოციქულის წამების ტექსტში გვხვდება, გადმოსულია, როგორც სანის შენარჩუნებით, ისე უსანოდ: „დაადგინეს სტაქჳს ეპისკოპოსად" (13,20), „სახლი იგი სტაქჳსი" (7,33) და სხვ.[4]

შეკვეცილი ფორმების პირველი ორი ჯგუფი -ენიანი (ბერძნული -ος) და -ინიანი (ბერძნული -ις) ბერძნული ვოკატივის საფუძველზე წარმოშობილად მიაჩნიათ, ხოლო ამავე ფორმების სხვა ჯგუფები -ς-ს მექანიკური ჩამოცილებით მიღებულად[5].

---

[1] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, არილი, ტფილისი, 1925, გვ. 89—106.

[2] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102—103.

[3] Εὐχάρις სახელი ერთგან -ის დაბოლოებითაა წარმოდგენილი („სახელი მისი ევხარისი"—გვ. 167,14), -ις-იანი სახელებისათვის ბერძნული ნომინატივის ფორმით გადმოღების შემთხვევები ჩვეულებრივ არ დასტურდება, ეს მაგალითი ნომინატივის ფორმების მწიგნობრული გზით შემოსვლის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

[4] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ზემოხსენებულ გამოკვლევაში -ευς ბოლოკიდურიან სახელებს განიხილავს, Στάχυς ამ შემთხვევაში მათ უდგას გვერდით.

[5] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 106.

2. -ς-ს მექანიკური ჩამოცილებით, -ო დაბოლოებით გვხვდება ზოგჯერ ბერძნული -ος ბოლოკიდურიანი სახელები; ასეთებია: ლონგინო (B 52, სქ. 6; 52, სქ.75; ბერძნულად Λογγῖνος) და გეოგრაფიული სახელი: სარო (Σᾶρος): „წარვედით სარო ქალაქსა“ (87,25).

3. ეგლებში შეინიშნება ბერძნული სახელების ირიბ ბრუნვათა ფორმებით გადმოღება.

ა) ასე მაგ., „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში ორგან შეგვხვდა ფორმა „დიოჲსი“:

„ერთსა მღდელსა, რომელი-იგი იყო დიოჲსი, ესუა ძე“ (83,2).

„იყო ვინმე ერთსა დაბასა დიოჲსი და სახელი მისი ევხარის“ (89,38).

ბერძნულში „დიოჲს“-ის შესატყვისად გვაქვს τοῦ Διός.

τοῦ Διός სხვა არაფერია, თუ არა Ζεύς-ის (ზევსის) ნათესაობითი ბრუნვა. მთარგმნელმა ბერძნული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა სახელობითად იიმარა და ახლიდან ნათესაობით ბრუნვაში დაავა.

ბ) ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე Ιησῶν, ῶνος სახელის გადმოცემა (აღნიშნავს ეშმაკს, არაწმინდა სულს).

-ონ დაბოლოებით ეს სახელი მხოლოდ ორგან შეგვხვდა: „პჳთონსა სულსა“ (75,3); „სულსა პჳთონსა“ (75,9), დანარჩენ შემთხვევებში იგი „პჳთონოჲ“ საითაა წარმოდგენილი: „სული ბოროტი პჳთონოჲ“ (72,34); „პითონოჲსა მისგან სულისა“ (77,1); „პითონოჲსა თჳს სულისა“ (76,40) და სხვ. ჩვენი აზრით მისი მეორენაირი გადმოღებისათვის საორიენტაციო უნდა იყოს Ιησῶνος — ამ სახელის ნათესაობითის ფორმა. აშკარაა, რომ მთარგმნელმა გარკვეულ შემთხვევებში Ιησῶνος სახელობითად გაიგო: ეს გარემოება კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: Πνεῦμα δὲ πονηρὸν Ιησῶνος ὑπῆρχεν ἐν τῷ υἱῷ αὐτοῦ τῷ μείζονι (57,12).

ქართული თარგმანით გვაქვს: „სული ბოროტი პჳთონოჲ იყო ძისა მისისა თანა უხუცჳსისა“ (72,34), სინამდვილეში კი მოსალოდნელი იყო „სული ბოროტი პჳთონისი იყო“... და ა. შ.

გ) ჩვენს ძეგლებში საკუთარ სახელთა გარკვეული ვარიანტით არსებობა მათ გადმოღებას ბერძნული აკუზატივის ფორმით გვავარაუდებინებს[1]:

საგულისხმოა თომა მოციქულის წაწებაი ტექსტში „სეფორ“ და „ვეჟან“ სახელების თანხმოვანფუძიანად (მოყვანილი სახით) და ხმოვანფუძიანად—„სეფორა“, „ვეჟანა“—წარმოდგენა: „ეტყოდა ძმაჲსა მათ სეფორ“ (20,30), „ვეჟან დაიმორჩილნა იგინი“ (17,37) და ამათ გვერდით: „სეფორას და ვეჟანას არა უნდა შესლვაჲ ქალაქად“ (19,40).

„სეფორ“ ასევე ორგვარადაა წარმოდგენილი თომა მოციქულის წაწების სომიურ ტექსტშიც: შდრ. *ჯნა ասէ Սիփոր ցնկբարն* (გვ. 400); *Սիփորա եւ Վիժան ոչ կամեցան հլանալ ի լինելն* (398). ბერძნული შესატყვისი ტექსტი ამ სახელის სახელობით ბრუნვად Σίφωρ-ს გვიჩვენებს,

[1] სახელთა ბერძნული აკუზატივის ფორმით შემოტანა ძვ. ქართულში იშვიათობას არ წარმოადგენს. ნ. ანის შესახებ: ა. შანიძე. შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუზატიური ფორმით სესხებისა სვანურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, V. ტფილისი, 1925, გვ. 254—56; კ. კეკელიძე, რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, V, ტფილისი, 1925, გვ. 308.

Σιφῶρα მისი აკუზატივი ბრუნვის ფორმაა; ვფიქრობთ, რომ ამ სახელის ხმოვანფუძიანი საბე (როგორც ქართულში, ისე სომხურშიც) ბერძნული აკუზატივიდან უნდა მოდიოდეს.

რაც შეეხება „ვეფანას", აქ ა „სეფორას" ანალოგიით გაჩენილი ჩანს; აღსანიშნავია, რომ იგი „ვეფანად" წარმოდგენის ორივე შემთხვევაში „სეფორასთან" ერთადაა ნახმარი (-განტეხა... და მისცა სეფორას და ვეფანას"—15,11; „სეფორას და ვეფანას არა უნდა..."—19,40).

იმავე თომა მოციქულის წაკებაში „ტერტია" და „მუგდონია" შეგვხვდა ერთგან „ტერტიან" და „მუგდონიან" სახით (ქალთა სახელებია, ბერძნულად: Τερτία, Μυγδονία): „ტერტიან და მუგდონიან მიეიდიან საპყრობილესა მას" (16,28).

ნარის უფუნქციოდ წარმოდგენის ერთადერთ საფუძვლად აქაც ისევ ბერძნული აკუზატივი უნდა ვივარაუდოთ.

ბერძნული აკუზატივის ფორმებად ვოცლით ავრეთვე პავლე მოციქულის წამებისა და „საქმენი და სწავლანიც" ტექსტებში საკუთარ სახელთა შემდეგ ფორმებს: ლოგონ (52, სქ. 6; 52, სქ. 75) ‖ ლონგონ (51, სქ. 52; 52,4) ‖ ლონგეონ (51, სქ. 52) სახელისათვის Λόγγος (შდრ. ამ სახელის ბერძნული ნომინატივისა და ვოკატივის შესატყვისი ფორმები: ლონგოს 52,31; ლონგე 52,18); კესტონ (51, სქ. 53) სახელისათვის Κέστος (შდრ. კესტოს 51,20; კესტე 52,18) და პროხორონ (59,34; 60,20) სახელისათვის Πρόχορος (შდრ. პროხოროს, პროხორე).

ეკვივოტანლად ბერძნული აკუზატივის ფორმებია „ფერეტანი" იმავე პავლე მოციქულის წამებაში და „ერანი" და „მჭრინუსანი" „საქმენი და სწავლანის" ტექსტში, გადმოსცემენ ბერძნულ Φέρητα-ს, Ἥρα-სა და Μυρινοῦσα-ს. ეს სამი შემთხვევა იმითაა საყურადღებო, რომ მათ ბერძნულ ტექსტებშიც ამ სახელთა აკუზატივის ფორმები შეესაბამება:

„მოაელინა ნერონ კეისარმან... ფერეტან ვინმე და ფართენიოს" (52,24).

ბერძნ: Πέμπει ὁ Νέρων Παρθένιόν τινα καὶ Φέρητα (115,4).

იოვანეს შეკითხვაზე, თუ რომელ ღმერთებს ემსახურება, ხომალდის ერთ-ერთი თანამგზავრი უპასუხებს: „ასკლიპიოსს, ერმის და ერანს" (A 70, სქ. 43).

ბერძნულში შესაბამისად გვაქვს:... Ἀσκλήπιον καὶ Ἑρμῆν καὶ τὴν Ἥραν (175,14).

მთარგმნელს მხედველობიდან გამორჩენია, რომ Ἥραν Ἥρα (ჰერა) სახელის აკუზატივი ბრუნვის ფორმა იყო, მას იგი ამ სახელის საწყის ფორმად მიუჩნევია და ქართულ შესატყვის კონტექსტში საჭიროებისამებრ მიცემით ბრუნვაში დაუსვამს.

ასევე მოქცეულა მთარგმნელი „მჭრინუსანის" შემთხვევაშიც: „გამოვედით მის ქალაქისაგან და შევედით მჭრინუსანს" (80, სქ. 7).

შდრ. ბერძნ. ἐξήλθαμεν ἐκ τῆς πόλεως ἐκείνης καὶ εἰσήλθαμαν εἰς Μυρινοῦσαν (117,2).

4. ზოგჯერ ერთი დაბოლოების სახელი სხვა ტიპის სახელთა დაბოლოებითაა წარმოდგენილი:

ა) -ოს ბოლოკიდურიანი სახელები რამდენიმე შემთხვევაში -იოს ‖ ეოს დაბოლოებით შეგვხვდა: პროხორიოს (B 57, სქ. 23; შდრ. Πρόχορος);

სელევკიოს (58,4; შდრ. Σέλευκος); დიოსკორიოს (A 60, სქ. 36; 62, სქ. 36 — Διόσκορος); მარკელიოს || მარკელეოს (48, სქ. 1; შდრ. Μαρκέλος). ჩამოთვლილი სახელები ბერძნულში მხოლოდ -ος დაბოლოებით დასტურდება, ასე რომ აქ -ος-ით დაბოლოებული სახელები -ιος-იანებშია აღრეული.

ბ) Διοσκορίδης „დისკორიდის“ გარდა რამდენიმე შემთხვევაში „დიოსკორიდოს“ სახითაც მეგვხვდა (61, სქ, 16; 64, სქ. 12). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს -ης ბოლოკიდურიანი სახელის -ος ბოლოკიდურიანებში აღრევასთან.

გ) სახელი Διοσκορίδης სხვა ვარიანტებითაც დასტურდება: დიოსკორი (67, სქ. 36); დიოსკორე (83, სქ. 4) და ზემოთ მოყვანილი დიოსკორიოს; ამგვარი ვარიანტების დაშვებისათვის ბერძნული ტექსტი საფუძველს არ იძლევა, როგორც ჩანს, გადაწერი თვითნებურად ცვლის Διοσκορίδης სახელს Διόσκορος სახელით.

დ) ქალის სახელი Χρυσίππη ჩვენს ტექსტში, როგორც მოსალოდნელი იყო, „ხრუსიპის“ სახითაა წარმოდგენილი (ნ. გვ. 77,16). ერთგან იგი „ხურსიპოს“ სახითაც შეგვხვდა (78, სქ. 5); ბერძნულში ქალის სახელი -ος დაბოლოებით არ არსებობს: ჩვენი შემთხვევა გადამწერის დაუკვირვებლობით აიხსნება; მან, როგორც ჩანს, Χρυσίππη-ს გვერდით არსებული მამაკაცის სახელი Χρύσιππος[1] ტექსტში ზეპირად და გაუაზრებლად შემოიტანა.

5. ზოგი საკუთარი სახელი ბერონულში ორი ვარიანტით არსებობს, ეს ვარიანტები ხშირად ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლებშიც იჩენენ თავს. ასე მაგ.: პეტრე მოციქულის წამებაის ნუსხებში ეროი პიროვნების სახელად ერთმანეთის გვერდით გვხვდება დორის (SBC, გვ. 43,9) და დომΘს (A), ეს ორი, ფორმით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული, სიტყვა ბერძნულში ერთი შინაარსის გადმომცემია[2]; ასევე, ლონგინოზ (Λογγῖνος) ბერძნულში უდრის ლონგოს (Λόγγος) და ამით აიხსნება, რომ პავლეს წამების ჩვენს ნუსხებში მათ ერთმანეთის პარალელურად ვხვდებით.

„საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში ერთი და იგივე სახელისათვის გვხვდება ფორმები: სოსიპატროს და სუსიპატროს; ბერძნულში ეს სახელი სწორედ აღნიშნული ორი ვარიანტით დასტურდება (Σωσίπατρος || Σουσίπατρος)[4], ასე რომ ამ სახელის ორგვარი ორთოგრაფიაც აგრეთვე ბერძნულიდან მომდინარედ უნდა ჩავთვალოთ.

ერთი პიროვნების სახელად შეგვხვდა აგრეთვე ნოტიანოს (85,5; 85,26) და ნოიტიანოს (85,9; 85;17), ქართულ საფუძველზე არც ამ ვარიანტების არსებობა აიხსნება: ბერძნულ შესაბამის ტექსტში Νοητίανος-ის (ნოიტიანოსის) გვერდით Νοτίανος-ის (ნოტიანოს) ხმარებაც შეინიშნა[5].

§ 43. ნაცვალსახელები. მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელ“ ბრუნვაში გაუფორმებლად ფუძის სახითაც გვხვდება. მაგალითები უფრო ძრავლად H—341 ხელნაწერიდან გადმოწერილ ძეგლებში დასტურდება:

---

[1] W. Pape's, Wörterbuch der grichischen Eigennamen. Braunschweig, 1884.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, მასალები Ø-ს ისტორიისათვის..., გვ. 205.

[3] W. Pape's, Wörterbuch...

[4] იქვე.

[5] Th. Zahn, Acta Ioannis, Erlangen, 1880, გვ. 129 (სქოლიო). გამოცემაში საკუთარი სახელების მხოლოდ მცდარი ფორმები გავასწორეთ, ვარიანტები კი, რომელთა ხმარებაც გამართლებას პოულობს, უცვლელად დავტოვეთ.

„შეკრული, რომელ მომეც, მოვკალ“ (19,9).

„სასოებაჲ ჩემი, რომელ შენდა მიჰბართ არს“... (18,16).

„არცაღა მე ურჩ ვარ ცნებათა შენთა, რომელ მამცენ“ (36,24) და სხვ.

იმავე H—341 ხელნაწერის ტექსტებშივე „რომელ“ ამ ნაცვალსახელის სხვა ბრუნვის ფორმების შემცველადაც შეგვხვდა.

„ხოლო რომელ დაგუდვეს ჩუენ, ვითარმედ ღმერთნი არიან“ (27,23) ნიშნავს: რომლებმაც დაგვდვეს (სახელი—ც. ჭ), ვითარცა ღმერთნი არიანო (შდრ. იქვე: „სახელი დაგუდვეს ჩუენ მღდელთა მათ ჩუენთა, ვითარცა ღმერთნი არიან“—27,19).

„იხილეს ჴელსა მისსა, რომელ გამოეკიდა სკული“ (22,19).

„რომელ“ აქ ამ სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას სცვლის.

„ძრმისა მის წილ, რომელ გემოჲ იხილე ჩუენთჳს“ (14,34) (=რომლისა გემოჲ იხილე).

„საწერტელისა მის წილ ლერწჳისა, რომელ დაიწერტე ჩუენთჳს, მოგუანიჴე ჩუენ სრული იგი ცხორებაჲ“ (15,3) (=რომლითა დაიწერტე).

ეს ფაქტი ძველის გადმონაშთი ჩანს.

§ 44. მრავლობითი რიცხვის წარმოება. ჩვენს ძეგლებში ნორმაა ნართანიანი მრავლობითი. ებიანი მრავლობითი მხოლოდ აქა-იქ დასტურდება.

ერთგან, „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში შეგვხვდა მაგალითი -თა სუფიქსიანი მრავლობითისა მოქმედებით ბრუნვაში, რაც -თა სუფიქსიან ვითარებითთან ერთად მე-5—11 საუკუნეების ძეგლებისათვის იშვიათობას წარმოადგენს[1]:

„ძალ-გიც სამითა მოწამითა ღირსთა და სარწმუნოთაჲთა[2] შეჴმნად ჴელით-წერილი“ (60,4).

ებიან მრავლობითთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს ტექსტში ოთხჯერ გვხვდება „უბნები“ და „ფოლოცები“ ერთად, ოთხჯერვე ებიანი მრავლობითის ფორმით: „უბნებსა და ფოლოცებსა“ (36,11—16), „უბნებსა ამას და ფოლოცებსა ამის ქალაქისასა“ (38,19), „უბნებსა და შორის ფოლოცებსა“ (30,27—28). ეს ფაქტი არ მიუთითებს იმაზე, რომ მრავლობითის ებ-ით წარმოება გარკვეული ჯგუფის სახელებისათვის იყოს დამახასიათებელი; ამ ორი სახელის ებიან მრავლობითში გამეორების მიზეზი ის ჩანს, რომ ისინი ერთი შინაარსის ფრაზებში, ერთმანეთის გვერდით არიან წარმოდგენილი.

§ 45. სიტყვაწარმოება: კრებითი სახელი „ბარსაბაეთი“. პავლე მოციქულის წამებაში ერთგან შეგვხვდა საკუთარი სახელისაგან -ეთ სუფიქსით ნაწარმოები კრებითი სახელი „ბარსაბაეთი“:

„(ნერონ)... უბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა განჴსნაჲ პატროკლესი და ბარსაბაეთი მოყუსებითურთ“ (54,1).

---

[1] თ. შარაძენიძე, -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში, თსუ შრომები, 1942, ტ. XXIV, გვ. 129—144.

[2] სარწმუნოთაჲთა ნანათესაობითარი მსაზღვრელი არ არის და ორმაგ ბრუნებას კი გვიჩვენებს.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ასეთი სულ რამდენიმე მაგალითია აღნუსხული[1].

„ბარსაბაეთი“ ტიპის სახელები უბრუნველები არიან (რაც ჩვენს მაგალითზედაც ჩანს)[2]. შინაარსით კი აღნიშნავენ მიმდევრებსა და თანამოაზრეებს იმ პირისას, რომლის სახელსაც ერთვის ხსენებული -ეთ სუფიქსი[3].

როდის დაიწყო -ეთ სუფიქსის გამოყენება საკუთარი სახელებიდან კრებითი სახელების საწარმოებლად, ანდა რა მიზეზებმა შეუწყო ხელი მის ამ ფუნქციის მოშლას, ცნობილი არაა, ეს კია, რომ მე-10—11 საუკუნეების შემდეგდროინდელ ძეგლებში ამ სუფიქსიან ფორმებს უკვე აღარ ვხვდებით.

დღეს -ეთ სუფიქსის თავიანებური ხმარებით ყურადღებას იქცევს რაჭული დიალექტი, კერძოდ, მთარაჭული. -ეთ აქ გვარის სახელებს აწარმოებს: ჩოჩხაშვილის, ბიჭილაშვილის, გორგიშვილის, ხარებაშვილისა და სხვათა გვერდით მოცემული გვარების წარმომადგენელთა აღმნიშვნელად გვხვდება: ჩოჩხაეთი, ბიჭილაეთი, გორგიეთი, ხარებაეთი და მისთ[4]. თუ გავიხსენებთ, რომ გვარებში ძირითადად ოჯახის ან თემის რომელიღაც (უღუცესი ან გამოჩენილი) წევრის სახელი იფარება, უნდა ვიფიქროთ, რომ -ეთ-ის დანიშნულება აქაც თავდაპირველად ოჯახის გამოჩენილი წევრის სახელზე დართვით ამ ოჯახის სხვა წევრების (=მისი თანამოაზრეებისა და მიმდევრების) აღნიშვნა უნდა ყოფილიყო.

მართალია, მთარაჭულში -ეთ სუფიქსი დღეს გვარის სახელებს ისეთი გვარებიდანაც აწარმოებს, რომლებშიც ვინმეს სახელი შეიძლება არც კი იგულისხმებოდეს, გარდა ამისა, აღნიშნავს გვარის როგორც მრავალ, ისე ერთ წარმომადგენელსაც, მაგრამ მთარაჭულის -ეთ რომ ის -ეთ-ია, რომელიც ძველ ქართულში ბარსაბაეთ-სა და ანალოგიური ტიპის სხვა სახელებს აწარმოებდა, ეს უდავო ჩანს.

§ 46. **ეთნიკური სახელები**. იმავე პაელე მოციქულის ნუსხებში დასტურდება ორი ეთნიკური სახელი, რომელთაც მაწარმოებელი აფიქსები არ გააჩნია.

„ბარსაბა იუსტუსთან და ჰორიონ კაბადოკთან და ფესტოს გალატელთან... ჰრქუეს მას“ (50,25).

კაბადოკი აქ კაბადოკიელს ნიშნავს, იგი წარმომაელობას -ელ სუფიქსის გარეშე გადმოსცემს. ასევე:

„ყოველნი ჰრომნი წინაშე მეფისა ტაძარსა ღაღადებდეს“ (51,23).

აქ ჰრომნი იგივეა, რაც ჰრომაელნი. იქვე ამ სახელის სხვა ბრუნვის ფორმებსაც ვხვდებით:

„რაჲ გულსა მოგიკდა მოსლვად ჰრომთა სამთავროსა“ (51,8).

---

[1] კ. კეკელიძე, -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955, გვ. 116—119; ვ. დონდუა, „ლიპარიტეთი“-სა და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თსუ შრომები, XXXIII, გვ. 133—166; ი. ინანიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 385—391.

[2] ვ. დონდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 137.

[3] იქვე.

[4] შ. ძიძიგური, რაჭული დიალექტი: ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954, გვ. 192—193.

„ბრძანა... პავლჱსი თავისა მოკუეთაჲ შჯულითა ჰრომთაჲთა“ (51,18).

„ქმა არს, კეისარ... აჰკოცა ჰრომთა ერსა?“ (51,25).

ამგვარ უაფიქსო წარმომავლობის სახელთა არსებობაზე ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიც მიუთითებენ[1].

ზმნები

§ 47. ზმნისწინები. მე-10—11 საუკუნეებიდან იწყება ზმნისწინების გამარტივება ბოლო თანხმოვნის ჩამოკვეთით[2]. თითო-ოროლა ნაგალითი ამგვარად გამარტივებულ ზმნისწინებზე ჩვენს ტექსტებშიც დასტურდება (ნ. § 30).

მე-2 პირისაკენ მიმართული მოქმედება ჩვეულებრივ მო-ზმნისწინიანი ფორმებით გადმოიცემა. ძველ ქართულში არაა იშვიათი და ჩვენც შეგეხედა აძ დანიშნულებით მი- ზმნისწინიანი ფორმების ხმარების შემთხვევები:

„მიგაგე მისაგებელი“ (9,21); „მიგცე შენ როჭიკი შენი“ (58,36); „მიგიყვანნეთ ... საპყრობილედ“ (67,30); „არა მიგცემთ შენ სანაევსა“ (13,33); „მიგცე იგი შენ“ (81,21) და სხვ.

§ 48. ტმეხი. ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირად ზმნა და ზმნისწინი ნაწილაკით ან განუსაზღვრელი ნაცვალსახელითაა ერთმანეთისაგან გათიშული. მაგ.: თაყუანის მცა-გეც (19,5); ძალ-ღა-გიც (44,20); შე-თუ-გემთხჳნენ (31,2); გა-რაჲ-ის წავლნეს (77,7) და სხვ.

მაგალითები განსაკუთრებით მრავლად დასტურდება H—341 ხელნაწერის ტექსტებში.

ამ მოვლენას თვლიან გარდამავალ საფეხურად, „რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე“[3].

ზოგჯერ შეიძლება ზმნასა და ზმნისწინს შორის ორი სიტყვაც იყოს ჩართული; ერთი ჩვეულებრივ ნაწილაკია, მეორე განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. მაგალითები ჩვენს ტექსტებში ამ შემთხვევაზეც დადასტურდა: გან-ვითარ-რაჲ-არინეს (17,15), მი-ნუ-რაჲ-ეც (17,34), შე-სამე-ვინმე-ვიდეს (33,15), ძალ-თუ-რაჲმე-გიც (37,25).

§ 49. პირის ნიშნები. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვინი იკარგვის უ ხმოვანთან: უწყით (56,2); წარუკითხე (90,31) და სხვ.

ვალ, ვედ/ვიდ ზმნის პირველი პირის ფორმები ერთი ვინითაა წარმოდგენილი; სხვა შემთხვევაში იმავე ვინით დაწყებული ზმნა პირველ პირში ჩვეულებრივ ორივე ვინს ინარჩუნებს—ფუძისეულსაც და პირველი სუბ. პირის ნიშანსაც: დავვარდი (88,40).

მე-2 სუბიექტური და მე-3 ობიექტური პირის პრეფიქსების ხმარების თვალსაზრისით ჩვენს ძეგლებში ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც ძველი

---

[1] მ. შანიძე, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის წიგნებში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი 1, თბილისი, 1956, გვ. 169—170.

[2] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბილისი, 1946, გვ. 69—70.

[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 267.

ქართული ენის სხვა ძეგლებშია წარმოდგენილი[1]; ეს ნიშნები (ჰ, О, ს/შ, თითოეული მათგანი გარკვეულ შემთხვევებში) ან წესიერად იხმარება და შენიშვნას არ იწვევს, ანდა მათ წარმოდგენა-არწარმოდგენას ფონეტიკური ან სხვაგვარი გამართლება ეძებნება[2].

მიუთითებენ მე-10—11 საუკუნეების გარკვეულ ხელნაწერებში სპირანტების წინ ჰაე პრეფიქსის მერყეობაზე[3]. ასეა ეს ჩვენს ძეგლებშიც: ხანის წინ სუბიექტური პრეფიქსი მე-2 პირისა და ობიექტური პრეფიქსი მე-3 პირისა ჰაე ერთი და იმაკე ნუსხის ფარგლებშიც კი ხან გვხვდება და ხან არა; ზენითა და შინით დაწუებული ზმნების ორიოდე ნიმუში შეგვხვდა, ისიც ჰაეს გარეშე:

ჰხედავ (38.16)
მიჰხედეიდა (62,5).
ჰხუდა (65,11).
ჰხადოდა (59,24).

მიხედნა (27,3).
ხედვიდეს (51,5).
ხუდა (84,29).
ხუდეს (57,34)
და სხვ.

ზრუნვიდეს (44,34).
ზრაბვიდეს (36,3; 82,43).
შორავ (30,7) და სხვ.

„მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს D ნუსხაში ერთგან მე-3 ობიექტური პირის ნიშნად წარმოდგენილია ჰს კომპლექსი „ჰსცემდით პირსა მაგისსა“ (36,33) (ჰსცემდით აქ II პირის ბრძანებითის ფორმაა). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჰხ წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ჰ-დან ხ პრეფიქსისაკენ[4].

ჩვენი ძეგლები ძველი ქართული ენის ნორმებს იცავენ მე 3 სუბიექტური პირის ნიშნების ხმარების თვალსაზრისითაც.

მივუთითებთ ერთ ფაქტზე: განსაკუთრებით მე-8—10 საუკ. ძეგლებში შენიშნულია ზმნათა იშვიათი ფორმები, სახელდობრ, მე-2 ბოლმეობითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მე-3 პირის ფორმები მრავლობით რიცხვში, რომელთაც მე-3 სუბ. პირის ნიშნად ზოუდით -ედ ფორმანტი და სტატიკური ზმნების აწმყოსა და I თურმეობითის ფორმები ხოლობითსა და მრავლობითში, რომლებიც მე 3 სუბ პირის ნიშნებად უჩვენებენ დ/ნ-ს მხოლობითში და -ედ-ს მრავლობითში; დამატებით პირველი თურმეობითის მრავლობით რიცხვში -ენ ფორმანტიც დასტურდება[5].

ამ მხრივ საგულისხმო ორიოდე მაგალითი ჩვენს ტექსტებშიც შეგვხვდა:

„(დიოსკორიდი) ... უმზირინ დღეთა, რომელთა იქმნებინ სიკუდილი“ (60,38).

---

[1] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 3—83.

[2] იქვე, ანომალიები ძვ. ქართულში, გვ. 84—130.

[3] ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები და მათი ენა: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. თბილისი, 1956, გვ. 134—135.

[4] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფილისი, 1923, გვ. 358—359.

[5] ილ. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X საუკ. ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები 53, თბილისი, 1954, გვ. 131—147.

„ჯუარი ნუ ესე გგონიენ, რომელ-ესე ჩას ვითარცა შეურაცხი“ (45,32).

„რიცხჳ დღეთაჲ უწყიედ სკულითა მით, რომელ გამოაბიან“ (22,22).

პირველ ორ მაგალითში საქმე გვაქვს -ნ სუფიქსიანი მხოლობითის ფორმებთან II ხოლმეობითსა და სტატიკური ზმნის აწმყოში, მესამე მაგალითი კი -ედ სუფიქსიან II ხოლმეობითის ფორმას წარმოადგენს[1].

შ ჩ ან/ჩ ან-ის გვერდით ამ ზმნის უნარო ფორმების არსებობაც შეინიშნება:

„ნუცა შენ აქა შ ჩ ა“ (67,4).

„ჯუარი ნუ ესე გგონიეს, რომელი ჩ ას ვითარცა შეურაცხი“ (45,32).

აღნიშნულ ფორმებს არქაულად თელიან[2].

§ 50. **სტატიკური ზმნების აწმყო.** სტატიკური ზმნები (ე. წ. მედიოპასივი) დღეს აწმყოს პირველი და მეორე პირის ფორმებს აღწერით აწარმოებენ მეშკელი „ყოფნა“ ზმნის ამავე პირთა ფორმების გამოყენებით; ძველ ქართულში კი მათ უმეშველზმნო წარმოება ჰქონდათ:

მაგ.: „რაჲსა ს ი ე დ ა მცავთ მე“ (19,42). „არა შ ო რ ა ვ მონათა შენთა“ (30,7). „სამ დღე არიან და გ ა ნ ჰ ყ ა ე შენ დაკლვად“ (31,15). „რაჲსა არა მ ი გ ყ ა ვ ჯუარ-ცუმად“ (45,25). „რომლისა მიზეზისათჳს ჰ ზ ი და ს ტ ი რ“ (66,14). „მოძღუარ, აჰა გ ჳ ყ უ ა რ შენ“ (85,17).

§ 51. **„ყოფნა“ ზმნის აწმყო.** ძველ ქართულში „ყოფნა“ ზმნა აწმყოს მხ. რიცხვში შემდეგნაირად იუღლება: ვარ, ხარ, არს; იშვიათად გვხვდება -ი დართული ფორმები: ვარი, ხარი, არის. ჩვენი ძეგლებიდან მხოლოდ „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს ტექსტში აღმოჩნდა რამდენიმე ასეთი მაგალითი:

„ძ ჲ ღმრთისაჲ ვ ა რ ი მე“ (50,8). „ქვისაჲ ვ ა რ ი მე“ (52,4). „აწ კუალად მოსრულ ხ ა რ ი ამას ქალაქსა“ (32,5). „აწ რაჲ ა რ ი ს, რასა-იგი ვიქმოდით“ (31,26).

§ 52. **აწმყოს ხოლმეობითი.** ძეგლებში მრავლად დასტურდება მაგალითები აწმყოს ხოლმეობითზე, მაგ.: „მ ჴ ე ც ნ ი ვ ლ ე ნ ე დ ბნელსა შინა“ (11,31); „კრძალულ ა რ ი ე დ თავნი ჩუენნი“ (11,36); „ნურას ა გ რ ძ ნ ო ბ ე დ ჩემთჳს ძალნი და ჴელმწიფებანი“ (19,17); „ი ვ ლ ტ ი ე დ და მიჰრიდიან მას“ (19,22); „შ ე ვ ლ ე ნ ე დ კაცნი მის ქალაქისანი საპყრობილესა მას“ (22,16); „მ ე ტ ყ ჳ ე დ მე“ (30,33); „წყალი იგი გ ა ნ ე ვ ლ ტ ი ნ ფერჴთაგან“ (41,2); „ნუ ვინ თქუენგანი გ ა მ ო ვ ა ლ ნ ჩემ თანა“ (44,23); „ს დ ე ვ ნ ი ნ ცხოვართა“ (57,1); „უმ ზ ი რ ი ნ დღეთა, რომელთა ი ქ მ ნ ე ბ ი ნ სიკუდილი“ (60,38) და სხვ.

§ 53. **II ხოლმეობითი.** ზმნის საუღლებელ მწკრივთა შორის II ხოლმეობითს წყვეტილთან ერთად ყველაზე არქაულ მწკრივად მიიჩნევენ[3].

---

[1] ერთგან „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ“-ს E ნუსხაში შეგვხვდა მ ი ი ხ უ ნ ე დ ფორმა შემდეგ კონტექსტში: „მ ი ი ხ უ ნ ე დ კაცნი იგი ბომბჳყდარნი და დასხნეს მას ავაზანსა ზედა“ (64,15; D-ში პარალელურად გვაქვს მ ი ი ხ უ ნ ე ს). თუ აღნიშნული ფორმა შემთხვევითი არაა და იგი ძველიდან მოდის (ჩვენი ტექსტი E ნუსხაში ძველი ნუსხიდან მომდინარე ჩანს), მაშინ ამ მაგალითის მიხედვით -ედ ფორმანტის არსებობას მე-3 სუბ. პირის ნიშნად უძველეს ქართულში წყვეტილის მწკრივისთვისაც ვივარაუდებდით.

[2] H. Mapp, T. P., VI, 1904, გვ. XLIII.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 6, შენიშვნა 2; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, პერმანსივის ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემოამბე, ტ. IV, № 1, 1943, გვ. 95.

ჩვენი ტექსტებიდან II ხოლმეობითის ხშირი ხმარებით გამოირჩევა „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ" და „წამებაჲ წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ".

§ 54. უწყვეტლის ხოლმეობითი. ძველ ძეგლებში შენიშნულია მეტად იშვიათი სმარების მწკრივი—უწყვეტლის ხოლმეობითი[1]. ორ მაგალითს უწყვეტლის ხოლმეობითზე ჩვენს ძეგლებშიც შევხვდით. ერთი მათგანი „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ"-ს ტექსტშია წარმოდგენილი, მეორე „საქმენი და სწავლანი"-ს ტექსტში:

> რაჟამს ისიძვით, აღიღით შჯული ღმრთისაჲ და შეხჳდით შესაკრებელსა თქუენსა, დასაჯდით და იკითხვიდით" (DE 27,25).
>
> „ტრედნიცა... თჳსთა შჳლთა მოუკლვიდიან (მოჰკლვიდიან B) და თჳნი უფალნი არა უკარ-ყონიან" (55, სქ. 24).

§ 55. I თურმეობითი. I თურმეობითი ჩვეულებრივ ძველი წარმოებით იხმარება: მოგიღებიეს (23.41); მიცნობიეს (35.23); უდებგიყოფიეს (44.12) და სხვ. ორი შემთხვევაა ვნახეთ I თურმეობითის ახალი -ია დაბოლოებით წარმოდგენისა: გიბრძანებია (DE 21,23); უდებ-გიყოფია (S 44, სქ. 19).

§ 56. მომავლის გამოხატვა. მომავალ დროს ძველ ქართულში გადმოსცემენ კავშირებითის ფორმები[2], ი'შვიათად ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი „ყოფნა" ზმნის აწმყოსთან ერთად. ასეა ეს ჩვენი ძეგლების მიხედვითაც, მომავლის გადმოცემის მეორე საშუალებაზე ბოლოდ ორი მაგალითი შეგვხვდა:

„რომელთა-ესე აწ გესმის და, რომელთა მერმე სმენად არს" (46,28); „იგი არს, რომელი ხილვად არს მოსლვასა მას" (16,7). ორიოდე შემთხვევაში მომავალი დრო ზმნისწინიანი აწმყოთიცაა გადმოცემული:

> „უკუეთუ არა იოვანე ქრისტეანეთა მოძღუარი წესცთა ებრძოლოს და ბოროტად მოკუდეს, შენ ვერ შეუძლებ შენსა ქალაქსა დამკჳდრებად" (73,31).
>
> „უკუეთუ გიბრძანებია, რაჲთა შემჭამონ ნე კაცთა აწის ქალაქისათა, არა განუდგები ბრძანებასა შენსა" (DE 21,24).

მოსალოდნელი იყო: ვერ შეუძლო, არა განუდგე.

ზმნისწინიანი აწმყოს ფორმებით მომავლის გამოხატვა ახალი ქართულის კუთვნილებაა; იგი მე-11—12 საუკუნეებიდან იჩენს თავს ჩვენს ენაში[3]. ადრინდელ ძეგლებში ამ მოვლენაზე მხოლოდ პირველი ნიმუშები შეინიშნება.

§ 57. კაუზატივი. შეგვხვდა კაუზატივის ერთადერთი მაგალითი; იგი -ევ სუფიქსითაა ნაწარმოები:

„გულისყმა-ყონ ძალი მიაი, რომელი აქმნევს მათ ეშმაკი ბოროტსა" (DE 35,33).

§ 58. ინფინიტივის კატეგორიის გადმოცემისათვის. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელია ინფინიტივის ქონება, მაშ ვითარებით

---

[1] ა. შანიძე, სამი მწკრივის თავისებურებანი ძველს ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, 1945, გვ. 245.

[2] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა..., გვ. 248—249.

[3] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბილისი, 1946, გვ. 75.

ბრუნვაში დასჭული მასდარი გამოხატავს[1]. ჩვენი ძეგლები ასეთი ინფინიტივის ხშირი ხმარებით ხასიათდება. მაგ., „ნუმცა რას ჰპოებს სიტყუად მტერი იგი ჩემთჳ" (13,2), „არა ვისწრაფე ადრე-ადრე წარწყმედად შენდა" (16 42), „იწყო მხილებად ეშმაკისა" (31,31), „ძალ-ღა-გიც მსახურებად უფლისა" (44,20), „აღუთქუმიდა მათ მიცემად სასყიდელსა" (65,27) და სხვ.

იშვიათად ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს „მინდა" და „მნებავს" ზმნებთან ნათესაობით ბრუნვაში დასმული მასდარი ენაცვლება; უკანასკნელი ემფატიკური ა-ს გარეშეა წარმოდგენილი. ორი ასეთი მაგალითი ჩვენთანაც დადასტურდა:

„ნუ ვის აყენებთ, რომელსა უნდეს ერისკაც ყოფისა" (51,13).

„ვინ არს მგელი, მნებავს სწავლის მეცა" (81,12).

ყურადღებას იქცევს მაგალითი მიცემით ბრუნვაში დაამულ მასდარზე: „უკუეთუ ვიყო პირველსა ზედა წესსა, შეუძლო წარმართთაგან ცვასა" (77,27), მსგავსი მაგალითების არსებობა ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიცაა სავარაუდებელი; შდრ. გრიგოლ ხანთელის ცხოვრებაში: „ვითარცა მიიღეს საზრდელი, კუალად იწყეს სულისა ცხორებისა ზრახვასა" (0,60).

ეს ორი შემთხვევა იმით განსხვავდება მიცემით ბრუნვაში დასმული მასდარის სხვა შემთხვევებისაგან, რომ მასდარი აქ მსგავსად ვითარებითსა და ნათესაობით ბრუნვებში დასმული მასდარისა, არაა მართული ბრუნვაში ზმნისაგან.

§ 59. **მიმღეობა.** თომა მოციქულის აპოკრიფში ორი იშვიათი წარმოების მიმღეობა შეგვხვდა: სასუემელი (14,31), გულის-სათქუემელი (15,42), აღნიშნული მიმღეობები -ამ-იანი ზმნებიდანაა ნაწარმოები.

ცნობილია, რომ -ამ თეპისნიშნიანი ზმნები -ავ-იანებთან ერთად თავისებურებას იჩენენ I სერიის მწკრივთა წარმოებაში: იმის მიხედვით, თუ რომელ მწკრივთან, პირთან ან რიცხვთან გვაქვს საქმე, -ავ და -ამ სუფიქსები წარმოდგენილია: -ავ, -ამ; ევ, -ემ; -ე, -მ სახით[2].

მიმღეობებში, როგორიცაა ნასიელეი, აღნათქუემი[3], სასუემელი, გულის-სათქუემელი -ევ, -ემ-ის არსებობა შემთხვევითადაა მიჩნეული და მათ ევ-დ, ემ-დ ყალიბის ფორმათა გავლენით ხსნიან[4].

§ 60. **ზმნიზედები.** ჩვენს ძეგლებში შეგვხვდა იშვიათი ხმარების ზმნიზედები, როგორიცაა:

ა) ღრმიად: „ძირნი მისნი დაიბნა ღრმიად და რტონი მისნი მაღლად განეფინნეს" (18,24).

ღრმიად იმავე წარმოებისაა, როგორც მაგ.: ძნიად, ფრიად, მალიად; უკანასკნელთა შესაბებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ძნიად,

---

[1] ა. შანიძე. ძველი ქართული ენა..., გვ. 033; ა. მართიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძვ. ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი, 1955, გვ. 43—59.

[2] ლ. კიკნაძე. I სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თსუ შრომები, XXX B—XXXI B, 1947, გვ. 331.

[3] პირველი ორი მაგალითი ლ. კიკნაძის დასახელებული ნაშრომიდანაა ამოღებული, გვ. 340.

[4] იქვე, გვ. 341.

ფრივად, მალიად ფორმებიდან უნდა მომდინარეობდნენ და, რომ ი ამ ფორმებში მოქმედებით ბრუნვის ნიშნის (ოვ-ის) ნაშთს შეადგენს[1].

ბ) სადქუეს: „ჴმაჲ ჴესმა ... ხოლო სადქუეს დგას იგი, არა უწყი“ (35,24).

ამ ზმნიზედაზე ერთი მაგალითიც საბა პალესტინელის ცხოვრებაში ვნახეთ სადაქუეს სახით (კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. II, 1948, გვ. 198).

ფორმა წარმოადგენს „ქუეს“ დართულ სად ‖ სადა ზმნიზედას.

§ 61. კავშირები და ნაწილაკები. ა) „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში და კავშირი ზოგჯერ თუ, რომ კავშირებია მნიშვნელობითაა ნახმარი:

„არა ჯერ-არს თქუენდა კაცთა დაუშჯელთაჲ, და არა იყოს შემასმენელი, შეგდებად საპყრობილედ“ (A 68, სქ. 1).

„უმეცარ ვიყვენით მისთჳს, და ვინ არს, რომელი მოიელინა“ (76,1).

„ერტყუან ვიეთნიმე, და ამასცა შემძლებელ არს ქმნად“ (79,24).

„კაცო, გხედავ შენ ყოვლითავე შემძლებელსა, და ეგების ჩემი უცხოჲსაჲ ხილვად მგლიაა მის?“ (81,17).

ბ) D ნუსხის ტექატებში პირობითი წინადადების თუ არა შებრუნებულად არა თუ-ს სახითაა წარმოდგენილი:

„არა თუ მითხრა ადრე-ადრე ვინ-იგი განგკურნა... გტანჯო შენ“ (3,23).

„გულისთქუმაჲ, არა თუ ძირითურთ ვინმე აღმოჰფხურეს, მერმე აღ ველა-ტყდეს“ (11,11).

„.. განგჴინე ჩუენ განკუეთილად, არა თუ მოგჳგე, რაჲთა წარვიდეთ“ (24,39).

(შდრ. AB ნუსხებში: „თუ არა ჰპოვნე, ნუცა შენ აქა შჩა“—67,3 და სხვ.).

გ) რომ კავშირის მნიშვნელობით რომელ მხოლოდ ერთგან შეგვხვდა: „აწ ეგრე ვყო, რომელ გრონებაჲ ეგე შენითურთ აღიჴოცოს“ (17,21).

დ) ძველ ქართულში გარჩეულია -მე ნაწილაკის ორი მნიშვნელობა: განუსაზღვრელობითი და კითხვითი: „პირველ შემთხვევაში ის ერთვის კითხვით სიტყვებს და უკარგავს მათ კითხვითობას. მეორე შემთხვევაში ის ჩნდება წინადადებაში (როგორც სახელებთან, ისე უფორმო სიტყვებთანაც) და აქცევს მას კითხვითად“[2].

ამ ორი ფუნქციით დასტურდება -მე ნაწილაკი ჩვენს ძეგლებშიც, მაგ.: „ვის-მე არა უბარინ სიხარული მოძღურისა თჳსისაჲ“ (8,1). აქ -მე კითხვითი მნიშვნელობისაა; „რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ“... (72,2). აქ კი -მე კითხვით ნაცვალსახელს განუსაზღვრელად აქცევს.

„საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში ერთი ასეთი მაგალითი დასტურდება: „კაცი ვინმე იყო, სახელით სელევკიოს ანტიოქელი, ხარკისათჳს-მე შთამოსრულ იყო“ (A 58. სქ. 3).

-მე ნაწილაკის აქ ხმარებას გამართლება არა აქვს, იგი შეცდომაა (B ნუსხაში პარალელურად განუსაზღვრელი ნაცვალსახელია ჩართული სახელსა და თანდებულს შორის: ხარკისა-რაჲსამე-თჳს).

ე) კითხვითი ნაწილაკების მე და ა-ს ხმარების თვალსაზრისით ძეგლებში შემდეგნაირი სურათი გვაქვს:

---

[1] მ. მრევლიშვილი, „მალიად“ ტიპის წარმოება ძველ ქართულში: თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია 14, თეზისები, თბილისი, 1952, გვ. 59–60.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946, გვ. 24.

მხოლოდ ა ნაწილაკს ვხვდებით იოვანე ღმრთისმეტყველის, პეტრესა და პავლეს აპოკრიფებში; იგი ჩვეულებრივ ზმნას ერთვის: ჯუარს-ეცუმი-ა (44,31); აჰკოც-ა (51.25); გნებავს-ა (58,35); გრწამს-ა (83,11).

საგულისხმოა, რომ „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში ეს ა მხოლოდ აქა-იქაა წარმოდგენილი; მოსალოდნელ შემთხვევებში იგი უფრო ხშირად არც გვხვდება.

D ხელნაწერის ტექსტებში ორივე ნაწილაკის ხმარება დასტურდება: „ვინ-მე რბინ ასპარეზსა“ (8,5).

„ვის-მე არა უხარინ“ (8,1).

„ჰხედავ-ა“... (11,5), „არს-ა“... (26,24) და სხვ.

ხშირია მათი ხმარება ერთი წინადადების შიგნითაც:

„არა-მე თანა წარიღის-ა სამოსელი თჳსი“ (8,3), „ვინაჲ-მე იცის-ა მან აბრაჰამი“ (28,4), ერთ სიტყვასთანაც: „უვის-მე-ა ძე ღმერთსა“ (26,22).

ვ) მიმართებით ნაწილაკებად ჩვეულებრივია იგი, ეგე, ესე და რაჲ ნაწილაკების ხმარება: ვინ-ი გ ი (3,23); ვიდრე-ი გ ი (14,7); რავდენნი-ი გ ი (9,10); რომელ-ე გ ე (16,10); რომელ-ე ს ე (46,11); რავდენ-რ ა ჲ (9,13); რომელ-რ ა ჲ (48,12) და სხვ.

ზ) ნუ ნაწილაკის შესახებ: თომა მოციქულის წამების ტექსტში ერთგან თომა ეუბნება მეფის ძეს ვეჯანს:

„მი-ნუ-რაჲ-ეც ზედა-მდგომელთა მაგათ მეფისათა და განმიტეონ და წარვიდე და თაყუანის-ვსცე ჟამ ერთ“ (17,34).

რაც ნიშნავს: მიეც რამე მეფის ზედამხედველებს, რომ გამიშვან და წავიდე და ვილოცო.

აქ ყურადღებას იქცევს ნუ ნაწილაკის ხმარება. როგორც კონტექსტით ჩანს, იგი უარყოფითი ნაწილაკი არ არის, დღემდე კი ამ ნაწილაკის დადებითი შინაარსით ხმარება შენიშნული არ ყოფილა.

ჩვენი მაგალითი ერთადერთი არაა, მსგავსი ნიმუში ბიბლიაშიც დასტურდება:

„უკმო ქმარსა თჳსსა და ჰრქუა: მო-ნუ-ვინ-ავლინე ერთი მონათა მათგანი და ერთი ვირი და ვიისწრაფო კაცისა მის“ (4 მეფ. 4,22; A—19).

პარალელურ ბერძნულ ტექსტში აღნიშნულ ნუ-ს ბჱ შეესაბამება (=მტკიცებით ნაწილაკს): καὶ ἐκάλεσεν τὸν ἄνδρα αὐτῆς καὶ εἶπεν. Ἀπόστειλον δή μοι ἕν τῶν παιδαρίων...).

საგულისხმოა, რომ ორივეგან ნუ ტმესის შემთხვევებში გვხვდება.

სინტაქსი

§ 62. მსაზღვრელ-საზღვრული. ა) მსაზღვრელ-საზღვრულის რიგთან დაკავშირებით ჩვენა ძეგლებში შემდეგი სურათი გამომჟღავნდა: ატრიბუტულ მსაზღვრელიანი სინტაგმების შემთხვევაში ისევე მრავლადაა წარმოდგენილი მაგალითები მსაზღვრელ-საზღვრულის რიგზე, როგორც საზღვრულ-მსაზღვრელისაზე.

გვხვდება ერთი მხრივ: ჴ ე შ მ ა რ ი ტ ი ა ნ თ რ ა კ ი (3,14); მ ო ც ი ქ უ ლ ი ი გ ი თ ო მ ა (20,5); მ ც ი რ ე ნ ი ი გ ი ყ რ მ ა ნ ი (41,35); წ მ ი დ ა ს ა პ ა ვ ლ ე ს (52,14); მ რ ა ვ ა ლ ნ ი ჰ ი რ ნ ი (55,24) და სხვ. მეორე მხრივ: დ ე-

დანი მრავალნი (4,16); საცხებელნი სურნელნი (5,35); დიდებითა დიდითა (14,12); ერი მრავალი (49,2); სისხლი მართალი (53,25) და სხვ.

მართულ-შეთანხმებულ ქსაზღვრელიან სინტაგმების ხმარების თვალსაზრისით კი ტექსტები სხვადასხვა ჩვენებას იძლევიან: D ხელნაწერის ტექსტებში გაბატონებულია საზღვრულ-მსაზღვრელის რიგი, შებრუნებულ რიგზე მაგალითებს კანტი-კუნტად თუ შეეხვდებით. აქ ხშირია წყობა: ნაშობი ებრაელთაჲ (3,8); ნადირნი ველისანი (7,17); სამოსელი მჩურისაჲ (19,37); შვილი ერთი შეფისაჲ (20,14); ღრუბლითა ცეცხლისაჲთა (39,33) და სხვ. ოშვიათია: ზეცისა ეგე დიდებაჲ (9,38). A და B ნუსხებში კი (პარალელურად S-შიც) ორივე რიგის მაგალითებს ერთნაირი სიმრავლით ვხვდებით.

ბ) შეგეხვდა მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნვაში შეუთანხმებლობის შემთხვევები: ჯორციელად საქმისათჳს (9,23); ბოროტისა საქმითა (57,29); ხენი დიდნი ნაყოფიერ (39,1)—უკანასკნელ მაგალითში რიცხვში შეთანხმებაც დარღვეულია.

§ 63. ქვემდებარისა და შემასმენლის მართვა-შეთანხმების საკითხი. „ერი" კრებითი სახელით გამოხატული ქვემდებარე შემასმენელს ხან მთლობით რიცხვში შეიწყობს, ხან მრავლობითში:

„ერი იგი ღაღადებდა და იტყოდა" (45,12).

„ერი მრავალი შეკრბა" (61,18).

სხვა შემთხვევაში:

„ვითარცა ესმა ერსა მას, ყვეს ეგრე" (36,12).

„რაჟამს უკუე იხილეს იგი ერმან მან, შეშფოთნეს ფრიად" (49,32).

მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი შემასმენელი ზოგჯერ აბსტრაქტულ სახელთან „სიმრავლე":

„აღმოჴდა სიმრავლე იგი, მიჰხედეს და იხილეს ფილიპე" (8,37).

„სიმრავლემან ერისამან დიდითა ოხრითა ამენი თქუეს" (47,33—34).

ერთი წინადადება შეგეხვდა ისეთი, სადაც ქვემდებარე არაა შემასმენლისაგან სათანადო ბრუნვაში მართული:

„ხოლო იგი ფრიად ტრფიალებისა მისთჳს ქსანთიპესისა უკჳრდა" (43,26).

მოცემულ წინადადებაში ქვემდებარის სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენა იმ ენის თავისებურების გადმომცემი უნდა იყოს, საიდანაც თარგმნეს ჩვენი ძეგლი.

§ 64. უსრული წინადადება. „საქმენი და სწავლანი"-ს ტექსტში დასტურდება რამდენიმე თავისებური ტიპის უსრული წინადადება, მათში შემასმენელია გამოტოვებული:

1. „აპოლონიდი ფილოსოფოსი ჩემსა ბამასა მჳრონს: გიხაროდენ"... (73,25). აქ ნაგულისხმევი ჩანს „მიუწერს" ან მსგავსი შინაარსის სხვა სიტყვა.

2. „სახელი მისი მჳრონ და სახელი ცოლისა მისისაჲ ფონი" (72,32; აკლია სიტყვა „იყო").

3. „კაცი იგი მდიდარ ფრიად" (72,33 იგულისხმება: „იყო").

4. „ლაბრენტიოს მთავარმან ცოლსა თჳსსა ხრუსიპის დედაკაცო“... (77,16; აკლია: „ჰრქუა“).

5. „ყოველი სახლი მამისა ჩემისაჲ წინაშე პირსა წენსა“ (83,32; უნდა აკლდეს: „არს“)

ამგვარი წინადადებები შესაბამის ბერძნულ ტექსტსაც ახასიათებს, რაკი იოვანე ღმრთისმეტყველის აპოკრიფი ბერძნულიდანაა ნათარგმნი, საფიქრებელია, რომ აქ სწორედ ბერძნულის თავისებურება იყოს წარმოდგენილი (შდრ. პირველი წინადადების შესატყვისი ბერძნულში: Ἀπολωνίδης χήτωρ τῷ ἑμῷ πατρὶ Μύρωνι· χαίρειν—გვ. 59).

§ 6ბ. რთული ქვეწყობილი წინადადება. ძველი ქართული ენის ძეგლებში შენიშნულია რთული ქვეწყობილი წინადადების ისეთი სახეები, როდესაც მთავარი წინადადების ქვემდებარის ბრუნვას ამავე წინადადების შემასმენელი კი არ განსაზღვრავს, არამედ იგი ბრუნვაში შეთანხმებულია დამოკიდებული წინადადების მიმართებით ნაცვალსახელთან.

ცნობილი მაგალითია ოთხთავიდან: „ყოველმან ღმანმან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მათე 3,10).

მსგავსი მაგალითები ჩვენა აპოკრიფებშიც დადასტურდა. ასე მაგ.:

„თჳთ იგივე მღდელნი, რომელნი ჰვსახურებდეს საკერპოსა მას, განიწმიდნიან თავნი თჳსნი“ (52,8).

„ქვათა, რომელთა სტყორცებდეს იოვანეს, ყოველნი კერპსა მას ეცემოდეს“ (63,23).

„იოვანე მოგჳ, რომელ შემოიყვანე სახლსა ჩუენსა, ბოროტი ჭელოვნებაჲ იქმია და შემიძლო მე“ (73,26) და სხვ.

თვლიან, რომ აღნიშნული კონატრუქცია არის გარდამავალი საფეხური თანწყობიდან ქვეწყობისაკენ[1].

დასკვნა

ჩვენი ძეგლების ენობრივი თვალსაზრისით შესწავლამ ცხადყო, რომ ისინი ძირითადად კლასიკური ქართული ენის ნორმებითაა დაწერილი. შეინიშნება თავისებურებებიც, რომლებიც შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

I. თავისებურებები, რომლებიც გარკვეულ ენობრივ მოვლენებს არქაული სახით გადმოსცემენ:

ა) ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი „დაჴერ“-ის ნაცვლად „დაჴარ“ ფორმის ხმარება (§ 35).

ბ) მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად წრფელობითის გამოყენება (§ 38).

გ) ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმით ვინ ჯგუფის სახელთა ხმარება, როგორც იმ დროის გადმონაშთი, როცა ენა ერთმანეთისაგან განარჩევდა ადამიანის და ნივთის კატეგორიებს (§ 40. ანალოგიური მოვლენა ძველი ქართული ენის თითქმის ყველა ძეგლში დასტურდება).

[1] კ. დონდუა, ზმიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 335—336.

დ) წრფელობითის ფორმის წოდებითის ფუნქციით გამოყენება (§ 39).

ე) „რომელ“ მიმართებითი ნაცვალსახელის ფუძის სახით წარმოდგენა (§ 43).

3) გარკვეულ მწკრივებში მპოლობითი რიცხვის მე-3 სუბ. პირის ნიშნად -დ/-ნ და მრავლობით რიცხვში -ედ სუფიქსების ხმარება (§ 49).

ზ) „ნჩან“/„ჩანს“ ფორმების პარალელურად „შჩა“/„ჩას“ ფორმების არსებობა.

II. თავისებურებები, რომლებიც ახალი ენობრივი ნორმების პირველ ნიმუშებად ჩაითვლება:

ა) ზმნისწინების გამარტივება ბოლო თანხმოვნის ჩამოკვეცით (§ 30).

ბ) „თთუე“ სიტყვის „თუე“-დ გამარტივება (იქვე).

გ) საკუთარ სახელთა ბრუნების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრება (§ 41).

დ) I თურმეობითის -ია დაბოლოებით წარმოება (§ 55).

ე) მომავლის წარმოება აწმყოს ფორმაზე ზმნისწინების დართვით (§ 56).

III. თავისებურებანი, რომელთა ახსნა იმ ენის გრამატიკული სტრუქტურის გათვალისწინებით შეიძლება, საიდანაცაა ნათარგმნი ჩვენი ტექსტი:

ა) მიმართვის გადმოსაცემად სახელობითის გამოყენება შეპირობებულია სომხური და ბერძნული დედნებით (§ 39).

ბ) ბერძნულით აიხსნება საკუთარი სახელების სხვადასხვა ვარიანტებით გადმოცემა (§ 42).

გ) ბერძნული ენის სინტაქსური თავისებურება განსაზღვრავს გარკვეული ტიპის უსრულ წინადადებებს „საქმენი და სწავლანი“-ს ტექსტში (§ 64).

დათქმული ნიშნები

1. შრომაში ერთი და იგივე ლიტერით აღნიშნულია როგორც ხელნაწერი, ისე მისგან აღებული ტექსტიც. გამოყენებული გვაქვს ლიტერები:

S — სინას მთის № 32/57/32.

A — ე. წ. სვანური მრავალთავი A—19.

B — ე. წ. პარხლის მრავალთავი A—95.

C — ათონის № 57.

D — H—341.

E — A — 674.

2. როცა ტექსტი ერთი ხელნაწერის მიხედვითაა გამართული, სქოლიოში ჩატანილ სიტყვებს ლიტერი არ ახლავს.

3. ტექსტები დავყავით მუხლებად, ეს დაყოფა ნებისმიერია, ცალკეული ეპიზოდების მიხედვით.

4. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ციფრები აღნიშნავს ძირითად ხელნაწერთა გვერდებს, იმავე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ან ასოები კი მიუთითებს, რომ ისინი ხელნაწერის დაზიანების გამო არ იკითხვის. ამგვარი ( ) კავები კი ნიშნავს, რომ მათში ჩასმული სიტყვები ტექსტებში ჩვენ მიერაა შეტანილი.

ტექსტები

I. [213] წამებაჲ წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ იუჟრიმე[1] ქალაქსა

1. ვითარცა შევიდეს წმიდანი მოციქულნი ფილიპე და ბართლომე და მარიამ იუჟრიმე ქალაქსა და იტყოდეს სიტყუასა მას უფლისასა, ვითარცა ესმა ნიკანორას[2], ცოლ-ა მაა მაჯულისასა, გამოვიდა ფარულად ქმრ[ი]საგან თჳსისა და მოუჴდა ნეტართ[ა] მათ მოციქულთა და შეემთხჳა მათ. იწყო სიტყუად წინაშე ყოველთა მათ მორწმუნეთა და ჰრქუა მოციქულთა: „მეცა ებრაელ ვარ და ნაშობი ებრაელთაჲ ვარ. მეტყოდეთ მე ენითა მით მ[ა]მათა ჩემთაჲთა, რაჲნეთუ ვითარცა მესმა მე წ[ი]ნაჲსწარ სახარებისა მის თქუენისაჲ, მ[უ]ნთჳეესე განვიკურნე ჭყლულებ[ა]თაგან ჩემთა. და აწ ვადიდებ და თაყუანის-ე-ვ̃ცემ [ქ]ჳეელის მოქმედებასა მას ღმრთისა თქუენი]სასა; მოგაშრომნა თქუენ შორიელსა[3] ა[მ]ას ჭუეყანასა პეშმარიტისათჳს და პ[ა]ტიოსნისა მარგალიტისა, რომელი შთანთ[ქა] დიდმან მან ეშაჰმან. ხოლო, ღმერთო ჩემო, გამოაბრწყინენე პეშმარიტი ანთრაკი შენი პეშმარიტითა მ[ით] ბანითა ემბაზისაჲთა და იჴსენ შე[ნ]მიერითა ბაგით ჴსნითა და განსრუ[214]ლებითა[4] და მიაწიე განთაჲსუფლებული სოფელსა მას მშობელთა თჳსთასა[5].

2. და ვიდრე იგი ამას იტყოდა[5], მივიდა და მიიწია მსაჯული იგი დიდითა წრაფითა სრბით, ეჭვთ[5a], ვითარცა ცხენი, დიდითა სრბითა და შებმაუყო[6] სამოსელსა ცოლისა თჳსისასა და ღაღატ-ყო: „ჵ ნიკანორა, სნეული რაჲმე დაგიტეეე შენ ცხედარსა ზედა, ვინაჲ მოიღე ძალი და შეუძლე მოსლვად გრძნეულთა მაგათა, ანუ ვითარ განიკურნე[7] მეყსეულად ნაგუემთა მაგათგან გესლისა მის გუელისაჲსა. არა თუ მითხრა ადრე-ადრე, ვინ-იგი განგკურნა შენ, ანუ რაჲ სახელი არს მისი, გტანჯო შენ მრავლითა და დიდითა ტანჯვითა და არა შეგიწყალო შენ ყოველადვე".

და ნიკანორა მიუგო[8] და ჰრქუა: „ჵ მძლავრო, განიშორე[9] შენგან მძლავრებაჲ შენი და დაივიწყენ უკეთურნი საქმენი შენნი და დაუტეეე სალმობითა საჴსჳ ახოვნებაჲ შენი და განიშორე[10] საწუთროჲ ესე სიხარული, რამეთუ წარმავალ ა[რს] ვითარცა აჩრდილი, და მოიპოვე[11] საუკუნოჲ იგი. დაივიწყე წარსავალ-ი იგი და განიშორე[12] მჴეცობისა იგი სახე, რომელ არიან [215] საქმენი ბილწებისანი: მტერობაჲ და გულის თქუმაჲ ეშაპისაჲ მის მკლველისაჲ. და იჯმენ შერეულებათაგან, რომელ არს ადგილ სიკუდილის და ზღუდე[13] ბნელის. მოიპოვე შენდა ცხორებაჲ უბიწოჲ და შეუგინებელი, და ვიყუნეთ მარადის სიწმიდესა შინა, რამეთუ განმრყუნელ არს წიდოვნებაჲ

---

[1] იოფრიმე. [2] ნიკანურას. [3] შურიელსა. [4] განასრულებითა. [5] იტყუდა. [5a] ეჭვით. [6] უყუ. განიკორნე. [8] მიუგუ. [9] განიშურე. [10] განიშურე. [11] მოიპუვე. [12] განიშურე. [13] ზღუდე.

სულთა, და იგი არს ბნელი, რომელ დახუეულ არს დაბადებულთა ზედა, რომლისაგან გამოვლენ სალმობანი; და იგი არს სიმწარე ყოვლისა უკეთურებისაჲ, და მისგან არს სალმობაჲ და სიკუდილი[1]; და იგი არს დასაბამ ღრღუევისა და ბრძოლისა; და იგი არს საქმარ ეშმაკის, რამეთუ ყოველივე აღრღუეულ არს წყევათა და გულის თქუმათა მისთაგან".

და ვითარცა ესმა ესე მძლავრსა მას, შებმა-უყო თმათა მისთა, ითრევდა და სწიხნიდა: „უმჯობეს არს ჩემდა მო-თუ-გკლა შენ მახჳლითა ჩემითა, ვიდრე არა ხილვად შენდა კაცთა მაგათ თანა გრძნეულთა; რამეთუ გხედავ შენ შეცთომილსა კუალსა კაცთა მაგათ, რომელთა შეგაცთუნეს[2] შენ; და მოვსრნე[3] მაცთურნი ეგე".

და უკუ[3a] იხილნა დიდითა განრისხებითა და ჰრქუა მტარვალთა მათ, რომელნი შეუდგეს: „გამოიყვანნეთ მტყუვარნი ეგე"! [216] და მსახრვალნი იგი მირბიოდეს სახლსა მას სტაჴკსსა, შეიპყრეს ფილიპე და ბართლომე და მარიამი და გამოჰყვანდეს იგინი თრევით.

და ვითარცა იხილნა იგინი მძლავრმან მან, იწყო ღრჴენად კბილთა მათთჳს და თქუა: „მოითრიენით გრძნეულნი ეგე, რომელთა აცთუნნეს[4] დედანი მრავალნი და ქალწულნი, და იტყჳან, ვითარმედ: ღმრთის მსახურ ვართ[4a]. და უბრძანა მოღებაჲ ღუედთაჲ და შეკრვაჲ ფერჴთა მათთაჲ და თრევად მათდა ბჳითგან ქალაქისაჲთ ყოველსა მას ქალაქსა და ჴურაკპარაკთა ვიდრე კარადმდე ბაგინისა.

8. და მრავალი ადგილი შეკრბა ადგილსა მას; და არავინ დაშთა სახლსა მას შინა მოხუცებულითგან ვიდრე ჩჩულამდე[5] და სიძით და სძლით, რომელ მუნთქუეს იქორწინებოდეს[6], იგინიცა[7], რომელ გლოვასა შინა სხდეს. და მრავალთა სიმრავლისა მისგანთა ჰრწმენა სიტყუაჲ იგი მოციქულთაჲ მათ, და განეშორნეს მსახურებისა მისგან გუელთაჲსა, რომელთა ჰმსახურებდეს ქურუმნი[8] იგი.

და ქურუმთა[9] მათ, ვითარცა იხილნეს მოციქულნი იგი, ღაღადებდეს და იტყოდეს: „მოსპენ შენ მაცთურნი[10] იგი". და ყოველი მოკრებულ იყო [217] სოფლებისა მისგან, და იყო სიმრავლე იგი დიდად, რომელნი ჰმსახურებდეს ასპიტსა მას; და ყოველნივე ერთბამად დიდითა ჴმითა ეტყოდეს მსაჯულსა მას: „იძიეთ შური უცხოთა[11] მაგათგან უსწავლელთა, რამეთუ ვინაჲთგან შემოვიდეს აქა, აღიცსო ქალაქი ესე არასაჴმარითა სახითა. მოსრნეს გუელნიცა იგი ნაშობნი ასპიტთანი, რომელ არს ღმერთი ჩუენი, დაარღუეს ბაგინიცა იგი, წარწყმდა მსახურებაჲ ჩუენი, დაემჴუა ტაბლაჲ იგი ჩუენი და არღარა ვჰპოებთ ღჳნოსა, რაჲმცა დაუდგთ წინა[12], რაჲთამცა სუა ასპიტმან მან და და-მცა-იძინა და განისუენა ცხედარსა თჳსსა ზედა. და მრავალნი ახალსძალნი მიცთუნნა და განაშორნა ქმართაგან მათთა. აწ იძიე შური ჩუენი მათგან. არა ხოლო ესე ყვეს, არამედ გრძნებითა მათითა გუელნიცა იგი აოტნეს[13], რომელნი არიან გარეშე ქალაქსა მას. და ორნი იგი გუელნი, რომელნი სცვიდეს ქალაქსა მას გუელისაგან უცხოჲსა მტერისა[14], მოსრნეს იგინიცა". ესე ყოველი წართქუეს ქურუმთა[15] მათ წინაშე მძლავრისა მის; და-

---

[1] სიკჳდილი. [2] შეგაცთჳნეს. [3] მოსრნე. [3a] უკუე. [4] აცთონნეს. [4a] ჩჩულამდე. [6] იქორწინებუდეს. [7] იგიცა. [8] ქურომნი. [9] ქურომთა. [10] მაცთორნი. [11] უცხუთა. [12] წანა. [13] აუტნეს. [14] მცირისა. [15] ქურომთა.

მას ვითარცა ესმა, აღატყდა და განივსო გულის წყრომითა მით, უფროჲს-ღა ნიკანორაჲსთჳს, ცოლისა თჳსისა, რამეთუ ჰრწმენა მას[1] სიტყუათა მათთაჲ.

მას ჟამსა უბრძანა განძარცუვაჲ ფილიპესი [218] და ბართლომესი და მარიამისი, და ჰგონებდა, ვითარმცა პოვა რაჲმე საგრძნებელ მათ თანა. და განძარცუეს მტარვალთა მათ და ქურუმთა[2] პირველ ფილიპე და მერმე ბართლომე, ბოლო მარიამჱ ითრევდეს და იტყოდეს: „განძარცუეთ ეგე, რაჲთა ცნან ყოველთა, ვითარმედ დედაკაცი არს და იქცევის მათ თანა ვითარცა მამაკაცი“.

და უბრძანა მსაჯულმან მან ყოველთა დედათა ქალაქისათაჲ მოკრებაჲ, რაჲთა იხილონ დედათა მათ, რომელი დედაკაცისა ხატითა იქცევის მათ თანა.

და უბრძანა შეპყრობაჲ ფილიპესი და განჴურეტაჲ კოჭთა მისთაჲ. და უბრძანა, და მოიხუნეს[3] გრკალნი რკინისანი და მანანი, და განაცუნეს გრკალნი იგი კოჭთა მისთა; დამოჰკიდეს იგი თავდამოქცევით[4] ეზოსა მას, რომელი იყო წინაშე კართა მათ[5] ბაგინისათა, და მანანი იგი უკუ-მშჳუალნეს კედელსა მას ბაგინისასა. და შეიპყრეს ბართლომე და შეუკრნეს ღუედითა ჴელნი მისნი. და ეგრეთ უკუ-მშჳუალნეს[6] კედელსა მის ბაგინისაჲ. და განსძარცუვიდეს[7] მარიამსაცა, რაჲთამცა მიხედეს და იხილეს შიშულობაჲ მისი; და იგი გარდაიცვალა წინაშე მათსა და იქმნა კიდობან მანის სავსე ნათლითა და ცეცხლითა წინაშე მათსა. [219] და ვერ მიეხნეს ყოველადვე ადგილსა მას და ივლტოდეს პირისაგან მისისა.

4. სიტყუად იწყო ფილიპე ბართლომესა[8] ებრაელითა ენითა: „სადა არს იოვანე დღესა ამას ურჱისა ჩუენისასა, რამეთუ აჰა ესერა დაჰჴსნდებიან ჴორცნი ჩუენნი. ილოცა-მცა რაჲ ვინ ჩუენგანმან, რამეთუ აჰა ესერა მარიამსაცა ჴელნი დაასხნეს და სახლსა სტაჭჳსსა ცეცხლი აღუდვეს და თჳუეს: დავწუათ იგი, რამეთუ შეიწყნარნა იგინი ქალაჭსა ჩუენსა. და აწ უბრძანოთ ჩუენ ცეცხლსა, რაჲთა გარდამოჴდეს და დაწუნეს იგინი“.

და ვიდრე ფილიპე იტყოდა ამას, შემოვიდა იოვანე ქალაქსა მას ვითარცა ერთი მოქალაქეთაგანი. და ვითარცა იხილა ამბოხი იგი, ჰკითხვიდა მათ: „რაჲ არს, რაჲ-ესე იქმნა, ანუ რაჲ არიან საქმენი ესე, ანუ რაჲ არიან კაცნი იგი, ანუ რაჲსა იტანჯჳან?“

და ჰრქუეს კაცთა მათ: „შემოვიდეს ქალაქსა აპას ჩუენსა და (მრავალნი) აღძრნეს ცოლთა და ასულთა თჳთა, და მრავალნი დედანი განაშორნეს ქმართა თჳთა, და მრავალნი ქალწულნი და[ა]შდუნნეს უქმროდ; და მრავალთა სძალთა დაუტეევნეს ქმარნი თჳსნი და მიიელტოდეს მათა; საცხებელნი სურნელნი და სამკაულნი კეთილნი განიშორნეს მათგან და დამუსრნეს[9] [220] ჰურპელნიცა[10] საცხებლის მგბოლველთანი[11]; და დაჰჴსნეს კარნი იგიცა ბაგინთანი. და ამის ყოვლისა შედეგად აქუს გრძნებაჲცა რაჲმე ჴელთა მათთა და მოსრვენ გუელთა მათცა ქალაქისათა საბელითა უცხოჲსა ვისითამე, რომელი ჩუენ არა ვიცით და არცა გუასმიეს. და ვანი დაუც სტაჭჳს ბრმისასა, რომელი განკურნეს[12] ნერწყჳთა, პირითა დედაკაცისა ერთისაჲთა, რომელი იქცევის მათ თანა. და

---

[1] მათ. [2] ქურომთა. [3] მოიხჴნეს. [4] თავდამოქცევით. [5] მათა. [6] უკუმშჳალნეს. [7] განსძარცჳდეს. [8] ბართლომე ფილიპესა. [9] დამოსრნეს. [10] ჰორპელნიცა. [11] მგბოლვეთანი. [12] განკორნეს.

კჰგონებთ, ვითარმედ (იგი) არს, რომელსა აქუს ყოველივე საგრძნებელი-აჰა, იხილე შენცა საქმე ეგე, არა თუ გიკჳრდეს[1] შენცა მაგას ზედა და ასპიტისა მისთჳსცა, რამეთუ იგი იყო ღმერთი ჩუენი, რომელსა ჰმსახურებდა ყოველი ესე ქალაქი. და ქურუმნიცა[2] იგი ბაგინთანი შეძრწუნებულ არიან მათგან, ნუუკუე[3], მოისრნენ იგინიცა მათგან, რამეთუ მსახურ არიან იგინი გუელთა".

ჳ. ჰრქუა მათ იოვანე: „მოვედით და მიჩუენენით იგინი". და მიიყვანნეს იგინი კაცთა მათ ქალაქისათა კართა მათ ბაგინთასა; და მიკრებულ იყო მუნ სიმრავლე იგი და მსაჯული იგი და ქურუმნიცა[4] იგი.

და ფილიპე ვითარცა იხილა იოვანე, ვიდრე-იგი დამოეკიდა თავდამოქცევით, ჰრქუა ბართლომეს[5] ებრაელებრ: „ჵ ძმაო, აჰა ესერა მოვიდა მღდელი იგი წყლისა მის ცხოველისაჲ". [221] და იოვანე ვითარცა იხილა ფილიპე, რამეთუ დამოეკიდა თავდამოქცევით და ბართლომე უკუნწშუალული კედელსა მას ბაგინისასა, ჰრქუა იოვანე: „ჵ ზრახვაჲ მისი, რომელ-იგი დამოეკიდა თავსა ცისა და ქუეყანისასა და საქცეველთაგან საყოფელსა ქართასა". ჰრქუა კაცთა მათცა ქალაქისათა: „ჵ კაცნო, რავდენ არიან ურჩულოებანი ეგე თქუენნი, ანუ რავდენ არიან უმეცრებანი ეგე თქუენნი, რომელ არიან თქუენ თანა, რამეთუ შეგაცთუნნა თქუენ გზათა შეცთომილებისათა გუელმან სულ-მწარემან. მოჰბერა თქუენ ზედა ვეშაპნან, რომელი ყოველსა ჟამსა განამრავლებს წყლულებათა თქუენთა. და დასთხია თქუენ ზედა მკუდარი იგი ზუზღაჲ და მოწურა თჳსისა მის მომკუდრისა[6] ბუდისაგან სამსა სახესა[7], რომელ არს ესე: ჴორცთა და საშუმინველსა და სულსა, და აღივსენით სიბრმითა მისითა. გუელი იგი მრუდი, უმსგავსოჲ იგი, რომელ-იგი დაიწყევა ყოფასავე მისსა, რამეთუ წყეულ არს საშოჲ იგი, ვინაჲ გამოსრულ არს და მისი თესლი გულარძნილ არს და მრუდ და არცა ერთ რაჲ სახე[8] ცხორების[9] არს[10] მის თანა; რამეთუ ყოველნი საუნჯენი გულისა მისისანი სავსე არიან უკეთურებითა. გულის წყრომაჲ და რისხვაჲ ბნელი და ცეცხლი [222] და კუამლი არს ყოველთა ასოთა მისთა, და მისთჳს გულარძნილ[11] არს თავითგან ვიდრე ბოლომდე[12]. და აწ რაჲსა ავნებთ კაცთა მაგათ, რამეთუ ჴეშმარიტსა გეტყჳან თქუენ, ვითარმედ მტერი თქუენი არს გუელი იგი".

ვ. და მათ ვითარცა ესმა სიტყუაჲ იგი იოვანესი, მიყვნეს მის ზედა ჴელნი მათნი და ჰრქუეს: „ჩუენ ვჰგონებდით, ვითარმედ მოჴალაქე ჩუენი ხარ, და აწ სიტყუათა შენთა გამხილეს შენ, ვითარმედ შენცა ზიარ ხარ მათა; და რომლითა სიკუდილითა იგინი მოწყდენ, შენცა მითვე მოჰკუდე".

რამეთუ ესრე განეზრახა მათთჳს ქურუმთა[13] მათ, ვითარმცა გამოწუროს სისხლი მათი და ასუეს ასპიტთა მათ. და ვიდრე-იგი ამას იტყოდეს[14], მარიამ აღდგა ადგილისა მისგან, რომელსა იყო, და მოეგო პირველსავე მას ხატსა. და ქურუმთა[15] მათ ჱიყვნეს ჴელნი მათნი, რაჲთამცა შეიპყრეს იოვანე, და ვერ შეუძლეს, რამეთუ დაეხჯა მათ სიბრმე.

ჱას ჟამსა იწყო ფილიპე სიტყუად იოვანესა და ჰრქუა: „ჵ ძმაო, იოვანე, სადა არს უფალი იგი ჩუენი, რომელმან-იგი იგონო ჩუენთჳს და გჳბრძანა ჩუენ შურის-გებად ჴათა, რომელთა გუტანჯნენ ჩუენ".

---

[1] გიკურდეს. [2] ქურომნიცა. [3] ნუკუე. [4] ქურომნიცა. [5] ბართლომე. [6] მომკჳდრისა. [7] სახლსა. [8] სახჱ. [9] ცხურების. [10] არს და. [11] გუალარძნილ. [12] ბულომდე. [13] ქურომთა. [14] იტყუდეს [15] ქურომთა.

ხოლო მარიამ და იოვანე ნუგეშინის-სცემდეს ფილიპეს, რაჲთამცა სულგრძელ იყო, და ფილიპე არა დაიმორჩილებოდა სიტყუასა მას იოვანესსა და მარიამისსა, არამედ უთქუმიდა[1] ურწმუნოთა მათ, [223] რომელნი იგი სტანჯვიდეს მათ და ეტყოდა: „განმეყენენით ჩემგან, არღარა თავს-ვიდვა მაგათი, რამეთუ დამომკიდეს მე თავდამოკცევით და ბართლომე უკუნმშუალეს და მერმე მარიამსაცა მიყვნეს ჴელნი და ითრევდეს ქუეყანასა განძარცულსა, უჯეროსა სიტყუასა იტყოდეს მისთჳს, და პირსა მისსა ჰხედვიდეს ნაწობნი ურწმუნოთანი, ხოლო ვერ იხილეს, არამედ განიბნინეს. აჰა შენცა ამხილე მათ და არა მოგერჩდეს შენ“.

7. მას ჟამსა გამოვიდა იოვანე ქალაქით და წარვიდა და ვერვინ იხილა. და ფილიპე იწყო სიტყუად ებრაელებრ და ჰრქუა: „მამაო ჩემო, მამაო სიმდიდრეთაო, რომლისა სახელისაგან ეშინის ყოველთა საუკუნეთა, რომელ-ეგე ძალ ხარ ყოვლისა, ჴეშმარიტი მსაჯული, რომლისა-იგი სახელი ძალ არს ერისა. კურთხეულ ხარ უკუნისამდე. შენითა ბრძანებითა დამტკიცებულ არიან ცანი, და ეშინის შენგან ჴელ[2]წიფებათა და ფლობილებათა, რომელ-ეგე მეუფე ხარ პატივის, რომლისა-იგი ჴელმწიფებაჲ მიიწია ჩჳეცთა ზედაცა უდაბნოჲსათა და დაადგრეს შენ მიერ ნადირნი ველისანი, უფროჲს-ღა ქუეწარმავალნი ქუეყანისანი შეკრბეს შენ მიერ. ისმინე ჩუენი წინაჲსწარ[2] ვიდრე. თხოვადმდე შენგან, რომელმან მოგუხედე ჩუენ წინაჲსწარ ვიდრე [224] ცხრაქცევამდე ჩუენდა შენდა მიმართ, რომელმან იცნი ზრახვანი ჩუენნი, რომელ-ეგე ყოველითაე სრულ ხარ. გონებაჲ[3], რომელ-ეგე უმეტეს მაღალ ხარ დიდებითა, რომელ[3]ან მოგჳპოვენ თავით შენით ყოველადვე ნათელ, რომლისაგან გამოჴდეს ყოველნი ტომნი, რომელ-ეგე მღდელთ-მოძღუარი[4] ხარ ყოველთა მღდელთაჲ, რომელმან ნეფსით მოჰფინე ყოველთა ზედა მოწყალებაჲ შენი-განუზომელი. განაღენ პირი თჳსი ქუეყანამან ამან და შთანთქინ უღმრთონი ესე, რომელთა-ესე არა ენებეს სმენაჲ სიტყჳსა მის ჴეშმარიტებისა შენისაჲსა“. და ესე ვითარცა თქუა, მეყსეულად განაღო სიღრმემან პირი თჳსი და შეიძრა ყოველი იგი ადგილი, რომელსა ჯდა მსაჯული იგი ვიდრე ადგილადმდე, რომელსა იყო ასპიტი იგი. და დაინთქა ყოველი იგი სიმრავლე; და ქურუმნი[5] იგი, რომელნი ჰმსახურებდეს ასპიტსა მას, დაინთქნეს მათ თანა სიღრმესა[6] მას. და ეგნეს უძრავად ადგილნი იგი, რომელსა იყვნეს მოციქულნი იგი და ყოველნი იგი მორწმუნენი, რომელნი იყვნეს მათ თანა, და სახლი იგი სტაჴსი და კედელი იგი ბაგინისაჲ მის, რომელსა უკუმშუალულ[7] იყო ბართლომე. დაშთა ნიკანორაცა ებრაელი და ოცდაოთხ ოდენ სხუანი დედანი, ვლტოლილნი ქმართაგან თჳსთა, და ორმეოცნი[8] ქალწულნი, რომელთა არა იცოდეს მამაკაცი იგი. ხოლო არა დაინთქნეს [225] სიღრმესა მას, რომელნი ბანილ იყვნეს წმიდითა მით ნათლის-ღებითა. და ყოველნი მოქალაქენი შთაჰჴედეს სიღრმესა მას და იქმნეს ძრვანი დიდ-დიდნი და საშინელნი.

8. და გამოეცხადა უფალი იესუ ქრისტჱ და ჰრქუა ფილიპეს: „ჩ ფილიპე, ვინ დასდვის ჴელი ერჴუანსა და ჰხედავნ უკუმართ და ურნატი მისიცა მართლ იყო, ანუ ვინ მისცეს სანთელი თჳსი სხუასა და იგი ბნელსა შინამცა დაშთა, ანუ ვინ დაემკჳდრის სკორეთა ზედა და მისცეს სამკჳდრებელი თჳსი უცხოთა, ანუ ვინ დაუტევის სამოსელი თჳსი სახლსა შინა და იქცევინ ში-

[1] უთქჳმიდა. [2] წანაჲსწარ. [3] გუნებაჲ. [4] მოძღუღუარი. [5] კურომნი. [6] სიმრმესა. [7] უკუმშუალოლ. [8] ურმეოცნი.

შუელი დღეთა ზამთრისათა, ანუ ვის-მე არა უხარინ სიხარული მოძღურისა[1] თჳსისაჲ? რამეთუ ეგეოითართათჳს[2] აღთქუმულ არს სასყიდელი კეთილი, რომელი ახოვნად განვიდის ღუაწლით შეგურვილი კეთილად, და არა-მე თანა წარიღისა სამოსელი თჳსი? ანუ რომელმან მონამან აღავსო ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და არა მიუწოდა სიხარულსა თჳსსა, ანუ ვინ-მე რბინ ასპარეზსა და არა მიიღის ნიჭი ძღეგისაჲ? ანუ ვინ-მე წინაჲსწარ განწმიდის საჰკაული თჳსი და მერმე არა შთაიცჳს? ჶ ფილიპე, აჰა ქორწილი ჩემი მზა არს და ნეტარ არს, რომელი იპოოს მუნ წმიდითა და ბრწყინვალითა [226] სამოსლითა, რამეთუ მან დაიდგას გჳრგჳნი იგი მადლისაჲ თავსა მისსა. აჰა, პური ჩემი მზა არს, ხოლო ნეტარ არს ჩინებული იგი, რომელი განმზადებულ იპოოს ყოვლითავე მისლვად წოდებასა მას მჩინებელისასა[3]. მრავალ არს სამკალი აგარაკისაჲ და ნეტარ არს[4] მუშაკისა მის, რომელმან შეუძლოს. აჰა შრომანი ველისაჲ ყუავის და მჭნე მუშაკი იხარებს მას ზედა".

და ჳითარცა ესმა ესე ფილიპეს, მიუგო და ჰრქუა: „და რად არა ვჳბრძანე, უფალო, მოსრვად მტერთა, რომელთა არა ჰნებავს მეუფებაჲ შენი მათ ზედა? და ესე უწყით, რამეთუ არა შემსგავსებულად და ღირსად მიედვა სახელი შენი და ზრახვაჲ შენი ყოველსა სოფელსა, რამეთუ ღმრთეებაჲ[5] შენი უზეშთაეს არს ყოველთა სახელდებულთა ღმრთად. და მე შენ მიერ მოვივლინე ქალაქსა ამას, რამეთუ არცა გონებასა ჩემსა მოსრულ იყო მოსლვად აქა, არამედ შენ მომავლინე მე ძლით ჴეშმარიტისა ღმრთეებისა შენისათჳს, შეტყუებად შეცოდებათა მათთათჳს და კერპთა მათთა და ეშმაკთა და ყოვლისა ბილწისა ძალისა მათისა. და ვითარცა შემოვედით აქა, მუნთქუესე იელტოდეს ეშმაკნი პირისაგან ჩემისა სახელისა შენისათჳს წმიდისა, და ეშაპნი განჴმეს და გუელნი ივლტოდეს; და დამშჳდნა ბუნებაჲ მჴეცთაჲ მათ. [227] და მათ არა შეიწყნარეს ნათელი შენი, ამისთჳს მეცა ვიზრახე დამდაბლებად მათდა უგუნურებისა მათისათჳს".

ჰრქუა მას მჴსნელმან: „რამეთუ ეგე ხოლო მცნებაჲ ჩემი დაუტევე, დაეყენო საუკუნეთა მათ კეთილთა ორმეოც[6] წელ და არა იყო ადგილსა მას განსახუენებელისა შენისასა. აჰა ბართლომესცა ლუკაონას აქუს ნაწილი და ჯუარს-ეცუას, მუნ, და მარიამ იორდანესა თანა დასხნეს ჯორცნი თჳსნი".

9. და შემდგომად სიტყუათა ამათ, მოიქცა უფალი, აღიპყრა მარჯუენჱ და გამოჴერა ჯუარად დიდად ქართა ზედა, რომელი მისწუდებოდა[7] ქუესკნელამდე, და იყო სავსე ნათლითა, და იყო მოჴედ მსგავსად კიბისა. და ყოველი სიმრავლჱ დანთქმულთაჲ მათ სიღრმესა მას აღმოჴდა დაკიპულსა მას ნათლის სახესა ჯუარისასა, და არავინ დაშთა მათგანი სიღრმესა მას, გარნა მსაჯული იგი ხოლო და ასპიტნი[8], რომელთა ჰმსახურებდეს.

და რაჟამს აღმოჴდა სიმრავლე იგი, მიჰხედეს და იხილეს ფილიპე დაბოკიდებული ეგრეთვე თავდამოქცეული და ეგრეთვე ბართლომე უკუნმშჳილული კედელსა ბაგინისასა. იხილეს მარიამიცა, რამეთუ იყო წინანდელსავე ხატსა. და უფალი ამაღლდა ცად.

და ჰხედვიდეს ფილიპეს და ბართლომეს და მარიამს და ნიკანორას, ცოლსა მას [228] მსაჯულისასა, და სტაქუს, რამეთუ დგეს მშჳდობით დიდებისა მიცემითა ღმრთისა მიმართ შიშითა და ძრწოლითა.

---

[1] მოძღჳრისა. [2] ეგეოითართაჲთჳს. [3] მჩინენებელისასა. [4] ნეტარს. [5] ღმრთებაჲ. [6] ურმეოც. [7] მისწუდებუდა. [8] ასპეტნი.

და ყოველი იგი სიმრავლე ღაღადებდა და იტყოდა: „ერთ არს ღმერთი, რომლისა სახელსა ქადაგებენ მოციქულნი ესე პეშმარიტებით, ერთ არს ღმერთი, რომელმან მოგვავლინნა თქუენ ჴსნად ჩუენდა. აწ შეეინანოთ დიდთა მათ შეცოდებათა მათთჳს, რომელთა შინა ვიყუენით გუშინდელად დღემდე არაღირსნი საუკუნისა მის ცხორებისა. აწ გურწმენა, რაჟამს ვიხილენით საკჳრველებანი მისნი“. და რომელნიმე მათგანნი დაირეცნეს ქუეყანაჲსა ზედა და თაყუანიս-სცეს, რომელთამე მოიდრიკნეა თავნი თჳსნი და მუჴლ-დადგჳთ ილოცვიდეს და ითხოვდეს, და ზოგნი იგი განიზრახვიდეს სივლტოლად და ეტყოდეს: „ნუუკუე მერმეცა ძრვაჲ იყოს მსგავსად წარსრულისა მის“.

10. და ფილიპე აღყო ჴელი თჳსი ვიდრე-იგი დამოეკიდა თავდაბოჭცევით და ჰრქუა: „კაცნო, მკჳდრნო ამის ქალაქისანო, ისმინეთ სიტყუათა ჩემთაჲ, რომელ მეგულების სიტყუად თქუენდა, ვითარცა-ესე დამოკიდებულ ვარ და თავდაბოჭცევით, ისწაჳეთ რაჲდენ-რაჲ არიან ძლიერებანი ღმრთისანი და საკჳრველებანი[1] მისნი, რომელ იხილენით. უწყით, რამეთუ ძრვასა მას წარწყმდა ყოველი ესე ქალაქი თქუენი, გარნა სახლი იგი ოდენ სტაჭჳსი არა წარწყმდა და არა შთაჲდა სიღრმესა მას. [229] და რაჲსათჳს-მე არა დაინთქა, არამედ განცხადებულ[2] არს? ამისთჳს, რამეთუ ჰრწენა პეშმარიტი ღმერთი და შეიწყნარნა მონანი მისნი“.

და ორმელნიმე მათგანნი მირბიოდეს. რაჲთაცა გარდამოჰჴსნეს ფილიპე, ხოლო მან ჰრქუა მათ: „კაცნო, ამანო, რომელნი განჰხნათ დიდ უფლისა მიერ, ისმინეთ სიტყუათაჲ ამათ, რომელ მეგულების სიტყუად თქუენდა. უწყით თქუენ ყოველთა, რამეთუ არა მოვედ ქალაქსა ამას ვაჭრობად, ვითარმცა შე-რაჲმე-ვიძინე, და არცა ჯორციელად საქმისათჳს, და არცა მოვედ ნებსით ჩემით, არამედ ნებითა მით უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჱსითა, რომელმან იჴსნა ყოველი სოფელი; მან მომავლინა მე ქალაქსა ამას, რომელსა დამოკიდებულ ვარ მე თავდაქცევით. აწ ნუ შეაძრწუნდებით[3], რამეთუ დაჰმკიდეთ მე თავდაქცევით, რამეთუ სახჱ არს ესე წინანდელისა მის კაცისაჲ, რომელი-იგი შთაჲარდა თავდაქცევით ყოკლიაგან. აწ აღვავსებ სიტყუასა მას, რომელი ითქუა თქუენდა მიმართ ბრძანებით ჭეშმარიტისაგან ღმრთისა ჩუენისა. არა თუ გარდააქციოთ ზესკნელი იგი ქუესკნელად და ქუესკნელი ზესკნელად, და მარჯუენე მარცხენედ და მარცხენე მარჯუენედ, და შეურაცხი ეითარცა პატიოსანი, და არა თუ ჰყოთ ყოველი ესე სახჱ სასუფეველისა[4] მისთჳს ცათაჲსა. ვერ შეხჴედეთ მას. იგი სახჱ მაქუს მე მსგავსად დაბაბაჭით ყოფილისა მის კაცისა[5]. და აწ, ძმანო ჩემნო, [230] მემსგავსენით მე. დაფარულსა მას სახესა, რამეთუ ცვალებულ არს ყოველი ესე სოფელი[6]. და ყოველი, რომელი იწუებს აქაჲ შინა, დაიქციის თავი და იწუებს. და არა არნ მის თანა ზეცისა ნათელი და არს მარადის დაჴიწყებულ. ხოლო აწ თქუენ, რომელთა-ეგე მოიღეთ და გაქუს ზეცისა ეგე დიდებაჲ და სანატრელობაჲ იგი ჴეშმარიტისა მის ნათლისაჲ, ნუ იყოფით ურწმუნო დღეს-დღითგან, არამედ იყუენით მორწმუნე და შეუნდობდით ურთიერთას, რამეთუ მე დავეყენე ჴეშმარიტისა მის განსასუენებელისა, რამეთუ მიგაგე[7] მისაგებელი, რომელნი-ეგე მტანჯეედით მე, და შევაჰთხე საცთური ჩემსა აქაჲს სიწრფოებასა[8]. და აწ ჴელითა თქუენითა მივაღ სიმაღლეთა. ნუ შეზრუნდებით[9], რაჲთუ გან-

[1] საკურველებანი. [2] განგანცხადებულ. [3] შესძრწონდებით. [4] სასუფეველისაჲ. [5] კაცისაჲ. [6] სუფელი. [7] მიგაგაგე. [8] სიწრფუებასა. [9] შეზრონდებით.

ვალ[1] მე ჴორცთა ამათგან, არამედ უფროჲს ბიაროულ იყვენით, რამეთუ განგაშორენ სამკჳდრებელსა ვეშაპისასა, რომელი სტანჯავს ყოველსა სოფელსა, რომელი ცოდავს მისა[2] მიმართ".

და ესე ვითარცა წართქუა ფილიპე, მიხედა კრებულსა მას, რომელი-იგი გარე-მოადგა, და ჰრქუა: „თქუენ გეტყჳ, რომელნი-ეგე მოიქეცით მკუდრეთით[3] და ჴოჴოხეთით და საშინელისა მისგან სიღრმისა, რომელნი-ეგე ნათლისა ჯუარმან მან აღმოგიყვანნა მრავლითა ბით ქველის მოქმედებითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთჲ. იგი ღმერთ იყო და კაც იქმნა ჩუენთჳს, [231] უკუდავი იყო და თავს-იდვა სიკუდილი ჩუენთჳს, და სიკუდილითა მით მისითა აღადგინნა მკუდარნი. გამოუჩინებელ იყო და ჴორცნი შეისხნა, რაჲთა შეატყუას ჴორცი ესე ცოდვისაჲ, დიდ იყო — დამცირდა, რაჲთა აღზარდოს ჩუენი ესე სიმცირე და აღიყვანოს თჳსსა მას სიმდიდრესა. იგი იყო, რომელსა აქუნდა ყოველი სიტკბოებაჲ. და ჰნერწყუვიდეს[4] მას და დაითმინა, რაჲთა მოაქცინეს განმწარებულნი სიტკბოებად. აწ განიცადეთ იგი, (ნუ) დაუტევებთ, და მან მოგცეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ამენ".

11. და რაჟამს აღასრულა მათდა მიმართ აღთქუმული[5] იგი და ჰრქუა: „გარდამოჰჴსენით ბართლომე"! და მათ გარდამოჰჴსნეს ადრე-ადრე, და ჰრქუა მას ფილიპე: „ბართლომე, ძმაო ჩემო ქრისტეს მიმართ, უწყი შენ, რამეთუ უფალმან მოგავლინა შენ ჩემ თანა ქალაქსა ამას და მეზიარე შენ ყოველთა ჭირთა ჩემთა, შენ და მარიამ. ხოლო მე, ვითარცა მეუწყა უფლისაგან ჯმნაჲ შენი[6] ლუკაონს, და მარიამისი—ბრძანებულ არს იორდანესა მდინარესა. და აწ გამცნებ თქუენ შემდგომად ჯმნისა ჩემისა ჴორცთაგან, მშჯდობაჲ თქუენი დაამკჳდრეთ სახლსა მას სტაქჳსსა, ვითარცა-იგი უფალმან თჳსი იგი მშჯდობაჲ დაამკჳდრა ქალაქსა მას. იყვნენ ყოველნი ქალწულნი სახლსა მისსა მარხვით ყოველსა დღესა, და ნუ განეშორებით [232] ურთიერთას. და მი-თუ-ვიდიან ხილვად[7] სნეულთა, ორ-ორიმცა[8] მივა სლვითა სიმდაბლისაჲთა; ნუმცა არს მათი ჰაბუკთა მიმართ მიხედვაჲ, რაჲთა არა განცადნეს იგინი[9] ეშმაკმან. რამეთუ გუელი იგი შეეპარა ევას და ეგრეთ მის გამო ყო დამჴობაჲ იგი მისი-სიკუდიდ. ეგრეცა ამას ჟამსა იყოს, რამეთუ შემდგომად განსლვისა ჩემისა ჴორცთაჲან იყოს მრავალი გულის თქუმაჲ, და მრავალთა მამათა და მრავალთა დედათა დაუტეონ საქმე საქალობისაჲ და შედგენ ქალწულებასა, და ვერ ეცნას ყოველადვე სახე ქალწულებისაჲ, რომელ აქუს ბეჭედი დიდებული. მრავალნი იყვნენ გამოჩინებულ[10] სიტყჳთ[11] ხოლო და არა ძალითა საქმისაჲთა. და ქალწულ იყვნენ ჴორცთა თჳსითა, ხოლო ცოდვიდენ გულთა შინა მათჳსა. და ცოდვაჲ თუალთა მათთაჲ განჳრავლდეს ვითარცა ნაღუარევი. განამრავლონ სმენაჲ დაჳორჩილებით, რაჲცა-იგი სათნო უჩნდეს, და დაივიწყონ მახარებელისა მის სიტყუაჲ, და აღივსოს გული მათი ამაოებითა ამპარტავანებად, და დაივიწყონ წმიდაჲ იგი მცნებაჲ და შეურაცხ-ყონ იგი. გულარძნილ[12] იყოს ნათესავი იგი, ხოლო ნეტარ იყოს იგი, რომელ კრძალულ იყოს და რომელი განერეს საუნჯეთა თჳსთა, რამეთუ მან პოოს განსასუენებელი შემდგომად სიკუდილისა[13].

12. [233] არა-მე უწყია, ჱბართლომე, რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ და მეცნიერებაჲ ცხორება არს ჩუენდა. რამეთუ გუასწავებდა და გუეტყოდა ჩუენ,

---

[1] განვაგ. [2] მისსა. [3] მკჳდრეთით. [4] ჰნერწყჳიდეს. [5] აღთქული. [6] შენი}+მეუწყა უფლისაგან. [7] ხელვად. [8] უძლორიმცა. [9] იგი. [10] გამუჩინებულ. [11] სიყჳთ. [12] გუალარძნილ. [13] სიკჳდილისა.

რაჟამს-იგი უსრულე ვიყვენით, ვითარმედ: ყოველი, რომელი ჰხედვიდეს გულის თქუმითა გულსა შიდა, ისიძეოს მის თანა. ამისთჳს ძმაჲ იგი ჩუენი იოვანე ივლტოდა ყოველთაგან ადგილთა, სადა დედაკაცი იყო. ეგრეცა პეტრეს უბრკუმა ასულისა მის თჳსისათჳს, ილოცა უფლისა მიმართ და ნახევარ-დაჴსნილ იქმნა ასული იგი მისი მიხედვისა მისთჳს თუალთაჲსა. ჰხედავა, ძმაო, რამეთუ გამოცდილი ხედვაჲ[1] ცოდვად შერაცხილ არს და დასაბამი ცოდვისაჲ იქმნა ხედვისაგან თუალთაჲსა, ვითარცა წერილ არს: მიჰხედა ევა და იხილა ხე იგი, რამეთუ სათნო იყო თუალითა ხილვად და ტკბილ გემოჲ ხილვად? ჰხედავა, რამეთუ სიძვაჲ განცდითა თუალთაჲთა არს, რამეთუ ესე არიან, რომელნი შეიტყუეუან[2] გულსა? ვითარცა ხᲫ-ღა მოეკუეთის და ძირი იგი თუ დაშთის, მერმე აღმო-ვე-სცენდის, ეგრეცა გულის თქუმაჲ, არა თუ ძირითურთ ვინმე აღმოჰფხურეს, მერმე აღ-ვეღა-ტყდეს. რამეთუ მას ჟამსა თუალნი იგი დამტკიცებულ არიედ, გული ჰხედავნ, და ხილვაჲ [234] იგი თუალთაჲ გულმან მიიტაცის და ყოველნი ჴორცნი განივსნიან გულის თქუმითა, რომელ არს ვითარცა საქმარი, და ეგრეთ აღესრულის ცოდვაჲ იგი. ამისთჳს, ჶ ბართლომე, ყოველსა ეკლესიასა, სადა აღაშენებდე, ყოველთა ადგილთა განწვალე საშუალ განტიხრვით ურთიერთას, რაჲთა არა დაბნელდენ ლოცვანი ახალ-ნერგთანი ხედვითა თუალთაჲთა. და მერმე სასმენელნიცა იგი ქალწულთანი იყუნენ წმიდა და თჳს-თჳსმცა არს სასუენებელი მათი, და თუ ვიდოდიან, ორ-ორიმცა ვალს. სლვანი და სახენიმცა მათნი წესსა ქუეშე არიან, რაჲთა შინაგანიცა მათი სწორ იყოს შრომისა მათისა, და სასყიდელი მათი იპოოს წინაშე უფლისა. ვითარცა ჰურჴელი[3], სარწყული ცუდი, დადგმული ზედა ცეცხლსა, არა განერის, არამედ განტყდის, ეგრეცა ‘ბრომაჲ ქალწულებისაჲ წარწყმდის, არა თუ კრძალულ[4] იყოს გარეცა თჳსა. აწ შენ ამცენ ყოველთა სიწმიდისათჳს“.

13. ჰრქუა ბართლომე ფილიპეს: „ისმინე ჩემი და მიგიგო შენ, რაჲსა ჟამსა მას, რომელსა ჩუენ თანა იყო მჴსნელი, არა განგუაშორნა[5] ქალწულთაგან ვიდრე დღედ ერთადმდეცა?“ ჰრქუა მას ფილიპე: „არა უწყია, [235] რაჟამს გამობრწყინდის მზᲫ, ყოველი სოფელი სავსე არნ ნათით მისითა; რაჟამს დაჰჴსნდის მზᲫ და დაუტევის სოფელი ესე, მაშინ ყოველივე სოფელი აღივსის ბნელითა, და მჴეცნი ელენედ ბნელსა შინა და გუელნი და ღრიანკალნი და ყოველნი ქუეწარმძრომელნი დაკბენად განმზადებულ არიედ? ეგრეცა ადგილი ესე ჩუენი, რაჟამს იყო ქრისტᲫ ჩუენ თანა ჴორცითა მით, ვიყვენით ყოველსა ჟამსა დიდებასა შინა მისსა, და მადლი იგი და ნიჭი მისი გარე-მოხუეულ იყო ყოველსა ჟამსა ჩუენსა ადგილსა, სადაცა ვიყვენით. კრძალულ არიედ თავნი ჩუენნი და ვერ შემძლებელ იყო არცა ერთი რაჲ უკეთურებაჲ ცოდვისაჲ დამკჳდრებად ჩუენ თანა სიმჴნითა წმიდისა მის სულისაჲთა, რომელ-იგი მოჰფინა ჩუენ ზედა. ამისთჳს დაღათუ ზეცას არს მამისა თანა, არამედ ჩუენ თანაცა არს ქუეყანასა ზედა და ჩუენ მივალთ მისსა ზეცად. ამისთჳს ჩუენცა თანა-გუაც სწაელად სხუათა შემსგავსებულად დიდებულებათა მათ ეკლესიისათა, რომელსა იჩინენ[6] სლვად მას შინა. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სამკაულითა მით სიცრუვისაჲთა[7] და იტყოდიან,

---

[1] ხედვაჲ+ხედვაჲ. [2] შეიტყჳვიან. [3] ჰორჴელი. [4] კრძალოლ. [5] განგჳშორნა. [6] იჩინᲫნ. [7] სიცრჳვისაჲთა.

ვითარმედ: ეჰმსახურებთ ჩუენ წმიდასა მას მსახურებასა და მსახურებაჲ იგი მათი იყოს, ვითარცა კერპთა მსახურებაჲ. [238] რამეთუ დაეტეოს წესი იგი მათი, რომელ მიეცა და იქმოდიან საქმეთა[1] ამაოთა. ხოლო შენ, ბართლომე, იქენ გამოცდილ კეთილისა გამოცდისა და ეგევე მცნებაჲ აჰცენ სტაქჱსცა და დაადგინე იგი ეპისკოპოსად ეკლესიათა ზედა, რაჲთა იყოს იგიცა ეგრევე კეთილის მსახურ. ნუ გრწამნ ზედამდგომელ ყოფაჲ ჰაბუკისაჲ, და ნუ დაადგინებ ეგვეითარსა საყდარსა მსწავლელთასა, რაჲთა არა გმობილ იყოს წამებაჲ იგი უფლისაჲ, რამეთუ თანა-აც მსწავლელსა მას სწავლად საქმეთა მათცა კეთილთა თჳსთაჲ, რაჲთა ზოგადითა მით სიტყჳთა შეზავებულ იყოს ყოველსა ჟამსა დიდებისა მიცემაჲ იგი.

და მე რაჟამს აღვესრულო ჯორცთა ამათგან, აღიხუენ ჯორცნი ჩემნი და წარგრაგჳნენ ასურეთისა ქარტასა, და ნუ წარჰგრაგნი მჩურითა, რამეთუ მჭურითა წარიგრაგნა მჴსნელი იგი ჩუენი. არამედ წარგრაგნენ ჯორცნი ესე ჩემნი ქარტასა და აღხუე ჰილითა, და დაჰფლენ ყურესა ერთსა ეკლესიისასა, და ლოცვა ყავ ჩემთჳს ორმეოც[2] დღე დაუცადებელად. რაჲთა მომიტეოს ღმერთმან შეცოდებაჲ იგი, რომელ ვყავ, რამეთუ მივაგე ბოროტის მყოფელთა ჩემთა ბოროტი. რაჲთა არა იყოს დაყენება ჩემდა საუკუნესა[3] მას განსასუენებელსა ორმეოც წელ".

[239] და მერმე ჰრქუა მათ ფილიპე: „აჰა, სისხლი ჩემი დასწუთეს[4] ქუეყანაჲა და ნერგი აღმოჴდეს ადგილსა მას, სადა დასწუთეს სისხლი ჩემი. და რომელ-იგი აღმოსცენდეს, იყოს ვენაჯი, და გამოიღოს ყურძენი, რომელ-იგი აღმოსცენდეს ქუეყანისაგან და მომწუთოლვარესა მას სისხლსა ჩემსა. და მოიღეთ ყურძენი იგი და გამოწურეთ და შეწირეთ მაღლად წმიდითა ლოცვითა თქუენითა, რაჲთა იყოს მსხუერპლ[5] სრულ წინაშე სულისა მის შემძლებელისა, და მომიტეოს მე შეცოდებაჲ იგი, რომელ ვყავ".

14. და ესე ვითარცა თქუა ფილიპე, იწყო თაყუანის-ცემად[6] და სიტყუად: „უფალო ჩემო, იესუ ქრისტე[7], მამაო სიმდიდრეთაო, მეუფეო[8] ნათლისაო, რომელნან გულისჴჩიერ ჴყენ ჩუენ შენითა მაგით სიბრძნითა, და მომეც ჩუენ ცნობაჲ შენთა მაგათ სიმაღლეთაჲ, რომელმან მოგუმადლე ჩუენ ნებაჲ ქველის მოქმედებისა შენისაჲ, რომელი არასადა განგუეშორა ჩუენგან. შენ ხარ, რომელმან აღაცჱრნი სალმობანი მათგან, რომელნი შეგეეედრნიან შენ. შენ ხარ, რომელმან მომეც შენი იგი სიყუარული, რომელნან არა მიიქციე პირი შენი ჩუენგან. შენ ხარ, რომელნან მოგუეც სიტყუაჲ მოქცევად შენდა მიმართ შეცთომილთა. შენ ხარ, რომელმან მოგუეც ჩუენ ყოფად ნიშისა [238] და სასწაულისა მცირესა ამას სამწყსოსა შენსა ზედა. შენ ხარ, რომელმან დაადგი გჳრგჳნი[9] თავსა ზედა, რომელთა სძლიან ახოვანსა მას. შენ ხარ ღუაწლისა წინამძღუარ[10]. მომჴადე ჩუენ გჳრგჳნი[11] ეგე მადლისაჲ, რომელი-ეგე თანა-მოღუაწე ხარ ჩუენდა, რაჲთა შემძლებელ ვიყვნეთ წინა-დადგომად მავნებელთა ჩემთა. შენ, რომელმან განსწმიდი და აღაორძინი და განამრაველი და განაცხოველნი ყოველნი ჴორცნი შენნი. და აწ მოვედ, უფალო, და მეც ჩუენ შეწევნაჲ და მოგუმადლე გჳრგჳნი[12] შენი წინაშე ჴელმწიფეთა და მბრძანებელთა. ნუ დაიფარაენ მე დამაბნელებელი იგი სანქრეაჲ, და ნუცა კუამლი მისი დაეხუევინ ხატსა სულისა ჩემისასა, არამედ წიაღჴდე სიღრმესა მას მდინარესა ცეცხ-

[1] საქმეთა. [2] ორმეოც. [3] საუკუნესე. [4] დასწუ̈თეს. [5] მსხუერპლ. [6] თყნისცემად. [7] ქრისტე. [8] მეუფეო. [9] გურგუნი. [10] წინამძღუარ. [11] გჳრგჳნი. [12] გჳრგჳნი.

ლისასა და ნუმცა დაჴინთქმი მას შინა. უფალო ჩემო, იესუ ქრისტე[1], ნუმცა რას ჰპოებს სიტყუად მტერი იგი ჩემთჳს წინაშე ჴეშმარიტსა ჴას განსაკითხველსა. არამედ შთამაცუ დიდებული ეგე ხატი შენი და ბეჭედი ეგე შენი, რომელი ყოველსა ჟამსა ბრწყინავს, ვიდრე მე განვლო ადგილი იგი ბნელისაჲ და განვერე ბოროტსა მას ეშჳპასა მჴდომსა ჩემსა. აწ, უფალო, ყავ შემთხუევაჲ ჩემი ჰაერთა ზედა მომადლებად ჩემდა თანა-ნადებისა მის, რომელ მიეგე ბოროტი მტერთა ჩემთა. [240] და გარდაეცვალე ხატი ესე ჴორცთა ჩემთაჲ ხატად შეზავებულად დიდებულთა ჴორცთა შენთა, უფალო. და განმისუენე მე შენთა მაგათ სანატრელთა შინა, და მახარე მე შენთა მაგათ კეთილთა შინა, რომელ აღუთქუ წმიდათა შენთა უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე, ამენ".

და ვითარცა წართქუა, შეჰვედრა სული თჳსი უფალსა წინაშე ყოვლისა მის სიჩრაელისა.

15. და ბართლომე და მარიამ გარდამოიხუნეს[2] ჴორცნი იგი მისნი და ყვეს ეგრე, ვითარცა ამცნო მათ. და დაჰფლეს ადგილსა მას, რომელსა უბრძანა. და შემდგომად სამისა დღისა და აღმოჴდა ნერგი ადგილ'ა მას, რომელსა დასწუთა სისხლი მისი. და ყვეს ყოველივე, რაჲცა ამცნო მათ ფილიპე. და შესწირვიდეს ორმეოც დღე მსხუერპლსა ყოველსა დღესა თაყუანის-ცემით ათორმეტ ჟამ დღესა შინა, და აღაშენეს ეკლესიაჲ ადგილსა მას და დაადგინეს სტაქჳს ეპისკოპოსად მას ზედა.

და პიერითგან ადიდებდეს ღმერთსა წინაშე ყოველთა მათთჳს საკჳრველებათა. და ბართლომე ამცნო სტაქჳს განათლებაჲ მათი სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა. და შემდგომად ორმეოცისა დღისა გამოეცხადა უფალი ხატად ფილიპესსა და ჰრქუა მარიამს და ბართლომეს: „ძმანო ჩემნო, კურთხეულნო[3], განვისუენე განსასუენებელსა მას მამისასა. [240] აწ წარვედით ადგილსა მას, რომელსა განისწაელენით თქუენ, რამეთუ ნერგი იგი, რომელ აღმოსცენდა ქალაქსა მას, და ნაყოფიერ იქმნა დიდად".

და იჴმნეს ძმათაგან და ლოცვა ყვეს ურთიერთას და გამოვიდეს ქალაქისა მისგან და წარვიდეს, სადაცა უბრძანა მათ უფალმან: ბართლომე ლუკაონიად და მარიამ იორდანედ მდინარედ.

ხოლო სტაქჳს და რომელნი-იგი მის თანა იყუნეს, დაადგრეს მუნვე და ასწაებდეს ეკლესიასა მას ქრისტჱსსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[1] ქრისტჱ. [2] გარდამოიხჴნეს. [3] კორთხეულნო.

II. წამებაჲ წმიდისა თომა მოციქულისაჲ ჰინდოეთს

1. შევიდა ნეტარი იგი თომა მოციქული სახლსა ვეფანისსა, ძისა მის მეფისა ჰინდოელთაჲსა, ღამე, და დიდითა ნათლითა განათლდა ყოველივე, რაჲცა იყო სახლსა მას შინა. და იწყო მოციქულმან მან ლოცვისა ყოფად და თქუა: „თანა-მოღუაწეო და შემწეო უძლურთაო[1], ღმერთო ჩემო იესუ, გინ:კო და სასოო და შესაეედრებელო უძლურთაო, მაშურალთა განმსუენებელო. ჴ̃ვაჲ, რომელი გარდამოჰჴედ ზეცით, მგლოვარეთა ნუგეშინის-მცემელ, გამოჩინებულ, [241] განსასუენებელ, რომელნი მიელენან შენსა მას ადგილსა. ნჴსნელო და მკურნალო[2], რომელი მრავალთათჳს ჯუარს-ეცუ და შენთჳს არავინ ჯუარს-ეცუა. შენ, რომელი შთაჰჴედ ტარტაროზთა მათ ძლიერებითა შენითა, დიდ-დიდთა და მფლობელთა სიკუდილისათა ვერ მიგხედეს შენ.

აღმოჰჴედ დიდებითა დიდითა და აღმოიყვანენ შენნი იგი შენ თანა, და წრფელი იგი გ̃ბაჲ განაწესე ყოველთა მიმართ და შენსა მას ალაგსა ყოველნი ჴ̃ნიელ̃ნი გაოკიდეს და შეერთნეა რიცხუსა[3] მას სამწყსოთა შენთასა.

ჯ მრავალ-მოწყალეო ყრმაო იესუ, რომელი-იგი მრავლითა მოწყალებითა თჳსითა მოგაელინა ჩუენთჳს მაჴამან, რომელსა საჴმენი თჳსნი ადიდებენ მას.

ი̃ზ ზჱსკნელისა ნის მამისაჲ და სრულ-არსებისა მის ზესკნელისა მოველინებულ, მომატყუებელ მონათა შენთა, მდიდარი ეგე, რომელმან შენნი მონაგებნი განამდიდრენ[4], რეცათუ გლახაკთა წადიერ და ჴშიერთა ორმეოც დღე ეჴმენ და განაძღენ სულნი წყურიელნი შენისა მაგის სავსებისაგან. შენ იყავ ვეფანის თანა და ტერტიაჲს თანა და მანასარის თანა, და შეიყვანენ იგინი სამწყსოსა შენსა, შეჰრთენ იგინი რიცხუსა[5] შენსა. [242] და ეჴმენ მათ შემწე შეცთომილებისასა მას სოფელსა და მკურნალ სალმობიერსა მას ქუეყანასა და განსასუენებელ დასაშრომელსა მას ადგილსა. და განწმიდენ ესენი სიბილწისაგან ამის სოფლისა, და გამოარჩიენ მათგან, რომელნი არიან საუკუნოჲსა მის მტერისანი, ეჴმენ მკურნალ ჴორცთა ამათთა და მჴსნელ სულთა ამათთა, და ყვენ ესენი ტაძრად წმიდად შენდა და ჰურჴელ[6] საღმრთო განურყუეელ, რაჲთა ღაიმკჳდროს ამათ თანა სულმან მაგან წმიდამან“.

2. და ვითარცა წართქუა ესე, აღბეჭდნა იგინი საუფლოჲთა მით ბეჭდითა და მოსცა მათ ნათელი და მოიღო სასუემელი და პური და აკურთხა[7]: „ჴორცი იგი პატიოსანი იყავნ ჩუენდა ჴჴსნელ და სისხლი იგი წმიდაჲ შენი — მოსატ̃ებელად ცოდვათა. და ნაღლისა მის წილ, რომელ ჰსუ ჩუენთჳს, მოისპენ ჩუენგან სიმწარეჲ მტერისაჲ ჴის; და ძრმისა მის წილ, რომელ გემოჲ

---

[1] უძლორთაო. [2] მკორნალო. [3] რიცხჳსა. [4] განამდიდრნა. [5] რიცხჳსა. [6] ჰორჰელ. [7] აკორთხა.

ახილე ჩუენთჳს, უძლურებაჲ ესე ჩუენი განძლიერდინ; და ნერწყჳსა მის წილ, რომელ თავს-იდევ ჩუენთჳს, მოიწიენ ჩუენ ზედა ცუარი უკუდაევებისაჲ; და საწერტელისა მის წილ ლერწმისა, რომელ დაიწერტე ჩუენთჳს, მოგუანიე ჩუენ [243] სრული იგი ცხორებაჲ; და გჳრგჳნისა[1] მის წილ ცხორებისა, რომელ დაიდგ, მოგუეც დაუჴნობელი გჳრგჳნი სიყუარულისა შენისაჲ; და მჩურისა მის წილ, რომელ შეიხჳე ჩუენთჳს ძლიერებითა შენითა, განმტკიცენეთ ჩუენ. და რამეთუ დაეფალ ახალსა სამარესა, მოვიღოთ ჩუენ მეორედ განახლებაჲ საუკუნოჲ, რომელ შენგან იქმნა; და აღდგომითა მით შენითა მკუდრეთით[2] ჩუენდაცა იყავნ აღდგომაჲ და მართალსა საშჯელსა შენსა წარვდგეთ შენ წინაშე".

და განტეხა მადლობითა ამით და მისცა ვეჟანას და სეფორას და ტერტიას და მჳგდონიას და მანასარს და ცოლსა და ასულსა სეფორისსა და თქუა: „იყავნ მადლობაჲ ესე ცხორებად და წყალობად და მხიარულებად და სიცოცხლედ და კურნებად[3] სულთა თქუენთა". და მათ თქუეს: „ამენ". და ჴმაჲ სასმენელი ისმა და თქუეს: „ამენ". და ვითარცა ესმა ჴმაჲ ესე, დაეცნეს პირსა ზედა თჳსსა და მერმე ჴმაჲ სასმენელი ისმა მეორედ და თქუა: „ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ".

3. ხოლო მიერითგან მივიდოდა მოციქული იგი საპყრობილედ ტერტეაჲთურთ[4] და მჳგდონიაჲთურთ და სხუებითურთ[5], რომელნი იყვნეს მის თანა. ხოლო წმიდამან მოციქულმან ჰრქუა მათ წინაშე სიმრავლესა ძმათასა: [244] „ასულნი და დანი, რომელთა უფალი ჩემი გრწმენა, რომელნი იყვენით[6] მუნ. მოდგამნო ჩემნო და უფლისა იესუჲს მოციქულნო, ისმინეთ ჩემი ამას დღესა, რაჲთუ სიტყუასა ამას ჩემსა შეგუედრებ თქუენ, და არღარა გეტყოდი[7] თქუენ ჴორცთა ამათ შინა, და არღარა ვარ მე სოფელსა ამას შინა, რამეთუ აღვალ მე უფლისა ჩემისა იესუჲსა[8], მისა, რომელმან დაიმდაბლა თავი თჳსი ჩემ ნარჩევისათჳსცა და შემიყუანა მე სიმდიდრესა საუკუნესა და ღირს მყო მე მონად თჳსა. კუშპარიტებითა დამტკიცებული მივალ, უწყი, რამეთუ ვაჲი იგი ჩემი აღსრულებულ არს, რაჲთა მივიდე და მოვიღო სასყიდელი უფლისა ჩემისაგან, რამეთუ მართალ არს პომვებელი იგი ჩემი და უწყის, ვითარ-იგი წეს არს ჩემდა მოღებად, რამეთუ არცა ბოროტ არს, არცა მოშურნე[9], არამედ უხუ არს ნიჭისა მოცემად. არა დაწუხნის მოცემასა, რამეთუ უნაკლულო არს სიმდიდრითა. არა მე ვარ იესუ, არამედ მონაჲ მისი ვარ, არა მე ვარ ქრისტჱ, არამედ მსახური ვარ მისი, არა მე ვარ ძჱ ღმრთისაჲ, არამედ ვეჳედრები[10], რაჲთა მყოს მე ძჱ ღმრთისა.

ეგენით სარწმუნოებასა [10] ამას იესუ ქრისტესსა[11], დაადგერით სასოებასა[12] ძისა ღმრთისასა, მოთმინე იყვენით ჰირსა შინა და ნუ შეორგულდებით, [245] რაჟამს მიხილოთ მე კდემულებასა და შეყენებასა. და რაჟამს მომაკუდინებდენ[13] მე, რამეთუ ნებასა მისსა ვჰყოფ. და თუ არა მინდეს სიკუდილ[14], უწყოდეთ, რამეთუ ჴელ-მეწიფების, რამეთუ ესე სიკუდილი [15] არა სიკუდილ არს, არამედ განშორებაჲ არს ჴორცთაგან, რომლისათჳს მხიარულად შეეიწყნარებ ჯუარ-ცუმასა ამას, რაჲთა მივიდე და ვიხილო შუენიერი იგი კეთილად[16] მოწყალე და გულის-სათქუმელი. რაჲთუ მრავალი შრომაჲ

---

[1] გჳგჳნისა. [2] მკჳდრთით. [3] კორნებაჲ. [4] ტერტეაჲთორთ. [5] სხუებითორთ. [6] იყვნეს. [7] გეყოდი. [8] იჳსსა. [9] მოშორნე. [9a] ვეჳედრებ. [10] სარწმუნუებასა. [11] ჳსსა. [12] სასუებასა. [13] მომაკჳდინებდენ. [14] სიკჳდილ. [15] სიკჳდილი. [16] კითილად.

დავითმინე საქმეთა შინა მისთა და დავშუერ მადლთა მათ მისთათჳს, რომელ მოიწინეს ჩემ ზედა და არასადა განმეშორნეს ჩემგან. აწ ნუმცა ღონეს ჰპოებს შესლვად[1] თქუენდა ეშმაკი და ნუმცა ზრახვათა თქუენთაგან განსწვალებთ. ნუ იყოფინ თქუენ შორის ადგილი საშინელისა მის მაცთურისაჲ, უძლიერჱ არს მისსა, რომელ-იგი თქუენ შეიწყნარეთ[2]. ქრისტეს მოსლვასა მას მოელოდეთ, რაჲთა მოვიდეს და შეგიწყნარნეს[3] თქუენ, რამეთუ იგი არს, რომელი ხილვად არს მოსლვასა მას".

4. და ვითარცა აღასრულნა სიტყუანი ესე მოციქულმან მან, შევიდეს სახლსა მას ბნელსა და თომა თქუა:

„მჴსნელო ჩუენო იესუ, რომელი-ეგე დიდად დაითმენ ჩუენსა, იყვნენ კარნი ესე დაშულ, ვითარცა პირველ, ბეჭედი იგივე დაეგდენ ამას ზედა". [246] და დაუტევნა იგინი და შევიდა საპყრობილესა მას. ხოლო იგინი[4] წუხდეს და ტიროდეს, უწყოდეს, რამეთუ მიზდეოს წარწყმიდოს იგი. და ვითარცა შევიდა მოციქული იგი, რამეთუ მცველნი იგი ილალვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: „რაჲ უყოთ გრძნეულსა მას, რამეთუ განახუნა კარნი ესე მანქანებითა გრძნებისაჲთა, ვითარმცა აოტნა[5] პყრობილნი ესე. ხოლო აწ ჰივიდეთ[6] და უთხრათ მეფესა ყოველივე და ვაუწყოთ მას ცოლისა მისისაჲ და ძისა მისისათჳსცა". და თომა დუმნა ხოლო, ვიდრე-იგი ამას იტყოდეს.

5. და ვითარცა განთენა, მივიდეს ნეფისა და ჰრქუეს: „უფალო მეფე[7], გრძნეული იგი გამოიყვანე მიერ და სხუასა სადა შეაყენე, რამეთუ ჩუენ ვერ ვსცავთ მას, და აწ (ბედმან) შენმან დაიცვა საპყრობილე იგი, უკუეთუ არა ყოველნიმცა წარსულ იყვნეს, რამეთუ ორჯელ განახუნა[8] და ვპოვენით კარნი ესე განხუმულნი. არამედ ცოლი შენი და ძჱ შენი სხუებითურთ არა განეშორნიან მას".

და ვითარცა ესმა ესე მეფესა მას, მივიდა და იხილვიდა ბეჭედსა მას, რამეთუ ეგდო კართა მათ და ეგნეს, ვითარცა პირველ[9]. ჰრქუა მცველთა მათ: „რად სტჯთ[9ა], რამეთუ ბეჭედნი ესე ჰგიან, ვითარცა პირველდ; [247] და თქუენ ვითარ სთქუთ, ტერტიან და მუგდონიან მივიდიან საპყრობილესა მას"? და მცველთა მათ ჰრქუეს: „ჩუენ ჴეშმარიტი გითხართ".

6. ხოლო მიზდეოს, ვითარცა მოიქცა საპყრობილისა მისგან, დაჯდა იგი ურაკპარაკსა მას, და მოუწოდა მოციქულსა მას თომას, და წარადგინა იგი განშიშულებული მის წინაშე. ჰკითხვიდა მას და ჰრქუა: „მონაჲ ხარ ანუ აზნაური?" და თომა ჰრქუა: „მონაჲ ვარ ერთისა[10] მის მხოლოჲსაჲ, რომელსა ზედა შენ არა გაქუს ჴელმწიფებაჲ". მიზდეოს ჰრქუა: „ვითარ იელტოდე და მოხუედ ამას ქუეყანასა?" თომა მიუგო[11] და ჰრქუა: „მოვედ აქა, რაჲთა მრავალნი ვაცხოვნე და ჴელთა შენთაგან ვიცვალო ამიერ სოფლით". ჰრქუა მიზდეოს: „ვინ არს უფალი იგი შენი, ანუ რაჲ არს სახელი მისი, ანუ რომლით სოფლით ხარ?" თომა მიუგო[12] და ჰრქუა: „ჩემი იგი უფალი, უფალი შენი არს და შემოქმედი არს ცისა და ქუეყანისაჲ". მიზდეოს ჰრქუა: „რაჲ არს სახელი მისი?" თომა მიუგო და ჰრქუა: „ვერ შემძლებელ ხარ ცნობად ჴეშმარიტისა სახელისა მისისა ამას ჟამსა, ხოლო სახელი მისი არს ქრისტჱ იესუ". მიზდეოს ჰრქუა: „მე არა ვისწრაფე ადრე-ადრე [248] წარწყმედად შენდა, არამედ დათმენად[13]

---

[1] შესლვად [2] შეიწყარეთ. [3] შეგიწყნარნა. [4] იგი. [5] აუტნა. [6] მივედით. [7] მეფჱ. [8] გახუნა. [9] პირველ. [9ა] სტვით. [10] ირთისა. [11] მიუგუ. [12] მიუგუ. [13] ორგულებდ.

შენსა და შენ უფროჲსი ძჳრი დასძინე, რამეთუ გრძნებაჲ ეგე შენი ყოველთა ადგილთა მიეფინა. ხოლო აწ ეგრე ვყო, რომელ გრძნებაჲ ეგე შენითურთ[1] აღიკოცოს და სოფელი ესე ჩუენი განწმიდოს". და თომა მიუგო: „ესევე გრძნებანი[2] ჩემდა მოვიდენ, რაჟამს ამიერ განვიდე, და ესე უწყოდე, რამეთუ ამიერ არავე განვეშორო". და ვითარცა ესე თქუა მოციქულმან მან, და მიზდეოზ განიზრახვიდა, ვითარმედ[3] რაჲთა მოაკუდინოს. და სიძრაჳლისა მისგან, რამეთუ დამოწაფებულ იყვნეს მისსა, ეშინოდა[4], რამეთუ მრავალთა მთავართა მათ და დიდ-დიდთა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ.

7. და წარიყვანა იგი და განვიდოდა ქალაქით. და მიეიდოდეს ჴის თანა ერისაგანნიცა იგი პურვილნი[5]. ხოლო სხუასა მას კაცებსა ეგრე ეგონა[6], ვითარმედ მეფჱ იგი ისწავებს რასმე მისგან, და განდგეს ერთ კერძო და ჰხედვიდეს. და ვითარ მიელეს მილიონის კერძო ერთ, და მისცა იგი ოთხთა სტრატიოტთა და ერთსა მთავართაგანსა, და ამცნო მათ და ჰრქუა: „წარვედით და აღიყვანეთ [249] მთასა და მოკალთ ეგე ჯრმლითა". და იგი მიიქცა ქალაქად. ხოლო სიმრაველე იგი მისდეეოდა თომას, რაჲთამცა განვითარაჲ-არინეს იგი ჴელთაგან მათთა. მიეიდოდეს ორნი სტრატიოტნი მარჯუენით და ორნი მარცხენით მოციქულისა ჯრმლოსანნი, და მთავარსა მას ეპყრა ჴელი მისი, ზე მიაქუნდა. და თომა იტყოდა: „ჶ ზრახვაჲ დაფარული, რომელი აღსრულებასა მას ჩუენსა ჩუენ თანა აღესრულების. ჶ სიმდიდრე დიდებათა მისთაჲ, რომლისა მიერ უჟირველად დაცულ არიან ჯორცნი ჩემნი. ოთხ არიან, რომელთა უპყრიე მე, რამეთუ მეცა ოთხთაგან ზობილ ვარ. და ერთ არს, რომელსა მივჰყავ[7] მე, რამეთუ ერთისაჲ ვარ და მისა მივალ. და აწ ესე გულისჴმა-მიყოფიეს, რამეთუ უფალი იგი ჩემი ერთისაგან არს და ერთისაგანცა იწყლა; და რამეთუ მე ოთხთაგანი ვარ და ოთხთაგანცა ვიწყლა".

8. და აჳდეს მთასა მას, რომელსა ადგილსა განმზადებულ იყო სიკუდილად. ჰრქუა სტრატიოტთა მათ, რომელთა მიჰყვანდა იგი, და სხუათა მათცა: „აწ აღსასრულსა ამას ისმინეთ ჩემი, რამეთუ აღსრულებასა ჯორცთა ჩემთასა მოვიწიე. ნუ დაგიბრძდებიან თუალნი [250] გულთა თქუენთანი და ნუცა სასმენელთა თქუენთა დაიყოფთ. გრწმენინ ღმერთი, რომელსა გითხრობ თქუენ, და ნუ მისდევთ გულფიცხელობასა თქუენსა, არამედ განიწჳენით[7a] ყოველსა საქმესა კეთილსა, განშუენებულსა[8], აზნაურებასა მას დიდებითა მით, რომელ კაცთა ჴომართ, და ცხორებითა მით, რომელ ღმრთისა მიერ[9]. ჰრქუა ვეფან, ძესა მეფისასა, მსახურსა მას იესუ ქრისტესსა: „მი-ნურაჲ-ეც ზედამდგომელთა მაგათ მეფისათა და განმიტეონ, და წარვიდე და თაყუანის-ვსცე ჟამ ერთ".

9. ხოლო ვეფან დაიმორჩილნა იგინი. და წარვიდა მოციქული, თაყუანის-სცემდა და იტყოდა: „უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, სასოო ჩემო და შესავედრებელო ჩემო, რომელმან ნუგეშინის-ცემაჲ ესე დასდევ ჩემ თანა, შენ მასწავე მე ესრეთ ლოცვისა ყოფაჲ. აჰა, შენსა მას ლოცვასა ვილოცავ და შენსა ნებასა აღვასრულებ. შენ იყავ ჩემ თანა აღსრულებამდე, რამეთუ შენ ხარ, რომელმან მომეც მე სიყრმით ჩემითგან განსაცდელსა შინა თმენაჲ და ჴსნაჲ, და განრყუნისაგან[9] დამიცევ მე. შენ ხარ, რომელმან სიგლახაკისაგან

[1] შენითჳრთ. [2] ბრძანებანი მათნი. [3] ვ'რმე. [4] იშინოდა. [5] პორვილნი. [6] ეგუნა. [7] მივჰყავ. [7a] განიწენით. [8] განშუენებუ. [9] განრყჳნისაგან.

ამის სოფლისა[1] გამომიყვანე მე, უფალო, და ჴელშარიტითა სიმდიდრითა აღმავსე მე.

[251] შენ ხარ, რომელმან შენდად განმიჩემე, რომლისა გამო დედაკაცსა არა შევეხე, რაჲთა ღირსი ესე ტაძარი შენი შეუგინებელ იყოს. ვერ შემძლებელ არს პირი ჩემი მადლობად შენდა და ვერცა გულისჴმის-ყოფად გულსმოდგინედ მოწყალებისა მისთჳს, რომელ ჰყავ ჩემთჳს. რამეთუ მინდა განმდიდრებაჲ წარსავალითა მით სიმდიდრითა და შენ ჩუენებით მაუწყე მე, ვითარმედ წარსაწყმედელ და მავნებელ არს მომგებელთა თჳსთა. და მრწმენა შე გამოცხადებისა მის შენისაჲ. დავადგერ სიგლახაკესა ამის სოფლისასა, ვიდრემდე შენ ჴელშარიტი ეგე სიმდიდრე გამოგჳცხადე, რომელმან ჳე და სხუანა, ღირსნი შენდა მრავალნი, შენითა მაგით სიმდიდრითა აღგუაჴსენ, და ზრუნჳთა და განცხრომათაგან შენნი იგი განარინენ. და აწ, უფალო, ეყენ მცნებანი შენნი, აღვასრულე ნებაჲ შენი, და ეიქმენ გლახაკ და ნაკლულევან, და უცხო და მდაბალ, და მონა და შეურაცხ, და შეკრულ და მშიერ, და წყურიელ და შიშველ, და უჭამურ[2] და დაშრომილ, რაჲთა არა წარწყმდეს წადილებაჲ ჩემი და სასოებაჲ ჩემი, რომელ შენდა მიმართ არს; არა ჰრცხუნვიდის, და მრავალი იგი შრომაჲ ჩემი, [252] რომელ შენ მიმართ არს, ნუმცა საკჳრბელ იქმნების. და ნუმცა შეურაცხ იქმნებიან ლოცვანი და მარხვანი ჩემნი და ძრავალ[3] გულსმოდგინებაჲ ჩემი, რომელი შენდა მიმართ არნ. ნუმცა იცვალების თესლი იგი იფქლისაჲ[4] ქუეყანისა შენისაგან, და ნუმცა წარიტაცებს ნას მტერი იგი და ნუცა-მცა თჳსსა მას ღუარძლს შეჰრთავს, რაჲთუ შენით ქუეყანაჲთ არა შეიწყნარის ღუარძლი მისი, და ვერ ჴელ-ეწიფების შეაქცად საუნჯეთა შისთა. ვენაჳი იგი შენი დაჰნერგე ქუეყანასა ზედა, ძირნი მისნი დაიბნა ღრმეად, და რტონი მისნი მაღლად განეფინნეს, და ნაყოფი ნისი ჴეყანასა ზედა განითესა, და მათ მიერ მხიარულ არიან ღირსნი შენნი. რომელნი იჩინენ. ვეცხლი იგი, რომელი მომეც, შევწირე; რაჟამს ეძიებდე ნას, მომეც აღნადგინებითურთ[5], რომელმან აღმითქუ მე. ერთისა მის ქანჭარისა აღნადგინები ათად განვასრულე. შემძინე, რომელ-იგი მაჭუნდა ვითარ კა-ივი მიბრძანე, თანაჴებსა მას მიუტეიე ქანჭარი იგი, ნუ ჩემგან ეძიებ მას. პერად ვიჩინე და მოვედ, და სოფლისაგან, და უღლეილთა ჯართაგან და ცოლის სჯისაგან განვეშორე, რაჲთამცა არა მიბრკუნა მათ გამო. [253] ჭორწილად ვიჩინე და სპეტაკი სამოსელი შევიმოსე, რაჲთა ღირს ვიყო მისა. და რაჲთა არა შეკრული ჴელითა და ფერჴითა ბნელსა[6] მას გარესკნელსა განვაჴდე. ნათელი სანთლისა მის მისისაჲ ბრწყინვალედ მოველოდე უფლისა მას ნოჴცევასა ჭორწილით, რაჲთა შეიწყნაროს იგი, და ნუმცა ვიხილავ მას შჯულბარედ ზეთისა მოკლებისათჳს.

თჳალნი ჩემნი გხედვენ შენ და გული ჩემი მხიარულ არს, რამეთუ ვყავ ნებაჲ შენი და მცნებანი შენნი აღვასრულენ, რაჲთა ევმსგავსო გულს-მოდგინესა მას და მოწაფესა მონასა, რომელი გულს-მოდგინე იქმნა მღჳძარებითა. ყოველსა მას ღამესა დაუშეურ დაცვად სახლისა მის ჩემისა, რაჲთა არა კედელი დაითხაროს. წელნი ჩემნი მოვიმტკიცენ ჴელშარიტებითა და ჯამლისა-ბეღელნი ფერჴთა ჩემთანი მოვიმტკიცენ, რაჲთამცა არა ვიხილე იგი ყოველადვე მოლხობილი. ჴელნი ჩემნი დავასხენ ერქუანსა და უკუნ არა ვიხილე,

---

[1] სოფლისაგან. [2] უჭამორ. [3] მრავალი. [4] იფლისაჲ. [5] აღნადგინებითურთ. [6] შვარდ ბნელსა.

რაჲთა არა ურნატნი იგი მრუდ იყუენენ. განთეთრდა ყანაჲ იგი და მოიწია მკაჲ, რაჲთა ნაშრომი იგი ჩემი მოვიღო. [255][1] დაბუელებადი იგი სამოსელი ჩემი განვკაფე, და სალმობანი იგი, რომელთა განსასუენებელსა ამას მიმაწიეს, აღვასრულენ[2]. და ვიკუმილე საკუთილავი იგი ღამისაჲ პირველი, მეორე და მესამე. რაჲთამცა პირი შენი ვიხილე და თაყუანის-მცა-გეც წმიდათა მაგათ ბრწყინვალებათა შენთა. აღვფხუერ ძირითურთ უკეთურნი იგი და უდაბნო[3] დაუტეეე[4] ქუეყანასა ზედა, რაჲთა შენმიერითა მაგით ფასითა აღვივსო. ნოტიაჲ იგი წყაროჲ გულის თქუმისაჲ, რომელ ჩემ თანა იყო, განვაკმე[5], რაჲთა შენისა მაგის ცხოველისა წყაროჲსაგან განვისუენო. შეკრული, რომელ მომეც, მოვკალ; და განწსნილი ესე, რომელ ჩემ თანა არს, ნუმცა განვარდების სასოებისაგან თჳსისა. შინაგანი გარეშე ვყავ და გარეშე—შინაგან, და ყოველნი ნებანი აღესრულნეს ჩემ ზედა. არა კუალად-ვიქუეც, არამედ წარვიმართე, რაჲთა არა საკიცხელ ვიყო. მომკუდარი[6] იგი არა განვაცოცხლე და დაკლებული იგი განვამტკიცე, რაჲთა მოვიღო გჳრგჳნი[7] იგი ძლევისაჲ, და ჴელმწიფებაჲ იგი ორთაჲჲე ჩემ თანა აღასრულე. ყუედრებაჲ დავითმინე ქუეყანასა ზედა და მოსაგებელი იგი [256][8] და სასყიდელი მომეც მე ცათა შინა. ნურას აგრძნობედ ჩემთჳს ძალნი და ჴელმწიფებანი და ნუმცა რას განიზრახენ ჩემთჳს; ნუცა მიბილვენ მეზუერენი და მიმჭედელნი, რაჲთა არა მევნოს რაჲმე მათგან. ნუ იზახებედ მედგარნი და უკეთურნი მჴნესა ამას ზედა და მშჯდსა და სიმდიდრედ აღმაღლებულსა[9], [257] ნუმცა იჴრივიან[9a] დადგრომად წინაშე ჩემსა ძლიერებათა შენთა მიერ, რომელ-ეგე გჳრგჳნოსან მყოფს მე, რამეთუ იელტიედ და მიჰრიდიან ცას და ვერ უძლიან წინა-დადგომად; მეყსეულად იდუმალ ზედა მიიწინიან მორჩილთა მათდა მიმართ-ღა. ხოლო ნაწილი შვილთა მათ უკეთურთაჲ ღაღადებს და შეაცთუნებს მათ. და არავე დაფარულ არს ცათ მიერ, რამეთუ ბუნებასა მას თჳსსა განაშორებენ უკეთურნი, რომელნი არიან უკეთურისა შვილნი. და ხმ იგი, რომლისა ნაყოფი მწარე არს, მონეც მონასა შენსა, უფალო, რაჲთა ჰშჯობით აღვესრულო და მხიარულებით და მშჯდობით წარვიგზავნო და დავდგე წინაშე მსაჯულისა მის. და ეშმაკი ნუმცა მხედავს მე, თუალნი მისნი დაუბრმედ ნათლითა მაგით შენითა, რომელ ჩემ თანა დამკჳდრებულ არს, დაიყავნ პირი თჳსი ეშმაკმან, რამეთუ არაჲ პოვა ჩემ თანა".

და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ ესე, ჰრქუა ერისა კაცთა მათ: „მოვედით და აღასრულეთ ჩემ ზედა ბრძანებული იგი მომავლინებელისა[9] თქუენისაჲ".

10. და მოვიდეს ოთხნი იგი სტრატიოტნი და დაგუმირეს[10] იგი სართმებითა მით, და ეგრეთ დაეცა ქუეყანასა ზედა და აღესრულა.

[258] ხოლო ძმანი იგი ყოველნი ტიროდეს და მიაქუნდა სამოსელი მჩურისაჲ პატიოსანი დიდძალი, და შემოსეს და დადევეს იგი სამეუფოსა მას შირიმსა[11], რომელსა პირველ მეფენი დაემარხეოდეს.

ხოლო სეფორას და ვეჟანას არა უნდა შესლვაჲ ქალაქად, არამედ მუნვე, მთასა მას, სხდეს დღე ყოველ. და გამოეცხადა მათ მოციქული იგი თომა: „რაჲსა სხედ და მცავთ მე? არა აქა ვარ, არამედ აღსრულ ვარ მოღებად,

---

[1] 254 გვერდი დაუწერელია. [2] აღვასრულე. [3] უდაბნი. [4] დაუტევენ. [5] განვაკმო. [6] მომკუდარი. [7] გჳგჳნი. [8] 256 გვერდის დანარჩენი ნაწილი დაუწერელია. [9a] იკურვიან. [9] მომაელინებელი. [10] დაგჳნირეს. [11] შირემსა.

რაჲცა იგი აღთქმულ არს ჩემდა. ხოლო თქუენ აღდეგით და გარდაეედით ამიერ, რამეთუ შემდგომად მცირეთა დღეთა თქუენცა მოხჴდეთ ჩემდა“.

ხოლო მიზდეოს და ქარისიოს, მუგდონია და ტერტია დიდად აარნეს[1], რაჲთამცა დაემორჩილნეს იგინი. ხოლო იგინი არა დაემორჩილნეს მათ. და გამოეცაადა მათ მოციქული იგი თომა და ჰრქუა: „ნუ შესცთებით, წმიდამან და ცხოველმან იესუ ადრე-ადრე ყოს შეწევნაჲ თქუენთჳს“.

ხოლო[2] მიზდეოს და ქარისიოს[3] იხილნეს, რამეთუ არა დაემორჩილნეს მათ ტერტია და მუგდონია, მიუშუეს მათ ცხორებაჲ ნებათა მათთაებრ. შეკრბებოდეს მიერითგან ძმანი ერთობით და შეეძინებოდეს სიტყუასა მას უფლისაჲსა და მაიარულ იყვნეს მადლითა მით სულისა წმიდისაჲთა.

ხოლო მოციქულმან მან აღსრულებასა ამიერ სოფლით სეფორა აკურთხა ხუცად და ვეჟან დიაკონად, [259] რაჟამს აღჴდა მთასა მას მოსიკუდიდ, ხოლო შეეწეოდა მათ უფალი და განაძლიერებდა სარწმუნოებად.

11. და შემდგომად მცირეთა ჟამთა შვილი ერთი მეფისაჲ იგუემა და ვერვინ შეუძლო განკურნებად[4] მისსა, რამეთუ დიდად განძლიერებულ იყო ეშმაკი იგი. გულსა მოიჴადა მიზდეოს და თქუა: „მივიდე და აღვაღო სამარე იგი მოციქულისაჲ მის და მოვიღო ძუალი ერთი ძუალთა მისთაგანი და შევაბა ძესა ჩემსა და განიკურნოს“. და მივიდა აღსრულებად, რაჲცა-იგი გულსა მოუჴდა. ხოლო მოციქულმან მან თომა ჰრქუა მას: „ცოცხლისაჲ არა გრწმენა და მკუდრისაჲ[5] გრწამსა? ბოლო ნუუე გეშინინ, რამეთუ ლხინება და წყალობა ყოს შენთჳს უფალმან იესუ ქრისტემან თჳსითა მით სიტკბოებითა“. და აღჴდა იგი მთასა ჱას და აღაღო სამარესა მას და არაჲ პოვა მუნ, რამეთუ ერთმან ვინმე ძმათაგანმან წარიპარნა ძუალნი წმიდისანი მის და მიიხუნა შუა-მდინარეთა მათ. არამედ ადგილსა მას შირიჱისა მისგან, რომელსა მოციქული იგი დადებულ იყო, ჱიწაჲ აიღო და შეაბა ძესა მას თჳსსა და თქუა: „მრწამს აწ, უფალო იესუ ქრისტე[6], რაჟამს განმეშორა[7] იგი, რომელი ყოველსა ჟამსა აცთუნებს კაცთა, რაჲთამცა არა გიცნეს შენ“. [260] და ვითარცა შეაბა მიწაჲ იგი ყრმასა მას, განიკურნა[8] ყრმაჲ იგი. მივიდოდა მიერითგან მიზდეოჲ მეფჱ ძმათა მათ თანა, და მიერითგან მიუპყრობდა თავსა ჴელის დადებად სეფორას. და ეტყოდა ძმათა მათ სეფორ: „ლოცვა ყავთ მიზდეოს მეფისათჳს, რაჲთა პოოს იესუჲს ქრისტესგან წყალობაჲ და არა მოიჴსენნეს მაგისინი იგი ძჳრნი“. და მიერითგან ერთობით და მხიარულებით ლოცვას ჰყოფდეს მისთჳს. ხოლო კაცთ-მოყუარემან უფალმან, მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან, მისცა მიზდეოსს ცხოველი იგი სასოებაჲ თჳსი. და შეკრბებოდა სიმრავლე მორწმუნეთაჲ და ადიდებდეს მამასა და ძესა და წმიდას[ა] სულ[სა], რომლისაჲ არს ძალი და დიდებაჲ და შუენიერება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ[9].

---

[1] აარნეს]+იგინი. [2] ხოლო არა. [3] ქარარისიოს. [4] განკორნებად. [5] მკჳდრისაჲ. [6] ქრისტჱ. [7] განმეშურა. [8] განიკორნა. [9] ან.

III. მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ*

1. მათ ჟამთა შინა[1], ოდეს[2] იყვნეს მოციქულნი ყოველნი ერთად შეკრებილ[3], განიყოფდეს[4] თითოეულად თავისა თჳსისა[5] სოფლებსა ყოველსა და წილ[6]-იგდებდეს, რაჲთა მივიდოდის[7] კაცად-კაცადი თჳსსა მას ნაწილსა.

ხოლო ხუდა მათეს ნაწილად[8] მისლვად სოფელსა მას კაცის მჭამელთასა. ხოლო კაცნი მის[9] ქალაქისანი არცა პურსა ჭამდეს, არცა[10] წყალსა სუმიდეს[11], არამედ იყვნეს მჭამელ [261] ჴორცსა კაცთასა და სუმიდეს[12] სისხლსა მათსა. ყოველიე[13] კაცი, რომელი მივიდის[14] მათსა მას ქალაქსა, შეიპყრიან და აღმოუხუნიან თუალნი; ხოლო თუალთა აღმოხუმისა[15] შემდგომად წამალი ასჭან და წამლითა მით და გრძნებითა შეჴურიან. და რაჟამს ასჭან წამალი, გარდაიქცის გული მათი და[16] განეცვალის გონებაჲ.

ხოლო რაჟამს შევიდა მათე ბჳეთა ქალაქისა მათისათა, შეიპყრეს იგი[17] კაცთა მათ მის ქალაქისათა და აღმოუხუნეს[18] მას[19] თუალნი. და შემდგომად თუალთა აღმოხუმისა[20] ასუეს მას[21] წამალი იგი საცთურებისაჲ და შეგრძნიბეს[22] იგი[23], და მიიყვანეს იგი საპყრობილედ[24], და დაუგეს მას თივაჲ, რაჲთამცა ჭამა; და იგი არა ჭამდა.

და რაჟამს ასუეს მას[25] წამალი იგი[26], არა[27] განიცვალა[28] გონებაჲ[29] მისი და არცა[30] გული მისი, არამედ იგი[31] ილოცვიდა ღმრთისა მიმართ, ტიროდა და იტყოდა: „ეჰა, უფალო ჩემო, იესუ ქრისტე[32], ყოველი[33], რომელი გუაქუნდა, დაუტევეთ და შეგიდეგით შენ; გულისჴმა-ვყავთ, რამეთუ შენ ხარ შემწე[34] ყოველთაჲვე მოსავთა შენთაჲ. აწ მოიხილე და იგულე, რაჲ უყუეს[35] მონასა შენსა მათეს, რამეთუ მამსგავსეს[36] მე [262] პირუტყუთა. შენ ხარ, რომელმან უწყი ყოველი. უკუეთუ გიბრძანებია, რაჲთა შემჰამონ მე კაცთა[37] ამის ქალაქისათა, არა განუდგები ბრძანებასა შენსა. მომეც მე, უფალო, ნათელი თუალთა ჩემთაჲ[38], რაჲთა ვიხილო[39], რაჟამს[40] ეგულებოდის ჩემთჳს სი-

---

* მიმოდასლვაჲ მოციქოლთაჲ] თ"ა ნნ"ბრსა ლ". მიმოდასლვა მოციქულთა, ოდეს-იგი წარავლინა უფალმან მოციქული ანდრიაჲ სოფელსა მას კაცის მჭამელთასაჲ გამოყვანებად მათესაჲ საპყრობილით. მამაო გუაკურთხენ .E.

[1] შინა]—E. [2] ოდენ D. [3] შეკრბეს D. [4] და განიყოფდეს D. [5] მათისა E. [6] წილს E. [7] მივიდუდის D. [8] ნაწილად]—E. [9] მის]—D. [10] და არცა E. [11] სჳმიდეს D. [12] სჳმიდეს D. [13] ყოველი E. [14] მივიდეს E. [15] აღმოხუმასაჲ E. [16] შეჴურიან... გული მათი და] — E. [17] იგი]—E. [18] აღმოუჴუნეს E. [19] მას]—E. [20] აღმოჴუმისა E. [21] მას]—E. [22] შეგრძნეს D. [23] იგი]—E. [24] საპყრობილესა მათსა E. [25] მას]—E. [26] იგი]—D. [27] და არა D. [28] განეცვალა E. [29] გუნებაჲ D] ბუნებაჲ E. [30] არცაღა E. [31] იგი]—E. [32] ქრისტე D. [33] ყოველივე E. [34] შემწე] ღმერთი E. [35] ოყვეს D. [36] მამსგასეს D. [37] კაცთა]—D. [38] ჩემთა E. [39] ვიხილო]+მე E. [40] რაჟამს] ოდეს E.

კუდილი უშჯულოთა[1] ამათ[2] კაცთა. ნუ დამაგდებ მე, უფალო ჩემო, იესუ ქრისტე[3], და ნუ მიმცემ მე სიკუდილსა ამას მწარესა“[4].

2. ამას რაჲ ილოცვიდა მათე, საპყრობილესა მას[5] შინა გარდამოჴდა ჴმაჲ ნათლისაგან და ჰრქუა მას: „განძლიერდი, მათე, საყუარელო[6] ჩემო[7], და ნუ შეზრუნდები[8], რამეთუ არა დაგაგდო შენ, რამეთუ მე გიჴსნე შენ ყოვლისაგან ღუაწლისა, არა ხოლო[9] თუ შენ, არამედ ძმანიცა[10] შენნი შენ თანა, რამეთუ შენ თანა ვარ ყოველსა ჟამსა მარადის. არამედ დაითმინე მაგას შინა ოცდაშჯდ[11] დღე მადლისათჳს სულთა მრავალთაჲსა[12]. და ამისსა შემდგომად მოვაჴილინო ანდრეა და გამოგიყუანოს[13] შენ მაგის საპყრობილისაგან[14], არა ხოლო თუ შენ, არამედ ყოველნიე[15] შენთანანიცა“. და ესე რაჲ ჰრქუა მაცხოვარმან, კუალად მიუგო: „მშჯდობაჲ შენდა, მათე ჩემო“[16]. და აღმაღლდა[17] მის წინაშე ზეცად.

მაშინ[18] მათე აღიხილნა[19] თუალნი[20] ზეცად და თქუა[21]: „მადლი შენი იყავნ ჩემ თანა, [263] უფალო[22] ჩემო, იესუ ქრისტე“[23]. და ესე რაჲ თქუა მათე, ჯდა საპყრობილესა შინა[24] და უგალობდა ღმერთსა[25]. ხოლო რაჟამს შეელენენ კაცნი[26] მის ქალაქისანი საპყრობილესა მას, რაჲთამცა გამოიყუანნიან კაცნი საჭმელად მათდა, დაიჴუხნის[27] მათე თუალნი თჳსნი, რაჲთამცა არა იხილეს მათე თუალ-ახილული[28].

და მოვიდეს მისა კაცნი იგი ერისაგანნი, იხილეს ჴელსა მისსა, რომელ[29] გამოეკიდა სკული და თქუეს ურთიერთას: „ამისნი სამ-ღა[30] დღე არიან და გამოვიყუანოთ ეგე და[31] დავკლათ“. რამეთუ ყოველივე კაცი, რომელიცა შეიპყრიან, რიცხჳ დღეთაჲ უწყიედ სკულითა მით, რომელ გამოაბიან ჴელსა, რაჲთამცა გულისჴმა-ყვეს ოცდაათთა მათ დღეთაჲ.

3. და იყო რაჟამს აღესრულნეს ოცდაშჯდნი დღენი, რომლით დღითგან შეეპყრა[32] მა[თე], ეჩუენა უფალი იესუ[33] ანდრეას სოფელსა მას[34], რომელსა[35] ასწავებდა[36] და ჰრქუა მას[36ა]: „ანდრეა, აღდეგ და მიგუალე[37] მოწაფით შენითურთ სოფელსა მას კაცის მჭამელთასა და [გა]მოიყუანე მათე მის ადგილისაგა[ნ], რამეთუ სამ დღე-ღა არიან და გამოიყუანონ იგი კაცთა[38] მის ადგილისათა და დაკ[ლ]ან იგი საზრდელად თავისა თჳსისა“[39].

მიუგო ანდრეა და ჰრქუა: „უფალო, მე ე[ერ] შემძლებელ ვარ მიწიფებად დ[ა] [264] მისლვად, ვითარ-იგი სთქუ, დროსა მას საცხა დღესა[40]. არამედ მიავლინე ანგელოზი შენი მწლაფრ[41], რაჲთა გამოიყუანოს[42] იგი მიერ. შენ უწყი, რამეთუ მე ჯორციელ[43] ვარ და ვერ შემძლებელ[44] მწლაფრ[45] მუნ მისლვად[46], და არცა მეცნიერ ვარ გზასა“.

მიუგო იესუ და ჰრქუა ანდრეას: „ერჩდი შემოქმედსა შენსა, რომელი შემძლებელ არს თქუმად[47] და ჴელ-ეწიფების[48] ქალაქისა მის აღებად[49] და მო-

---

[1] უსჯულოთა E. [2] მათ E. [3] ქრისტემ D. [4] მცირესა D. [5] მას]—D. [6] საყუარელო]—D. [7] ჩუენო D. [8] შეძრწუნდები E. [9] ხოლო]—D. [10] ძმანი E. [11] ოცდშჯდ D. [12] მრავალთაჲ E. [13] გამოგიყვანო E. [14] საპყრობითგან E. [15] ყოველნი E. [16] ჩუენო D. [17] ამაღლდა E. [18] მაშინ]—E. [19] აღიხილა D. [20] თ.უალნი]—D. [21] ჰრქუა D. [22] უფალო]—D. [23] ქრისტემ D. [24] შინა]—E. [25] ღმერთსა]—D. [26] კაცნი]+იგი E. [27] დაიჴუხნის D. [28] თუალხილული E. [29] რომელი E. [30] სამთა E. [31] და]—E. [32] შეიპყრეს E. [33] იესუ]—E. [34] სოფელსა მას]—D. [35] რომელსა]+სოფელსა D. [36] ასწავებდა]+ანდრეაჲ E. [36ა] მას]—D. [37] მოგუალე E. [38] კაცთა]—E. [39] მათი[სა] D. [40] ვითარ-იგი სთქუ, დროსა მას სამსა დღესა]—E. [41] მსწრაფლ E. [42] გამოიყვანო E. [43] ჯორციელი D. [44] შემძლებელ]+ვარ E. [45] მსწრაფლ E. [46]~მისლვად მუნ E. [47] რჩუამად D. [48] ჴელ-ეწიფების]—E. [49] ~ აღებად ქალაქისა მის E.

ახლებად აქა ყოველითურთ[1] კაცით, რომელნი[1ა] დამკჳდრებულ არიან მას შინა. და უბრძანო ძლიერებასა ქართასა და მოიყვანოს იგი აქა[2]. არამედ აღიმსთუე განთიად და შთაგუალე ზღჳს კიდედ მოწაფით შენითურთ და ჰპოო შენ ნავი ზღჳს კიდესა, რაჲთა მიხჳდე შენ[3] მით ნავითა მოწაფით შენითურთ". და ესე რაჲ თქუა იესუ, ჰრქუა[4]: „მშჳდობაჲ შენ[5] და შენთანათა[6] და აღიმაღლა[7] ზეცად[8].

4. ხოლო[9] ანდრეა აღიმსთო განთიად და შთავიდა ზღუად მოწაფით მისითურთ და იხილა შუენ ნავი ერთი[10] მცირე, და მუნ[11] შინა სხდეს სჳმნი კაცნი, რამეთუ თჳთ უფალმან ბაღითა ძლიერებისაჲთა[12] განჰმზადა[13] ნავი იგი, რამეთუ [იყო თჳთ იესუ] [265] მენავეთ-მოძღუარ. და მოიყუან[ნა] ორნი ანგელოზნი და გარდააქცინა ხატად კაცთა[14], და იყვნეს მითურთით[15] ნავსა მას[16] შინა. ანდრეა[17], რაჟამს იხილა ნავი იგი და სამნი* კაცნი მას შინა, განიხარა სიხარ[უ]ლითა დიდითა ფრიად. მიუჴდა მათ, მიუგო ანდრეა და ჰრქუა: „რომლად ბუ[ა]ლთ, ბჳანო, ნავითა ამით მცირი[თა]?". მიუგო იესუ და ჰრქუა: „მივალთ ჩუენ სოფელსა მას კაცის მჭაბელთასა".

ხოლო ანდრეა, ვითარ ხედვიდა, ვერ იცნ[ა] იესუ, რამეთუ უფალმან დაიფარა თჳსი იგი ხატი და ეგრე სახედ გამოეცხადა, ვითარცა კაცი ერთი მენავეთ-მოძღუა[რი]. ხოლო იესუ, რაჟამს ისმინა ანდრეაჲსგან ს[იტ]ყუანი ესე, რამეთუ მივალს სოფელსა კაცის მჭაბელთასა, მიუგო და ჰრქუ[ა]: „ყოველი კაცი ეელტის მას ქალაქსა და ვითარ მიხუალთ თქუენ მას ქალაქ[სა]".

მიუგო ანდრეა და ჰრქუა: „საქმე რა[ჲ]მე გჳბს ჩუენ მუნ საქმედ, და ჯ[ერ]-არს ჩუენდა, რაჲთა აღვასრულოთ იგი". და ჰრქუა ანდრეა მათ კაცთა: „ჰყ[აე]თ ჩუენდა მომართ კაცთ-მოყუარე[ბი]თა მაგით თქუენითა მიკვანებაჲ ჩ[უენი] სოფელსა მას კაცის მჭამელთასა, რომელსაცა თქუენ მიხჳალთ".

[266] [მ]იუგო იესუ და ჰრქუა: „აღმოგუალეთ ნავსა ამას".

5. მიუგო ანდრია და ჰრქუა: „ვნებავს ჩუენ უწყებად, ყრმაო, ვიდრე არღა შესრულ ვართ ნავსა მაგას". მიუგო იესუ და ჰრქუა: „იტყოდე[18], რაჲცა გნებავს".

[მ]აშინ ანდრეა მიუგო და ჰრქუა: „ისმინე ჩუენი, უფალო, სასყიდელი ნავისაჲ არა მაქუს მიცემად შენდა, არცა ჩუენ პური მაქუს საზრდელად". მიუგო იესუ და ჰრქუა: „და ვითარ შემოჰუალთ ნავსა ამას, რამეთუ არა გაქუს სანავე, არცა პური?" და ჰრქუა მას ანდრეა: „ისმინე ძმაო. ნუ ესრე ჰგონებ, ვითარმედ მძლავრებით რასმე არა მიგცემთ შენ სანავესა, არამედ ჩუენ მოწაფენი ვართ უფლისა ჩუენისა იესუჲს ქრისტესნი. ტკბილისა ღმრთისა მონანი ვართ, რამეთუ გამოგჳრჩინა ჩუენ ათორმეტნი და მოგუცა ჩუენ მცნებაჲ და ესრე გურჭუა: [რა]ჟამს მივოდაჰფენდეთ თქუენ სახარებაჲსა ამას, ნურარაჲ გაქუნ თქუენ საგზლად—ნუცა პური, ნუცა შუალდაკი, ნუცა ჴანლი, ნუცა კუერთხი, ნუცა ორი სამოსელი**. უკუეთუ ჰყოფ კაცთ-მოყუარებაჲსა შენსა ჩუენდა მომართ, განგჳჩინე ჩუენ განკუეთილად, არა თუ, მოგჳგე, რაჲთა წარვიდეთ [267] და ვიძიოთ ჩუენ სხუაჲ ნავი".

მიუგო იესუ და ჰრქუა: „უკუეთუ ესრე არს მცნებაჲ, რომელ მოგიღებიეს, აღმოგუალეთ სიხარულით ნავსა ჩემს[ა]. ჴეშმარიტად, უმჯობეს არს

[1] ყოველითურთ D. [1ა] და რომელნი E. [2] და მოიყვანოს იგი აქა]—E. [3] შენ]—E. [4] ჰრქუა]—E. [5] შენდა E. [6] შენთათა E. [7] ამაღლდა D. [8] ცად D. [9] ხოლო]—D. [10] ერთი] —E. [11] მას E. [12] ძლიერებისაჲ თჳსისათა E. [13] განამზადა D. [14] კაცად E. [15] მითურთ E. [16] მას]—E. [17] ანდრია D. [18] იტოდე D.

* აქედან E ხელნაწერს აკლია. ** შდრ. მათე 10,5—10.

აღმოსლვაჲ მოწაფეთა იესუ ქრისტჱსთაჲ, ვიდრეღა არა მათსა, რომელთა-განპცა მოვიღე ოქროჲ და ვეცხლი, უკუეთუ ღირს სამე ვარ, რაჲთამცა აღ-მოჴდა მოციქული უფლისაჲ ნავსა ჩემსა". მიუგო ანდრეა და ჰრქუა: „ნუ მაბრალებ მე, ძმაო, უფალმან მიგეცინ შენ მადლი და სასყიდელი".

6. და აღჴდა ანდრეა მოწაფითურთ თჳსით ნავსა მას. და მივიდა ანდრეა და დაჯდა სადგურსა[1] მას თანა მენავეთ-მო[ძ]ღურისასა. მიუგო იესუ ერთსა ანგელოზთაგანსა: „აღდეგ და შთაჴედ უბესა ნავისასა და მოიხუენ სამნი პურნი, რაჲთა ჰამონ ძმათა ამათ, ნუთუ უზმანი მოსრულ არ[ი]ან შორით გზით ჩუენდა". აღდგა ანგელოზი იგი, მოიხუნა სამნი პურნი, ვითარცა უბრძანა მას იესუ, და მისცნა მათ.

მაშინ ჰრქუა მას იესუ: „აღდეგ მოწაფით შენითურთ, ძმაო, და ჰამე პური ესე, რაჲთა შემძლებელ იყვნეთ თქუენ დათმენად ღელვასა მას ზღუასა". და ვე[რ] შეუძლეს მოწაფეთა მისთა მიგებად [268] [სი]ტყჳსა, რამეთუ შეძრწუნებულ იყვნეს [ი]გინი ზღუაგან. მაშინ აიძულა [იეს]უ ანდრეას ჰამაჲ პურისაჲ და არა [ხოლო] მოწაფეთა მისთა.

მიუგო ანდრეა და ჰრქუა იესუს: „ეჰა, ძმაო, უფალმან მიგეცინ შენ პური ზეცისა[2] [ს]ასუფეველისა მისისაჲ. უტევე, ძმაო, ძმათა მაგათ, რამეთუ შეძრწუნებულ არიან შიშითა ზღუსაჲთა". მიუგო იესუ და ჰრქუა: „ვჰგონებ[3] უკუე, უმეცარ ვიდრემე არიან ძმანი ეგე ზღუსაგან, არამედ ჰკითხე-ღა მაგათ, უკუეთუ ჴნებავს მაგათ განსლვაჲ ჴმელად და ლოდებად, ვიდრემდე აღასრულო საქმჱ შენი და მოხჳდე ცაგათ თანავე". და ჰრქუა ანდრეა მოწაფეთა თჳსთა: „შვილნო ჩემნო, გნებავსა თუ განსლვაჲ ჴმელად და ლოდებაჲ ჩემდა, ვიდრემდის აღვასრულო საქმე [ჩ]ემი, რომლისათჳსცა მიელინებულ ვარ"? [მ]იუგეს და ჰრქუეს: „და-თუ-ვეყენნეთ, უცხო ვიქმნეთ კეთილთა მაგათგან, რომელ ვისწავეთ შენგან. აწ შენ თანა ვ*ართ, ვიდრეცა ხუალ"[4].

7. [მი]უგო იესუ და ჰრქუა ანდრეას[5]: „ჴეშმარიტად, თუ [მ]ოწაფე მისი ხარ, რომელსა ერჩუა იესუ, უთხრობდ მოწაფეთა მაგათ შენთა[6] ძალ[თ]ა მათ, რომელთა[7] იქმოდა მოძღუა[რი] შენი, რაჲთა მხიარულ იყვნენ გულნი მათნი[7a] [269] და დაავიწყდეს შიში ესე[8] ზღუაჲ, რამეთუ გუეგულების ჩუენ ნავისაჲ ამის განშორებაჲ ქუეყანისაგან".

მაშინ მიუგო იესუ ერთსა ანგელოზთაგანსა და ჰრქუა[9]: „განუტევე ნავი ეგე".

და განუტევა ანგელოზმან მან ნავი იგი ქუეყანისაგან. მივიდა[10] იესუ და დაჯდა თავით ჴერძო მის ნავისა და აცლინებდა მას. მაშინ ანდრეა[11] ნუ-გეშინის-სცემდა და განამტკიცებდა მოწაფეთა თჳსთა[12] და ეტყოდა მათ[13]: „შვილნო, რომელთა წარგიდგინებიან სულნი[14] თჳსნი[15] იესუჲსთჳს, ნუ გეშინინ, რამეთუ უფალმან ჩუენმან არა დაგჳტევნეს ჩუენ ჟამუნისამდე. რამეთუ მას ჟამსა, რომელსა[16] ვიყავ უფლისა ჩემისა თანა, შეველი მე ნავსა[17] მის თანა, და მას ეძინა ნავსა მას შინა[18], რამეთუ გამოგუცდიდა ჩუენ, ხოლო მძი-

---

[1] სადგორსა D. [2] ზიცისა D. [3] ვჰგუნებ. [4] ხჳდოდი E. [5] ანდრიას E. [6] შენთა]—D. [7] რომლითა D. [7a] შენი, რაჲთა მხიარულ იყვნენ გულნი მათნი]—D (არ იკითხება). [8] ესე]—D. [9] და ჰრქუა]—E. [10] მოვიდა E. [11] ანდრია E. [12] ~ თჳსთა მოწაფეთა E. [13] მათ]—D. [14] სულნი] თავნი E. [15] თჳსნი] თქუენნი E. [16] რომელსა] ოდეს E. [17] მე ნავსა]—D. [18] ეძინა ნავსა მას შინა]—E.

* აქედან კვლავ გრძელდება E ხელნაწერი.

ნარე არა იყო[1]. და[2] ქარი დიდი იყო, და ზღუსა[3] ღელვანი განძჳნდეს. და რაჟამს აღმაღლდეს ღელვანი იგი, და მოიწინეს[4] დასადგომელსა[5] მას ნავისა-სა, და ჩუენ შეშინებულ[6] ვიყუენით ფრიად. აღდგა უფალი და შეჰრისხნა ზღუასა და[7] ქართა მათ[8]. და იყო დამშჳდებაჲ[9] ზღუასა მას[10] ზედა, რამეთუ მისგან შეიშინა ყოველი[11], რამეთუ მისი დაბადებული არს ყოველი. ხოლო აწ, შვილნო ჩემნო, ნუ გეშინინ, რამეთუ უფალმან ჩუენმან არა დაგუთხინეს[12] ჩუენ". ამას რაჲ იტყოდა ანდრია, იღოცვიდა გულითა თჳსითა, რაჲთამცა მოწაფეთა მისთა ძილად მიაქციეს.

[270] და ვიდრე-იგი იღოცვიდა ანდრეა[13], დაიძინეს მოწაფეთა მისთა.

8. და მიექცა ანდრეა[14] იესუს, ხოლო უწყოდა არა, რამეთუ იესუ არს. ჰრქუა მას[15]: „მითხარ-ღა, ჳ კაცო, და მიჩუენე სიჴელოვნეჲ[16] შენი და სლვაჲ ამის[17] ნავისაჲ, რამეთუ არასადა[18] მიხილავს მე კაცი ესრეთ ჴელოვანი ზღუასა ზედა[19], და აჰა[20] ესერა მეაჩჳდმეტედ შემოსრულ ვარ და არასადა[21] ვიხილე მე[22] ესემლევანი სიჴელოვნე. ჴეშმარიტად, ეგრე[23] არს ნავი ესე ზღუასა ზედა, ვითარცა ჴმელსა ზედა. მიჩუენე მე, ჳაბუკო[24], სიჴელოვნე ეგე".

მაშინ მიუგო იესუ ანდრეას[25] და ჰრქუა, რამეთუ: „ჩუენცა სრულ ვართ ზღუასა ზედა მრავალ გზის ნავითა[26] და ღუაწლიცა გჳხილავს, არამედ, რამეთუ შენ[27] მოწაფე ხარ, რომელსა ერქუა[28] იესუ, და გიცნა შენ ზღუამან, რამეთუ მართალ ხარ, და გადიდა შენ, და არცა აღიმაღლა ღელვაჲ მისი ნავსა[29] ამას ზედა".

მაშინ ჴმა-ყო ანდრია[30] ჴმითა დიდითა და თქუა: „გაკურთხო[31] შენ, უფალო იესუ ქრისტე[32], რამეთუ შეჳემთხჳე კაცსა მადიდებელსა სახელისა შენისასა".

მიუგო იესუ და ჰრქუა: „მითხარ-ღა მე[33], მოწაფეო მისო, რომელსა ერქუა იესუ. მასმიეს ჩუენ[34], ვითარმედ გამოუცხადა[35] ძალი თჳსი[36] მოწა-ფეთა მისთა". მიუგო ანდრეა[37] და ჰრქუა მას[38]: „ჰე ძმაო, გამოგჳჩინა ჩუენ, რამეთუ ღმერთ[39] არს. ნუ ესრეთ[40] ჰგონებ, ძმაო, ვითარმედ [271] ღმერთი კაც არს[41], რამეთუ მან შექმნა ცაჲ და ქუეყანაჲ". [მი]უგო იესუ და ჰრქუა: „ვითარ უკუე არა [ჱ]რწმენა მისი ჰურიათა მათ, ნუ[მც]ა უკუე[42] სა-სწაული არარაჲ ქმნაა წინაშე მათსა?"

მიუგო ანდრეა[43] და ჰრქუა მას[44]: „შენ არა გასმიანა[45], ძალნი რაოდენ-ნი[46] ქმნნა[47] წინაშე მათსა? ბრმათა თუალნი აღუხილნა, მკელობელნი აღლინ-ნა, ყრუთა[48] ესმოდა, კეთროვანნი განწმიდნა, წყალი ღჳნო ქმნა[49]; მოიღო[50] ხუთი პური[51] და ორი თევზი[52] და დასხა ერი მრავალი თივასა ზედა, და[53] აკურთხნა[54] იგინი[55] და განაძღნა, ვითარმედ თივაჲცა იგი მის ადგილისაჲ[56]

---

[1] იყო]+იგი E. [2] და] ხოლო E. [3] ზღუსა]—E. [4] მიიწინეს E. [5] სადგომელსა E. [6] შეშინე-ბუ D. [7] ზღუასა და]—D. [8] მათ]—E. [9] მშჳდობაჲ E. [10] მას]—E. [11] ყოველნი D, ყოველმან E. [12] დაგჳტევნეს E. [13] ანდრიაჲ E. [14] ანდრიაჲ E. [15] მას]+ანდრიაჲ E. [16] სიჴელოვნე E. [17] ამი-სი E. [18] არასადა]+ვინ E. [19] ზედა]+მავალი E. [20] აჰა]აწ E. [21] არა E. [22] მე]—D. [23] ეგრე]—E. [24] ჳაბოკო D. [25] ანდრიას E. [26] ნავითა]—D. [27] რამეთუ შენ]—E. [28] ჰრქჳან E. [29] ზღუასა D. [30] იესუ D; ~ ანდრია ჴმაჲ-ყო E. [31] გაკორთხო D. [32] ქრისტჱ D. [33] მე]—E. [34] ჩუენ]—E. [35] გამოუჩინა E. [36] მისი E. [37] ანდრიაჲ E. [38] მას]—D. [39] ღმერთი E. [40] ესრე D. [41] ~ კაცი ღმერთ არს D. [42] არა ჰრწმენა... ნუმცა უკუე]—E. [43] ანდრიაჲ E. [44] მას]—D. [45] გასმიესაჲ E. [46] რაოდენნი E. [47] ქმნა D. [48] ყროთა D. [49] წყალი ღჳნო ქმნა]—E. [50] და მოიხუნა E. [51] ხუთ-ნი პურნი E. [52] ორნი თევზნი E. [53] და]—D. [54] აკურთხა D. [55] იგი D. [56] ~ ადგილისა მის E.

პურ იქმნა. ჰამა ხუთ ათასმან და განძღა. და ამისა[1] შემდგომად არავე ჰრწმენა მისი"[2].

მიუგო იესუ და ჰრქუა მას[3]: „სასწაულები ეგე სამე არა[4] ქმნა წინაშე ერისა მის, არცა[5] მღდელთ-მოძღუართა წინაშე[6], ამისთჳსცა სამე აღდგეს მის ზედა".

მიუგო ანდრეა[7] და ჰრქუა: „ქმნა მღდელთ-მოძღუართა წინაშეცა[8], ხოლო არა ცხადად, არამედ ფარულად და არავე ჰრწმენა მისი მათცა"[9].

მიუგო[10] იესუ და ჰრქუა: „რომელნი არიან ძალნი იგი, რომელ[11] ქმნა[12] ფარულად, გამომიცხადენ მე იგინი". მიუგო ანდრეა[13] და ჰრქუა: „ეჰა, კაცო, რომელსა[14] გაქუს სული ეგე[15] გამოკითხვისაჲ, ვიდრემდე[16] გაჲმცდი მე?".

[272] ჰრქუა მას იესუ[17]: „არა გამოგცდი შენ, ამას გეტყჳ[18], მოწაფეო მისო, რომელსა ერქუა იესუ, არამედ მხიარულ არს სული ჩემი და უხარის გულსა ჩემსა[19]. არა ხოლო მე[20] მიხარის, არამედ ყოველსავე სულსა[21], რომელსა ასმიეს საკჳრველებაჲ მისი"[22].

9. მიუგო ანდრეა[23] და ჰრქუა: „ეჰა, შვილო, უფალმან აღაჲსენ გული შენი ყოველითა სიხარულითა და ყოვლითავე საქმითა კეთილითა, ვითარცა იგი მარწმუნე ც. ხოლო აწ გითხრა შენ სასწაულები იგი[24], რომელ ქმნა უფალმან ჩუენმან ფარულად: თანა-უვიდოდეთ ჩუენ ათორმეტნი მოწაფენი სოფელსა მას უცხო-თესლთასა, რაჲთამცა გჳჩუენა ჩუენ უცნებაჲ[25] იგი ეშმაკისაჲ. და გუსედვიდეს ჩუენ მღდელთ-მოძღუარნი იგი, ვითარ შეუდეგით[26] იესუს, მოგჳგეს და გუარქუეს[27] ჩუენ: ვაჲ თქუენდა, უბადონო[28], ვითარ თანა-უკალთ მაგას, რომელი იტყჳს, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე. უვის-მეა[29] ძე ღმერთსა? ვინ თქუენგანმან იხილა ღმერთი დედაკაცისა თანა მზრახვალად? არა ეგე არაა[30] ძე იოსებისი, ხუროჲსაჲ მის, და დედასა მაგისსა[31] ჰრქჳან მარიამ? ხოლო ძმანი მაგისნი არიან იაკობ და სიმონ? ხოლო ჩუენ, რაჟამს გუესმა სიტყუაჲ[32] ესე, შივაქციეთ ურწმუნოებად.

და გულისჴმა-ყო იესუ, რამეთუ გარდაიქცა[33] გული ჩუენი, წარგჳყვანნა ჩუენ უდაბნოდ [269] და ქმნნა[34] დიდ-დიდნი სასწაულნი წინაშე ჩუენსა და გჳჩუენა ჩუენ ღმრთეებაჲ[35] იგი მისი ყოველი.

ხოლო ჩუენ ვარქუთ მღდელთ-მოძღუართა მათ: მოვედით და თქუენცა[36] იხილეთ ღმრთეებაჲ იგი მისი, ესერა ჩუენ გუარწმუნა. და მოვიდეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და თანა-გჳვიდოდეს[37] ჩუენ. და შევედით ჩუენ ბაგინსა მას წარმართთასა და გჳჩუენა ჩუენ იესუ[38] ქმნულებაჲ იგი ზეცისაჲ, რაჲთა გულისჴმა-ჳყოთ ჴეშმარიტ[39]-ძი არსა[40] ღმრთეებაჲ იგი მისი ანუ არა? და წარმოვიდეს ჩუენ თანა ოცდაათნი კაცნი ერისაგანნი და ოთხნი მღდელთ-მოძღუარნი. მიმოდაიგუენა[41] იესუ[42] მარჯუე და მარცხულ[43] ბაგინსა მას შინა, და იხილა კერპი ერთი მარჯუე და ერთი მარცხლ[44] ბაგინსა მას შინა.

---

[1] მისსა D. [2] მისა E. [3] მას]—E. [4] ~ არა სამე E. [5] არცა] არცაღა თუ E. [6] ~ წინაშე მღდელთ-მოძღუართა მათ E. [7] ანდრია E. [8] ~ წინაშე მღდელთ-მოძღუართაცა E. [9] მათცა]—D. [10] მიუგუ D. [11] რომელნი E. [12] ქმნა D. [13] ანდრიაჲ E. [14] რომელსა-ეგე E. [15] ეგე]—E. [16] ვიდრე E. [17] მას იესუ]—E. [18] გეტყჳ]+შენ D. [19] გულსა ჩემსა]—D. [20] მე]+ოდენ E. [21] სულსა]—E. [22] მისი] ღმრთისაჲ E. [23] ანდრიაჲ E. [24] იგი]—E. [25] ოცნებაჲ E. [26] შეუდეგით]+ჩუენ E. [27] გუარქუეს E. [28] უბადონო] უბადრუკნო კაცნო E. [29] -მე D. [30] არს D. [31] მისსაჲ E. [32] სიყუაჲ D. [33] გარდააქცია E. [34] ქმნა D. [35] ღთებაჲ E. [36] თქუენცა]—D. [37] უფალსა თანა-გჳიდოდეს E. [38] იესუ]+მიერ E. [39] ჴეშმარიტი D. [40] არს E. [41] ჴიმოდაეგჳლვა D. [42] იესუს D. [43] მარცხილ E. [44] მარცხილ E.

მოიქცა ჩუენდა და გურჭუა იესუ: ხედევდით სახესა მას ზეცისასა: ესე კერპნი მსგავს არიან ქერობინთა და სერობინთა ზეცისათა.

10. მაშინ იესუ მიხედნა მარჯულ კერძო[1] მის ბაგინისა[1ა] კერპსა და ჰრქუა: „შენ გეტყჳ მსგავსად ხატად გამოქმნულსა მაგას [ზეცისასა], რომელი გამოქმნულ[2] ხარ [ჴელითა] ჴელოვნისაჲთა[3], აღდეგ და გარდამოჴედ ადგილით შენით[4] ქუეყანად[5], მოუგე [291] და ამხილე მღდელთ-მოძღუართა ამათ[6], მე კაცი ვარ, ანუ ღმერთი?“ და მუნთქუესვე მას ჟამსა მეყსეულად[7] აღდგა კერპი იგი და აღიღო ჴმაჲ კაცისაჲ და თქუა: „ცოფნო[8], ძენო[9] ისრაჱლისანო, რომელთა ვერ ჰმა გეყო სიბრმე გულისა თქუენისაჲ[9ა], არამედ გნებავს[10] სხუათაცა დაბრმობაჲ[11]; ვითარცა-იგი[12] იტყჳან ღმერთსა კაცად, რომელმანცა[13] შექმნა კაცი დასაბამითგან და მისცა სული მისი ყოველსა, რომელმან მიმომავალად შექმნა ყოველიე შეუძრაჳი[14]. ესე არს ღმერთი, რომელი ეტყოდა აბრაჰამს[15], და[16] რომელმან შეიყუარა საყუარელი მისი ძჱ[17] ისაკი, რომელმან მოაქცია იაკობი ქუეყანასა თჳსსა. ესე არს მსაჯული ცხოველთა და მკუდართაჲ. ესე არს, რომელმან განუმზადის დიდ-დიდი კეთილი მორჩილთაჲ მორჩილთა მისთა, და განუმზადის სატანჯველი ურწმუნოთა[17ა]. ნუ მეედავთ მე[18], რამეთუ[19] ქვისაჲ ვარი[20] მე, კერპი. ხოლო გეტყჳ თქუენ, უმჯობეს არიან საკერპონი შესაკრებელთა თქუენთაჲ, [ჩუენ სამე] ქვანი ვართ და სახელი დაგუდჳეს ჩუენ მღდელ[ა]თა[21] მათ ჩუენთა[22], ვითარმედ ღმერთნი არიანო[23], რამეთუ თჳთ იგივე მღდელნი, რომელნი ჰმსახურებდეს[24] [291] საკერპოსა მას, განიწმიდნიან[25] თავნი თჳსნი შიშისათჳს, რაჲთამცა არა შევიდეს საკერპოდ ჩუენ გამო სახელისა მისისათჳს[26].

ხოლო[27] რომელ დაგუდჳეს ჩუენ, ვითარმედ ღმერთნი არიან, ხოლო თქუენ რაჟამს ისიძჳით, აღიღი[თ] შჯული[28] ღმრთისაჲ და შეხჳდით[29] შესაკრებელსა მას[30] თქუენსა, დასხდით[31] და იკითხვიდი[თ] და არა გეშინინ თქუენ სიტყჳსაგან[32] ღმრთისაჲსა[33] პატიოსანთა.

ხოლო ამისთჳს გეტყჳ თქ[უენ], რამეთუ საკერპონი განაქარვებენ შესაკრებელთა თქუენთა, რაჲთა იყვნენ საკერპონი იგი ჩუენნი ეკლესია სახელისათჳს[34] მხოლოდ-შობილისა ძისა ღმრთისაჲსა[ა].

11. ესე რაჲ თქუა მან კერპმან, იგინი[35] დუმნეს[36], და ჩუენ ვარქუთ მღდელთ-მოძღუართა მათ: „ჯერ-არს თქუენდა, ამი[ს] გამო რწმუნებაჲ თქუენი, რამეთუ ჴეშმარიტსა გ[ე]ტყჳს თქუენ და ქვათა გარცხჳნეს თქუენ[ბ].

მომიგეს მღდელთ-მოძღუართა მათ ჰურიათა და მრქუეს ჩუენ: „იგუღლეთ და განიცადეთ, რამეთუ ქვაჲ ესე შეგრძნებით იტყჳს, ნუ ესრეთ[37] იტყჳთ თქუენ, ვითარმედ ესე[38] ღმერთი არს, უკუეთუ გულისჴმა-ჰყოთ[39], რაჲ-იგი

---

[1] მოიქცა ჩუენდა.... მარჯულ კერძო]—D (არ იკითხება).[1ა] ბაგინისასა D, ბაგინსა E. [2] გამოქმნილ E. [3] ჴელოვნებისაჲთა D. [4] ~ ადგილით შენით და გარდამოჴედ E. [5] ქუეყანად]—E. [6] მათ D. [7] ~ მეყსეულად მას ჟამსა E. [8] ვაჲ ცოფნო E. [9] ძენო] ძმანო E. [9ა] მათისაჲ D. [10] ჰნებავს D. [11] დაბრკოლებაჲ D. [12] -იგინი D. [13] რომელმან E. [14] შეუძავი D. [15] აბრაჰამსა D. [16] და]—E. [17] ~ ძე მისი E. [17ა] (განუმზ)ადის დიდ-დიდი კეთილი.... სატანჯველი ურწმუნოთა]—D. (არ იკითხება). [18] მე]—E. [19] ვითარმედ E. [20] ვარ E. [21] მღდელთ-მოძღუართა E. [22] მათ ჩუენთა]—E. [23] ღმერთნი არიანო]ღმერთნიო E. [24] მსახურებდეს E. [25] განიწმიდიან E. [26] მისთჳს E. [27] ხოლო]—E. [28] სჯული E. [29] შეხუდით E. [30] მას]—D. [31] დასხედით E. [32] სიტყჳსა E. [33] ღმრთისათჳს E. [34] სახელისა E. [35] და იგინი E. [36] დადუმნეს E. [37] ესრე D. [38] ეს D. [39] უკუეთუ გულისჴმა-ჰყოთ]—E.

გრქუა თქუენ მან[1] ქვამან, სცნათცა, გესმა სამე მის ქვისაგან სიტყუაჲ, ვითარ-იგი იტყოდა —ესე არს, რომელი ეტყოდა[2] აბრაჰამსაო[3].—ამან სადა[4] დააპყრა[5] აბრაჰამ[ი][6]? [292] დაუყოფიან[7] აბრაჰამს[8] სიკუდილითგან[9] არამცირედნი[10] წელნი. პირველად ესე-მე შობილ არსა, და ვინაჲ-მე იცისა[11] ამან[12] აბრაჰამი?[a]

და ვიდრე სიტყუასა ამას იტყოდა იოვანე ჩემდა, წიგნი მოვიდა ძისა მჴრონისი, რომელსა თანა იყო სული ჰკთონოჲ, რომელსა წერილ იყო სახჱ ესევითარი: „აპოლონიდი ფილოსოფოსი ჩემსა მამასა მჴრონს, გიხაროდენ! იოვანე, მოგჳ, რომელ შემოიყუანე სახლსა ჩუენსა, ბოროტი ჴელოვნებაჲ იქმია და შემიძლო მე, და მოვლინებულმან მის მიერ სულმან მდევნა მე ვიდრე ქალაქსა ამას და ვიპირვი არა მცირედ. ხოლო ვპოე შემწჱ განწმედილი კჳნოპ და მიუთხარ მას, რომელი შეჴემთხჳ ბოროტი. ხოლო მან მომიგო და მრქუა მე: შვილო აპოლონიდი, უკუეთუ არა იოვანე, ქრისტეანეთა მოძღუარი, მჴეცთა ებრძოლოს და ბოროტად მოკუდეს, შენ ვერ შეუძლებ შენსა ქალაქსა დამკჳდრებად, არამედ არცაღა შენი სახლი იხილო ოდეს.

აწ უკუე, მამაო, შენი შვილი გევედრების[3] შეწევნასა, შეიწყალე ძჱ შენი მოკლვისათჳს იოვანჱსისა, რაჲთა ადრე უკუ-მოვიქცე და ვიშუებდე მამისა ჩემისა თანა და დედისა და ორთა მათ ტკბილთა ჩემთა ძმათა თანა. ცოცხლებით იყვენით ყოველი სახლი ჩუენი".

32. ხოლო მი-რაჲ-იღო მჴრონ წიგნი, წარმოცემული მისდა, ძისა მიერ თჳსისა აპოლონიდისისა[4], დამკრძალნა ჩუენ მეყსეულად. და გამოვიდა და წარვიდა მთავრისა და უჩუენა მას წიგნი იგი, რომელ წარმოეცა აპოლონიდის, ძესა მისსა. ხოლო მი-რაჲ-იღო მთავარმან და წაიკითხა, აღშფოთნა ფრიად ჩუენ ზედა უფროჲს ამისთჳს, რამეთუ ეწერა ებისტოლესა სახელი კჳნოპისი, რამეთუ ყოველთა პატმოისა ჰალაკისათა აქუნდა იგი ვითარცა ღმერთი

[1] მისთა. [2] ჰრწმენეს. [3] ევედრების. [4] აპოლონიდოჲსისა.

გრძნებისა მისისა კიცხევითა. და ჰრწმენნეს მთავარსა სიტყუანი მჯრონისნი და წიგნი იგი ძისა მისისა აპოლონიდისი. ბრძანა იოვანჱსი მჴეცთა ბრძოლაჲ.

მეყსეულად მოავლინა სასლსა მჯრონისსა მთავარმან, რამეთუ მუნ დამკრძალნა ჩუენ მჯრონ, და წარმიყვანნეს ჩუენ მოვ[236]ლინებულთა მთავრისა მიერ და მომიყვანნეს ჩუენ საპყრობილედ[1].

33. და შემდგომად სამისა დღისა მოავლინნა მთავარმან საპყრობილედ, და მიმიყვანნეს ჩუენ ურაკპარაკთა. და ჰკითხა იოვანეს მთავარმან და ჰრქუა მას: „ღმრთის მსახურმან მეფემან ბრალეულად ყოფისა შენისათჳს და დასჯისა სიკუდილად გრიდა შენ და არა მოგაკუდინა შენ, არამედ ეგულებოდა შენი განსწავლაჲ და ბრძანა ექუსორია-ყოფაჲ, და მოხუედით აქა. აჰა, უმრავლჱსსა ჰყოფთ აქა, რომელ-იგი ჰყავთ ეფესოს შინა ქალაქსა. თქუ უკუე, რომელი ბოროტი ჴელოვნებაჲ იქმიე და განსდევნე მჯრონის, ჩემისა სიმამრისა, ძჱ და ჩემი ნათესაჲ; მომიგე მე მჭრაფლ და თქუ ჴეშმარიტი პირველ შენდა გუემადმდე, და სჭრაფით ყავ მოსლვაჲ ქალაქსა ამას ჩემისა ნათესაჲსა. ხოლო თქუ, რომლისა რჩულისაჲ ხარ, და რაჲ არს საქმჱ შენი, და რომლისა სოფლისაჲ ხარ?“

მიუგო იოვანე და ჰრქუა: „იერუსალჱმით ვარ, ქრისტჱს მონაჲ, ძისა ღმრთისაჲ, რომელი ჯუარს-ეცუა და დაეფლა კაცთა ცოდვილთათჳს და აღდგა მესამესა დღესა, რომელმან-იგი წარმავლინა მე ქადაგებად, ყოველთა წარმართთა რწმენად მისა მიმართ“.

ხოლო მთავარმან ჰრქუა: „ღმრთის მსახურმან მეფემან ამის სწავლისათჳს ექუსორია-გყო შენ, და კუალად შენ ესეეითარნი სიტყუანი მოგჴონან თავით შენით. ისწავე, არაღირსო, პატივი და თაყუანის-ცემაჲ უკუდავთაჲ და მორჩილებაჲ რჩულსა სამეუფოსა და ნუ გრიალთა სიტყუათა იტყჳ[2], ღმრთად კაცსა მომკუდარსა უწესოებისათჳს[3] მრავლისა.

ხოლო იოვანე ჰრქუა: „მე უკუდავსა ვჰმსახურებ (და ესე ვამცნო), რომელთა-იგი ჰნებავს ღირსად და სიმართლით ცხორებად“.

მთავარმან ჰრქუა: „არა გჯჱმს მრავალ-მეტყუელებაჲ პირისაგან შენისა შეგინებულისა, არამედ ბრძანებული შენდა ყავ და ჰრიდე[4] მოძღურებასა ამას, და ჩემი ნათესაჲ აპოლონიდი მოიყვანე ცოცხლებით ქალაქსა ამას და სახლსა თჳსსა“.

34. ხოლო იოვანე ჰრქუა: „სწავლასა ამას, მთავარო, ვერ შეუძლებ რიდებად, რომლისა მიერ მოსალოდებელი სასოებაჲ მდებ-არს, ხოლო აპოლონიდისთჳს[5] [237] ძისა მჯრონისისა და ნათესაჲსა შენისა, რომელ სთქუ, რაჲ არს ჩემდა? არა თავით ჩემით ვიცი რაჲ ბოროტი საქმჱ მისა მიმართ. ხოლო მიბრძანე მე, მთავარო, და წარვავლინო ჩემი მოწაფჱ, და მან მოიყვანოს იგი შენდა და, რაჲ-იგი აქუნდეს, თქუას ჩუენდამო, რამეთუ არა თუ იყოს იგი, ვერ ძალ-გიც მოკლვაჲ ჩემი, უკუეთუ არა, ჩემნი ბრალნი მან წარმოიხუეს შენ წინაშე“.

და უბრძანა მთავარმან ესე ყოფად. წარაელინა იოვანე საპყრობილედ და ბრძანა მისი შეკრვაჲ ჯაჭჳთა ბრჭობლითა. და ჰრქუა იოვანე მთავარსა: „მიბრძანე პირველად დაწერად აპოლონიდისა წიგნი და ესრჱთ რკინანი ჩემდა დასხმად“. და ბთავარი იტყოდა თავით თჳსით და თქუა, ვითარმედ:

---

[1] საპყრობილჱდ. [2] იტყჳ გრილთა. [3] უწჱსოებისათჳს. [4] ვჰრიდე. [5] აპოლონიდოჲსთჳს.

„ნანდჳლვე განჴსნაჲ მისი ჰნებავს გრძნებისაგან“. და უბრძანა. და იოვანე მოიღო ქარტაჲ და მელანი და დაწერა ებისტოლჱ, რომელსა წერილ იყო ესრჱთ: „იოვანე, მოციქული ქრისტჱსჲ, ძისა ღმრთისაჲ, პჳთონსა სულსა, რომელი მყოფ ხარ აპოლონიდის თანა, გამცნებ[1] შენ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წ[მიდისაჲთა] განსლვად დაბადებულის[ა]გან ღმრთისა და არღარა შესლვად მის თანა. ხოლო გარეგან ჭალაკსა მას დაემკჳდრე, სადაცა გნებავს, გარნა ნუ კაცთა თანა, არამედ ადგილთა ურწყულთა. მეიოვანე, სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა გიბრძანებ შენ, სულსა პჳთონსა, ესრე ყოფად“.

მოვიღე მე უკუე წჱგნი იგი იოვანჱსგან და წარვედ ქალაქსა მას, რომელსა იყო აპოლონიდე. ხოლო იყო სიგრძჱ გზისაჲ მილიონი სამეოცი. შერაჲ-ვედ უკუე მე ქალაქსა მას, ორ დღე ვეძიებდ აპოლონიდის და ვისწავე ადგილი იგი, რომელსა იყო სტუმარ და მივედ მისდა, მიეეახლე. მეყსეულად პითონოჲ იგი სული განვიდა მისგან და თქუა აპ[ო]ლონიდი ჩემდამო: „რაჲსათჳს მოხუედ აქა, კეთილო მოწაფეო კეთილისა მოძღურისაო?“ და ვარქუ მას: „გულისხმის-მყოფელსა თქუენსა სიბრძნესა გამოვედ მოძიებად და წარყვანებად შენდა შენსა [238] ნათესავსა თანა მთავარსა და შენ—სახლსა მამისა შენისა თანა“.

ხოლო აპოლონიდისგან სული გა[ნ]-რაჲ-ვიდა, იქმნა კაცობრივსა წესსა ზედა. და მეყსეულად ბრძანა განმზადებად ჩემთჳს კარაული და თჳსი ცხენი მზა-ყოფად. და გამოვედით გზად, და შე-რაჲ-ვედით ბჳესა ქალაქისასა, [მ]კითხა მე და მრქუა: „სადა მყოფ არს შენი მოძღუარი?“ და ვარქუ მას, ვითარმედ: „მთავარმან ორითა ჯაჭჳთა იგი შეკრა და შეაგდო ფიცხელსა საპყრობილესა“. ხოლო ესმა რაჲ ესე აპოლონიდის, არა შევიდა სახიდ თჳსა, არცაღა ეზრახა ვის თჳსსა მისსა, არამედ წარმიყვანა მე საპყრობილედ და ჰრეკა კარსა, და მეყსეულად განაღო საპყრობილის მცველმან და იხილა, ვითარმედ აპოლონიდი არს, დავარდა ქუეყანასა ზედა და თაყუანის-სცა მას.

35. და შე-რაჲ-ვედით ჩუენ იოვანჱსა, აჰა იყო იგი ქუეყანასა ზედა მდებარჱ და შეკრული ორითა ჯაჭჳთა, და მეყსეულად აპოლონიდი დავარდა და თაყუანის-სცა იოვანეს. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „შვილო, აღდეგ, ღმერთმან გაკურთხენ შენ“. და აღდგა აპოლონიდი და აღიხუნა რკინანი იოვანჱსგან[2] და შეიპყრა იგი და გამოიყვანა გარეშე საპყრობილესა. და ჰრქუა აპოლონიდი მესაპყრობილეთ მცველსა[3]: „უკუეთუ რაჲმე შენ ვინ გრქუას კაცისა ამისთჳს, არქუ მას, ვითარმედ აპოლონიდი შემოვიდა საპყრობილედ და განუტევა იგი“.

წარმიყვანნა უკუე ჩუენ და შემიყვანნა ჩუენ სახიდ თჳსა. და იყვნეს მამაჲ მისი და აპოლონიდისი დედაჲ და ძმანი მისნი მგლოვარჱ განშორებისათჳს აპოლონიდოჲსა[4]. ვითარცა იხილეს იგი, აღდგეს ყოველნი და ამბორს-უყოფდეს მას ცრემლით.

ხოლო ჰრქუა მჳრონ, მამამან მისმან: „რაჲ გეყო შენ, შვილო, რამეთუ წარხუედ შენისა სახლისაგან და ჰქმენ დიდი გლოვაჲ მამისა და დედისა შენისაჲ და ძმათაჲ; და ყოველნი, რომელნი არიან შენნი“. ჰრქუა აპოლონიდი მამასა თჳსსა: „საცსე იპოვა სახლი ჩუენი მრავლითა ცოდვითა და შენო-რაჲვიდა იოვანე, მოციქული ქრისტჱსი, სახლსა ჩუენსა, უმეცარ ვიყვენით მისთჳს:

[1] გამონებ. [2] იოვანესგან. [3] ასეა. [4] აპოლონისოისა.

და ვინ არს, რომელი მოიცილინა. ამისთჳს უკუე, მამაო, იქმნა ესე ჩუენდა, რაჲთა მის გამო ვცნათ [239] მოცილინებული და მომავლინებელი“.

ხოლო ესმა რაჲ ესე მჳრონს ძისაგან მისისა, ჰრწმენა მისი და ჰრქუა მას: „უკუეთუ ესე ესრჱთ არს, ძეო ჩემო, წარვედით და მიუთხართ მთავარსა, რამეთუ მან ბრძანა იოვანჱსი საპყრობილესა ცნობითა ჩემითა წიგნისა მისთჳს მოცემულისა შენისა მიერ“. და ჰრქუა[1] აპოლონიდი მამასა თჳსსა: „ამისთჳს ნურას იურვი, მამაო, რამეთუ მთავარი ნათესავი ჩემი არს და ყოველი, რავდენი ვჰრქუა მას, ყოს და ინებოს“.

36. და თქუა აპოლონიდი იოვანჱს[2] მიმართ: „თქუ სიტყუაჲ კეთილი“. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „პირველად შენი, შვილო, მეთხჳრ მე, რაჲსათჳს დაუტევე შენი სახლი და შენი ქალაქი და წარხუედ სხუად ქალაქად?“ ჰრქუა აპოლონიდი იოვანეს: „მიზეზი ჩემისა წარსლვისაჲ იქმნა ესე, უწყის მამაჲანცა ჩემმან და დედამან ჩემმან ესე, ვითარმედ სამისა წლისაჲ ვიყავ და ვითარ მიწოლილ ვიყავ ცხედარსა ზედა და ძილითა ჴშირითა შეპყრობილ, წარმომიდგა მე კაცი ვინმე მარცხენით ცხედარსა, და შემარყია მე და განმაღჳძა მე, და ვიხილე იგი. და იყვნეს თუალნი მისნი ვითარცა ლამპარნი აღნთებულნი და პირი მისი დაშაეებული ვითარცა მელანი. და მრქუა მე: აღაღე პირი შენი. და აღვაღე მე პირი, და შევიდა პირით ჩემით და აღაესო ჩემი მუცელი, და მიერ დღითგან მაუწყებს მე კეთილისათჳს და ბოროტისა და ყოვლისაეთჳს, რომელ არს სახლსა შინა. და არა ხოლო ესე, არამედ ყოველნიცა, რომელნი მზრახვიდეს მე ჰირველნი, ისწავებდეს მიზეზსა საქმისასა ჩემ მიერ. ვითარ უკუე შემოხუედ სახლსა ჩემსა, მრქუა მე: განვედ ამიერ, აპოლონიდი, რაჲთა არა ბოროტად მოჰკუდე, რამეთუ ესე კაცი მოგჳ არს და ეძიებს მოკლვასა შენსა. და მეყსეულად განვედ, და მდევნა მე ვიდრე რომელსამე ქალაქსა და არღარა მაცადა მე მოქცევად და მრქუა მე: უკუეთუ არა იოვანე მოკუდეს, შენ სახლსა შენსა ვერ შემძლებელ ხარ დამკჳდრებად. და ჳჰკითხე განწმედილსა კჳნოპს და მრქუა მე შანცა ესევე.

და მო-რაჲ-ვიდა შენი მოწაფჱ ქალაქსა მას, რომელსა მყოფ ვიყავ, ვითარცა ვიხილე [240] იგი სახითა მით, რომლითა შევიდა მუცელსა ჩემსა, ეგრჱთვე გამოვიდა ჩემგან, და მრავალისა სიმძიმისაგან აღვსებულ[ი]. და მრავალი სიწრფოებაჲ აქუნდა გულის სიტყუათა ჩემთა და კეთილ ვიქმენ შენისა მოწაფისათჳს“.

37. ხოლო იოვანე ჰრქუა აპოლონიდის: „გნებავს ხილვად ძალი ჯუარ-ცუმულისაჲ, შვილო აპოლონიდი, რომელ-იგი შენსა მუცელსა სული პითონჲ არს, და ვითარ შემოვედით სახლსა შენსა, რაჲთა არა განიდევნოს ჩუენ მიერ ძალითა ქრისტჱსითა, ამისთჳს განგდევნა შენით სახლით? ისმინე, შვილო აპოლონიდი, არა ხოლო თუ პირს-პირ ჩუენ ვამხილებთ ბოროტთა და არაწმიდათა ეშმაკთა სახელითა ქრისტჱსითა, არამედ წიგნითაცა მით, ძალითა მისითა ვსდევნით“.

და მიიღო ჩემგან იოვანე წიგნი იგი, რომელი წარსცა პითონოჲსათჳს სულისა და უჩუენა აპოლონიდის და წარიკითხა იგი აპოლონიდი და იპყრა იგი მის თანა.

და წარგჳყვანნა აპოლონიდი იოვანე და მეცა და მჳრონ, მამაჲ თჳსი, და ძმანი თჳსნი და წარვედით მთავარსა თანა და მიუთხრა მას აპოლონიდი

[1] ჰრქუა მას. [2] იოვანეს.

ყოველი, რაოდენი შეემთხჳა მას პითონოჲსა მისგან სულისა, და კეთილი ჩემისა მოძღურისაჲ.

ხოლო ესმა რაჲ მთავარსა, იგიცა მოდრკა ჩუენ კერძო და ფრიად შეიყუარა ჩემი მოძღუარი. და გამოვედით მთავრისაგან და შევედით სახლსა მჳრონისსა და ვიყუენით მუნ.

ხოლო იწყო იოვანე საღმრთოთაგან წერილთა სწავლად ყოველთა, რომელნი იყუნეს სახლსა შინა მჳრონისსა. და გა-რაჲ-ისწავლნეს საღმრთოთაგან წერილთა, ევედრებოდეს იოვანეს, რაჲთა განანათლნეს იგინი. და ასწავლა მათ მამისათჳს და ძისა და სულისა წმიდისა, ნათელ-სცა ყოველთა, რომელნი იყუნეს სახლსა შინა მჳრონისსა. და ვიყუენით მის თანა.

38. ხოლო ცოლი მთავრისაჲ ასული იყო მჳრონისი. ვითარ იხილა, რამეთუ ჰრწმენა მამასა და დედასა მისსა და ძმათა მისთა ქრისტჱ, ჰრქუა ქმარსა თჳსსა: „აჰა, ყოველსა სახლსა მამისა ჩემისასა ჰრწმენა ჯუარ-ცუმული, რომელი იოვანჱს უცხოჲსა ძიერ იქადაგების. ინებე უკუე შენცა, რაჲთა სახლი ჩუენი იდიდოს [241] სახლსა თანა მამისა ჩემისასა“. ლაბრენტიოს მთავარმან ცოლსა თჳსსა ხრუსიპის: „დედაკაცო, ვიდრემდის ვარ მთავრობასა ამას, ვერ შეუძლებ ამას ყოფად“. ჰრქუა მას ხრუსიპი, ცოლმან მისმან: „უფროჲს-ღა რამეთუ ხარ მთავრობასა ამას, უმეტჱს შეუძლო ჩუენდა ყოფად ზღუდედ მდევართა ჩუენთაგან და მოძღურისა ჩუენისა იოვანჱსა“. ჰრქუა მთავარმან ცოლსა თჳსსა: „უწყოდე, დედაკაცო, რამეთუ საძულელ არს რჩული ქრისტიანეთაჲ არა ხოლო თუ მეფეთაგან, არამედ ყოვლისა კაცისაგან. უკუეთუ ნათელ-ვიღო და ვიყო მცველ სახლსა მამისა შენისასა და ჩუენსა სახლსა, იოვანჱს[1] და ყოველთა მორწმუნეთა ქრისტჱსთა, შეიქმნეს[2] ამბოხებაჲ და განწჳალებაჲ მრავალი, და წარვწყმდეთ ჩუენ და ყოველნი ამისთჳს, რამეთუ შეკრბენ ყოველნი და დამწუნენ ჩუენ ცეცხლითა, ანუ წარვიდენ მეფისა ჩუენთჳს და თჳთ მეფემან გუგუემნეს ჩუენ ყოველნი. ხოლო უკუეთუ ვიყო პირველსა ზედა წესსა, შეუძლო წარმართთაგან ცვასა და ვიყო დამმარხველ მცნებათა ქრისტჱსთა, დაფარულად ვსცვიდე ყოველთა, და რომელთა ჰრწამს ქრისტჱ. და ოდეს დაესრულოს მთავრობაჲ ესე, ვიქმნე მეცა ქრისტიანჱ და ვიყო მერმე განცხადებულად.

შენ უკუე წარიყვანე შვილი და შევედ სახლსა მამისა შენისასა და გასწაოს თქუენ იოვანე, შენ და შვილსა შენსა, და განგანათლნეს თქუენ, და იყვნეთ მცველ მცნებათა ქრისტჱსთა. ფარულად ვსცვიდე ყოველთა მორწმუნეთა ქრისტჱსთა.

ხოლო ეკრძალე, დედაკაცო, ნუ შეურაცხ-ჰყოფ ერთსაცა თქუმულსა შენდამი სიტყუათა იოვანჱსთა[3]. არამედ ნუცა ძიმითხრობ საიდუმლოთა, რომელნი მიგეთხრნეს შენ, ვიდრემდის არა მეცა ვიქმნე სრულად ქრისტიანჱ, რამეთუ რჩული წარმართთაჲ ჰგუემს, რომელმან გამოაცხადოს საიდუმლოჲ ღმერთთაჲ[4]. რაოდენ რჩული ქრისტჱსი იქადაგების იოვანჱს მიერ, მოციქულისა ქრისტჱსისა, ეკრძალე თავსა შენსა, დედაკაცო, და შვილსა ჩუენსა მხოლოდ-შობილსა და ტკბილსა“.

39. ხოლო ესმა რაჲ ხრუსიპის, ცოლსა მთავრისასა, ქმრისაგან თჳსისა ესე, მეყსეულად აღდგა და წარიყვანა ძჱ თჳსი და წარვიდა სახლსა მჳრონისსა,

[1] იოვანეს. [2] შეიქმნჱს. [3] იოვანესთა. [4] ღ˝თთა.

მამისა თჳსისასა. [242] და შე-რაჲ-ვიდა, თაყუანის-სცა პირველად იოვანეს და ეგრჱთ მამასა თჳსსა და დედასა, ეგრევე მსგავსად ძმათაცა თჳსთა.

ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „რომლისა მიზეზისათჳს, შვილო, ჩუენდა მოხუედ?“ და ხრუსიპი[1] ჰრქუა იოვანეს[2]: „ამის მადლისათჳს, მოძღუარო, მოვედ სახლსა მამისა ჩემისასა, რაჲთა თანა-იდიდოს სახლიცა ჩუენი სახლსა თანა მამისა ჩემისასა“. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „სახიერ ყავნ უფალმან გული შენი აბას ზედა და ქრისტჱ შენისაჲ და ძისა შენისაჲ ყოველთა თანა სახლსა მამისა შენისასა“. და დავარდა ხრუსიპი[3] ქუეყანასა ზედა და თაყუანის-სცა იოვანეს და ჰრქუა მას: „მოძღუარო სახიერო, მომეც მე და ძესაცა ჩემსა ქრისტჱსმიერი ბეჭედი, რაჲთა შევირაცხნეთ ჩუენცა სახლსა მამისა ჩემისასა“. და ჰრქუა მაჲ იოვანე: „გუალე, პირველად ვეზრახო ქმარსა შენსა და მისითა ცნობითა იქმნეს[4] ესე“.

ხოლო ხრუსიპი[5] მიუთხრა იოვანეს[6] ყოველი, რავდენი ესმა ქრისტჱ მისისაგან სახლსა შინა მისსა და განიხარა იოვანე სიხარულითა დიდითა, ესმა რაჲ, ვითარმედ განზრახვითა მთავრისაჲთა ცოლსა მისსა ჰნებავს განათლებაჲ. და ასწავა მას და ძესა მისსა და ამცნო დაცვად თქუმულნი იგი მათა მიმართ, ნათელ-სცა მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულიჲსა წმიდისაჲთა.

40. იხილა რაჲ მჴრონ, რამეთუ ჰრწმენა ასულსა და ძესა მისსა ქადაგებული იესუ იოვანჱს მიერ, მოიღო საჴმარი მრავალი და ასულსა თჳსსა და ძესა მისსა მისცა და ჰრქუა: „აჰა საჴმარი, რაოდენიცა კმა გეყოს თქუენ, და ჩემსა ტაბლასა ჰამდით, გარნა ხოლო ნუ განეშორებით ჩემისა სახლისაგან და ნუღარა მიხუალთ მთავარსა თანა, ნუსადა შეურაცხებაჲ იქმნეს[7] თქუენ მიერ ქრისტჱსი“.

ხოლო ჰრქუა მჴრონს ასულმან მისმან: „და უკუეთუ გნებავს ესე, მამაო, იყავენ საჴმარი ესე შენ თანა, ხოლო მე და ძჱ ჩემი წარვიდეთ სახლსა ჩუენსა, და არს ჩუენი ოქროჲ და ვეცხლი ფრიად, და იგი მოვიღოთ და მოვიქცეთ ჩუენსა სახლსა და ვიყუენეთ ერთად“.

ხოლო ესმა რაჲ ესე იოვანეს, ჰრქუა მჴრონს და ასულსა მისსა: „მჴრონ, მჴრონ, არა* [243] თაეს-ვიდეა სიტყუაჲ ესე შენი, არცა სიტყუაჲ ასულისა შენისაჲ, რამეთუ ქრისტემან არა მომავლინა მე[8] განშორებად ცოლნი ქმართაგან და არცა ქმარნი ცოლთაგან და უფროჲს-ღა, რამეთუ ასულისა შენისა განზრახვითა ქრისტჱსი ჰრწმენა ქრისტჱ. წარვედინ უკუე სახიდ თჳსა მჴდობით, იგი და ძჱ მისი, რამეთუ მე მრწამს ქრისტე, რომელმან მომავლინა მე ქადაგებად საკჳრველებათა მისთა, არამედ ქმარიცა ასულისა შენისაჲ ადრე იქმნეს. ქრისტეანე, ხოლო საჴმარი, რომელ სთქუთ, აჲასხეთ ქრისტესა[9], ვითარცა იტყჳს წმიდაჲ სიტყუაჲ: რომელი სწყალობდეს გლახაკსა, იგი ღმერთსა ავასხებს. ხოლო მსგავსად მიცემისა მისისა მოსაგებელი მისი მომავალთა უკუე ძმათა და ნაკლულევანთა საზრდელითა ამათ მიეცით საჴმრად, რამეთუ თქუა უფალმან ჩემმან იესუ ქრისტემან: შეიწყალეთ და შეიწყალნეთ, მიეცით და მოგეცეს[10] თქუენ**, რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ“***. ესე თქუა იოვანე და უმრაველსი ამისა, და წარავლინა ხრუსიპი და ძჱ მისი მთავრისა თანა, ქრისტჱ მისისა, სახიდ თჳსა.

---

[1] ხურსიპი. [2] იოვანჱს. [3] ხურისპი. [4] იქმნჱს. [5] ხურსიპოს. [6] იოვანჱს. [7] იქმნჱს. [8] მეკრისტემან. [9] კრისტჱსა. [10] მოგეცჱს.

* ამ გვერდის ბოლოს მინაწერია: „ქ“ შეიწ˘ყლნ ამის წიგნისა მომგებელნი-მამფალი მტბევარი იოვ˘ნე და მამაჲ თ˘ე, ა˘ნ“. ** ლ უკ ა 6,38. *** მ ა თ ე 7,2.

41. და ჩუენ დავადგერით სახლსა შინა მჳრონისსა. ხვალისაგან მოართუა მჳრონ იოვანეს საკმარი მრავალი და ჰრქუა მას: „ჱიიღე ესე, მოძღუარო, და ჱიეც გლახაკთა“. ხოლო იოვანე ჰრქუა მჳრონს: „აჰა ესერა, შევიწყნარე გულსმოდგინებაჲ შენი, და გავცადე იგი და საღმრთოჲ არს. ხოლო შენსაცე ცნობასა დაგიტეცებ შენ, რაჲთა თჳსითა ჴელითა მისცე იგი, რომელთა ეკჳარებისა“. ხოლო მჳრონ ყოველთა, რომელთა ეკმარებოდა, მისცემდა და ქრისტჱ განამრავლებდა ყოველსა სახლსა შინა მისსა. და ვითარცა წყაროჲ მდინარჱ მოსცემდა ყოველსა კეთილსა და ყოველნი, რომელნი იყვნეს სახლსა შინა, იხარებდეს ჴგანყოფასა მას ზედა, რომელთა-იგი ეკმარებოდა და ადიდებდეს ღმერთსა, ამჱნ.

ბასილისთჳს და ცოლისა მისისა და ვიჱრ ჰრწმენა ქრისტჱ სასწაულითა იოვანჱსითა

42. იყო ვინმე სხუაჲ კაცი ქალაქსა მას შინა მდიდარი ფრიად, ბასილი სახელი მისი. და იყო ცოლი მისი და სახელი მისი[1] ხარის; და იგი იყო ბერწ და არაოდეს ეშვა. ესე შევიდა როდონისა, ძმის წულისა[1ა] თანა მჳრონისისა[2], — კაცი აზნაური ფრიად, ხოლო იყო იგი წარმართი, — და ჰრქუა მას: „რაჲ შეემთხჳა სახლსა მჳრონისსა, მამის ძმისა შენისასა? რამეთუ ესრჱთ დაიდუმა უცხოსა მას თანა ყოველსა თანა სახლსა მისსა, და არღარა დაჯდების ჩუენ თანა და არცა [244] შემიწყნარებს ჩუენ სიტყუად მის თანა. რაჲ არს სწავლაჲ კაცისაჲ ამის, მითხარ მე“. ხოლო როდონ ჰრქუა ბასილის: „რაჲ არს სწავლაჲ იგი მისი. არა უწყი. მრავალნი მოვლენან კაცისა მის თანა და იტყჳან, ვითარმედ: რასა იტყჳს, იგი იქმნების“. ჰრქუა მას ბასილი: „თქუნ ჩემისა ცოლისათჳს, რაჲთა შვას ყრმაჲ“. და ჰრქუა მას როდონ[3], ვითარმედ: „იტყჳან ვიეთნიმე, და ამასცა შემმლებელ არს ქმნად“.

ხოლო ესმა რაჲ ესე ბასილის, მეყსეულად გამოვიდა სახლისაგან როდონისა და წარვიდა სახიდ მჳრონისა სიტყუად იოვანჱსა. და მოვიდა სახიდ და ჰკითხვიდა, უკუეთუ: „მოციქული ჯუარცუმულისაჲ ქრისტჱსი[4] აქა სტუმრობს“? და ისწავა ჴეშმარიტად. ჰრქუა ერთსა ყრმათაგანსა მჳრონისსა, ვითარმედ: „სიტყუაჲ მნებავს იოვანჱს თანა“. და აღვიდა უკუე ყრმაჲ იგი და უთხრა მჳრონს, და მჳრონ უთხრა იოვანეს და ჰრქუა, ვითარმედ: „ბასილი არს ასისთაჳი კართა ზედა და ჰნებავს სიტყუად შენდა“.

43. ხოლო ესმა რაჲ იოვანეს, მეყსეულად აღდგა მიგებებად მისა. და თაყუანის-სცა იოვანეს[5] ბასილი. და ჰრქუა იოვანე: „აღგისრულენ უფალმან ყოველი თხოვაჲ შენი. და ნეტარ არს კაცი, რომელმან არა განცადოს ღმერთი, გულსა შინა თჳსსა; გარნა[6], ბასილი, ისრაჱლთაცა განცადეს ოდესმე ღმერთი გამოუცდელი, და განცდასა მათსა სიწრფოებით მისცემდა, კლდჱ განაპო და გამოიყვანნა მდინარენი წყალნი მისგან, რაჲთა სუან მისგან ურჩულოთა მათ. ხოლო პური ზეცით მოსცა, რაჲთა ჰამონ უმადლოთა მათ უშრომელად. ხოლო ჶორცი სავსებით განუწესა მრავალი ვიდრე გაჴოდინებადმდე ცხჳრთა, არამედ არა ჰრწმენა, რომელნი-იგი ქმნნა ქრისტჱმან, უმეცართა მათ და ფიცხელთა. ბასილი, ნუ განსცდი ღმერთსა და არაჲ გაქუნდეს განცდაჲ ბორო-

[1] მისისი. [1ა] ცოლისა. [2] მჳრონისსა. [3] რუდონ. [4] ქრისტჱსისაჲ. [5] იოვანჱს. [6] განა.

ტისაჲ, ხოლო გრწმენინ იგი და ყოველი თხოვაჲ გულისა შენისაჲ აღასრულოს".

იხილა რაჲ ბასილი, რამეთუ ყოველიე გულისა მისისაჲ თქუა იოვანე, განუკჳრდა გულითა თჳსითა. ხოლო იოვანე შემწე ექმნა მას და თქუა: „შვილო ბასილი, გრწმენინ ქრისტჱ და ყოველი თხოვაჲ შენი მოგცეს[1] სარწმუნომან". ხოლო ბასილი თქუა: „და მრწმენა და მრწამს, ხოლო ვითხოვ შენგან, მოძღუარო, რაჲთა ევედრო ღმერთსა შენსა და შვილიერ ქმნეს[2] ცოლი ჩემი". და ჰრქუა იოვანე: „უკუეთუ გრწმენეს[3], იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ".

და მრავალი ისწავა ბასილი იოვანჱსგან, [245] და გამოვიდა სახლისაგან მჴრონისა და წარვიდა სახიდ თჳსა, და მიუთხრა ყოველი, რაოდენი ესმა იოვანჱსგან, ცოლსა თჳსსა.

44. ხვალისაგან წარიყვანა ბასილი ცოლი თჳსი ხარი და მოვიდა სახლსა მჴრონისსა იოვანჱს თანა. და შე-რაჲ-ვიდეს, თაყუანის სცეს[4] იოვანეს. და ჰრქუა იოვანე ცოლსა ბასილისსა: „მადლმან ღმრთისამან განანათლენ გული შენი და შენისა ქმრისაჲ და მოგეცინ შენ უფალმან ნაყოფი კეთილი შენისა მუცლისაგან". და სწავლაჲ მრავალი ყო მათდა მიმართ საღმრთოთაგან წიგნთა. და დაეცა მათ ზედა მადლი ღმრთისაჲ. და ევედრებოდეს, რაჲთა ნათელ-სცეს მათ. და ნათელ-სცა მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

ხოლო ევედრა ბასილი იოვანეს, რაჲთა განვიდეს სახლისაგან მჴრონისა და შევიდეთ სახლსა ბასილისსა. არამედ მაცალა ჩუენ მირონ, გარნა ხოლო წარსლვად და ლოცვად იოვანჱსა, სახლსა შინა ბასილისსა. და წარვედით, და აკურთხა იოვანე სახლი ბასილისი. და კუალად წარვედით სახლსა მჴრონისაჲ.

და მიუდგა ცოლი ბასილისი და შვა ძჱ, და უწოდა სახელი მისი იოვანე. ხოლო პირველ შობის[ა] მის ყრმისა მოიღო ბასილი იოვანჱსა საჴმარი მრავალი განსაყოფელად, რომელთა-იგი უჴ[მ]დ[ა]. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „წარვედ, შვილო, და შენი შენვე განუყავ და გაჲუნდეს საუნჯჱ ცათა შინა".

45. აღესრულა რაჲ უკუ[ე] ორი წელი, იქმნა გარდადგინ[ე]ბაჲ მთავრისაჲ, რომელი იყო ქმარი ხრუსიპისი, ასულისა მჴრონისი, და შევიდა სახლსა მჴრონისსა, სიმამრისა თჳსისასა, და ჰრქუა იოვანეს: „მოძღუარო, საქმეთა და შფოთთ[ა] ამის ცხორებისათა შეაშთ[ეს] გულის სიტყუაჲ ჩემი და დამაკლეს მე შენისა სარგებელისაგა[ნ]. ხოლო ვეევედრები შენსა წმიდასა სულსა, რაჲთა მეცა ნათელ-მცე და განბანჱმიდო მე პირველთა ჩემთა ცოდვათაგან". ხოლო იწყო იოვანე საღმრთოთაგან წიგნთა და ასწავებდა მას. და შემდგომ[ად] სწაელისა მისისა და აღ-რაჲ-იარა სარწმუნოებაჲ ჯუარ-ცუმულისა მიმართ, ნათელ-სცა მას სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და წარვიდა მშჳდობით სახლსა თჳსსა, ამენ.

მგლ(ისა)ჳს, რომელი გამოუჩნდებოდა[5] მყოფთა ქალაქისათა, ხოლო იყო მგელი იგი [246] არაწმიდაჲ[6] ეშმაკი

46. [211] „ვითარ აღესრულა ორი წელი, გამოვედით მის ქალაქისაგან და წევედით მჴრინუსას[7], რომელი შორს იყო ფრურაჲთ ორმეოცდაათ მილიონ.

[1] მოგცჱს. [2] ქმნჱს. [3] გრწმენჱს. [4] სცჱს. [5] გამოჩნდებოდა. [6] არაჲწმიდაჲ. [7] მჴრინუსანს.

და იგი იყო მცირჱ ქალაქი და კერპთმსახური ფრიად, და საშღდელონი ჱრავალნი აქუნდეს, რომელსა ჰრქჳან ტყუეილისა ჲათისა ღმერთნი. და იყო მდინარჱცა; გარემოჲს ქალაქსა მას დიოდა[1].

[246] ხოლო შე-რაჲ-ვედით ქალაქსა მას, არავინ[2] მიცნობდა ჩუენ. და იყო მათი თჳსა თავი. და ნი-რაჲ-ვედით ჩუენ ადგილსა მას, რომელსა ეწოდა შესაპყრობელი, იყვნეს მუნ პირველნი ქალაქისანი, და ჰყუანდეს ათორმეტნი ყრმანი დაბორკილებულნი და მდებარენი ქუეყანასა.

47. ხოლო იოვანე ჰკითხა ვისმე მდგომარესა ადგილსა ჱას და თქუა: „რაჲ არს მიზეზი შებორკილებულთაჲ?“ და ჰრქუა მას: „რაჲ თუე (!) თავსა თჳსასა შეიპყრობენ თორმეტთა უხრწნელთა ყრმათა და შესწირვენ მსხუერპლად ქველის-მოქმედისა მგლისა“. ხოლო იოვანე თქუა: „და ვინ არს მგელი? ჱნებავს სწავლის მეცა“. და თქუა კაცმან მან: „მეოთხესა ჟამსა დღისასა რომელჱნან მღდელნი და მოჰყვანან ყრმანი და ბიჭენ და შესწირვენ მსხუერპლადჲ; და შეუდგს მათ ერი მრავალი. აწ თუ გნებავს, შენცა შეუდეგ და იხილო მგელი და მსხუერპლნიცა მისნი“.

ჰრქუა იოვანე კაცსა მას: „კაცო, გხედავ შენ ყოვლითავე შემძლებელსა, და ეგების ჩემი, უცხოჲსაჲ, ხილვად მგლისაჲ მის?“ ხოლო კაცმან მან ჰრქუა: „უცხოთა და აქათა და ყოველთა ეჩუენების“. ჰრქუა იოვანე: „მოვედ და მივიდეთ ადგილსა მას, რამეთუ მსურის ხილვაჲ მისი. და უკუეთუ მიჩუენო იგი, მაქუს მარგალიტი ფასდაუდებელი, რომლისაჲ ჴასი არაჲ დავარდების, და მიგცე იგი შენ“.

ხოლო ესმა რაჲ კაცსა მას იოვანჱსგან[3], ბეყსეულად გულს-მოდგინე იქმნა, რაჲთა უჩუენოს იოვანეს ადგილი იგი და უჩუენოს მას მგელიცა იგი.

48. და მო-რაჲ-ვედით ჩუენ ადგილსა მას, ჰრქუა კაცმან მან იოვანეს: „აჰა, მოვედით ადგილსა, მომეც ჩე მარგალიტი, და გიჩუენო შენ მგელიცა“. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „კაცო, ნუ ურწმუნო ჴჷქნები ჩე, არამედ მიჩუენე მე მგელი და მიიღე მარგალიტი“. და ვითარ ესე ჰრქუა კაცსა მას, აჰა ეშმაკი იგი, რომელსა ერქუა ჴგელი, აღმოვიდოდა მდინარით. და ჰრქუა მას იოვანე: „შენ გეტყჳ სულსა ბოროტსა, ისმინე“. და ბეყსეულად დადგა სული იგი. ჰრქუა მას იოვანე: „რავდენი წელი გაქუს ადგილსა ამას?“ ჰრქუა ჱას ეშმაკმან მან: „წელიწადი სამეოცი“. ჰრქუა მას იოვანე: „გამცნებ შენ სახელითა შამისაჲთა და ძისაჲთა და წმიდისა სულისაჲთა განსლვად ჭალაკისა ამისგან“. და მეყსეულად სული იგი ბოროტი უჩინო იქმნა თუალთაგან ჩუენთა.

ხოლო იხილა რაჲ კაცმან მან, რომელ-იგი ჰმნა იოვანე, მეყსეულად დავარდა [247] ფერჴთა თანა მისთა და თქუა: „შემიწყალე ჩე, კაცო, და ჱითხარ მე, ვინ ხარ და სადაჲთ, რამეთუ ესევითარსა იქმ, რამეთუ ღმერთთა უბრძანებ და დაგემორჩილებიან შენ ძწოლით“. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „ჩე ვარ იოვანე, მოწაფჱ იესუ ქრისტჱსი, ძისა ღმრთისაჲ, რამეთუ აბას, რომელსა იტყჳთ მგელსა ღმრთად. სული ბოროტი არს, რომელი წარსწყმედს სულსა კაცთასა. და ამისთჳს მომავლინა მე ქრისტემან აქა, რაჲთა ეშმაკნი განვასხნე და კაცთა ვახარო გზაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ“. ხოლო ესმა რაჲ ესე კაცსა მას იოვანჱსგან[4], დავარდა პირსა ზედა თჳსსა და თაყუანის-სცა მას და ჰრქუა: „კაცო ქრისტჱსო, მყავ მეცა, რაჲთა ქრისტჱსი ვიყო“.

---

[1] ნ. § 12, გვ. 043—045. [2] არაჲვინ. [3] იოვანესგან. [4] იოვანესგან.

იწყო იოვანე საღმრთოთაგან წიგნთა, ასწავებდა მას მამისათჳს და ძისა და წმიდისა სულისა. და კუალად შეუვრდა ფერჴთა იოვანჱსთა და ჰრქუა მას: „გეკეთრები შენ, მომეც მე ქრისტჱსჰიერი ბეჭედი“. და შთავიდა იოვანე მდინარესა და ნათელ-სცა მას სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

49. აღმო-რაჲ-ვედით მდინარისაგან, ჰრქუა იოვანე კაცსა მას: „ეკრძალე, აჰა მიიღე ფასდაუდებელი მარგალიტი“. და ესე რაჲ ჰრქუა იოვანე კაცსა მას, აჰა მოვიდეს მღდელნი და აქუნდეს მათ თანა ათორმეტნი იგი ყრმანი დაბორკილებულნი, რაჲთა უზორონ იგი ეშმაკსა, რომელსა ჰრქჳან მგელი. ხოლო რაჟამს მოვიდოდეს ადგილსა მას, რომელსა მსხუერპლსა აღასრულებდეს, პირველად ეშმაკი განკჳრვებით ეჩუენის მათ. და შიშმან და ძწოლამან შეიპყრნა იგინი, და ესრჱთ დაჰკლვიდეს ყრმათა მათ.

მო-რაჲ-ვიდეს ადგილსა მას და შეკრნეს ყრმანი იგი, და აღიხუნეს დანაკნი მათნი ჴელითა და ელოდეს გამოჩინებასა ეშმაკისასა, რაჲთა დაკლნენ ყრმანი იგი.

ხოლო იოვანე მიეახლა და ჰრქუა მათ: „კაცნო, რომელთა გზაჲ ჴეშმარიტებისაჲ არა უწყით, ეშმაკი იგი, რომელსა ეწოდა მგელ, სახელითა იესუ ქრისტჱსა ძისა ღმრთისაჲთა, მე განვდევნე იგი გარეშე[1] ჰალაკსა ამას. ცუდად არს შრომაჲ თქუენი ადგილსა ამას, განჴსნენით ყრმანი ესე. და მე გითხრა თქუენ სულისა მისთჳს, რომელი გაცთუნებდა თქუენ, რაჲთა წარწყმიდნეს[2] თქუენნი სულნი და ამათ ყრმათანი“.

ხოლო ესმა რაჲ მღდელთა მათ იოვანჱს მიერ, განკჳრდეს ყოველნი და არავინ იკადრა მას ჟამსა შინა სიტყჳს-მიგებად თითოეულად მოყუასსა თჳსსა. ხოლო იტყოდეს, ვითარმედ: „მგელი, რომელი მდინარესა [248] აღმოჰყავს, წარგჳძღუნეს[2a] და შთამთხინეს ჩუენ ზღუად“. ხოლო იოვანე კუალად ჰრქუა მათ: „გარქუ თქუენ, განჴსნენით ყრმანი ესე და განუტევენით, რაჲთა წარვიდენ, რამეთუ რომელსა თქუენ მოელით ეშმაკსა, იგი ჩემ მიერ განიდევნა ადგილისა ამისაგან ბრძანებითა ღმრთისა ჩემისაჲთა“. და არა იყო სიტყჳს-მიგებაჲ ღმდელთაჲ მათ იოვანჱს[3] მიმართ.

ხოლო იოვანე მიეახლა და უპყრნა საკრველნი ყრმათანი და განჴსნნა და ჰრქუა მათ: „შეევედით ქალაქად მამა-დე დათა თქუენთა თანა და ძმათა, რამეთუ არავინ თჳსი მათი მიუდგა მათ“. და კუალად მოვიდა იოვანე და აღიხუნა დანაკნი ჴელთაგან ქურუმთაჲსა. და ყოველნი განკჳრდეს ამას ზედა, და არავინ იკადრა სიტყჳს-მიგებად იოვანჱსა სიტყუაჲ ფიცხელი და ვერცა იკადრებდეს ჴელის-დადებად მის ზედა.

50. და ყოველნი შევიდეს ქალაქად. და დადგა იოვანე ადგილსა მას, რომელსა იყო სტოვაჲ მცირჱ და ერქუა „კარი“[4]. და შეკრბა ერი მრავალი მისა.

იწყო იოვანე საღმრთოთაგან სწავლად მათა ძისათჳს ღმრთისა. და რომელთა ჰრწმენა მისი, და რომელნიმე ურწმუნო იქმნნეს[5]. ეგრეცე მსგავსად მიზეზი იგი წარუკუეთაჲ ეშმაკისაჲ, რომელსა ერქუა მგელ. და ყოველთა ჰრწმენა და ჰმადლობდეს იოვანეს ცხორებისათჳს, რომელ იქმნა ყრმათა მათ ზედა.

ხოლო მღდელთა მათ უგულებელ-ყვეს იოვანე და არა[6] ზრახვიდეს მის თანა და არცა ენება სმენად სიტყუაჲ მისი.

---

[1] გარეჳშე. [2] წარწყმიდნეს. [2a] წარგუძღუნეს. [3] იოვანეს. [4] იქმნნეს. [5] არა არა.

51. ხოლო იყო აბანოჲ შორის ქალაქსა. და ერთსა მღდელსა, რომელი-იგი იყო დიოჲსი, ესუა ძჱ, და სახელი მისი მაკას; ესე შევიდა აბანოს ბანად და მოირჩო სულისაგან ბოროტისა. ხოლო იყო ეშმაკი იგი, რომელი ექსორიაიქნა იოვანჱს მიერ. და ამან ეშმაკმან მოარჩო ცჱ იგი დიოსკორიდჱსი მღდელისაჲ. ესმა რაჲ ესე მღდელსა მას ძისა თჳსისათჳს, ვითარმედ მოირჩო, შეყსეულად ჩირბიოდა აბანოდ, და აჰა ძჱ მისი დაცემულ იყო ქუეყანასა ზედა და მომკუდარ, და მირბიოდა იოვანჱსა და ჰრქუა მას: „მღდელო, ღამი მოიწია ჩემისაცა მოქცევისაჲ და რწჳენად, რომელ იქადაგების[1] შენ მიერ. აჰა ესერა ძჱ ჩემი მოირჩო აბანოსა შინა სულისაგან ბოროტისა, და უწყი, ვითარმედ, უკუეთუ გინდეს, აღადგინო იგი და წარმომიდგინო ცოცხალი". ჰრქუა მას იოვანე: „გრწამსა, რამეთუ შემძლებელ ვარ მისა აღდგინებად?" და ჰრქუა არამღდელმან: „ჰე, უფალო". და უპყრა ჴელი იოვანეს[2] და წარ-ეედით აბანოდ. და შე-რაჲ-ვედით ჩუენ, აჰა ძჱ იგი არამღდელისაჲ მის იდვა მკუდარი. და შეურდა [249] არამღდელი ფერჴთა იოვანჱსთა და ჰრქუა: „ღმერთსა, რომელსა ჰმსახურებ, გაფუცებ შენ, აღადგინე ძჱ ჩემი". ხოლო იოვანე უპყრა ჴელი მარჯუენჱ და ჰრქუა მას: „სახელითა იესუ ქრისტე ძისა ღმრთისაჲთა აღდეგ". და მეყსეულად აღდგა. ჰრქუა იოვანე: „რაჲ გეყო, შენ, ანუ რაჲ შეგემთხჳა?" ჰრქუა პაბუკმან: „უფალო, ვითარ ვიბანებოდე აბანოსა შინა, აღმოვიდა კაცი ეთიოპი[3] ემბაზისაგან და მომარჩო".

გულისხმა-ყო იოვანე, ვითარმედ ეშმაკი არს. და შევიდა აბანოდ, და მეყსეულად ეშმაკმან ჴმა-ყო დიდითა ჴმითა: „იოვანე, მოწაფეო ქრისტჱსო, გაფუცებ შენ უფალსა, ნუ განმდევნე მე ადგილისა ამისგან". ხოლო იოვანე ჰრქუა: „რავდენი წელი გაქუს აბანოსა ამას შინა?" ხოლო ეშმაკმან ჰრქუა: „ექუსი წელი მაქუს, რამეთუ მე ვარ, რომელი ეფესოს ვიყავ აბანოსა შინა დიოსკორიდჱსსა[4], რომელმან ძჱ მისი მოვარჩევე აბანოს, რომელ-იგი განვიდევნე შენგან". ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „სახელითა ჯუარ-ცუმულისა იესუ ქრისტჱსითა, ძისა ღმრთისაჲთა, გამცნებ შენ, განვედ ადგილისა ამისგან და ჭალაკისა და ნუღარა მყოფ ხარ შორის კაცთა, არამედ უდაბნოთა ადგილთა". და მეყსეულად განვიდა სული იგი ბოროტი მსგავსად სიტყჳსა იოვანჱსისა.

52. იხილა რაჲ მღდელმან ყოველი, რომელი ქმნა იოვანე, შეურდა ფერჴთა მისთა და ჰრქუა: „უფალო, აჰა მე და ძჱ ჩემი და ყოველი სახლი მამისა ჩემისაჲ წინაშე პირსა შენსა და რომელსაა იტყჳ, ვისმინოთ და ვყოთ".

ხოლო იოვანე ჰრქუა: „გრწჳენინ ჯუარ-ცუმული იესუ ქრისტჱ, ძჱ ღმრთისაჲ, და სცხონდე შენ და ყოველი სახლი შენი". და ჰრქუა მღდელმან: „მრწჳენა და მრწამს, მოწაფეო და მოციქულო იესუ ქრისტჱსო". და წარმიყვანნა ჩუენ და შემიყვანნა სახიდ თჳსა. და კუალად[5] შეურდა ფერჴთა იოვანჱსთა, ეეედრებოდა მას და ეტყოდა: „უფალო, მომეც მე ქრისტჱსმიერი ბეჭედი და ძესა ჩემსა და ყოველთა სახლისა ჩემისათა". და ასწავა მათ მამისათჳს და ძისა და წმიდისა სულისა და ნათელ-სცა ყოველთა სახლსა მას შინა, და დავადგერით მათ თანა სამ დღე; იხარებდეს და მხიარულ იყვნეს ყოველთა ზედა საკჳრველებათა, რომელთა ღმერთი იქმოდა იოვანჱს ნიერ.

53. ხოლო მეოთხესა დღესა წარვედით ადგილსა, რომელსა ერქუა ფლოგიონ. და შეკრბა ერთბამად ყოველი ქალაქი და ისმენდეს იოვანჱსსა. და აჰა დედაკაცი ვინმე მორბიოდა, და განვლო ერსა შორის, და შეურდა ფერჴთა

[1] იქადაგების. [2] იოვანჱს. [3] ერთი ოპი. [4] დიოსკორჱსა. [5] კუალად.

იოვანესთა და ჰრქუა მას: „გაფუცებ, შენ, ღმერთსა, რომელსა ჰქადაგებ, შემიწყალე მე“. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „რაჲ გნებავს, შენ?“ და ჰრქუა დედაკაცმან: „ძე ჩემი დამიტევა [250] ქმარმან ჩემმან სამისა წლისაჲ, და დიად ვშუერ, და შევქმენ სრულად კაცად. და სულმან ბოროტმან ყურიმალსა სცა. და წარვაგე ჩემი სიმდიდრე ბოროტად მეცნიერთა კაცთა თანა, და არავინ შეუძლო მისი განკურნებაჲ. გევედრები, შენ, მოციქულსა ქრისტესსა, მოწყალე იქმენ ჩუენ ზედა და განკურნე ჩემი ძე“.

ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „წარვედ და მომგუარე მე იგი აქა, და ქრისტემან განკურნოს“. და მეყსეულად დედაკაცსა მას ჰრწყენა, და წარვიდა ეკუსითა ყრმითა, რაჲთა მოიყვანოს იოვანესსა, და ვითარ იპყრა იგი, ჰრქუეს მას: „წარმოვედ იოვანეს თანა, მოციქულისა[1] ქრისტესსა[2], რაჲთა განდევნოს შენგან სული ბოროტი“. მეყსეულად განვიდა სული იგი არაწმიდაჲ ყრმისა მისგან პირველ მისლვამდე მისა იოვანეს[3] თანა. ხოლო წარიყვანა იგი დედამან მისმან, ჴელი უპყრა გონიერად, და მოვიდა და დაუგდო ფერჴთა იოვანესთა[4] და ჰრქუა: „უფალო, მომეც მე და ძესა ჩემსა ქრისტესსმიერი ბეჭედი“. და უპყრა იოვანე ძესა მის დედაკაცისასა ჴელი. და შეუდგა მას დედაჲ მისი და ჰრქუა მას: „მო[5] და შევიდეთ სახლსა თქუენსა“. და შე-რაჲ-ვედით ჩუენ სახლსა მას თანა, ასწავებდა მათ მამისათჳს და ძისა და წმიდისა სულისა, და ნათელ-სცა მათ და ყოველთა სახლსა მას შინა. და დავადგერით მუნ სამ დღე. და მეოთხესა დღესა გამოვედით და მოგჳდგა ჩუენ ერი მრავალი და ისწავებოდეს იოვანესგან.

54. ხოლო ადგილსა მას, რომელსა დგა იოვანე და ასწავებდა, იყო მუნ ტაძარი დიონჳსესი[10]. ამას უკუე ტაძარსა შინა შევიდის სიმრავლე მრავალი, და ღჳნოსა ფრიად მოიღებდეს ტაძრად და მრავალ-ფერთა საჭმელთა. და უქმეღებისა დღესა შევიდიან, ჭამიან იგი და სჳან დედათა თჳნიერ ყრმათასა. და შემდგომად ჭამისა და სუმისა უჯეროდ დაჰჴშნიან კარნი, და ვითარცა ცხენნი განბოროტებულნი ჭდალთა ზედა, მივიდოდეს დედათა ზედა განუძღებელისა მისთჳს მათისა შეერთებისა.

და ხედა უკუე დღესა მას, რომელსა ასწავებდა იოვანე, ადგილსა მას შეგინებული მათი იგი და უჯეროჲ დღესასწაული. და შეკრბეს და ეტყოდეს იოვანეს: „ჲაკო, კმა არს შენდა ამიერითგან ბოროტისა თესლისა თესვაჲ უგუნურთა ამათ თანა. წარვედ ადგილისა ამისგან, რამეთუ დღესასწაული არს დიდისა დიონჳსესი, ნუუკუე შენ ბოროტად გტანჯოს“. ხოლო იოვანე [251] არა ჰრიდა, არამედ იტყოდა მათ თანა, რომელნი იგი ტკბილად შეიწყნარებდეს სიტყუასა მას ჴეშმარიტებისასა.

ხოლო იყვნეს ათორმეტნი მღდელნი ტაძარსა მას დიონჳსესსა[6]. იხილეს რაჲ უკუე არამღდელთა მათ, რამეთუ არა დააცადებდა იოვანე სიტყუასა და არცა წარვიდოდა ადგილისა მისგან, მოუჴდეს მას და შეკრეს იგი, და განითრიეს გარეშე ადგილისა მისგან, და წყლულებანი მრავალნი დაასხნეს მას, და დაუტევეს იგი შეკრული, და წარვიდეს იგინი ტაძრად.

ხოლო იყო რჩული ქურუმთაჲ მათ ესე: პირველად იგინი შევიდიან და ჭამიან საჭმელი და სჳან; და მიიყვანნიან[7] მათ თანა დედანიცა, და ესრეთ ყოველნი შეკრბიან შებილწებულსა მას მათსა უწესოებასა. შე რაჲ-ვიდეს უკუე

---

[1] მოციქულსა. [2] ქ-ა. [3] იოვანეს. [4] იოვანესთა. [5] მოდა. [10] დიონუისისი. [6] დიონჳსესსა. [7] მიიყვანიან.

ქურუმნი იგი ტაძარსა მას, რომელსა-იგი მათ მიერ დიონჳსი[1] ეწოდა ღმერთსა, სულთ-ითქუნა იოვანე, ვითარ-იგი იდვა ქუეყანასა ზედა შეკრული და თქუა: „უფალო, იესუ ქრისტე, დაეცინ ტაძარი ესე დიონჳსჱსი“. და მეყსეულად დაეცა და მოაკუდინნა ქურუმნი იგი.

ნოტიანოჲსთჳს და ყოვლისა სახლისა მისისათჳს

55. იყო ვინმე კაცი ქალაქსა შინა მჭრინოსს და სახელი მისი ნოიტიანოს, და ცოლისა მისისა სახელი ფორა, და ამისნი ორნი ძენი იყვნეს: სახელი ერთისაჲ მის როქს და სახელი მეორისაჲ პოლჳკარტოს.

ხოლო ნოიტიანოსს აქუნდა გამოცდილებაჲ ბრძანებისაჲ ბოროტებისა ჴელოვნებისა და წიგნები მრავალი ეშმაკთა მიერ შექმნული. ვითარ უკუე იხილა იოვანე, იღოცვიდა რაჲ დაცემისათჳს ტაძრისა, და დაეცა და მოაკუდინნა ქურუმნი იგი, შეწუხნა ფრიად, და გულის წყრომაჲ საეშმაკოჲ აქუნდა იოვანჱსსა მიმართ. რამეთუ ყოველი ერი მირბიოდა და დაეცნეს პირსა ზედა თჳსსა და თაყუანის-სცეს იოვანეს და ეტყოდეს: „ნუუკუე ჩუენცა გუწყეოს და ცეცხლითა შემწუარ ვიპოვნეთ“. და აღდგეს და განჴსნეს იოვანე და ისწავებდეს მისგან.

ხოლო ნოიტიანოს ჰრქუა იოვანეს: „მოძღუარ, აჰა გჳყუარ შენ, განმკურნენ ყოველნი; და უკუეთუ[2]არს სიწრფოებაჲ გულსა შინა შენსა, ყავ აღდგომაჲ ათორმეტთა მათ ქურუმთაჲ, რომელნი-იგი მოკუდეს დაცემითა მით ტაძრისაჲთა“. ხოლო იოვანე ჰრქუა მას: „უკუეთუმცა ღირს იყვნეს აღდგომასა, არამცა მომკუდარ იყვნეს დაცემასა მას ტაძრისასა“. ხოლო ნოიტიანე [252] ჰრქუა იოვანეს: „მე დიდებასა შენსა ვჰყოფ და ამას ვიტყჳ შენდამი: ანუ აღადგინენ მღდელნი და მრწმენეს[2] მე ჯუარ-ცუმული, ანუ მე აღვადგინნე იგინი და იქმნე შენ ბოროტად გუემული და განსრული ამის ცხორებისაგან“.

56. და ამას სიტყუასა ზედა ნოტიანოს წარვიდა და გარე-შევლო მოოჴრებულსა მას ბოროტსა (ტაძარსა) და სიხარულით ყო წარმოდგინებად მისა ათორმეტნი ეშმაკნი, რომელთა-იგი აქუნ ხატი მღდელთაჲ მათ. და ჰრქუა მათ: „შემომიდეგით მე, რაჲთა ვყოთ ბოროტად აღსრულებაჲ იოვანჱსი[3]. სოლო ეშმაკთა ჰრქუეს ნოტიანოს: „ვერ შეუძლებთ მიახლებად ადგილსა მას, რომელსა არს იოვანე, არამედ ვდგეთ ამას ადგილსა, და მოიყვანე ერი აქა, და მიხილნენ ჩუენ და ჰრწმენეს, ვითარმედ ჩუენ ვართ მღდელნი, და წარვიდენ და ქვაჲ დაჰკრიბონ იოვანეს, და იყოს უპატიოდ განსლვაჲ მისი ამის ცხორებისაგან“.

და ნოტიანოსს სიტყუანი იგი ესმნეს არაწმიდათა სულთანი და წარვიდა იოვანჱსსა[4] და ერისა მის თანა, რომელნი წინა უდგეს მას. და ჴმა-ყო დიდითა ჴმითა: „კაცნო, ძმანო, რად შეცთომილ ხართ კაცისა მისგან მოკიცხარისა და მეტყუელისა სიტყუათა ურგებთა? და ვერარას შეძლებელ არს კეთილის ყოფად, რამეთუ თქუენ გესმა სიტყუაჲ იგი, რომელსა ვიტყოდე მისა მიმართ, და ვთქუ, ვითარმედ: აღადგინენ მღდელნი იგი, და მრწმენეს ჯუარ-ცუმული, ანუ მე აღვადგინნე ცხორებისაგან ამის. და მრქუა მე, ვითარმედ: არა ღირს არიან ცხორებად. და წარვედ მე და აღვადგინენ, და

[1] დეონჳსი. [2] მრწმენჱსს. [3] იოვანესი. [4] იოვანესა.

მნებავს ტაძრისაცა აღდგინებად. აწ ყოველნი შემომიდეგით და იხილენით, და ესრჱთ ტანჯვაჲ მოვაწიოთ მას ზედა. ხოლო ესე ოდენ და მოწაფჱ[1] მისი დადგენ ადგილსა ამას".

ხოლო ესმა რაჲ ყოველთა მღდელთა მათთჳს, შეუდგეს ნოტიანოსს და არღარა მიხედნეს იოვანეს. და ვითარ მივიდოდეს ადგილსა მას, ასწავებდა მათ ნოტიანოს, რაჲთა წარწყმიდონ იოვანე სხჳთ გზით.

და მივედით პირველად დარღუეულსა მას ტაძარსა. და ვითარ იხილეს იოვანე ათორმეტთა მათ ეშმაკთა, პირველ მიახლებადმდე. მისსა მათსა, უჩინო იქმნეს ადგილისა მისგან და ჩუენ დავემალენით ქუეყანასა შინა მახლობელად ოჴერსა მას ტაძარსა.

ნ7. და ვითარ მოვიდა ნოტიანოს და ყოველი ერი მის თანა მოოჴრებულსა მას ტაძარსა, ჰხადოდა ეშმაკთა მათ, რომელთა იტყოდა, ვითარმედ მღდელნი არიან, და არა იყო [ჳნ3] ჴმაჲ და არცა სმენაჲ, და განილეოდა გონებაჲ მათი ბოროტებითა, მოლოდებითა ეშმაკთა ჩუენებისაჲთა. და დაადგრეს ადგილსა მას მეოთხით ჟამითგან ვიდრე მეათედ ჟამამდე[2].

ხოლო იოვანე მრქუა მე: „აღდეგ, შვილო პროხორე, და წარვიდეთ ადგილსა მას, სადა ეიყვენით, რამეთუ ეგულების ერსა ბისლვად მუნ". და აღვდეგით და წარვედით მუნვე, ხოლო ერი იგი აღდგა ნოტიანოჲს ზედა და იტყოდეს მისა[3] მიმართ სიტყუათა ფიცხელთა. და ეტყოდეს მას, რამეთუ: „შენ ჰყავ ჩუენისა სასოებისა წარწყმედაჲ, მაუცნებდი ჩუენ და განმაშორენ მოძღუარსა ჩუენსა მართალსა იოვანეს". და ეგულებოდა დასხმად ჴელნი მათნი მის ზედა და ეტყოდეს, ვითარმედ: „მოგკლათ შენ, ვითარ-იგი ბოროტი უყავ შენ მოძღუარსა ჩუენსა, და ესრჱთვე[4] გიყოთ შენ ჩუენ". ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: „არა მოვაკუდინოთ ეგე, არამედ წარვიყვანოთ ეგე მოძღუარსა ჩუენსა თანა და მისითა ცნობითა მოვაწიოთ მის ზედა სარჩელი". და შეიპყრეს ნოტიანოს და მოიყვანეს წინაშე იოვანჱსა[5] და ჰრქუეს იოვანეს: „მოძღუარო, ესე ვპოეთ გარდამაქცეველი ჩუენი გზისაგან კეთილისა და წრფელისა, რომელი გჳჩუენე ჩუენ, და ეძიებდა შენსაცა სიკუდილსა და ჩუენსა წარწყმედასა. მიბრძანე ჩუენ აწ, რაჲთა მოვაკუდინოთ ეგე, ვითარ-იგი ეგულებოდა ყოფად შენდა".

ხოლო იოვანე ჰრქუა მათ: „შვილნო, აცადეთ ბნელი ბნელსა წარსლვად, ხოლო თქუენ ძენი ნათლისანი ხართ, ვიდოდეთ ნათელსა, რაჲთა ბნელი არა გეწიოს თქუენ, რამეთუ პეშმარიტებაჲ ქრისტჱსი არს თქუენ თანა". და არა უფლა მათ იოვანე მოკლვაჲ ნოიტიანოჲსი. ხოლო მრავალნი, რომელნი იყუნეს მუნ და ისწავებდეს იოვანჱსგან[6], და ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: „გევედრებით შენ, მოგეც ჩუენ ქრისტჱსმიერი ბეჭედი". ხოლო იოვანე ჰრქუა მათ: „წარვედით, შვილნო, მშჳდობით სახლთა თქუენთა, რამეთუ მწუხრ არს და ბიდრეკილ არს დღჱ, და ხვალისაგან მიიღოთ ნიჭი ღმრთისაჲ". და წარვიდა თითოეული სახიდ თჳსა.

ნ8. ხოლო ხვალისაგან მოვიდეს იოვანჱსა და ეტყოდეს უმრაველჱსნი მათგანნი: „მოძღუარო, გევედრებით შენ, მოგუეც ჩუენ ქრისტჱს ბეჭედი". ხოლო იოვანე ჰრქუა: „შემომიდეგით მე მდინარედ და მუნ ნათელ-გცე თქუენ".

და წარიყვანნა ყოველნი მორწმუნენი და შთაიყვანნა იგინი მდინაროჲსა და ასწავა მათ, [ჳნ4] რაჲთა ნათელ-სცეს. ხოლო ნოიტიანოს გრძნებისა ბო-

[1] მწფჱ. [2] ჟამამმდე. [3] მისსა. [4] ესრეთვე. [5] იოვანესა. [6] იოვანესგან.

როტითა ჴელოვნებითა ყო სისხლ წყალი იგი მდინარისაჲ, და იხილეს ყოველთა და განუკჳრდა. და ჰრქუა იოვანე: „უფალო, იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, რომელმან წმიდაჲ ბუნებაჲ მოეც ყოველთა კაცთა, მიიცვალე წყალი ესე მდინარისაჲ თჳსსავე წესსა, რომელ მოცემულ არს შენ მიერ; და ნოიტიანე, ცოწყალეო, რაჲთა ხილვად ვერ შეუძლებდეს იგი ადგილით ადგილსა მიცვალებად“[1]. და მეყსეულად სიტყუასა ზედა იოვანჱსსა[2] განწმიდნეს[3] წყალნი და ნოიტიანოს დაადგრა ადგილსა მას ბრმაჲ.

და კუალად ასწავა იოვანე ყოველთა მორწმუნეთა და ნათელ-სცა მათ სახჴლითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. ხოლო იყვნეს, რომელთა ნათელ-იღეს მას დღესა შინა, კაცნი ორასნი.

59. ხოლო ნოიტიანოს ჴმა-ყო დიდითა ჴმითა: „შემიწყალე მე, მოციქულო კურთხეულისა ქრისტჱსო, და ყავ, რაჲთა აღვიხილნე და მომეც მე ქრისტჱსმიერი[4] ბეჭედი“. და უპყრა იოვანე ნოიტიანოსს[5] მარჯუენჱ ჴელი და მიიყვანა[6] იგი წყალთა ზედა და ასწავა მას ცამისათჳს და ცისა და სულისა წმიდისა და ნათელ-სცა მას, და მეყსეულად განეხუნეს თუალნი მისნი.

და უპყრა ჴელი იოვანეს, და წარმიყვანნა ჩუენ სახიდ თჳსა. ხოლო იყვნეს სახლსა შინა ნოიტიანჱსსა კერპნი ძრაჳალნი. და ვითარ შევიდა იოვანე სახლსა მას, მეყსეულად დაეცნეს და დაწუალილდეს, და ვითარცა-იგი ვინ აღიღის კუერი რკინისაჲ და დააწუალილებს რასმე. ვითარ იხილა ნოიტიანოს ესე ეშრჱთ ქმნული, უმეტჱსად-ღა ჰრწმენა ქრისტჱ. და იხილა რაჲ ცოლმან მისმან და ძეთა მისთა ესე, და მათცა ჰრწმენა და ნათელ-იღეს იოვანჱს მიერ.

ხოლო დავადგერით მათ თანა ათი დღჱ სიხარულით ყოველთა ზედა კეთილთა, რომელი ყო სახლსა შინა მათსა იოვანე, და ასწავა უფროჲს-ღა და იჯმნა მათგან. და გამოვედით მჳრინოსით[7] ქალაქით და წარვედით სარო ქალაქსა. ხოლო იყო სიგრძჱ ქალაქისაჲ მის მჳრინოსით[8] მილიონი ათცაღტი. და შე-რაჲ-ვედით ქალაქად, შეგუემთხუა კაცი ყინმე წმიდაჲ ჰურიაჲ, სახელით ფავსტოს, და შემიყვანნა ჩუენ სახიდ თჳსა. და ასწავა იოვანე ყოველთა სახლსა შინა მისსა, და ყოველთა ნათელ-[ᲔᲘᲐ]იღეს მის მიერ. და ვიყუენით მის თანა წელიწად ერთ.

[259] ჴ საკითხავი სახარებისათჳს იოვანჱს თავისა და ვითარ გაჴოთჳნა იოვანე და რაჲსათჳს და რომჱლსა ადგილსა და რომჱლსა ჟამსა

60. უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱს ცადლი მოეცა სიტყუათა იოვანჱსთა, და ჰრწმენა კაცთა ერთბამად, რომელნი პატჱოს ჴალაქსა იყუნეს. აღ-რაჲ-ესრულა მეფჱ, რომელმან წარმცნა ჩუენ პატმოს ჴალაქსა, აღდგა მეფჱ სხუაჲ, რომელი არა აყენებდა ქრისტჱს სწავლისათჳს თქუმად ყოველთათჳს ქრისტეანეთა. მრავალნი უკუე შევიდეს და მიუთხრეს მას იოვანჱსთჳს და ჰრქუეს, ვითარმედ: „კაცი წმიდაჲ და ღმრთის-ცნახური არს და ყოველნი, რომელნი ითქუმიან მის მიერ, კეთილ არიან“. ხოლო მეფემან შექმნა წიგნი და წარმოსცა იოვანჱსაჲ, რომელსა წერილ იყო განჴსნაჲ ექსორიაობისა ჩუენისაჲ. ხოლო მი-რაჲ-იღო იოვანე წიგნი იგი, იცოდა, ვითარმედ ყოველთა ჴალაქსა ამას შინა ჰრწმენა ქრისტჱ.

ეგულებოდა კუალად მოქცევაჲ ეფესოდ და ეუწყა ყოველთა ამათა; და ევედრებოდეს იოვანეს[9], რაჲთა არა წარვიდეს მათგან, არამედ დადგრომად

[1] მიიცვალებად. [2] იოვანჱსსა. [3] განწმიდნჱს. [4] ქრისტჱს მიერ. [5] ნოიტიანოს. [6] ჴიმიღვანა. [7] მჳრმჳრროჲით. [8] მირჳნოსით. [9] იოვანჱს.

ზათ თანა პატმოს ჰალაკსა შინა ვიდრე სიკუდილდმდე მისა. ხოლო იოვანე ააშენებდა მათ და ეტყოდა: „რასა იქმთ, შვილნო, სტირთ და გოდებასა მოაქცევთ სულსა ზედა ჩემსა?“ ჰრქუა: „რომელი გრწმენა, მან გამომიცხადა მე, რაჲთა კუალად მიკიქცე ეფესოდ სნეულებისათჳს, რომელსა შინა არიან ძმანი იგი“.

61. იხილეს რაჲ უკუე ძმათა,[1] რამეთუ არა ერჩდა[2] იოვანე სიტყუასა მათსა, არამედ ეგულებოდა ეფესოდ წარსლვაჲ, დაცჳეს პირსა ზედა თჳსა ქუეყანასა ზედა და ეუედრებოდეს მას ცრემლით და ეტყოდე[ს]: „და უკუეთუ ესე გნებავს ჩუენსა მოძღუარსა, და წარაუალ ამის ჰალაკისაგან და დაგჳტეუებ ჩუენ ობლად, მომეც ჩუენ წერით, რომელ იცნი სასწაულნი ძისა ღმრთისანი და სხუანი, რომელ გესმეს მისვან. და რაჲთა ჩუენ თანა იყოს და არა დამიტეუნეს, [260] რაჲთა მტკიცედ ვდგეთ და შეურყეველ მისა მიმართ. და არა მახლდრკენ ძმანი სულმოკლებით და შეუდგენ კუალად ეშმაკსა, და ვიქმნეთ[3] ყოველნი შესაჯმელ ძისა“. ხოლო იოვანე ჰრქუა მათ: „ისმინეთ, შვილნო, ყოველნი სასწაულნი, რომელნი ქმნა ძემან ღმრთისამან[4] პირს-პირ ჩემსა, და ყოველთა სიტყუათა, რომელთა იტყოდა ჩემდამო, რაჲთა გასწაო თქუენ' და ვითარ არს ღმრთისათჳს და ვითარ აქუნდეს იგი, კმა არს უკუე ესე თქუენდა საუკუნოჲ ცხორებაჲ“.

და ვითარ ესმა ძმათა სიტყუაჲ ესე იოვანჱსი, რამეთუ არა ერჩდა მათ დაწერით მიცემად მათა ქრისტჱსთჳს, ტირილითა დიდითა ყოველთა [ღ]ალად-ყვეს იოვანჱს მიმართ: „[გე]ვედრებით შენ, მამაო, დაწერით ჩუენ მოგუეც ძისა ღმრთისაჲ“.

[ი]ოვანე მოწყალე ექმნა მათ მრავალთა ცრემლთა მათთათჳს და ჰრქუა მათ: „წარვედით, შვილნი, სახიდ თჳსა და უკუეთუ უფალსა უნდეს ბრძანე-[ბ]ითა მისითა თჳოკაჲ თქუენი, მო[გ]ცე თქუენ“. და წარვიდა თითოეული სახიდ თჳსა.

62. და წარ[მ]იყვანა მე იოვანე, და განვედით ქალაქით ვითარ მილიონ ერთ ადგილსა ყუდროსა, და სახელი ადგილსა მას ეწოდა „განსასუენებელი“. ხოლო იყო მუნ მთაჲ მცირჱ, და აღ-რაჲ-ვედით ჩუენ მთასა, დავყავთ მუნ სამი დღჱ; და აღასრულებდა იოვანე უჴმელად, ილოცვიდა ღმრთისა მიმართ, რაჲთა მოსცეს კეთილი საბარებაჲ ძმათა. და მესამესა დღესა მრქუა მე იოვანე: „შვილო პროხორე“! და ვოქუ: „რაჲ გნებავს, მოძღუარ?“ ხოლო მან მრქუა: „წარვედ და შეედ ქალაქად და მოიღე მელანი და ქარტაჲ და მომართუ მე იგი აქა და ნუ ვის ჱიუთხრობ ძმათაგანსა, თუ რომელსა ადგილსა ვართ“.

შეედ მე უკუე ქალაქად და ვიყიდე მელანი და ქარტაჲ და წარვედ იოვანჱსა[5], და მრქუა მე იოვანე: „დადეც მელანი და ქარტაჲ და შეედ ქალაქად და შემდგომად ორისა დღისა[6] მოვედ კუალად ჩემდა“.

და შეედ ქალაქად, ვითარცა ჱიბრძანა მე იოვანე, და შეჱდგომად ორისა დღისა განვედ კუალად მისა და ვპოე იგი მდგომარჱ და ილოცვიდა. და მრქუა მე: „აღიღე ქარტაჲ და მელანი [261] და დადეც მარჯუენით ჩემსა“. და ვყაე ეგრე.

და იქმნა ელვაჲ დიდი და ქუხილი ვიდრე შეძრვადმდე მთისა მის. და დავვარდი მე პირსა ზედა თჳსა ქუეყანასა ზედა და დავადგერ მკუდარი. ხოლო იოვანე მოყო ჴელი თჳსი და მიპყრა მე და აღმადგინა და მრქუა მე:

[1] ეიქნეთ. [2] ღთისამან. [3] იოვანესა. [4] დღი.

„დაჯედ მარჯუენით ჩემსა ქუეყანასა ზედა“. და ეყავ ეგრე.

63. და კუალად იღოცვიდა იოვანე და შემდგომად ლოცვისა მრქუა მე: „შვილო, რაჲ იგი გესმეს პირისაგან ჩემისა, დაწერე ქარტასა ზედა“. დაადგა იოვანე პირი თჳსი მდგომარეჲსა, აიხილნა ზეცად და თქუა: „დ[ასაბამითჳგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთ იყო სიტყუაჲ იგი“*... და შემდგომი ყოველი თქუა მდგომარემან. და მე ვჯედ და ვწერდი. და დავყავთ ორი დღჱ და ეკუსი ჟამი: იგი იტყოდა და მე ვწერდი. და აღ-რაჲ-ვასრულენით[1] საღჱრთონი სიტყუანი, წარმიყვანა მე იოვანე და შევედით ქალაქად ღა დავადგერით სახლსა სუსიპატროსისსა და პროკლიანისსა, დედისა მისისასა. და დამიგო ჩუენ ტაბლაჲ და მას ზედა მრავალფერი ჭამადი და სასუმელი და ვჭამეთ და ვსუთ მათ თანა.

და ხვალისაგან ჰრქუა იოვანე სუსიპატრეს[2]: „შვილო სუსიპატრე“! და ჰრქუა სოსიპატრე: „რაჲ არს მაგჱო?“ და ჰრქუა იოვანე: „მიიძიე მე ეტრატი კეთილი, რაჲთა წმიდად დაიწეროს სახარებაჲ“. და მოიღო სოსიპატრე ეტრატი და მრქუა მე იოვანე: „შვილო, დაჯედ აქა და დაჰარ ეტრატი ესე და წმიდად დაწერე მას შინა სახარებაჲ ესე“. ხოლო მე დაეჯედ სახლსა სუსიპატროსისსა და ყოვლითა მოღუაწებითა დავწერე სახარებაჲ.

64. ხოლო იოვანე მერმეცა ფრიად ასწავა და დაადგინნა ეპისკოპოსნი და ხუცესნი ეკლესიათა შინა ჭალაკსა მას შინა. და შემდგომად წმიდად დაწერისა მის სახარებისა შეევიღეთ იგი ეკლესიად. და ბრძანა იოვანე შეკრებაჲ ყოველთა ძმათაჲ და აღმოჰკითხვად მათა სახარებაჲ იგი. და რომელ-იგი ეტრატსა ზედა იყო, პყრობად იგი პატმოს ჭალაკსა, ხოლო ქარტაჲ იგი წარღებად ეფესოს [262] ქალაქსა. და შემო-რაჲ-კრბეს ძმანი ყოველნი, მრქუა მე იოვანე: „აღდეგ, შვილო პროხორე, და წარუკითხე სახარებაჲ ყურთა ყოველთა ძმათა ჩუენთასა“. და აღვდეგ და წარვიკითხე სახარებაჲ, და ესმოდა ყოველთა ძმათა და განიხარეს სიხარულითა დიდითა და იყვნეს მხიარულებით და ადიდებდეს ღმერთსა. და ჰრქუა იოვანე ყოველთა ძმათა: „მიიღეთ სახარებაჲ ესე და გარდაწერეთ ესე და დასხენით ყოველთა ეკლესიათა“. და ყვეს ეგრე.

და მრქუა[3] იოვანე: „მოვედ, შვილო პროხორე. და განვიდეთ გარეშეთა დაბათა და ვასწავებდეთ პირველ წარსლვისა ჩუენისა ამიერ“. და დავადგერით ექუს თუე და ასწავებდა ყოველთა იოვანე.

65. ხოლო იყო ვინმე ერთსა დაბასა (მღდელი) დიოჲსი, და სახელი მისი ევხარის; ამას ესუა ძჱ ბრმაჲ. და ასწავებდა იოვანე, და იყო ძჱცა ევხარისი და ლმობიერად ისმენდა იოვანჱსსა, და ჴმა-ყო დიდითა ჴმითა: „მოძღუარო“! ხოლო იოვანე ჰრქუა: „რაჲ გნებაეს?“ და ჰრქუა ბრმამან: „ღმერთსა, რომელსა შენ ჰმსახურებ და ჰქადაგებ, ლმობიერად მესმის შენი, ილოცე ჩემთჳს, რაჲთა აღვიხილო და ვიხილო პირი შენი და განვიხარო უმეტჱს“. ხოლო იოვანე შეწუხებულ იქმნა, და უპყრა მას ჴელი და თქუა: „სახელითა იესუ ქრისტჱსით აღიხილენ“. და მეყსეულად აღიხილნა.

იხილა რაჲ უკუე ევხარის, რაჲ-იგი ყო იოვანე, დავარდა ქუეყანასა[4] ზედა, თაყუანის-სცა მას და ჰრქუა: „მომეც მე და ძესა ჩემსა ქრისტჱსმიერი ბეჭედი!“ და შევედით სახლსა შინა მისსა და ნათელ-სცა მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და გამოვედით სახლისა მისგან და შევედით ქალაქად.

---

[1] აღ-რაჲ-ვასრულენი. [2] სუსიპატრჱს. [3] მრქუ. [4] ქ'ყნა. * იოვანე 1,1.

გამოცხადებისათჳს იოვანჱსი

66. [256] გამო-რაჲ-ვედით ჩუენ ქალაქით მილიონ ერთ ადგილსა ერთსა დაყუდებულსა, ვპოვეთ ჭუაბი მას ადგილსა და დავადგერით მუნ ათ დღე[1]. და იყო წყალი ჭუაბსა მას შინა. აღ-რაჲ-ესრულნეს დღენი იგი, შევიდოდე მე ქალაქად და ვჰპოდი ძმათა თანა, ხოლო იოვანე იყო ჭუაბსა მას შინა ათ დღე უზმაჲ. ხოლო მეათესა დღესა ეგულებოდა იოვანეს[2] ქალაქად შესლვაჲ. და მოიდრიკნა მუხლნი, ილოცვიდა და ევედრებოდა ღმერთსა, რაჲთა აუწყოს მას, რაჲ-იგი თანა-აც ყოფად. იქმნა უკუე ჴმაჲ მისა მიმართ და ჰრქუა: „იოვანე, იოვანე“. ხოლო მან ჰრქუა: „ვინ ხარ, უფალო?“ და ჰრქუა მას ღმრთისა ჩუენებამან: „დაყენ ჭუაბსა შინა სხუანი ათნი დღენი და გამოგიცხადდეს ზენ საიდუმლოჲ დიდი და მრავალი ადგილსა ამას“. და კუალად დაყენა იოვანე ათნი დღენი და უზმაჲ დაადგრა, და იქმნა იგი განკჳრვებასა შინა დიდსა და იხილნა ძალნი დიდნი, და ანგელოზი უფლისაჲ განუმარტებდა მას, რაჲ იხილა და ესმა.

67. და კუალად მიწოდა მე და მრქუა მე: „შვილო პროხორე“! და ვთქუ: „რაჲ არს, მოძღუარო?“ და მრქუა: „შეეედ სიწრფოებით ქალაქად და იყიდე ჴელანი და ქარტაჲ და მოვედ აქა“. და მეყსეულად შევედ მე ქალაქად და მოვიღე ჴელანი და ქარტაჲ და მივედ იოვანჱსა. და მრქუა მე: „რაჲ-იგი გესმა პირისა ჩემისაგან, დაწერე ქარტასა“. და აღახუნა ბაგენი თჳსნი და იწყო თქუმად და მე ვწერდი ქარტასა ზედა. ხოლო დავყავთ ორი დღჱ[3]: იგი იტყოდა და მე ვწერდი.

და კუალად შევედით ქალაქად და დავადგერით სახლსა სოსიპატრჱსსა. დამიგო ჩუენ ტაბლა, ვჰამეთ და ვსუთ და დავადგერით მის თანა. ხვალისაგან ჰრქუა იოვანე სოსიპატროსს: „შვილო სოსიპატრე“. და ჰრქუა: „რაჲ არს, მოძღუარო?“ და ჰრქუა იოვანე: „მიძიე ეტრატი სხუაჲცა დასაწერელად გამოცხადებისა ამის“. და მოიღო [256] ეტრატი სოსიპატრე და მრქუა მე იოვანე: „შვილო, და საბჳ ესე, [დ]ა წმიდად დაწერე მას შინა გამოცხადებაჲ ესე[4].

[დ]ა შემდგომად დაწერისა ჩემისა მოუწოდა იოვანე [ძ]მათა, და მივედით ეკლესიად, და მრქუა მე იოვანე: „შვილო, მიიღე წიგნი ესე გამოცხადებისაჲ და წარუკითხე ყოველთა ძმათა“. [დ]ა აღვიღე წიგნი იგი და წარუკითხე ყოველთა. და ესმა ყოველთა და განიხარეს სიხარულითა დიდითა. და თქუა იოვანე: „მიიღეთ წიგნი ესე გამოცხადებისაჲ ჩემისაჲ და გარდაწერეთ ესე და დასხენით ყოველთა ეკლესიათა“. და მისცა იოვანე წიგნი იგი, რომელი იყო ტყავისაჲ, ძმათა, და მაქუნდა ჩუენ ქარტაჲ იგი.

68. და ხვალისაგან განვიდა იოვანე ადგილსა საეროსა და შეკრბეს ყოველნი ძმანი ჰურიანი და წარმართნი და ისწავებოდეს იოვანჱსგან. და შემდგომად სწავლისა მათისა ჰრქუა იოვანე ყოველთა ძმათა: „შვილნო, იპყართ მოცემული თქუენდა, რომელი მიიღეთ ჩემგან და დაიცვენით მოცემულნი ქრისტჱსნი და იყვენით ძჳ ნათლისა, რამეთუ მე ვსაჯე წარსლვაჲ ჩემი ეფესოს ქალაქსა მოხილვად მუნ შინა ძმათა“.

ხოლო ესმა რაჲ იოვანჱსგან, ვითარმედ ეგულების წარსლვაჲ, ყოველნი იგლოვდეს მწარედ და ეტყოდეს მას: „გევედრებით შენ, შვილნი შენნი, მამაო იოვანე, ნუ დამიტევებ[5] ჩუენ“. ხოლო იოვანე ასწავებდა მათ და ეტყო-

[1] დღჱ. [2] იოვანჱსს. [3] დღე. [4] დამივებ.

და: „მხიარულ იყვენით, ძენო და ასულნო, და გიხაროდენ ქრისტჱს მიერ, რამეთუ მე წარვედ ეფესოს ძმათა თანა“.

69. და ხვალისაგან ვარწმუნეთ ყოველთა ძმათა და ვპოვეთ ნავი წიაღმავალი ასიაჲთ კერძო ადგილთა და აღვჴედით მას და ათხუთმეტსა დღესა მივიწიენით მილიონით ერთით ქალაქსა და გან-რაჲ-ვედით ჩუენ ქუეყანად, შევედით ეფესოდ. ესმა ყოველთა ძმათა და გამოვიდეს ადგილსა, სადა-იგი ვიყვენით და განვისუენებდით მას შინა.

ხოლო დომნოს, ძეჲან დიოსკორიდჱსმან[1], წარმიყვანნა ჩუენ სახიდ თჳსა, რამეთუ მამაჲ მისი*...

---

[1] დიოსკორჱსმან.

* აქედან ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი: გვ. 257—258.

ლექსიკონი

აგარაკ-ი 8,12; 58,19 ყანა, სახნავ-სათესი ადგილი.

ადრე-ადრე 3,23; 10,17 ჩქარა, მალე.

ავაზან-ი 34,21 ისარნა ან გობი: „შთადინ სისხლი იგი მათი ჴას ავაზანსა“ 33,29.

აზნაურ-ი 43,25 თავისუფალი.

ალაგ-ი 13,13 გზა, ბილიკი.

ალო, ალოვე სურნელოვანი მცენარე: „მოგალა ერგასისი ლიტრაჲ მური და ალოჱ“ 48,4.

ამისგან-ი: „მოგუცემდეს ჩუენ ათე-ჭუსმეტსა უმკიასა პურსა და უმკიასა ძმარსა ... და ამისგანი მცირედი მიიღის იოვანე“ 70,15.

ამის ჯერისათჳს ამიტომ, ამის გამო: „ამის ჯერისათჳსცა ესე გუემანი შემემთხჳნეს მე“ 38,7.

ანდრიატ-ი 33,12 ქანდაკება, წარმართთა ღვთის გამოსახულება: „იხილა ანდრიატი რაჲმე სუეტსა ზედა მდგომარე“ 33,2.

ანთიპატოს-ი 64, 31; 69,15 მხარის, პროვინციის მმართველი.

ანთრაკ-ი 3,14 ძვირფასი თვალი.

არაარს-ი 47,15 არარსებული.

არამღდელ-ი 83,13 უცხო აღსარების მღვდელი.

არასად 12,30; 16,2; 25,13 არ; არასდროს.

არასაჴმარ-ი გამოუსადეგარი არასაპირო: „აღივსო ქალაქი ესე არასაჴმარითა სახითა“ 4,32.

არაძლება უძლურება, ღონემიხდილობა: „ყოველი სნეულებაჲ და ყოველი არაძლებაჲ კაცთაჲ“ 63,29.

ასპარეზ-ი 8,5 მოედანი.

ასპიტ-ი 4,30 გველი.

აჭა-ნ-ი აქაურნი: „უცხოთა და აქათა და ყოველთა ეჩუენების“ 81,18.

აღგუალ-, 0—1 28,28 ასვლა.

აღდება, ი/უ: „ცეცხლი აღუდვეს“ 5,25 ცეცხლი მოუკიდეს.

აღვსება, ა—ჲ შესრულება: „რომელმან მონამან აღავსო ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ“ 8,4; აწ აღვავსებ სიტყუასა მას“ 9,28.

აღმოგუალ-, 0—1 23,25 ამოსვლა: „აღმოგუალეთ სიხარულით ნავსა ჩემსა“ 23,42.

აღმოხუმა, ი/უ 19,9 ამოღება: „აღმოუხუნეს მას თუალნი“ 21,13; „თუალთა აღმოხუმისა შემდგომად“ 21,9.

აღმოკდომა, 0—1 14,12; 8,34 ამოსვლა.

ი/უ—ჲ: „აღმოუკდა წილი ასიაჲსაჲ იოვანჱს ზედა“ 56,4.

აღმსთობა, ი უობ. 23,2 დილაადრიან ადგომა, ასწრაფება.

აღნადგინებ-ი 18,27-28 ვალის სარგებელი, პროცენტი.

აღრღუეულ-ი 4,5 არეული.

აღსრულება, ე სიკვდილი, აღსასრული: „აღესრულა ძმ. უფლისა ჩემისაჲ“ 61,11; „აღსრულებაჲ მაბისა მისისაჲ“ 62,31.
ა—ჲ წესრულება: „აღვასრულებდით საქმესა“ 64,11; **აღსრულებულ-ი** 62,33 მკვდარი. ნ. კ. განსრულება.

აღტყდომა [1] ა—1 აღელვება, აღშფოთება: „აღატყდა დაღივსო გულის წყრომითა“ 5,1. [2] 0—1 11,12 აღმოცენება.

აღება, ა—ჲ 76,18 გაღება, გახსნა: „აღვაღო სამარე იგი“ 20,16.

აღხუმა. ი—ჲ 29,6 აღება: „აღიხუნა რკინანი იოვანჱსგან“ 75,31.
ა—ჲ გაღება: „აღახუნა ბაგენი თჳსნი“ 68,9.

აღჴდომა, 0—1 20,12; 29,12; 91,4 ასვლა.

ახალნერგ-ი 41,25; 44,35 ახლად მოქცეული: „არა დაბნელდენ ღოცვანი ახალნერგთანი“ 11,18.

ახალხძალ-ი 4,37 ახალი რძალი, პატარძალი.

ახოვან-ი მხნე: „სძლიან ახოვანსა მას“ 12,36.

ახოვნად 8,3 მხნედ.

ახოვნება 3,28 მხნეობა, სიმრთელე.

ბ

ბაგინ-ი 4,20; 26,32 წარმართთა საბღოცველო.

ბახრობა დაცინვა, აბუჩად აგდება: „ეკიცხევდეს მას დიდითა ბასრობითა“ 37,5.

ბეჭედ-ი [1] 16,25: „იყვნენ კარნი ესე დაჴშულ. . . ბეჭედი იგივე დაეგდენ ამას ზედა“ 16,11.
[2] 37,19 ჯვარი, ჯვარის გამოსახვა. ნ. კ. საუფლოჲ ბეჭედი, ქრისტჱს ბეჭედი, ქრისტჱსმიერი ბეჭედი.

ბომონ-ი 66,9; 69,3 ბაგინი.

ბრალის დაკრება, 0—ჲ ბრალდება, დადანაშაულება: „აგრიპა დიდსა ბრალსა დაჰკრებდა პეტრეს“ 45,8.

ბრკუმა, ი/უ—ჲ 11,4; 18,31 ხელის შეშლა, დაბრკოლება.

ბჭე 4,19; 68,19 კარი: „შე-რაჲ-ვედით ბჭესა ქალაქისასა“. . . 75,21.

გ

გაგრუნება, დ მოტყუება, გასულელება, შეცდომის დაშვება: „ვაჲმე, შვილო ჩემო, ვითარ გავგრუნდი წარწყმედასა შენსა ზედა“ 73,5.

გამოზრდა, 0—ჲ 32,21 გამოკვება.

გამოქმნულ-ი 27,4 გამოკვეთილი.

გამოჭუან-, ა—ჲ: „არა მოაკლდეს ლეღუსა მას ნაყოფი მისი, არამედ... უფროჲსი ნაყოფი გამოაქუნდეს“ 32,21 ნაყოფი გამოჰქონდეს.

გამოჴდა 31,35 გამოგდება, გამოყვანა.

გამოჴდომა, 0—1: 7,23 გამოსვლა.

განგებულება მოწესრიგება: „ჩუენთჳს დაჩუენიაა განგებულებისათჳს სათნო იყავ სლვაჲ ზღუასა ზედა“ 71,9.

განვლტოლა, ე გაქცევა, განშორება: „წყალი იგი განევლტინ ფერჴთაგან“ 40,24.

განთეთრება, დ: „განთეთრდა ყანაჲ იგი და მოიწია მკაჲ“ 19,1 დამწიფდა, შემოვიდა.

განთესვა, ი ენ. დათესვა: ნაყოფი მისი ქუეყანასა ზედა განითესა“ 18,25.

განკაფა, 0—ჲ გაცვეთა: „დაძუელებადი იგი სამოსელი განვკაფე“ 17,3.

განკრთომა, 0—1 63,8 შეშინება.

განკუეთილად პირდაპირ, გადაკრით, გარკვევით: „უკუეთუ ჰყოფ კაცთმოყუარებასა შენსა ჩუენდა მიმართ, განგჳჩინე ჩუენ განკუეთილად“ 23,39.

განმარტვა, 0—ჲ გაღება, გახსნა: „საჩინონი ეგე განჰმარტენით“ 46,3.

განრინება, ა—ჲ 17,15; 37,7 გადარჩენა: „სული ჩემი განარინეთ“ 66,26.

განრომა, ე 10,40; 50,22; გადარჩენა, თავის დაღწევა.

განრღუეულ-ი 66,3 საპყარი, დაერდოჩილი.

განსპეტაკებულ-ი (შდრ λευκοφροσυνος) 64,17 თეთრად ჩაცმული, თეთრად გამოწყობილი.

განსრულება, ე 34,23 დასრულება, ზრდის დამთავრება.

განსწავლა, 0—ჲ [1] 38,10 სწავლება; [2] 74,9; ი 39,17 დასჯა.

განსხმა, ა—ჲ 58,18 გაყრა, გარეკვა.

განტეევება, ი/უ—ჲ 24,33; 67,27 გაშვება: „უბრძანა... განტეევებაჲ ჩემი“ 58,6.
ი ენ. წასვლა, გამგზავრება: „განიტეევნეს თითოეული მათი თჳსსა ნაწილსა“ 56,19.

განფრთხობა, ი ენ. გამოფხიზლება: „განიფრთხეთ უკუე უშუერისაგან სიმთრეალისა“ 64,29.

განყენება, ე 43,26 განდგომა, განშორება.

განჩემება, ი—ჲ 18,3 მიკუთვნება, მისაკუთრება, მიჩემება განჩემებულ-ი 50,23 მიკუთვნებული, მისი მომხრე.

განჩინება, ა—ჲ 43,15; ი/უ 23,39 დადგენა, დაწესება. განჩინებულ-ი 45, 17 დანიშნული, „განწესებული“ (A).

განცდა, ი 79,35 დანახვა, ცქერა: „სიძვაჲ განცდითა თუალთაჲთა არს“ 11,9.

განცხოველება, ა—ჲ 63,10 გაცოცხლება.

განძარცუვა 5,3 ტანსაცმლის გაძრობა, ტანსაცმლის შემოძარცვა. განძარცულ-ი 7,6 ტანსაცმელშემოძარცული.

განძჳნება, დ 69,26 გამძვინვარება, განრისხება.

განწევა, ი ენ. მიღწევა: „თუ განვიწინეთ ჩუენ ხვალისაგან“ 33,18 თუ მივაღწიეთ ხვალამდე. „განიწიენით ყოველსა საქმესა კეთილსა“ 17,31.

განწვალება [1] 0—ჲ გაყოფა: „ეკლესიასა სადაჲაშენებდე..... განწვალე საშუალ განტიხრვით“ 11,17.
[2] განხეთქილება: „შეიქმნეს ამბოხებაჲ და განწვალებაჲ მრავალი“ 77,24.

განხეთქა, 0—ჲ 64,9 დახევა, დაგლეჯა.

განხლდომა, 0—1 გახტომა: „განხლდნეს ყრმანი იგი“ 61,7.

განხუმა, ა—ჲ 16,15 გაღება, გახსნა; განხმულ-ი 16,23; განხუმულ-ი 33,8; 33,11 გაღებული, ღია.

გარდადგინება თანამდებობიდან გადაყენება: „იქმნა გარდადგინებაჲ მთავრისაჲ“ 80,29.

გარდავრდომილ-ი გადავარდნილი, გადაგდებული: „ჰპოოთ ჰაბუკი ერთი გარდავრდომილი სარკჱმლით“ 49,29.

გარდამოტევება გადმოქცევა, გადმოსხმა: „გარდამოტევებაჲ წყლისაჲ“ 40,15.

გარდამოცემა, ე იგივეა, რაც გარდამოტევება: „გარდამოეცა წყალი“ 39,26. 0-ჲ: „გარდამოეცინ ანდრიატმან წყალი“ 39,15.

გარდამოხუმა, ი—ჲ 13,14 გადმოღება.

გარდამოჯდომა, 0—1 5,27; 25,5 გადმოსვლა.

გარდამოჯსნა, 0—ჲ 10,17 გადმოხსნა, ჩამოხსნა.

გარე-მიქცევა, ი ენ. 39,1 მიბრუნება: „არა გნებავს გარე-მიქცევაჲ“ 52, სქ. 12.

გარე-მოდგომა, ა—ჲ 27,32 ალყის შემორტყმა, გარშემო შემოკრება: „მიხედა კრებულსა მას, რომელი-იგი გარე-მოადგა“ 10,5.

გარე-მოცვა, ი—ჲ იგივე გარე-მოდგომა: „გარე-მოიცვა ყოველი იგი ქალაქი“ 40,2.

გარე-მოხუევა, 0—ჰ შემოხვევა: „გარე-მოხჳეს საბელი ყელსა მისსა“ 36,15.

გარესკნელ-ი 18,23 გარეგანი, გარეშე.

გარე-შევლა, 0—(ჳ)ჲ შემოვლა: „გარე-შეევლო მოოჯრებულსა მას ტაძარსა“ 85,26.

გბოლვა ნ. საცხებლის მგბოლველი.

გზება 58,35 ცეცხლის ანთება. ნ. მგზებელი.

გინც-ი 14,6 იმედი, სასო.

გრკალ-ი რკალი: „მოიხუნეს გრკალნი რკინისანი და მანანი, და განაცუნეს გრკალნი იგი კოპთა მისთა“ 5,13.

გრძილ-ი (πλάγιον, τό) ქონგური: „შეპყრობილ არს მართალსა ძელსა გრძილი“ 47,4.

გუალ-, 0—1: „გუალე“ 78,11 წადი. ნ. კ. აღგუალ-, აღმოგუალ-, მიგუალ-, შეგუალ-, შთაგუალ-.

გულარძნილ-ი 6,25 ღვლარჩნილი, მრუდი.

გულება [1] ი 35,28: „მოიხილე და იგულე, რაჲ-ესე მიყვეს მე“ 36,23. ნ. კ. მიმოდაგულება.

გულვება, ე დაპირება: „დასავალისა ადგილთა წარსლვაჲ ეგულვა“ 56,25.

გულის-კლება 45,7 წყენა, გაჯავრება.

გულის-სათქუემელ-ი 15,42 მომხიბლავი, სასურველი.

გულის-ხიტყუა 76,31 აზრი, განზრახვა.

გულისხმის-ყოფა, გულისჴმის-ყოფა, 0—ჲ 40,13; 59, 23 მიხვედრა, შეტყობა, გაგება.

გულისხმის-მყოფელ-ი 75,16 საგულისხმო, საყურადღებო.

გულხა მოჴდომა, ი/უ—ჲ 20,18 მოფიქრება, გულში გავლება: „რაჲ გულსა მოგიჴდა მოსლვად ჰრომთა სამთავროსა“ 51,8.

ი: „გულსა მოიჯადა მიზდეოს და თქუა“ 20,16.

გულწყებულ-ი ნაწყენი, გაჯავრებული: „გულწყებულ იყო ნერონ და მრავალ ჟამ აგრიპას არა ჰზრახვიდა“ 48,25.

გძილ-ი ნ. გრძილი.

დ

დაბეჭდვა, 0—ჰ გამოსახვა: „დაჰბეჭდა მას ჯუარი სამჯერ“ 62,13.

დაბორკილებულ-ი 81,7; 82,9 შებორკილი, ბორკილებგაყრილი.

დაბძარვა, 0—ჲ დახეთქა, დაბზარვა; ცემა, გვემა: „შეიპყრა იგი და დაბძარა“ 59,6.

დაგდება, 0—ჲ 22,5 მიტოვება: „მამაო, რად დამაგდებ მე“ 38,18.

დაგუმირვა, 0—ჲ დაჩხვლეტა: „დაგუმირეს იგი სართმებითა მით“ 17,35.

დადგრომა, 0—1 18,9; 56,23 შეჩერება, დარჩენა. **დადგრომილ-ი** 66,9 დამკვიდრებული. ნ. ჩუენებით დადგრომა.

დათმენა, ი—ჯ 17,15; 29,1 მოთმენა.

დათხევა, 0—ჲ დატოვება, მიტოვება, დაყრა: „უფალმან ჩუენმან არა დაგუთხინეს ჩუენ“ 25,6; **დათხეულ-ი** 36,32 დაყრილი, დაცვენილი.

დაკრება ნ. ქვის დაკრება.

დაკრძალვა, 0—ჲ 35,29 დაკეტვა, ჩაკეტვა. **დაკრძალულ-ი** 70,27 დამწყვდეული, დაპატიმრებული.

დაკჳრვება, ი/უ—დ განცვიფრება, გაკვირვება: „ყოველთა დაუკჳრდა და განჰკრთეს“ 63,8.

დამოკიდება, 0—ჰ 6,13; ჩამოკიდება, ჩამოხრჩობა. **დამოკიდებულ-ი** 8,38 ჩამოხრჩობილი.

დამოწაფება, ი 48,24 მოწაფედ აყვანა. **დამოწაფებულ-ი** 17,7 მოწაფედ აყვანილი.

დამწუხრება, დ 39,3 შეღამება, დაღამება.

დანაკ-ი 82,13; 82,33 დანა.

დაპყრობა [1] ა—ჲ დაპერა; შეხვედრა, ნახვა: „ამან სადა დაიპყრა აბრაჰამი“ 28,3.

[ჲ] ე დაქირავება: „საუნჯე ვისიმე სასყიდლით დაეპყრა“ 49,10 დაექირავებინა.

დარეცვა, ი ვნ. დაფენა: „რომელნიმე მათგანნი დაირეცნეს ქუეყანასა ზედა“ 9,6.

დარწმუნებულ-ი მინდობილი, ჩაბარებული: „აჰა დედაკაცი ვინმე, რომლისა დარწმუნებულ იყო ადგილი იგი“ 58,26.

დასაბამით ყოფილ-ი 9,33 პირველყოფილი, ის ვინც ქვეყნის დასაბამს იყო.

დასავალ-ი 56,24 დასავლეთი.

დასუენება, ი ვნ. 28,22 განსვენება, სიკვდილი.

დახსმა, ა—ჳ [1] 8,30 დაწყობა, დაყრა: „ჴელნი ჩემნი დაგასხენ ერქუანსა“ 18,43.

[ჲ] „წყლულებანი მრავალნი დაასხნეს მას“ 84,39 ჭრილობები მიაყენეს.

0—ჳ: „მარიამ იორდანესა თანა დასხნეს ჯორცნი თჳსნი“ 8,30 დატოვოს, დაყაროს ხორცი თავისი, ნიშნავს: გარდაიცვალოს.

დატევება, ი/უ—(ჳ)ჲ 3,26; 29,7 დატოვება: „სნეული რაჲმე დაგიტევე შენ ცხედარსა ზედა“ 3,20.

დაულტობელ-ი 71,10 დაუსველებელი.

დაუნჯებულ-ი 55,25 შენახული, დაცული.

დაუშჯელ-ი განუკითხველი, განუსჯელი: „არა ჯერ-არს თქუენდა კაცთა დაუშჯელთაჲ... შეგდებად საპყრობილედ“ 67,38.

დაუც, ვანი დაუც ნ. ვანის დადება.

დაუცადებელად განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ: „ლოცვა ყავ ჩემთჳს ორმეოც დღე დაუცადებელად“ 12,15.

დაქუმა, ე დაკრობა, დაწებება: „დაექუმოდეს ჯორცნი მისნი ქუეყანასა“ 35,21; „თმანი ჩემნი დაექუნეს ქუეყანასა“ 38,25.

დაყენება, ე 12,17: „მე დავეყენე პეშმარიტისა მის განსასუენებელისა“ 9,40 მოვაკლდი განსასვენებელს.

დაყოფა, ი დახურვა, დახშობა: „ნუცა სასმენელთა თქუენთა დაიყოფთ“ 17,30; „დაიყავნ პირი თჳსი ეშმაკმან“ 19,30.

დაყუდებულ-ი 87,33 განმარტოებული, განცალკევებული.

დაშდუნება, ა—ჲ დატოვება: „მრავალნი ქალწულნი და[ა]შდუნნეს უქმროდ“ 5,34.

დაშთომა, 0—1 7,34 დარჩენა: „არავინ დაშთა სახლსა მას შინა“ 4,21.

დაშრომა, დაშურომა, 0—1 14,1 18,40 დაღლა, დაქანცვა. **დაშრომილ-ი** 18,15 დაღლილი, დაქანცული. ნ. კ. მაშურალი, მოშრომება.

დაცადება, ა—(ჳ)ჲ შეწყვეტა, შეჩერება, მიტოვება: „არა დაიცადებდა იოვანე სიტყუასა“ 84,37.

დაძუელებად-ი 19,2 ის რაც დაძველდება (შდრ. სობ. ჰნაჩაკ).

დაწერტყა, ი 15,3 დაჩხვლეტა.

დაწუთა, 0—ჲ 12,20 დაწვეთება: „სისხლი ჩემი დასწუთეს ქუეყანასა“ 12,19.

დაწულილება, დ, ა—ჲ დაფშვნა, დამსხვრევა: „დაეცნეს და დაწულილდეს, და ვითარცა-იგი ვინ აღიღის კუერი რკინისაჲ და დააწულილებნ რასმე“ 87, 19—20.

დაწუხება, ნ 15,31 დაღონება, შეწუხება.

დაჭუხვა, ი 22,17 დახუჭვა.

დაჭდა, 0—ჲ 32,2 ჩაყრა: „და-ჩცაჲ ჴკადენ უფსკრულთა... ყოველნი“ 36,28.

დაჴსნა, დ დაშლა; დაუძლურება, ღონის გამოცლა: „დაჰჴსნდებიან ჴორცნი ჩუენნი“ 5,23; „დაჰჴსნდის მზე“ და დაუტეევის სოფელი ესე“ 11,30.

0—2 გაღება: „დაჰჴსნეს კარნი იგიცა ბაგინთანი“ 5,38. ნ. ნახევარ-დაჴსნილ-ი.

დედა 5,34 დედაკაცი.

დიდ-დიდ-ი 14,11; 44,4 დიდებული, დიდგვაროვანი: „მრავალთა მთავართა მათ და დიდ-დიდთა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ“ 17,8.

დღენდელ-ი 60,25 დღევანდელი.

ე

ებისტოლე 73,41; 75,2 წერილი.

ეგრე სახედ 23,17 მაგგვარად, მაგნაირად. ნ. კ. ვითარ სახედ, თქუენდა სახედ.

ემბაზ-ი 3,15; 83,19 დასაბანი ჭურჭელი.

ერგასიხ-ი 48,4 ორმოცდაათი.

ერთბამად 4,30; 88,29 ერთად.

ერთითა სულითა ყოფა დამეგობრება, მეგობრობა: „მათ ენება ერთითა სულითა ყოფაჲ ჩუენთანა“ 72,23 მათ სურდათ ჩვენთან დამეგობრება.

ერთობით 20,32; 40,10 ერთად.

ერისაგან-ი 33,25; 16,9 ჯარისკაცი.

ერისა კაც-ი 19,32; 53,22 ჯარისკაცი.

ერქუან-ი 7, 40; 18,43 სახნისი.

ერჩდა ნ. რჩ.

ესემლევან-ი 25,14 ამგვარი.

ეტრატ-ი 90,10 საწერად გამოყენებული ტყავი: „მიძიე ეტრატი... დასაწერელად“ 88,15.

ექსორიაჲ-ყოფა, ექუსორიაჲ-ყოფა, 0—2 59,7; 70,2 სამშობლოდან გაძევება.

ექსორიაობა, ექსორიობა, ექუსორიაობა 70,6; 88,35 იგივე ექსორიაყოფა; განდევნა, გაძევება.

ექუა ქოშინი: „მიიწია მსაჯული იგი დიდითა წრაფითა სრბით, ექჳთ“ 3,18.

ვ

ვ, ი/უ—2: „მ ი ვ ი ს მე შვილი ერთი კინაი“ 34,12 მყავს; „უ ვ ი ს-მ ე ა ძე ღმერთსა“ 26,22 ჰყავს ძე ღმერთს?

ვანის დადება, ი/უ—2 ბინის დადება, დაბინავება: „ვანი დაუც სტაქჳს ბრმისასა“ 5,41.

ვასხება, ა—3 78,36 სესხება: „რომელი სწყალობდეს გლახაკსა, იგი ღმერთსა ავასხებს“ 78,38.

ვიდრე 24,25 სად, საით: „აქა ვიდრე ხუალ, უფალო“ 44,27.

ვიეთნიმე ვინმე: „მათ მიიქცინეს ვ ი ე თ ნ ი მ ე“ 69,33; „იტყჳან ვ ი ე თ ნ ი მ ე“ 79,24.

ვითარ სახედ როგორ: „ვ ი თ ა რ ს ა ხ ე დ მიუმსგავსებიან ესენი პირუტყუთა“ 31,30.

ვინაჲ 3,21; 57,21 საიდან, სადაური.

ვინაჲთგან როდესაც, რა დროიდანაც: „ვ ი ნ ა ი თ გ ა ნ შემოვიდეს აქა, აღივსო ქალაქი ესე არასაქმარითა საბითა“ 4,31.

ვლინება, ა—2 24,34 წაყვანა, ტარება.

ვლტოლა, ი ენ. გაქცევა: „ი ვ ლ ტ ო დეს პირისაგან მისისა“ 5,20; ე. „ყოველი კაცი ე ვ ლ ტ ი ს მას ქალაქსა“ 23,20. **ვლტოლილ-ი** 7,35 გაქცეული. ნ. კ. განვლტოლა, სივლტოლა.

ზ

ზედა-დგომა, ა—2 თავზე დადგომა: „უფალი ზ ე დ ა-მ ა დ გ ე ს მე ამას ქალაქსა“ 38,10. **ზედამდგომელ-ი** 12,6; 17,35 ზედამხედველი.

ზორვა, ი/უ მსხვერპლის შეწირვა: „უზორონ იგი ეშმაკსა“ 82,9.

ზრახვა ლაპარაკი, საუბარი 0—ჲ: „ზრახვიდეს ურთიერთას“ 36,2; ე: „არცალა ეზრახაის თჳსსა“ 75,25. ნ. მზრახველი.

ზროხა 35,11 რქოსანი საქონელი.

ზუზღა ჩირქი: „ვეშაპმან... დასთხია თქუენ ზედა მკუდარი იგი ზუზღაჲ“ 6,21.

თ

თავად-ი 45,1; 51,15 თვითონ.

თავდამოქცევით 5,14; 46,8 თავდაღმა. თავდამოქცეულ-ი 8,38 თავდაღმა დაკიდებული.

თავდაქცევით 9,26 იგივე თავდამოქცევით, თავდაღმა.

თანა-დგომა, ე დგომა, ქონება: „თანა-ედგა მას თორნესა ავაზანი დიდი“ 33,27.

თანა-დება, ა—ჲ: „ჩუენცა თანა-გუაც სწავლად სხუათა“ 11,40 გვევალება, გვმართებს.

ე: „მივცნეს ჩუენ... რომელთა-იგი თანა-ედვა ჩუენი პყრობაჲ“ 72,22 ევალებოდა.

თანა-დიდება, ი ენ. დიდება: „თანა-იდიდოს სახლიცა ჩუენი სახლსა თანა მამისა ჩემისასა“ 78,5.

თანამდებ-ი ღირსი: „სიკუდილისა თანა-მდებ ხარ“ 57,17.

თანა-სლვა, ი/უ—ჲ 26,18 გვერდით გაყოლა: „ვითარ თანა-უვალთ მაგას“ 26,21; „თანა-გჳდოდეს ჩუენ“ 26,32.

თანა-შეწევნა 58,12 მიშველება, შეწევნა.

თანა-წარვლა, 0—ჲ გვერდით ჩავლა: „თანა-წარჰვიდოდეს ორნი მტარვალნი“ 66,13.

თჳა ბალახი: „მოსცა მას ღმერთმან თესლი თიესა ქუეყანისაჲ საშმლად“ 31,36.

თჳს-თჳს თავთავისთვის: „თჳს-მცა არს სასუენებელი მათი“ 11,19.

თქუმა, ი/უ: „ფილიპე... უთქუმიდა ურწმუნოთა მათ“ 7,3 ემუქრებოდა. ნ. სულთ-თქუმა, წართქუმა.

თხევა ნ. დათხევა, შეთხევა, შთათხევა.

ი

იფქლ-ი 18,20 ხორბალი.

კ

კადნიერება 58,25; 71,20 გამბედაობა.

კადრება, ი 37,20; 82,23 გაბედვა, შებედვა.

კარაულ-ი, კარაულ-ი 50,6; 75,20 სახედარი.

კაცად-კაცად-ი 45,21 თითოეული კაცი.

კდემულება სირცხვილი: „ნუ შეორგულდებით, რაჟამს მიხილოთ მე კდემულებასა და შეყენებასა“ 15,37.

კეთილ-ი კარგი: „აღაგზენ კეთილად და უმეტჱსად საკუმილი“ 59,15.

კერპ-ი 8,21; 64,20 წარმართთა ღვთის გამოსახულება. ნ. საკერპო.

კეც-ი თიხა: „სუეტი კეცისაჲ მარილოვანი“ 39,12.

კიცხევა, ე 37,29 დაცინვა: „ეკიცხევდეს მას დიდითა ბასრობითა“ 37,5. ნ. მოკიცხარი.

კნინაკ-ი 34,12 პატარა.

კომს-ი 66,31; 67,1 მთავარი, გარკვეული თანამდებობის პირი მეფის კარზე.

კრულ-ი შეკრული, შებორკილი: „მოიყვანეს პაულე კრული“ 51,4.

კრძალვა, ე დაცვა, გაფრთხილება: „ეკრძალე თავსა შენსა, დედაკაცო“ 77,40. ნ. კ. დაკრძალვა.

კრძალულად ფრთხილად: „იოვანე რკინითა შეკრეს კრძალულად“ 70,9.

კუალად-გება, 0—2 გაყოლა, ხლება: „კ უ ა ლ ა დ - მ გ ე ბ დ მე, მეოტო“ 59,14.

კუალად-ქცევა, ი ვნ. უკან დაბრუნება: „არა კ უ ა ლ ა დ - ვ ი ქ ე ც, არამედ წარვიმართე“ 19,12.

კუერთხ-ი 23,38 ჯოხი, ხელჯოხი.

ლ

ლალვა, ი ვნ. დავა, ჩხუბი: „მცველ-ნი იგი ი ლ ა ლ ვ ი დ ე ს ურთიერთას“ 16,14.

ლოდება 24,20 ლოდინი. ნ. მოსალოდებელი.

ლუსკუმა 48,6 კუბო.

მ

მამა 10,30 მამაკაცი.

მან-ი მინა, ბროლი: „იგი გარდაიცვალა წინაშე მათსა და იქმნა კიდობან მ ა ნ ი ს“ 5,19.

მანა 5,13 პალო: „მ ა ნ ა ნ ი იგი უკუმშუალნეს კედელსა“ 5,15.

მანქანა 59,18 „მანქანება“ (B).

მანქანება 16,15; 59,9; 66,37 ხერხი, მაქინაცია.

მართლ სწორი: „ვინ დასდვის ჴელი ერქუანსა და ჰხედავნ უკუმართ და ურნატი მისიმცა მ ა რ თ ლ იყო“ 7,41.

მარცხლ, მარცხულ 26,36; 26,37 მარცხნივ.

მარჯულ 26,36; 27,3 მარჯვნივ.

მაშურალ-ი დაქანცული, დაღლილი: „მ ა შ უ რ ა ლ თ ა განმსუენებელო“ 14,6.

მაცხოვარ-ი 22,11 მხსნელი (ქრისტეს ეპითეტია).

მგზებელ-ი 57,1 ცეცხლის დამნთები.

მდებ-ყოფა, 0—1: „რომლისა მიერ მოსალოდებელი სასოებაჲ მ დ ე ბ -არ ს“ 74,32 დამოკიდებულია.

მედგარ-ი 19,19 ზარმაცი.

მეზუერე 19,18 მებაღე.

მენაგეთ-მოძღუარ-ი 23,20; 24,6 ხომალდის უფროსი.

მეოტ-ი, 60,16 გაქცეული, გადახვეწილი.

მესაპყრობილეთ მცველ-ი 75,33 საპყრობილის მცველი.

მეყსეულად 66,6; 71,34 მყის, მაშინვე.

მეცნიერ-ი 84,5 მცოდნე: „არცა მ ე ც ნ ი ე რ ვარ გზასა“ 22,34.

მეჯრმლე ჯალათი: „მოჰკუეთა თავი მ ე ჯ რ მ ლ ე მ ან მან“ 53,10.

მზირ-ი 43,15 მზვერავი, მეთვალყურე.

მზრახვალ-ი 26,23 მოლაპარაკე, მოსაუბრე.

მთავარ-სპაჲპეტ-ი 51,19 მხედართმთავარი.

მიახლება, ე 29,1; 75,13 მიახლოება, მისვლა. ნ. კ. მოახლება.

მიგუალ-, 0—1 22,26 მისვლა: „მ ი გ უ ა ლ ე თ თქუენსავე ადგილსა“ 28,27.

მიდგომა, ი/უ—2 [1] 80,25 დაორსულება. [2] მისვლა: „იგი მ ი უ დ გ ა მათ ტირილით“ 66,14.

მიდრეკა, ი 29,3 გადახრა. **მიდრეკილ-ი** გადახრილი: „მ ი დ რ ე კ ი ლ არს დღე“ 86,38.

მიერ [1] 20,32 იქიდან (ზმნზ.): „წარ-ვედით მ ი ე რ და მოვედით პატმოს ჴალაკსა“ 72,21.

[2] (ნაწევ.) „წარვიდეს კაცნი იგი მ ი ე რ ქალაქით“ 32,30 იმ ქალაქიდან.

მიერითგან 20,9 იმ დროიდან, მას შემდეგ.

მივის ნ. ვ.

მილიონ-ი 17,12; მანძილის ერთეული: „მივიწიენით მ ი ლ ი ო ნ ი თ ერთით ქალაქსა“ 91,12.

მიმართვა, ი ვნ. წასვლა, გამართვა: „მ ი ი მ ა რ თ ა საპყრობილედ“ 31,5.

მიმთხუევა, ე შეხვედრა: „ქრისტესამცა ოდენ ხოლო მ ი ე მ თ ხ უ ე ვ ი თ“ 68,27.

მიმოდაგულება, ე მიმოხვედა: „მ ი მ ო დ ა ი გ უ ლ ნ ა იესუ მარჯულ და მარცხულ“ 26,36.

ი უობ. „მიმოდაიგულეთ და იხილეთ“ 35, სქ. 41.

მიმოდათრევა, ი 36,10 აქეთ-იქით თრევა: „მიმოდაითრევდეს მას“ 38,14.

მიმოდახლვა 21,1 მიმოსვლა.

მიმოდახილვა, ი უობ. მიმოხედვა: „მიმოდაიხილეთ აწ და იგულეთ“ 35,27.

მიმომავალ-ი მოძრავი: „რომელმან... მიმომავალად შექმნა ყოველივე შეუძრავი“ 27,12.

მიმჯდელ-ი გადასახადების ამკრეფი: „ნუცა მიხილვენ მეზუერენი და მიმჯდელნი“ 19,18.

მიჰუან-, ა—ჲ: „მიაქუნდა სამოსელი მჩურისაჲ“ 19,37 მიჰქონდა.

მიქცევა, ი ენ 89,1; ე: 29,11 მიბრუნება, უკან დაბრუნება. ნ. კ. მოქცევა; ძილად მიქცევა.

მიყუარ-ი: „გიჩინა შენ მიყუარად თავისა თჳსისა“ 28,12 „მეგობრად“ (D).

მიწიფება 22, 30 მისვლა, მიღწევა.

მიხება, ე 5,20 შეხება.

მიხუმა, ი 33,29 წაღება, წაყვანა (ბევრისა): „წარიპარნა ძუალნი წმიდისანი მის და მიიხუნა შუა-მდინარეთა“ 18,23.

მიჯდომა, ი/უ—ჲ 23,13 მისვლა.

მკელობელ-ი 25,32 კოპლი.

მოახლება, ე 20,36; 58,28 მოახლოება.

მოგალა, ი—ჲ 48,4 მონაყვა, დანაყვა.

მოგუ 66,31 გრძნეული.

მოდგამ-ი 15,22 თანამდგომი, ამხანაგი.

მოკაფულ-ი დაფლეთილი, დაგლეჯილი: „ჴორცნი მისნი მოკაფულ არიან“ 39,5.

მოკიცხარ-ი 85,37 დამცინველი, ის ვინც სხვას დასცინის.

მოლხინე შეუბორკავი; შეუკრავი: „იოვანე რკინითა შეკრეს... ხოლო... დამიტევეს მე მოლხინედ“ 70,11 (შდრ. ბერძნ. ἀνετός).

მოლხობილ-ი 18,43 მოშვებული, მოდუნებული.

მომატყუებელ-ი მომნიქებელი, დამხმარე: „ყრმაო იესუ... მომატყუებელ მონათა შენთა“ 14,19.

მომგებელ-ი 15,29 დამჭირავებელი, დამკვეთი.

მომტკიცება, ი 18,41 მომაგრება, გამაგრება.

მომწუთოლვარე 12,22 წვეთ-წვეთად მოდინარე.

მომწყდარ-ი 33,26 დახოცილი.

მონიჭება, ა—ჲ ჩუქება, ბოძება: „მომანიჭე მე მამაჲცა ჩემი ჩემთჳს აღსრულებული“ 62,35.

მოსაგებელ-ი 17,16 ქირა, სასყიდელი: „მოსაგებელი მისი ... ნაკლულევანთა საზრდელითა ამათ მიეცით საჴმრად“ 78,37.

მოსაგრე 50,17 თანამებრძოლი.

მოსაგ-ი 21,21 იმედის მქონე; მვედრებელი, მახვეწარი.

მოხალოდებელ-ი 74,32 მოსალოდნელი.

მოხიკუდიდ 20,12 სასიკვდილოდ, რომ მოკვდეს.

მოსისხლე მკვლელი: „კაცნი მოსისხლენი ხართ“ 57,31.

მოსწრაფებით 70,16 სწრაფად, აჩქარებით; მონდომებით.

მოტყუება, ა—ჲ მონიჭება, შეძენა: „სიკუდილი მამისა შენისაჲ ცხორებასა მას საუკუნესა შენ მოგატყუებს“ 63,3.

მოუსუსურება, დ 38,16 დასუსტება, დაუძლურება. **მოუსუსურებულ-ი** 39,4 დასუსტებული, ღონემიხდილი.

მოქმედ-ი ნ. ძჳრის მოქმედი.

მოქუან-, ა—ჲ: „მძიმედ მოაქუნდა ესე“ 56,5 მძიმედ მიაჩნდა ეს ამბავი.

მოქცევა 18,35 მობრუნება, უკან დაბრუნება. ნ. უკუ-მოქცევა.

მოლება, ი 3,21; 78,19 მოტანა.

მოყუას-ი 72,4 ამხანაგი, მეგობარი.

მოშრომება, ა—ჲ ჯაფა, გარჯა: „მოგაშრომნა თქუენ შორიელსა ქუეყანასა“ 3,12.

მოწყუედა, 0—ჲ 34,20 დახოცვა, გაწყვეტა.

მოჯედ-ი დაკიბული: „იყო მოჯედ მსგავსად კიბისა“ 8,33.

მოხილვა 90,41 ნახვა, დათვალიერება.

მოხუმა, ი 24,7; 33,17 მოტანა.

მოჯდა, 0—ჲ მოხდენა, მოყვანა, მოელინება: „არღა მოჰჯადო კუალად რღუნა“ 32,9.

მოჯდომა, ი/უ—ჲ 3,6; 84,38 მოსვლა: „გულს-მოდგინედ არა მოუჯედ საქმესა“ 59,8. ნ. გულსა მოჯდომა.

მოჯსენება, ი 30,31 გახსენება, მოგონება: „არა მოვიჯსენე მოძღურისა ჩუენისაჲ თქუმული“ 56,13.

მრჩობლ-ი 28,8; 74,40 ორი, ტყუბი.

მსახრვალ-ი 4,12 ჯალათი.

მტარვალ-ი 4,11; 67,28 სასამართლოს მსახური, ჯალათი.

მტყუვარ-ი 4,12 მატყუარა.

მუნ 64,15; 86,35 იქ.

მუნთქუესს 4,23 მაშინ, იმ დროს, იმ მომენტში.

მუნთქუესვე 3,10; 40,2 მალე, მაშინვე.

მურ-ი 48,4 ერთგვარი სურნელოვანი ზეთი. ნ. შემურვა.

მუჯლ-დადგმით ლოცვა 9,7-8 მუხლმოდრეკით ლოცვა, დაჩოქილი ლოცვა.

მფოფინარე აქაფებული: „გარდამოეცა წყალი ... დიდი ვითარცა მფოფინარე“ 39,26.

მყოვარ ყო 53,4 დიდხანს.

მშჯუალვა ნ უკუნ-მშჯუალვა.

მჩინებელ-ი 8,11 მიმწვევი, მიმპატიჟებელი.

მწლაფრ 22,32 მსწრაფლ.

მწუხრ-ი საღამო, შეღამებული: „მწუხრ არს და მიდრეკილ არს დღე“ 86,37. ნ. დამწუხრება, შემწუხრება.

მწუხრად (ზმნზ.) საღამოს, შეღამებულს: „პატროკლოს მწუხრად მივიდა სავანესა მას პაელესსა“ 49,18.

მხოლო 29,19; 47,15; 71,8 ერთადერთი.

მხოლოდ-შობილ-ი 27,29; 77,41 დედისერთა, ერთადერთი შვილი.

მჯევალ-ი მსახური ქალი, მონა ქალი: „იყო მისი მჯევალი, ვითარცა მე მონაჲ მისი ვარ“ 62,19.

მჯოვან-ი ჭაღარა: „ემსგავსა იგი ბერსა მჯოვანსა“ 35,8; „პოვეს ორასოცდაჩჯდმეტი კაცი მოხუცებული ქალაქისაჲ მჯოვანი“ 34,8.

ნ

ნავ-ი 23,25 ხომალდი. ნ. სანაველ.

ნათესავ-ი 31,34 ტომი, მოდგმა: „პირველთა მათ ნათესავთა ჰურიათა დასაჯეს იგი“ 63,29.

ნარჩევ-ი მდარე, უვარგისი, უღირსი: „დაიმდაბლა თავი თჳსი ჩემ ნარჩევისათჳს“ 15,26.

ნაქმარ-ი საქმე: „აბანოჲსა ნაქმარი მიზეზად ეშმაკმან მოიგონა“ 60,31.

ნაღუარევ-ი ღელე: „ცოდვაჲ თუალთა მათთაჲ განმრავლდეს ვითარცა ნაღუარევი“ 10,35.

ნახევარ-დაჭსნილ-ი ნახევრად დავრდომილი, ნახევრად საპყარი: „ილოცა უფლისა მიმართ და ნახევარ-დაჭსნილ იქმნა ასული იგი მისი“ 11,4.

ნერწყუა, 0—ჲ 10,13 ფურთხება: „ჰნერწყჳდეს პირსა ჩემსა“ 30,32.

ნეფხით 9,23; 63,31 ნებით.

ნიშ-ი 69,28 სასწაული.

ნიჭ-ი 8,6; 71,12 საჩუქარი, საბოძვარი. ნ. მონიჭება.

ნუთუ ეგებ, ეგებოს: „მოიხუენ სამნი პურნი, რაჲთა ჰამონ ძმათა

ამათ, ნუთუ უზმანი მოსრულ არიან“ 24,8.

ნუკეცა, 0—1 ნებიერობა: „ყოველსა ქალაქსა განვიდოდეს და ნუკეცადეს“ 70,18.

ნუუკუე ნუ: „ნუუკუე გაქუს ურვაჲ.. არამედ უფროჲს-ღა გიხაროდენ“ 60,11.

ო

ოდენ მხოლოდ: „იგინი ოდენ შეეჯამნეთ ამას დღესა“ 33,17.

ოტება, ა—ჲ 4,39; 16,16 გაშვება. ნ. მეოტი.

ოხრა 47,2; 47,34 ხმა.

პ

პატიახში ნ. პიტიახში.

პატიოსან-ი 3,13 ძვირფასი: „სამოსელი მჩურისაჲ პატიოსანი დიდძალი“ 19,38.

პითონ-ი 72,36 სული არაწმინდა.

პირველ 50,30 ჯერ, სანამ, წინ, წინათ: „პირველ მისლვამდე მისა იოვანჱს თანა“ 84,13.

პირველ ყოველთა 60,12 უპირველეს ყოვლისა.

პირის დაყოფა ნ. დაყოფა.

პირის მწდე მერიქიფე: „იყო ვინმე პირის მწდჱ კეისრისაჲ“ 49,17.

პირს-პირ 76,37 პირისპირ.

პიტიახშ-ი 70,1 მთავარი.

პჳთონ-ი ნ. პითონი.

ჭ

ჭამ-ი [1] 38,17; 57,3 საათი: „მეოთხესა ჭამსა დღისასა“ 81,12. [2] 55,3; დრო: „ჭამი ითხოვს ამისსა ყოფასა“ 53,27.

რ

რაჲსა რატომ, რისთვის: „რაჲსა სხედ და მცავთ მე“ 19,42; „რაჲსა არა მიგყავ ჯუარ-ცუმად“ 45,25.

რაცხა ნ. შერაცხა, შეურაცხი.

როჭიკ-ი გასამრჯელო, დღიური საზრდო: „მიგცე შენ როჭიკი შენი“ 58,36.

რღუნა 32,9 წარღვნა. ნ. კ. წყლითრღუნა.

რჩ-,ე 22,35, დამორჩილება, დაჯერება: „არა ერჩდა იოვანე სიტყუასა მათსა“ 88,6.

ს

საარება, ა—ჲ ტანჯვა, წამება: „მიზდეოს და ქარისიოს, შუგდონია და ტერტია დიდად აარნეს“ 20,3.

სადა, 16,20 სადმე.

სადაჲ, სადაჲთ საიდან, სადაური: „სადაჲ(თ) ხარ, კაცო“ 58,31.

სადგურ-ი სადგომი, სამყოფი: „დაჯდა სადგურსა მას თანა მენავეთ-მოძღურისასა“ 24,5.

სადქუეს სად, სადაც: „სადქუეს დგას იგი, არა უწყი“ 35,24.

საზომ-ი დრო, ხანი, პერიოდი: „უმრავლჱსთა მათგანთა ჰრწმენა უფალი, რაოდენნი იყვნეს საზომსა მას ცხორებისასა“ 69,14.

საზრდელ-ი 23,30; 60,20 საზრდო, საკვები: „დაკლიან იგი საზრდელად თავისა მათისა“ 22,29.

სათნო 71,9 მოსაწონი: „სათნო იყო თუალითა ხილვად“ 11,8.

სათქუემელ-ი ნ. გულის-სათქუემელი.

საკერპო 27,28 წარმართთა სამლოცველო, სადაც კერპებია მოთავსებული.

საკჳრველ-ი 72,14 საკვირველება: „ვეხილეთ ჩუენ დიდი იგი საკჳრველი“ 29,26.

სალმობა 12,31; 72,10 ტკივილი: „მისგან არს სალმობაჲ და სიკუდილი“ 4,3.

სალმობიერ-ი ტკივილიანი, ტკივილით სავსე: „ექმენ მათ... მკურნალ სალმობიერსა მას ქუეყანასა“ 14,24

სამეუფო, სამეფო მეფის მსახური: „ჰრქუეს სამეფოთა მათ იოვანეს“ 71,28; „შევიპყრენით ჩუენ სამეუფოთაგან“ 70,9.

სამსახურებელ-ი ის, რასაც ემსახურებიან: „ურგებარიან სამსახურებელნი თქუენნი“ 64,34.

სამჭორედ-ი მესამე სართული: „გარდავაოდა იგი სამჭორედისა მისგან“ 49,24.

სამღდელო 68,35 ეკლესია, ტაძარი.

სამშჳალ-ი 47,3 ლურსმანი.

სანავე 23,32 ნავისა, ხომალდისა (მგზავრობის საფასური).

სანქრევა ქარიშხალი, გრიგალი: „ნუ დამფარავნ მე დამაბნელებელი იგი სანქრევაჲ“ 12,42.

ხართმ-ებ-ი ისრები: „დაგუმირეს იგი სართმებითა მით“ 19,35. (შდრ. სომხ. *աշտէ ի, իւ*).

ხასმენელ-ი 17,30 ყური: „განაშორენთ სიბრმისაგან პირნი ეგე და სასმენელნი“ 46,2.

ხახოება იმედი: „დაადგერით სახოებასა ძისა ღმრთისასა“ 15,35. ნ. ჩოსავი.

სატკივარ-ი მტკივნეული: „ესეცავე სიკუდილი არავე ბოროტ არს, არცაღა სატკივარ“ 36,6.

ხახუენებელ-ი 11,19 მოსასვენებელი, საძინებელი ოთახი.

ხახყოდლით დაპყრობა ნ. დაპყრობა.

ხაუნჯე [1] 6,26; 10,40 განძის შესანახი ადგილი.

[2] 49,10 სადგომი, ბინა.

ხაუფლოჲ ბეჭედ-ი: „აღბეჭდნა იგინი საუფლოჲთა მით ბეჭდითა“ 14,30 პირჯვარი გადასწერა.

ხაუცარ-ი არარეალური, ყალბი: „უჩუენნა მათ საუცარნი იგი ქარტანი“ 67,6.

ხაუცრება არარეალური, ყალბი: „საუცრებჲსა იგი საქმარი“ 67,18; „ქარტანი აქუნდეს საუცრებით“ 66,11.

ხაფახე განძი, ქონება, საქონელი: „საფასჲ ნავისაჲ შენმან მოყუასმან წარიღო“ 57,29.

ხაფუძველ-ი საძირკველი, ფუნდამენტი: „აღეშჳნებოდა აბანოჲ იგი და მოთხარეს საფუძველი“ 60,33.

ხაქმარ-ი 4,4 საქმე: „დაუტეეა იოვანე საქმარი საკუმილისაჲ“ 59,4.

ხაქმე ქმნა: „საქმე რაჲმე გჳქმს ჩუენ მუნ საქმედ“ 21,21.

ხაქმე ხაქალობისაჲ: „მრავალთა მამათა და მრავალთა დედათა დაუტეონ საქმე საქალობისაჲ და შედგენ ქალწულებასა“ 10,31.

ხაყდარ-ი ტახტი: „ვიხილეთ იესუ საყდართა ზედა“ 29,27.

ხაშუმინველ-ი 6,22 სასუნთქი: „სული იგი მაწუევს საშუმინველისა ჩემისაჲ“ 45,31.

ხაჩინო თვალი: „საჩინონი განჰმარტენით“ 46,3.

ხაცხებლის მგბოლველ-ი სურნელებების მხარშველი: „დამუსრნეს ჰურჰელნიცა საცხებლის მგბოლველთანი“ 5,37.

ხაცხოვარ-ი 41,17 საქონელი, პირუტყვი.

ხაწერტელ-ი საჩხვლეტელი: „საწერტელისა მის წილ ლერწმისა, რომელ დაიწერტე ჩუენთჳს...“ 15,3.

ხახე ნიმუში, მაგალითი: „აღიცსო ქალაქი ესე არასაჴმარითა სახითა“ 4,32. ნ. ეგრე სახედ, ვითარ სახედ, თქუენდა სახედ.

ხახელდებულ-ი 8,18; 35,25 წოდებული.

ხახიერ-ი 46,21; 78,6 კეთილი, მოწყალე.

ხაჴმარ-ი 67,14 საჭირო, მოსახმარი; ითქმის ყოველგვარ სამოხმარებლო საგანზე: „მოგჳვიდოდა ჩუენ მის მიერ.., ხაჴმარი“ 59,3; „მიგცე შენ.. ხაჴმარი ჴორცთა შენთაჲ“ 58,36.

ხაკუმილ-ი 64,19 ღუმელი: „გზებად საკუმილი აბანოჲსაჲ“ 58,36.

ხაკუმილავ-ი ღამის სამსაათიანი საყარაულო ცვლა: „ვიკუმილე საკუმილავი ღამისაჲ პირველი, მეორე და მესამე“ 19,4; „მეათით ჟამითგან

ვიდრე მესამედ საკუმილავადმდე ღამისა“ 56,36.

სერაბინ-ნ-ი ნ. ქერობინნი და სერაბინნი.

სიბორგილე მძვინვარება, რისხვა: „დასცხრა ნერონ სიბორგილისაგან“ 51,25.

სივლტოლა 9.8 გაქცევა: „უნდა მოქალაქეთა მათ სივლტოლაჲ ქალაქისაგან“ 39,29.

სისხლისაგან-ი სისხლი: „აღმოიღებედ მას სისხლისაგანსა და სუმედ“ 33,29.

სიტყუა 27,2 საუბარი: „ესმა ჴმაჲ სიტყჳსაჲ“ 33,31. ნ. გულის-სიტყუა.

სიტყჳს მიგება 82,23 პასუხის მიცემა.

სიჩქარე ჰორი: „სიჩქარად შეერაცხნეს სიტყუანი მისნი“ 65,11.

სიწრფოება 76,31 სიწრფელე, სიმართლე: „შევამთხუე საცთური ჩემსაამას სიწრფოებასა“ 9,42.

სიჴელოვნე 25,13; 25,15 საქმის ცოდნა, ხელოვნება.

სკულ-ი 22,20 ნასკვი: „რიცხჳ დღეთაჲ უწყიედ სკულითა, რომელ გამოაბიან ჴელსა“ 22,22.

სოფელ-ი ქვეყანა: „წარვედ სოფელსა მას, რომლისაგან განიდევნე“ 59,18; „ვიცვალო ამიერ სოფლით“ 16,36.

სპაჲპეტი ნ. მთავარ-სპაჲპეტი.

სპეტაკ-ი 18,32 თეთრი. ნ. განსპეტაკებული.

სრბა სირბილი, გაქცევა: „არა ეგულებოდა... მოსწრაფებით სრბაჲ“ 70,16; „მიიწია მსაჯული იგი დიდითა წრაფითა სრბით“ 3,19.

სრულ-ი ნავალი, ნასიარულევი: „ჩუენცა სრულ ვართ ზღუასა ზედა მრავალ გზის ნავითა“ 25,16.

სრულ-არხება 14,18 სრულყოფილი.

სტოვა „სვეტებიანი გვერდებზე ღია კამაროსანი შენობა“ (ი. ჯაბახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძვ. საქართველოში, თბილისი, 1946 გვ. 104). „დადგა იოვანე ადგილსა მას, რომელსა იყო სტოვაჲ მცირჱ“ 82,36.

სტრატიოტ-ი 17,13; 17,16 ჯარისკაცი.

სტუ, 0—1: „რად სტჳთ“ 16,27 რად სტყუით, რად ცრუობთ.

სულთა მოდგმა, ი: „ყრმამან მან... მოიდგნა სულნი და აღდგა“ 50,5 „ცოცხალ იქმნა“ (AB).

სულთ-თქუმა, სულ-თქუმა, ი უობნოხვრა: „სულთ-ითქუნა სამგზის“ 56,5; „სულთ-ითქუნეს ყოველთა ღმრთისა მიმართ“ 50,4; „სულ-თქუმითა მწარითა“ 56,10.

სულის წარჴდომა, 0—2 „დაეცნეს შჳდნი იგი მცველნი ქუეყანასა ზედა და სულნი წარჴდეს“ 31,9 სული გასძვრათ.

სწრაფით (ზმნზ.) 74,13 სწრაფად. ნ. მოსწრაფებით.

სწავლა [1] **ი** 73,1 შეტყობა, ცნობა, გაგება: „ვისწავე ადგილი იგი“ 75,12. ნ. განსწავლა.

[2] მოძღვრება: „რაჲ არს სწავლაჲ კაცისაჲ ამის“ 79,21.

სხუად (ზმნზ.) სხვაგვარად, სხვანაირად: „ჯუარს-მაცუთ მე თავდამოქცევით და ნუ სხუად“ 46,9.

ტ

ტაბლა 4,34 სუფრა: „შეუქმნენ პურნი ესე ტაბლასა მისსა ზედა ქვად“ 32,1.

ტარტაროზ-ი 14,10 ჯოჯოხეთი.

ტაძრისაგან-ი სამეფო კარზე მყოფი: „ჰრწმენა ტაძრისაგანთაცა კეისრისათა“ 49,15.

ტევება, ი/უ მიტევება, პატიება: „უტევე, ძმაო, ძმათა მაგათ“ 24,17. ნ. განტევება, გარდამოტევება, დატევება.

ტრაპეზ-ი 65,37 სუფრა: „დამიდგა ჩუენ ტრაპეზი“ 64,14.

ტუქ-ი, ტჳქ-ი აღსავალი, მაღალი კიბე: „მოვედით ადგილსა, რომელსა ჰრქჳან ტჳქი (ტუქი A) ქალაქისაჲ“ 66,2.

ტყუება, ე „თავს-ცემა“ (საბა): „ტიროდეს და ეტყებდეს თავთა თჳსთა“ 61,7.

ტყუება ნ. მომატყუებელი, მოტყუება, შეტყუება.

ტყუელვა, 0-1 ტაშის ცემა: „ჰმობდეს და ტყუელვიდეს და ყიოდეს“ 70,21.

უ

უბადო 26,21 ცუდი, ავი, უბადრუკი.

უბრალო 50,3 უდანაშაულო: „წყლულებანი ესოდენნი უბრალოსა ზედა მოვაწიენ“ 62,9.

უდებ-ი 44,12 გულდაუდებელი: „საქმესა შენსა უდებ ხარ“ 59,27.

უვიხ ნ. ვ.

უზეშთაეს-ი უდიდესი, უმაღლესი: „ღმრთეებაჲ შენი უზეშთაეს არს ყოველთა“ 8,18.

უკუმართ 7,40; 36,20 უკან, უკუღმა.

უკუ-მოქცევა, ი ვნ. უკან დაბრუნება: „უკუ-მოიქეც და მოიყვანენ იგინი“ 67,3. ნ. კ. უკუნ-ქცევა.

უკუ-მშჯუალვა, 0—2 5,17 უკუღმა მილურსმვა: „მანანი იგი უკუმშჯუალნეს კედელსა“ 5,15.

უკუნმშჯუალულ-ი 6,13 უკუღმა მილურსმული.

უკუნ-ქცევა, ი ვნ. 64,14 უკან დაბრუნება, უკან მობრუნება.

უმეცარ-ი გამოუცდელი, უცოდინარი: „უმეცარ ვიდრე-მე არიან ძმანი ეგე ზღჳსაგან“ 24,19.

უმკია (იბუγ!α,ჭ) ზომის ერთეული: „მოგუცემდეს ჩუენ ათექუსმეტსა უმკიასა პურსა და უმკიასა ძმარსა“ 68,14.

უნჯ ნ. დაუნჯებული, საუნჯე.

ურაკპარაკ-ი 4,19; 16,31; 57,21. ბოედანი, სასამართლოს ადგილი, ხალხის შესაკრები ადგილი.

ურნატ-ი 7,40; 19,1 ხნული.

უფლება, ა—ჱ ნების დართვა, დანებება: „არა აუფლის მას მისლვად აბანოს“ 60,38.

უფროჲს-ი 17,1; 69,2 მეტი, უფრო მეტი.

უქმელება უქმე: „უქმელებისა დღესა შევიდიან, ჰამიან იგი და სჳან“ 84,22.

უცნება, ა—ჱ მოჩვენება, მოტყუება: „მაუცნებდი ჩუენ დაგანმაშორენ მოძღუარსა ჩუენსა და მართალსა“ 86,20; „გჳჩუენა ჩუენ უცნებაჲ იგი ეშმაკისაჲ“ 26,19.

უწყება ნ. ჩუენებით უწყება.

უჯირებელ-ი 68,10 ადვილი, იოლი, გაუჯირვებელი.

უჯირველად უზრუნველად, გაუჯირვებლად: „უჯირველად დაცუულ არიან ჴორცნი ჩემნი“ 17,20.

უხრწნელ-ი უმანკო: „შეიპყრობენ თორმეტთა უხრწნელთა ყრმათა და შესწირვენ მსხუერპლად“ 81,10.

უხუცჱს-ი უფროსი: „სული ბოროტი ჰჳთონოჲ იყო ძისა მისისა თანა უხუცჱსისა“ 72,34.

უჯამურ-ი უფეხსაცმლო, ფეხშიშველი: „შიშუელ და უჯამურ“ 18,15.

უჯერო ცუდი, ურიგო, შეუფერებელი: „უჯეროსა სიტყუასა იტყოდეს მისთჳს“ 7,7.

ფ

ფიცხელ-ი მკაცრი, უხეში: „იტყოდეს მისა მიმართ სიტყუათა ფიცხელთა“ 86,19.

ფლობა, ი/უ 42,9 ნების დართვა: „ნუ უფლობ ბოროტისა საქმედ“ 33,35; „არა უფლა მათ იოვანე მოკლვაჲ ნოიტიანოჲსი“ 86,34.

ფლობილება: „ეშინის შენგან ჴელმწიფეთა და ფლობილებათა“ 7,15

ფოლოც-ი 36,16; 38, 19 ქუჩა: „განაბნინენ ჴორცნი შენნი უბნებსა და შორის ფოლოცებსა“ 30,28.

ფუცება, ა—ჱ ფიცება: „გაფუცებ, შენ, უფალსა“ 83,22.

ქ

ქანქარ-ი 18,29 ფული, მონეტა.

ქარტა [1] 12, 12 პაპირუსისგან დამზადებული ქაღალდი: „იყიდე მელანი და ქარტაჲ“ 88,7.

[2] საბუთი, დოკუმენტი: „აქუნდეს ქარტანი, რომელთა ჰრქჳან სყიდულებაჲ ჩუენი“ 64,6; „ქარტანი აქუნდეს ბრალისა მათისანი“ 68,15.

ქერობინ-ნ-ი და **სერაბინ-ნი** 27,2 ქრისტიანული მოძღვრებით მაღალი დასების ანგელოზები.

ქვის დაკრება, 0—3: 85,33 ჩაქოლვა.

ქმნულ-კეთილ-ი ლამაზი, მშვენიერი: „იყო ვინმე ერთი ფრიად ქმნულ კეთილი“ 43,23.

ქორედ-ი ნ. სამქორედი.

ქრისტჱს ბეჭედ-ი ნათლის-ცემა: „მოგუეც ჩუენ ქრისტჱს ბეჭედი“ 86,41.

ქრისტჱსმიერი ბეჭედ-ი 86,36 ნათლის-ცემა: „მომანიჭე მე ქრისტჱსმიერი ბეჭედი“ 64,8.

ქსესტ-ი (ξέστης,ბ) 70,14 საწყაოს ერთეული.

ქუაბ-ი 28,8; 87,34 გამოქვაბული.

ქუან-,ნ. გამოქუან-, მიქუან-, მოქუან-.

ქუეყანა [1] 56,6 მიწა.

[2] 16,35 ქვეყანა, მხარე.

ქუეწარმძრომელ-ი 11,32 ქვეწარმავალი.

ქურუმ-ი 6,4; 6,9 კერპთ მსახური.

ქცევა ნ. კუალად-ქცევა, უკუნ-ქცევა.

ღ

ღალადება, 0—1 40,6 ყვირილი, ძახილი.

ღალად-ყოფა, ღალატ-ყოფა, 0—1 34,3; 40,10 ღალადება, ძახილი, ყვირილი.

ღელვა [1] 25,1 ტალღა, ზვირთი: „მოდრკეს სამნი ღელვანი“ 56,37.

[2] ზღვის ღელვა: „აღამციროს ჩუენგან დიდი ესე ღელვაჲ 71,31.

ღრიანკალ-ი 11,31 მორიელი.

ღრმიად (ზმნზ.) ღრმად: „ძირნი მისნი დაიბნა ღრმიად“ 18,24.

ღრღუევა 4,4 რღვევა.

ღუნ-, ი ვნ. ზრუნვა: „შენგან იღუაწებიან ყოველნი“ 61,14.

ყ

ყოველ-ი: „მთასა მას სხდეს დღე ყოველ“ 17,41 მთელი დღე.

ყრმა [1] ვაჟი: „ჩუენულებაჲ იყო ჰაბუკი — ყრმაჲ გინა ქალი — დადებად საფუძველსა“ 60,32.

[2] 61,5; 79,28 მსახური ვაჟი.

შ

შდუნება ნ. დაშდუნება.

შებორკილებულ-ი 81,9 შებორკილი, შებოჭილი.

შეგრძიბნვა, შეგრძნიბვა, 0—2 მოჯადოება, მოხიბლვა: „ესენიცა მათვე შეგრძიბნეს“ 34,სქ. 14; „გრძნეული იყო და შემგრძნიბნა ჩუენ“ 59,13; „მოგუნი არიან და შეგრძნიბეს სახლი ჩუენი“ 73,4.

შეგუალ-, 0—1 28,22 შესვლა.

შევრდომა, შერდომა, ი/უ—2 ფეხქვეშ ჩავარდნა: „შეუვრდა ფერჴთა მისთა“ 62,33. „შეუვრდა ფერჴთა იოვანჱსთა“ 82,2.

შეზრუნება, დ 22,5 შეძრწუნება, შეწუხება: „ნუ შეზრუნდებით... არამედ უფროჲს მხიარულ იყვენით“ 9,43.

შეთხევა, 0—2 შეყრა, ჩაყრა: „შევსთხინე იგინი პირსა“ 73,11. ნ. კ. შთათხევა.

შემასმენელ-ი 67,31 მომჩივანი, ბრალმდებელი: „უცხოთა კაცთაჲ, რომელთა შემასმენელი არა არს... ტანჯვაჲ გინა პყრობაჲ არა თაესვიდვა“ 69,23.

შემოახლება, ე 37,18 მოახლოება.

შემსგავსებულად შესაფერისად: „არა შემსგავსებულად და ღირსად მიედვა სახელი შენი... ყოველსა სოფელსა“ 8,16.

შემურვა, 0—2 დაბალზამება: „შემურნა ჯორცნი იგი მისნი“ 48,5.

შემწუხრება საღამო ხანი: „შემწუხრებასა შეაგდეს იგი საპყრობილედ“ 36,19.

შენდობა, ი/უ ნების მიცემა, დანებება: „არა შეუნდვეს სხუათა“ 70,25 არ დაანებეს სხვებმა.

შენთანა-ნ-ი შენთან მყოფნი: „გამოგიყვანოს შენ მაგის საპყრობილისაგან, არა ხოლო თუ შენ, არაცედ ყოველნივე შენთანანიცა“ 22,10.

შეორგულება, დ 15,36; 57,36 შეეპვება, ორპოფობა.

შერაცხა, ი ვნ. ჩათვლა, მიჩნევა: „ჩუენ ვითარცა ცილისმწამებელნი... შევირაცხენით“ 68,9.

შერთვა, 0—3 33,14 შერევა, შეზავება.

შეტყუება, ა—2 3,21; 10,11 მინიშნება.

შეტყუვება, ი მოტყუება, ცთუნება: „შეიტყუვიან გულსა“ 11,10 აცთუნებენ გულს.

შეურაცხ-ი 9,31 არარად მიჩნეული.

შელება, ი: შეტანა: „შევიღეთ იგი ეკლესიად“ 90,16 შევიტანეთ ეკლესიაში.

შეყენება, ა—2 50,29 შემწყვდევა, დაპატიმრება: „შეაყენენით იგინი სახლსა“ 67,12; „...მიხილოთ მე კდემულებასა და შეყენებასა“ 27,18.

შეშოობა, ა—2 80,32 მოხრჩობა.

შეძგერება, ა—3 შეხლა: „შეაძგერნა რკინანი“ 71,5.

შეძინება, ე 49,14 მიმხრობა, შეერთება: „შეეძინებოდეს სიტყუასა მას უფლისასა“ 20,9.

შეძლება, ი/უ—28,12; 71,8 დაძლევა, ჯობნა, მორევნა: „ბოროტი ჴელოვნებაჲ იქმია და შემიძლო მე“ 73,27.

შეწიფება, ე შებედვა: „ვერცაღა შევეწიფე სიტყუად მისა“ 61,21.

შეხლდომა, ნ შესვლა, შეხტომა: „შეხლდნა აბანოდ“ 61,37.

შთაგუალ-,0—1 ჩასვლა: „შთაგუალე ზღჳს კიდედ“ 23,3.

შთათხევა, 0—2 ჩაყრა: „შთამთხინეს ჩუენ ზღუად“ 82,25.

შთაჴედმა, 0—1 ჩასვლა: „შთაჴედ უბესა ნავისასა“ 24,7; „შთაჰჴედ სიღრმესა მას“ 9,37.

შირიმ-ი 20,24 მეფეთა სამარხი, მეფეთა სასაფლაო, მავზოლეუმი: „დადვეს იგი სამეუფოსა მას შირიმსა“ 19,39.

შორიელ-ი შორეული: „მოგაშრომნა თქუენ შორიელსა ამას ქუეყანასა“ 3,12.

შუალდაკ-ი 23,37 ხურჯინი.

შურის-გება შურისძიება: „ვერ შემძლებელ არიან თავით თჳსით შურისგებად“ 44,15.

შურის მოგება, ა—3 იგივე შურის-გება „შურიმომაგე მის კაცისაჲ, რომელმან-იგი განმაყენა ცოლი ჩემი“ 44,9.

შურობა, ე: „ეშმაკი... ეშურობს მარადის უფლისამიერსა მადლსა“ 49,22 შურს, „შურობს“ (B).

შურომა, 0-1 64,4 დაღლა, დაქანცვა. ნ. დაშრომა, მაშურალი.

ჩ

ჩინება, ი ვნ. 18,26 მიწოდება, მიწვევა, მიპატიჟება: „პურად ვიჩინე და მოვედ“ 18,30; „ქორწილად ვიჩინე და სპეტაკი სამოსელი შევიმოსე“ 18,32. **ჩინებულ-ი** 8,10 მიწვეული, მიპატიჟებული. ნ. განჩინება, მჩინებელი.

ჩუენებით დადგრომა, ა—2 მოჩვენება, ზმანება, ძილში გამოცხადება: „ნეტარი პეტრე მას ღამესა ჩუენებით დაადგრა მას და ჰრქუა“... 48,8.

ჩუენებით უწყება, ა—ვ ძილში. სიზმარში უწყება: „ჩ უ ე ნ ე ბ ი თ მ ა უ წ ყ ე მ ე“ 18,7.

ც

ცვალება, ი ვნ. სიკვდილი, გარდაცვალება: „ვ ი ც ვ ა ლ ო ამიერ სოფლით“ 16,37.

ცნობად-გიც უნდა იცოდე, აბის ცოდნა გევალება: „ც ნ ო ბ ა დ გ ი ც, ვითარმედ შემძლებელ ვართ შენ თანა შესლვად“ 66,20.

ცუდ-ი ცარიელი: „ჰურჩელი სარწყული ც უ დ ი“ 11,22.

ცხედარ-ი 3,21; 76,14; 76,15 საწოლი.

ცხოველ-ი 19,9; 48,13 ცოცხალი. ნ. განცხოველება.

ცხოვნება, დ გაცოცხლება: „ვეველდრნეთ უფალსა, რაჲთა ც ხ ო ვ ნ დ ეს ყრმაჲ ესე“ 50,2.

ცხორება იგივე ცხონება, სიცოცხლე: „ჰმადლობდეს იოვანეს ც ხ ო რ ე ბ ი ს ა თ ჳს, რონელ იქმნა ყრმათა მათ ზედა“ 82,41.

ძ

ძილად მიქცევა, ა—ჲ დაძინება: „ილოცვიდა... რაჲთამცა მოწაფეთა მისთა ძ ი ლ ა დ მ ი ა ქ ც ი ე ს“ 25,8.

ძლ. ი/უ—ჲ სტატ. შეძლება: „ვერ გ ჳ ძ ლ ა ვ ს ჩუენ მაგისი მოკლვაჲ“ 37,28; „გ ი ძ ლ ა ვ ს თუ რაჲმე საქმედ,იქმოდე“38,5; „ვისმე უ ძ ლ ა ვ ს ჴსნაჲ შენი“ 37,32. ნ. შეძლება.

ძლით-შეპყრობილ-ი „სხუათა მათ ძ ლ ი თ შ ე პ ყ რ ო ბ ი ლ თ ა შიშითა განიფრთხვეს“ 65,18.

ძჯრ-ი 17,1 ავი, ცუდი.

ძჯრის მოქმედ-ი 44,13 ბოროტმოქმედი.

წ

წადიერი სასურველი: „გლახაკთა წ ა დ ი ე რ... ექმენ და განაძღენ სულნი წყურიელნი“ 14,20.

წადიერება სურვილი: „არა წარწყმდეს წ ა დ ი ე რ ე ბ ა ჲ, ჩ ე მ ი და სასოებაჲ ჩემი“ 18,15.

წამის-ყოფა 71,7 თვალით ნიშნება.

წარგრაგნა, 0—ჲ; ი—ჲ 12, 12—13 შეხვევა.

წართქუმა, 0—ჲ: 10,4 თქმა, წარმოთქმა: „ესე ყოველი წ ა რ თ ქ უ ე ს ქურუმთა მათ წინაშე მძლავრისა მის“ 4,41.

წარმართვა, ი ვნ. გზის განგრძობა, გაჭართვა: „არა კუალად-ვიქეც, არამედ წ ა რ ვ ი მ ა რ თ ე“ 19,12 უკან კა არ დავბრუნდი, არამედ გავემართე.

წარმოტყუენვა, 0—ჲ 63,31 აკლება, აოხრება.

წარმოცემა, 0—ჲ 66,35; 73, 38 გამოგზავნა: „მეფემან შექმნა წიგნი და წ ა რ მ ო ს ც ა იოვანჱსა“ 88,35. წ ა რ მ ო ც ე მ ულ-ი: „წ ა რ მ ო ც ე მ უ ლ ი მის და“73,37 მისთვის გამოგზავნილი.

წარმოხუმა, ი—ჲ მოტანა, წარმოდგენა: „ჩემნი ბრალნი მან წ ა რ მ ო ი ხ უ ნეს შენ წინაშე“ 74,37.

წარპარვა, ი 18,23 მოპარვა.

წარყვანება 75,16 წაყვანა.

წარცემა, 0—ჲ 76,40 გაგზავნა.

წარხუმა, ი—ჲ 29,7 წაღება, წაყვანა (ბევრისა).

წარჯდომა, 0—1 გასვლა; დაკარგვა: „ორი ჟამი წ ა რ ჯ დ ა“ 38,24 ორი საათი გაიდა. „არა წ ა რ ჯ დ ეს ერთიცა თმაჲ თაჳსა თქუენისაჲ“ 38,24 არ დაიკარგება თქვენი თმის ერთი ღერიც. ნ. სულის წარჯდომა.

წერტვა ნ. დაწერტვა, საწერტელი.

წიალმავალ-ი ზღვაზე, მის მეორე მხარეს მიმავალი: „ვპოვეთ ნავი წ ი ა ლ მ ა ვ ა ლ ი“ 91,10.

წიალ-ჯდომა, 0—1 მდინარეზე გადასვლა:

„წიაღ-ვჴდე სიღრმესა მას მდინარესა“ 12,43.

წიგნ-ი 74,41; 75,10 წერილი.

წინაშემდგომელ-ი 50,26 კარისკაცი.

წინაშე-ნ-ი კარისკაცები: „წინაშენი ვინმე მისნი პეტრე დაიმოწაფნა“ 48,23.

წიხნვა, 0—ჲ დაწიხლვა, წიხლით ცემა: „შებმა უყო თმათა მისთა, ითრევდა და სწიხნიდა“ 4,7.

წოდება, ი/უ—ჲ მოხმობა, მოწვევა: „რაჲსათჳს მიწოდე ჩუენ“ 28,20 რისთვის მოგვიხმე ჩვენ; „უწოდე შენ გარეშე აბრაჰამსა“ 28,9 გამოიხმე გარეთ აბრაჰამი.

წუევა, ა—ჲ 45,31 იძულება.

წუთა ნ. დაწუთა, მომწუთოლვარე.

წულ-ი ვაჟი: „ეშმაკი... მოაშთობდა ერთსა ჰაბუკსა: გინა ქალსა, გინა წულსა“ 60,35.

წყლვა, ი ვნ. 17,24 დაჭრა: „ტაძარი იგი დაეცეს, ხოლო კაცი არა იწყლას“ 69,1. **წყლულ-ი** დაკოდილი, დაჭრილი: წყლულ ხარ სხჳსა სიტყჳთა“ 45,13.

წყლით-რღუნა 40,9 წარღვნა, წყალდიდობა.

წყურიელ-ი 14,21 მოწყურებული, მწყურვალი.

ჭ

ჭაბუკ-ი ახალგაზრდა, ქალი ან ვაჟი: „ჩუეულებაჲ იყო, ჭაბუკი—ყრმაჲ გინა ქალი—დადებად საფუძველსა“ 58,32; „მოაშთობდა ერთსა ჭაბუკსა: გინა ქალსა, გინა წულსა“ 60,35.

ჭალაკ-ი 70,3; 70,6 კუნძული.

ჭამად-ი 90,8 საჭმელი, საზრდო.

ჭილ-ი ჭილობი: „ჴორცნი ესე... აღხუ ჭილითა და დაჰფლენ“ 12,14.

ჭირვება, ი ვნ. შეჭირვება, შეწუხება „იჭირვოდა მუცლითა“ 71,36.

ჭირვეულ-ი 76,21 გაჭირვებული, ხელმოკლე.

ჭურ-ი 47,10 „ჭურჭელი“ B; მიცვალებულის მოსათავსებელი ჭურჭელი.

ჭურვილ-ი 17,10 შეჭურვილი, შეიარაღებული.

ხ

ხადა, 0—ჲ [1] 69,21; 86,12 მოხმობა, დაძახება: „ჰხადოდა იოვანე სახელსა იესუ ქრისტჱსსა“ 59,24. [2] წოდება, დარქმევა: „შენ გხადი დედად ჩემდა ყოფად“ 62,11.

ხარჯა 43,8 ხასა.

ხატ-ი 23,11; 23,17 სახე: „ხატი სამოსლისა ჩემისაჲ“ 44,24.

ვალიხაგან 57,21; 79,1 მეორე დღეს დილით.

ხვალიხა დღე 50,11 ხვალ.

ხლდომა ნ. განხლდომა, შეხლდომა.

ხოირ-ი თავსაბურავი: „ხოირი თავისა თჳსისაჲ დააგდო ქუეყანასა ზედა“ 61,8.

ხუასტაგ-ი საქონელი: „ენება ხუასტაგი ნაჳისა ჩუენისაჲ წარღებად“ 57,13.

ხუმა ნ. აღმოხუმა, აღხუმა, განხუმა, გარდამოხუმა, მიხუმა, მოხუმა, წარმოხუმა, წარხუმა.

ჯ

ჯამ, ი/უ—ჲ: „არცა მე მიჯმს ესე“ 63,18 არც მე ვსაჭიროებ ამას; „არა გჯჳმს მრავალ-მეტყუელებაჲ“ 74,27 არ გეჭირდება ბევრი ლაპარაკი; „უჯმდა“ 80,27 სჭირდებოდა.

ჯამლ-ი 23,37 ფეხსაცმელი. ნ. უჯამური.

ჯამლის-ხაბელ-ი ფეხსაცმლის საკრველი: „ჯამლის საბელნი ფერჳთა ჩემთანი მოვიმტკიცენ“ 18,41.

ჯდა ნ. დაჯდა, მიმჯდელი, მოჯდა.

ჯდალ-ი 84,27 ჯაკი ცხენი.

ჯდომა ნ. აღჯდომა, აღმოჯდომა, გამოჯდომა, გარდამოჯდომა, მიჯდომა,

მოკდომა, შთაკდომა, წარკდომა, წიაღკდომა.

ჴელ-წიფება, ი ვნ. შეძლება: „მოკლვაჲ შენი ვერ ჴელ-იწიფონ მათ“ 30,29; ე: „ჴელ-მეწიფაა მე?..“ 30,35 შემეძლო მე?..

ჴმარ, ე: „მისცე იგი, რომელთა ეჴმარებისო“ 79,5 სჭირდება; „რომელთა ეჴმარებოდა, მისცემდა“ 79,6 ესაჭიროებოდა, სჭირდებოდა. ნ. არასაჴმარი, საჴმარი.

ჴმა-ყოფა, 0—1 დაყვირება, შეძახება: „ეშმაკმან ჴმა-ყო ჴმითა დიდითა“ 83,21.

ჴმევა, ი მოხმარება, გამოყენება: „ბოროტი ჴელოვნებაჲ იჴმია“ 73,26 ბოროტება მოიხმარა; „გერწმუნა საქმჱ, რომელსა ვერ შეუძლებდ ჴმევად“ 59,8.

ჴმელ-ი 24,20; 57,6 ხმელეთი: „სათნო იყავ სლვაჲ ზღუასა ზედა, ვითარცა ჴმელსა“ 71,10.

ჴოხბა, 0—1 60,30 ყვირილი: „ჴოხბადეს და ტყუელვიდეს და ყიოდეს“ 70,21.

ჴუმილვა, ი 19,4 ყარაულობა. ნ. საჴუმილავი.

ჯ

ჯერეთ 67,30 ჯერ, პირველად, ჯერ ერთი.

ჯნა 10,20 წასვლა, განშორება, გაცლა: „შემდგომად ჯნისა ჩემისა ჯორცთაგან“ .. 10,22.